

ზუსტად საღინაძე

ქართული პერიოდიკისა  
და პრესის ენის ისტორიიდან

(ქუთაისი, XX საუკუნის 10-იანი წლები)

თბილისი  
2011

წიგნში წარმოდგენილია ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიის ამსახველი მასალა XX საუკუნის დასაწყისის (10-იანი წლები) ქუთაისის პრესის მონაცემთა მიხედვით; მოთხრობილია დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში საეკლესიო პერიოდულ გამოცემათა, აგრეთვე მღვდელმთავრე სიმონ მჭედლიძის საგამომცემლო საქმიანობის შესახებ; ნაჩვენებია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და ნორმირების ტენდენციები.

ბიბლიოთეკებსა და არქივებში მოძიებული შედარებით ვრცელი მასალა გამოსადეგი იქნება ჟურნალისტიკის საკითხებით, ქართული პერიოდიკის, პრესის ენის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის, განსაკუთრებით ჟურნალისტებისა და ფილოლოგებისთვის, სათანადო დარგის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

**რედაქტორი დამანა მელიქიშვილი**

**რეცენზენტი თინათინ ღვინაძე**

© რ. საღინაძე, 2011.

ISBN 978-9941-0-3251-6

# შესავალი

მწერლობასთან ერთად პრესას უდიდესი როლი ენიჭება საზოგადოების ყოველმხრივი განვითარებისა და წინსვლისათვის. „ჟურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, ...ისე ჟურნალ-გაზეთობას – საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს... ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებული, გამოძიებული და აღიარებული სიმართლისა, ჭეშმარიტებისა. მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონებითი, ზნეობითი მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა. როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება“ (ი. ჭავჭავაძე, 1953, 256-257).

დიდი მამულიშვილის სახლში თუ მივუდგებით, შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის პერიოდულმა პრესამ, რომელსაც დაახლოებით საუკუნე-ნახევრის ისტორია მაინც აქვს, უდიდესი როლი შესრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

**XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურული ცხოვრება.** ქუთაისი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

ქუთაისმა, როგორც უძველესმა ქალაქმა, მეტად რთული გზა განვლო რიგითი ციხესიმაგრეიდან თანამედროვე ქალაქამდე. ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაუფლებისათვის შორეულ წარსულში ერთმანეთს ეცილებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის დამპყრობლები, მაგრამ მან გაუძლო ისტორიულ ქარტახილებს და ჩვენს დრომდე მოადწია.



უდიდეს როლს ასრულებდა ქუთაისი ძველი კოლხეთის, შემდგომ კი მის ნანგრევებზე აღმოცენებული ლაზეთის (ეგრისის) ადრეფეოდალური სახელმწიფოს (IV-VII სს.) პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. განსაკუთრებით გამორჩეულია ქალაქის ისტორიაში ბაგრატ მესამისა და დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა. თითქმის საუკუნე-ნახევარი ასრულებდა ქუთაისი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს პირველი დედაქალაქის მისიას, წარმართავდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და კულტურულ ცხოვრებას. ამ ეპოქის გვირგვინს, სიმბოლოს წარმოადგენს ქართული კლასიკური არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები ბაგრატი და გელათი. „ბაგრატის ტაძარი, გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი და გეგუთის სასახლე ხელოვნების ის ძეგლებია, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას“ („ძველი და ახალი ქუთაისი“, 1973, 52).

მომდევნო ეპოქებში (საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ) ქუთაისი დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი იმერეთის სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა. სოლომონ პირველის მეფობის დროს კვლავ აღორძინდა ქუთაისი. ქალაქის კულტურულ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით დევნილი პოლიტიკური მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, მათ შორის: მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი, არჩილ მეფე, ბესიკ გაბაშვილი, ერეკლე მეორის მსაჯული მჭევრმეტყველებით განთქმული სოლომონ ლიონიძე...

სოლომონ მეორის სახელს უკავშირდება სტამბის დაარსება ქუთაისში. მეფის დავალებით მესტამბე გიორგი პაიჭაძეს მოსკოვიდან ჩამოუტანია საჭირო მოწყობილობა და ქუთაისში გაუმართავს სტამბა, რომელშიც 1800 წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი „ფსალმუნნი მეფისა დავითისა“.

განსაკუთრებით გააქტიურდა ქუთაისის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის II ნახევარში: დაარსდა ვაჟთა გიმნაზია, წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი, სხვადასხვა სახის



ქუთაისი (XX საუკუნის დასაწყისი)



ქუთაისი, თეთრი ხედი



კერძო თუ სახელმწიფო სკოლები, სასულიერო და რეალური სასწავლებლები, რომლებშიც განათლებას იძენდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდობა.

ქუთაისში მრავალი ცნობილი პიროვნება მოღვაწეობდა. 1860-იან წლებში აქ მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა ილია ჭავჭავაძე.

ქუთაისი არის დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალაშვილის სამშობლო. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამორჩენილი ქართველი მთაწარმე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, ქართული ქანდაკების ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე, თერგდალეულთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კირილე ლორთქიფანიძე, კომპოზიტორი მედიტონ ბაღანჩივაძე და სხვები.

ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა სათავადაზნაურო სკოლამ, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით. იგი 900-იან წლებში გიმნაზიად გადაკეთდა. მას სათავეში ედგა ცნობილი ქართველი პედაგოგი იოსებ ოცხელი. აქ ასწავლიდა სილოვან ხუნდაძე. ქართული გიმნაზია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი კერა იყო დასავლეთ საქართველოში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ეროვნული კადრების მომზადებაში.

საინტერესო ისტორია აქვს ქუთაისის თეატრს. პირველი წარმოდგენა 1861 წელს გაიმართა. 1880 წელს კოტე მესხის თაოსნობით აიგო თეატრის შენობა და ჩამოყალიბდა მუდმივი პროფესიული დასი. თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აკაკი წერეთელმა, კირილე ლორთქიფანიძემ, ანტონ ლორთქიფანიძემ, განსაკუთრებით, ლადო მესხიშვილმა. ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ნინო ჩხვიძე, ცნობილი ქართველი მწერალი შალვა დადიანი და სხვ.

გამორჩეულად არის დაკავშირებული ქუთაისთან აკაკი წერეთლის სახელი. მან თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწი-



ლი ამ ქალაქში გაატარა. „აკაკი, რაც მახსოვს, სულ მუდამ მარტოხელ კაცად, ობლად გამომწვევდელია სასტუმროს ნომრებში თბილისში და ქუთაისში – და თავის ჩემოდანს დაჰყურებს ზემოდან, თითქოს საუკუნო სამგზავროდ გამზადებული“, – იგონებს ცნობილი მოღვაწე და ბიოგრაფი იონა მეუნარგია (ი. მეუნარგია, 1957, 54).

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული აკაკი პირველ ხანებში მუდმივად ქუთაისში ცხოვრობდა. იმ დროს თერგდალეულთა შორის ერთგვარი დაქსაქსულობა იყო. მგოსანი, უსახსროდ დარჩენილი, თავს მარტოდმარტო გრძნობდა. ასეთი ყოფა დიდხანს გაგრძელდა. მატერიალური სიდუხჭირის ჟამს, იღბლად, პოეტს მეცენატი გამოუჩნდა. ეს იყო ქუთაისის სასტუმრო „კოლხიდას“ მეპატრონე გიორგი ჭელიძე. მან აკაკის თავის სასტუმროში მიუჩინა უფასო ოთახი და სასმელ-საჭმელი. თანამგრძობელის ამავი აკაკიმ შესაფერისად აღნიშნა თავის თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“. ერთხელ ნიკო ნიკოლაძის თხოვნაზე – გადასულიყო თბილისში, აკაკის უპასუხია: „აქ როგორც არის, გიორგი ჭელიძის შემწეობით ილღად მივდივარ და იქ რაღა მეშველება?“ (ლ. ასათიანი, 1965, 237).

1875 წლის 7 სექტემბერს, როცა ქუთაისში, სასტუმრო „კოლხიდაში“, აკაკისთან ერთად იმყოფებოდა პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე არისტო ქუთათელაძე, გამთენიისას შეიქმნა ლექსი „აღმართ-აღმართ“ (იქვე, 280).

აკაკის თავისი ცნობილი სატირა „გამოცანა“ 1867 წელს დაუწერია ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლ ნესტორ წერეთელზე, რომელსაც პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან განუცხადებია: „ქართველი ყმაწვილები იქ (პეტერბურგში – რ.ს.) ფუჭდებიან, რჯულზე ხელს იღებენ, ნათესაობა არა სწამთ, მთავრობის ორგუენი არიანო და სხვა“.

აკაკის სატირა უპასუხოდ არ დარჩენილა. თავადაზნაურობამ ერთხმად გაილაშქრა ახალგაზრდა პოეტის წინააღმდეგ. აკაკიზე წერდნენ საპასუხო შაირებს. მეფის ამალის გენერალმა თავადმა გრიგოლ დადიანმა „მეგრელის“ ფსევ-





დონიმით ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა ლექსი პოეტის წინააღმდეგ. „გამოცანის მწერალს“ აკაკიმ პასუხი გასცა ლექსითვე „მეგრული ალეგორია“, სადაც მან „უგანათლებულესი თავადი“ გაბედულად შეამკო „ყურგრძელისა“ და „დიდი ნოლის“ ეპითეტებით (იქვე, 219).

აკაკი წერეთელი ქუთაისში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო.

ასევე მაღალი შეფასების ღირსია ქართული კულტურის ერთ-ერთი მოამბის კირილე ლორთქიფანიძის მოღვაწეობა. იგი დიდი ხნის მანძილზე იყო ქუთაისის კულტურული ცხოვრების მესაჭე, უშუალოდ მეთაურობდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემას, აგრეთვე მეტად მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ღონისძიებებს; ხელმძღვანელობდა ადგილობრივ სათავადაზნაურო ბანკს. ეს საკრედიტო დაწესებულება კულტურის განვითარებასაც უწყობდა ხელს.

ქუთაისის შემოენახა კირილე ლორთქიფანიძის მდიდარი, მრავალფეროვანი არქივი, რომელიც დიდ სამსახურს უწევს დღევანდელობას.

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში მოღვაწეობდნენ მეცნიერებისა და კულტურის საქვეყნოდ ცნობილი წარმომადგენლები, რომელთაც შექმნეს ეპოქა და რომელთაც შემდგომ ფართოდ გაუღო კარი თბილისმა. ცნობილი პედაგოგი, მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის ქალიშვილი ბაბო მჭედლიძე მოგვიანებით იგონებდა: „დაიძრა ქუთაისიდან ინტელიგენცია და კარი გაგვიღო თბილისმაო...“ (ცნობილია დ. მელიქიშვილისაგან).

ქუთაისში იქმნებოდა ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური, დაწყებითი და საშუალო ტიპის სასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ადრე ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ შეძლო; 1912 წელს დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება; 1909 წელს შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-



ზოგადობის ქუთაისის განყოფილება. მისი ხელმძღვანელები იყვნენ: გ. ზდანოვიჩი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ოცხელი, ი. ფანცხავა, ს. ხუნდაძე, მ. გველესიანი, ს. ხეჩინაშვილი და სხვ.; 1910 წელს დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ლექციებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში (ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში, პოლიტეკონომიაში, კულტურის ისტორიაში, კანონმდებლობაში, ბუნებისმეტყველებაში...) კითხულობდნენ: აკ. წერეთელი, კ. აბაშიძე, დ. უზნაძე, თ. ჟორდანიას, ს. ქავთარაძე, ალ. ჯანელიძე და სხვ. ქუთაისს ახსოვს გრიგოლ რობაქიძის ლექციებიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ლექციები ძირითადად ქართულ ენაზე იკითხებოდა. ინტელიგენციის ერთ ნაწილს მაშინ ეს შეუძლებლად მიაჩნდა.

მრავალფეროვანი იყო XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრებაც. ამ ქალაქს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების მძლავრი კერა. „აქ დადიოდა პოეზიის უგვირგვინო მეფე – დიდი აკაკი, თითქოს ოლიმპოდან ჩამოსული ზევსი! მორიდებით და ღიმილით ეგებებოდნენ მას ბავშვები. დედები მოკრძალებით და პატივისცემით ჩერდებოდნენ, რათა მისთვის საღამო მიეცათ!“ (კოლაუ ნადირაძე).

თანამედროვენი იგონებდნენ ქალაქის ქუჩებში ერთად მოსეირნე აკაკისა და ვაჟას. უკვდავმა ვაჟამ ქუთაისში ყოფნისას იმერეთს „ღიხისქეთური“ დედა უწოდა და ასე მიმართა მას:

შაერთებულად შენშია  
ქართლსა და კახეთს ვხედავო.  
ფარ-ხმალო საქართველოსავ,  
სხვაცა გბაძავდეს ნეტავო!

ქუთაისთან არის დაკავშირებული გამოჩენილი მწერლების, პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების: მამია გურიელის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა შემოქ-



მედება. აქ დაიწერა გალაკტიონის პირველი ლექსი (1907 წ.) და აქვე გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებულიც (1914 წ.); „ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში („კოლხიდა“, „განთიადი“, „ოქროს ვერძი“, „შირომა“ და სხვ.) გამოქვეყნდა პირველად გალაკტიონის ბევრი უკვდავი ქმნილება. ქუთაისში დაიწყო გალაკტიონის დიდი გზა პოეზიაში“ (პ. ვაჭრიძე, 1979, 103). აქ გამოსცეს ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ (უფრო ადრე გამოვიდა „მეოცნებე ნიამორები“) ქართველმა სიმბოლისტებმა: პ. იაშვილმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ტ. ტაბიძემ, კ. ნადირაძემ, შ. აფხაიძემ, შ. კარმელმა, ს. კლდიაშვილმა, ს. ცირეკიძემ, რ. გვეტაძემ, დია ჩიანელმა...

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურული ცხოვრებისთვის ნიშანდობლივი იყო საგამომცემლო საქმიანობის გაფართოება. წიგნებს ბეჭდავდნენ როგორც კოოპერაცია-ამხანაგობანი, ისე კერძო პირები: „ქართული წიგნის გამომცემელთა ქუთაისის ამხანაგობა“, „გლეხი“, „ძმები ჭილაძეები“, „გამოცემა ასოთამწყობი“, სტამბა „ძმობა“, რომელშიც მთავსებული იყო გაზეთ „შინაური საქმეების“ რედაქცია... თემატიკა მრავალფეროვანი იყო: მხატვრული, პოლიტიკური, საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური, აგრონომიული...

ქალაქის ცენტრში იყო აკაკი წერეთლის სახელობის ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი კანტორა „იმერეთი“ („კოლხიდა“), რომელიც დააარსა საზოგადო მოღვაწემ იოსებ კვიციანიძემ (1903 წ.). აქ დაიბეჭდა აკაკის თხზულებათა მეორე წიგნი (პ. ვაჭრიძე, 1979, 62).

იმხანად ქუთაისში არსებობდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებანი. მაშინდელ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ორგანიზაციებისა თუ კერძო პირთა ქველმოქმედებას. ხშირად კერძო ინიციატივასა და სახსრებზე იყო დამოკიდებული განათლების, წიგნების გამოცემის, სათეატრო საქმისა თუ სხვა წამოწყების განხორციელება.

1905-1907 წლების რევოლუციებმა, რეაქციის მძვინვარებამ ქვეყანაში გააძლიერა ბრძოლა რუსიფიკატორული რე-



ქიმის წინააღმდეგ. მღელვარებამ მოიცვა ქუთაისიც. გახშირდა მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები... აი, რას იგონებს დიდი გალაკტიონი: „პირველად დიდი ხნის შემდეგ ქალაქში (ქუთაისში) გამოვედი. სადამო ხანი იყო, ქუჩაში არავინ სჩანდა. მე მაინც ფრთხილად მივდიოდი, რომ არავის ვვნახე... თეატრს შორიდან მოვუარე, თეატრში რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა... შევედი თუ არა თეატრში, ადელვებულმა აუდიტორიამ იმწამშივე შემამჩნია და ძახილით „გაუმარჯოს რევოლუციას“ გარს შემომხეხია. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, თვალის დახამხამებისთანავე ხელში ამიტაცეს და ასე რამდენჯერმე შემომატარეს. თეატრში ისმოდა მქუხარე ტაშისცემა და ძახილი: „გაუმარჯოს რევოლუციას! დროშები!“ – აი, ამ მომენტში დაიბადა ჩემი ლექსი „დროშები ჩქარა!“ (გ. ტაბიძე, 1966, 303).

ეს – რევოლუციური ქუთაისი და არა მხოლოდ რევოლუციური ან რევოლუციამდელი ან რევოლუციის შემდგომი... იყო სხვა ქუთაისიც, რომელიც „ცენტრი იყო ქართული ლიტერატურული მოძრაობის, მრავალი შეჯახებებისა და ახალ გზათა ძიების“ (გალაკტიონი), სადაც ჩქეფდა ქართული სულიერი, კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება. ყოველივე ეს აისახებოდა XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული პერიოდიკის ისტორიაში.

# I თავი

## ბრესის ჩილი ერთიანი საერთო-სახალხო ენის ფორმირებაში

### 1.1. XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კონომიკური კრების შედეგნილობა და მთავრობა

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ეკონომიკური განვითარება, კულტურულ-საზოგადოებრივი, სულიერი ცხოვრება, შემოქმედებით ძალთა აღმავლობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ქართული პერიოდიკის წარმოშობისა და აღორძინებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთის ცარიზმი და ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ ან ყოველმხრივ აფერხებდნენ საგამომცემლო საქმიანობას. პროგრესულ აზრს მკითხველისკენ გზას უღობავდა ცენზურა. ხშირად ესა თუ ის პერიოდული ორგანო პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ გამოდიოდა. იყო მესტამბეთა დაპატიმრების, ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით პერიოდული გამოცემის შეწყვეტის შემთხვევებიც... ასეთ რთულ პირობებში, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩადების ფასად, ცალკეული პიროვნებები, ორგანიზაციები ახერხებდნენ სტამბის დაარსებასა და წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემას (რ. საღინაძე, 1989, 63).

1910-იანი წლებიდან ქუთაისში არსებობდა საკმაოდ მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა. ქალაქში მოქმედებდა ი. კილაძისა და ი. ხელაძის ელექტრომექანიკური სტამბები, მღვდელ ს. მჭედლიძის ბინაში მოთავსებული იყო სტამბა „მობა“, ფუნქციონირებდა გამომცემლობა „გლეხი“, ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი კანტორა „იმერეთი“ („კოლხიდა“), გამომცემლობა „ნარგიზი“ და სხვ. ბრესა პოპულარიზაციას უწევდა პროგრესულ იდეებს, აშუქებდა მტკივნეულ



საკითხებსა და მნიშვნელოვან პრობლემებს, საზოგადოებას აწვდიდა საყურადღებო ცნობებს. წერილების ავტორები, სხვადასხვა ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნებები, შეუფარავად, დიდი სიმართლით გადმოსცემდნენ ნაირგვარ მასალას – სტატია იქნებოდა იგი, ინფორმაცია, ქრონიკა, მოწოდება თუ ბრალდება. რედაქტორი ახერხებდა გაეპარებინა ეროვნული თვალსაზრისით მრავლისმეტყველი, საჭირო და აუცილებელი ცნობა ან ფართო ინფორმაცია ზოგჯერ პოლიტიკურ საკითხებზეც კი.

ქართული პერიოდიკის ისტორია ქუთაისში იწყება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა გამოვიდა პირველი გაზეთი. ეს იყო ყოველკვირეული ორგანო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „მრომა“ (რედაქტორ-გამომცემლები ცნობილი საზოგადო მოღვაწეები დიმიტრი ნაზარიშვილი და დიმიტრი დადიანი). იგი გამოიცა 1881 წელს და გამოდიოდა 1883 წლამდე. გაზეთი ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების პოზიციაზე იდგა და აშუქებდა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხებს. მისი გამომცემის ინიციატორი კ. ლორთქიფანიძე იყო.

1883 წელს ქუთაისელმა ქალებმა გამოსცეს ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. 1891 წელს გამოვიდა გაზეთი „მეურნე“, 1897-1900 წლებში – „აკაკის თვიური კრებული“.

900-იანი წლებიდან ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამას ხელს უწყობდა იმხანად რუსეთის იმპერიაში შექმნილი ვითარებაც – ბეჭდვითი სიტყვისადმი ერთგვარი თავისუფლების მინიჭება, თუმცა ზოგიერთი პერიოდული ორგანოს პროგრესული პოზიციები შეუთავსებელი იყო მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკასთან. ამიტომ ბევრი მათგანი ხშირად იხურებოდა. იმუამინდელ სიტუაციაზე წარმოდგენას გვიქმნის ნაწყვეტები გაზეთ „კოლხიდაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან: „ახლანდელ დროში რედაქტორობას თავზხეხელადებული კაცი თუ იკისრებს. სიმართლე თუ სოქვი ქუთაისში, შინაური თუ გარეშე მტერი ყველა მტრათ გადაგეკიდება. სიცრუე თუ ილაპარაკე, რაღა პუბლიცისტი იქნები. ქუთაისში ვისაც მართლის თქმა უნდა,



ორივე ხელში ბრაურინგის რეკოლვერი უნდა ეჭიროს“ (1911, 16); „მთავრობაზე დაწერ რამეს – ცივ ქვეყნებში გიკრავენ თავს, პოლიტიკაზე დაწერ – „უჩასტოკში“, ჟანდარმზე დაწერ – ჯანდარაში გაგარონინებენ! ჯარზე იტყვი რამეს – ჯვარზე გაგაკრავენ!“ და ა. შ. (1911, 96).

მიუხედავად ამისა, პრესა მაინც იკრებდა ძალებს. „შემდეგ თფილისისა მწიგნობრობის, პერიოდულ გამოცემის გავრცელების საქმე სწრაფის ნაბიჯით ვითარდება იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში“, – წერს ი. კვიციანიძე („განთიადი“, 1915, 6, 25).

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში გამოდიოდა უამრავი დასახელების სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის პერიოდული ორგანო, კერძოდ: სოციალ-დემოკრატიული მიმართულების: „გაფიცვა“, „ფონი“, „შიკრიკი“, „ცისკარი“, „მნათობი“, „ცხოვრება“, „დილა“, „მერცხალი“, „თანამედროვე ქვეყანა“, „სიმართლის ხმა“, „განთიადი“, „დუმა“, „შრომა“, „აზრი“, „ტალღა“, „ჩვენი აზრი“, „მეგობარი“ და სხვ.; ეროვნულ-ლიბერალური: „გრდემლი“; სოციალ-ფედერალისტური: „ყარი“, „ჩვენი მეგობარი“; ანარქისტული: „ძალა“; ნაციონალურ-დემოკრატიული: „ახალი ივერია“; ეროვნულ-დემოკრატიული: „კოლხიდა“, „იმერეთი“, „ერი“, „ახალი ივერია“, „სამშობლო“; სასულიერო-ზნეობრივ-საზოგადოებრივი: „მწყემსი“, „შინაური საქმეები“, „განთიადი“; სამეურნეო: „მეურნე“, „სასოფლო გაზეთი“ და სხვ.; სამეცნიერო ხასიათის: „ცხოვრება და მეცნიერება“, „ცხოვრება“; იუმორისტული: „თავს ვეძებთ“, „ჭინკა“, „საახალწლო მილოცვები“, „სადგისი“, „ნემსი“, „მაშხალა“, „ანკესი“, „გზა“, „გალილავება“ და სხვ. ამათ გარდა გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მიძღვნილი იყო: განათლების სისტემისადმი: „სკოლა და ცხოვრება“, „სკოლა და ოჯახი“; ხელოვნებისადმი: „თეატრი“, „ჩვენი თეატრი“, „ოქროს ვერძი“, „ცისფერი ყანწები“; აგრეთვე ქალთა პერიოდული ორგანო „ხმა ქართველი ქალისა“ (ესაა იმდროინდელ გამოცემათა არასრული სია. სამწუხაროდ, ამ პერიოდულ ორგანოთა სრული კომპლექტები დღეს აღარ არსებობს).



ამ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა ბევრი ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე: აკ. წერეთელი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. აბაშიძე, კ. გამსახურდია („კ. აბაშისპირელის“ ფსევდონიმით), ნ. ჩხიკვაძე, ჯ. ჯორჯიკია, ვ. რუხაძე, დ. მეგრელი, დია ჩიანელი, ს. ქვარიანი, ი. ფანცხავა („ფხა“), რ. ფანცხავა („ხომლედი“), გ. ქიქოძე, ლ. მაჭავარიანი, ი. გომართელი, ი. მეუნარგია...

ქუთაისის პერიოდულმა პრესამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ჟურნალ-გაზეთებში დაცული მასალები საყურადღებო და გამოსადეგია დღევანდელიობისთვის არა მარტო ტექსტობრივი, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც.

საანალიზოდ აღებული გვაქვს განსხვავებული მიმართულებისა და ხასიათის პერიოდული ორგანოები: „ფონი“, „იმერეთი“, „შინაური საქმეები“, „განთიადი“. საინტერესოა მათი შედგენილობა და თემატიკა.

## „ფონი“

1909-1910 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „ფონი“. იგი სოციალ-დემოკრატთა ორგანო იყო (რედაქტორ-გამომცემელი გრ. გიორგაძე). „ფონი“ იბეჭდებოდა ივანე კილაძის „ელექტრო-მბეჭდავ“ სტამბაში, პუშკინის ქუჩაზე, ბანკის შენობაში. გაზეთი წარმოდგენილი იყო მოზრდილი ფორმატის რვა გვერდზე. 1910 წლის პირველი ხუთი ნომერი, ჟურნალის ფორმისა, იბეჭდებოდა პატარა ფორმატის თექვსმეტ გვერდზე.

„ფონის“ გავრცელების არეალი საკმაოდ ფართო იყო. იგი იგზავნებოდა ხონში, ჭიათურაში, ბაქოში, სამტრედიასში, ფოთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ბათუმში, ტყიბულში, ზუგდიდში, გორში, თბილისში. გაზეთში თანამშრომლობდნენ: გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პარმენ ცახელი, ნოე ხომლეუთელი, შალვა დადიანი და სხვ. აქ დაიბეჭდა შ. დადიანის პიესა „როს ნადიმობდენ“ – „წარმოსადგენი ერთ სანახავათ“ (ერთმოქმედებიანი წარმოდგე-



# კურსი

პარიკევი, 1 იანვარი

1910 № 1

——\* —\*—\* —\*—\* —\*—\* —\*—\*

კონსტანტინე პოლენკინი და საღებავები

შესანიშნავი მეთოდი... ქართულია 1909 წელს... მისი ძალიან მარტივი და მარტივი და მარტივი... მისი ძალიან მარტივი და მარტივი... მისი ძალიან მარტივი და მარტივი...

კონსტანტინე პოლენკინი და საღებავები

## „უმანი“

კამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წელს გამოვიდა.

გაყვანილი ფასი: 100 კაპიტალი	—
ჰოლოდის გაყვანილი ფასი	22.50 კ
ჰოლოდის გაყვანილი ფასი	33. — კ
ჰოლოდის გაყვანილი ფასი	22. — კ
სხვა ფასი	12. — კ

სოფლის მსახურების გაყვანილი ფასი... 2 მარტივი, მარტივი... 1 მარტივი... 22.50 კ... 33. — კ... 22. — კ... 12. — კ

ბრუნების მანქანის მფლობელი ბარონი და სხვა მფლობელი. 1910 წ.



ნა – რ. ს.) (1902, 2, 4). წერილები ხშირად ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით, თუმცა რედაქცია ავტორებს სთხოვდა, რომ მასალა ხელმოწერით გამოეგზავნათ (გარდა ფსევდონიმისა, მიეთითებინათ სახელი და გვარიც).

გაზეთის პირველი გვერდი იწყებოდა შინაარსით, პირველი და მერვე გვერდები აჭრელბუღი იყო განცხადებებით.

„ფონი“ ბეჭდავდა ლექსებს, ისტორიულ ეპიზოდებს, ფელეტონებს, პედაგოგიური ხასიათის წერილებს, ამბებს რუსეთის ცხოვრებიდან. ყველა ნომერში იყო უცხოეთის ქვეყნების პოლიტიკური მიმოხილვა. რუბრიკა „დაბა სოფლებიდან“ მკითხველს ამცნობდა ქუთაისის ახლომახლო სოფლების ცხოვრებას, „სხვადასხვა ამბები“ კი – ქალაქისას. მაგალითად, 1909 წლის 21 ნომერს ჩატარებულა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა კრება, სარევიზო კომისიაში აურჩევიათ სილოვან ხუნდაძე (1909, 14, 1);

გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა ხელოვნებას, კერძოდ, თეატრს. რუბრიკით „თეატრი“ (ქუთაისის დრამატული საზოგადოების დასი) ყოველ ნომერში დაწვრილებით არის გაშუქებული ქუთაისის თეატრალური ცხოვრება, მსახიობთა იუბილეები, წარმოდგენები. პუბლიკაციებში ჩანს დრამატული დასისადმი კრიტიკული დამოკიდებულებაც. რედაქციას არც მეზობელი რაიონების თეატრალური ცხოვრება ავიწყდებოდა. ასე მაგალითად, 1909 წლის პირველსავე ნომერში დაბეჭდილია მასალები ხონის თეატრის ისტორიიდან.

თავისი არსებობის ხანმოკლე მანძილზე გაზეთი „ფონი“ იდგა ეროვნულ ნიადაგზე და ემსახურებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს, ეხმაურებოდა საზოგადოების სულიერ მისწრაფებებს.

## „ი მ ე რ ე თ ი“

ნაციონალური და დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეული ორგანო „იმერეთი“ გამოდიოდა გაზეთ „კოლხიდას“ ნაცვლად.

XX საუკუნის დასაწყისში მთელს იმპერიაში კიდევ უფრო გამკაცრდა ცენზურა. მისი რისხვა ვერც ქართულმა პერიოდი-



კამ აიცილა. შურნალ-გაზეთების რედაქტორები პასუხისგებაში მისცეს, რამდენიმე პერიოდული ორგანოს გამოცემა შეწყდა. 1912 წლის მარტში დააპატიმრეს „კოლხიდას“ რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე. გაზეთის გამოცემა დროებით შეჩერდა. ქუთაისის ინტელიგენციისა და მ. ჯაფარიძის მოწადინებით „კოლხიდა“ მაისიდან კვლავ აღდგა.

მ. ჯაფარიძის რედაქტორობითა და პასუხისმგებლობით გაზეთი აგრძელებდა თავიდანვე აღებულ კურსს, ეროვნულ-პატრიოტულ მოღვაწეობას. ამან საშინლად განარისხა ცენზურა და საბოლოოდ აუკრძალეს რედაქციას გამოცემის გაგრძელება. გაზეთის გამოშვება განახლდა მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ – 1913 წლის მარტში.

„კოლხიდას“ ნაცვლად, მისი დროებითი შეჩერების პერიოდში (1912 წლის შემოდგომა და 1913 წლის ზამთარი), აგრეთვე სრული შეწყვეტის შემდეგაც (1913 წლის 26 სექტემბრიდან), იმავე პროგრამით გამოდიოდა გაზეთი „იმერეთი“. ისიც რთულ პირობებში აღმოჩნდა. 1913-1914 წლებში დროებით შეჩერდა გაზეთის გამოცემა.

ამ პერიოდში „იმერეთის“ ნაცვლად გამოდიოდა გაზეთები „ერი“, „ახალი ივერია“. 1915 წელს მთავრობის განკარგულებით „იმერეთის“ გამოცემა საერთოდ შეწყდა. იმავე პროგრამითა და თანამშრომელთა შემადგენლობით შემდეგ იბეჭდებოდა გაზეთი „სამშობლო“.

„იმერეთის“ ოფიციალური რედაქტორები იყვნენ: გრ. ჭელიძე (1912-1914 წწ.), ბეს. ჯაიანი (1914 წლის №87-დან), შემდეგ – ისევ გრ. ჭელიძე (1915 წ.) და 1914 წლიდან – მიხ. შევარდნაძე (ნამდვილ რედაქტორ-გამომცემელთა კოლეგიის წევრები: ვ. წერეთელი, აღ. ჯაფარიძე) (გ. ბაქრაძე, 1914, 33).

„იმერეთი“ არა მარტო ინარჩუნებდა, არამედ ავითარებდა კიდევ „კოლხიდას“ პრინციპებს, იდეებს, მიმართულებას, იცავდა „კოლხიდაში“ ადრე გამოქვეყნებულ სტატიებსა და „კოლხიდელებს“, არჩილ ჯორჯაძის ნაწერებს, სოციალისტ-ფედერალისტებს. გაზეთში მოღვაწეობდნენ „კოლხიდაში“ აქტიურობით გამორჩეული ავტორები: სილოვან ხუნდაძე, რომანოზ ფანცხავა („ხომლედი“), ჯაჯუ ჯორჯიკია, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. ასევე



„კვირიკე“ და „სამშაბათელაც“ (სერგეი მესხის ძმის – დავით მესხის ფსევდონიმები). „იმერეთში“ იგივე რეკლამები გვხვდება, რაც „კოლხიდაში“. იგი „კოლხიდას“ მსგავსად იცავდა ებრაელებს, აკრიტიკებდა მესამედასელებს. ძველებური იყო მასალის განლაგების წესიც.

გაზეთი „იმერეთი“ ყოველკვირეული ცხოვრების ფერხულში აქტიურად იყო ჩაბმული, აღნუსხავდა ყოველგვარ სიახლეს, საზოგადოებას აწვდიდა მნიშვნელოვან და საყურადღებო ცნობებს. იგი საზღვარგარეთაც იგზავნებოდა.

„იმერეთის“ გამოცემის აუცილებლობისა და მისი საქმიანობის დასაწყისი ეტაპის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის პირველი ნომრის მეორე გვერდზე დაბეჭდილი სტატია „იმერეთის რედაქციისაგან“: „პრესის ფარგალი ამხანათ მაინც საზოგადოთ მთელს რუსეთში ვიწრო და შეზღუდულია. კერძოთ ჩვენს ქვეყანაში იგი უფრო შევიწროებულია, მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე იმდენი მწვავე საკითხია წამოყენებული და მთელს ევროპასაც ისეთი სახიფათო დრო დადგომია, მოსალოდნელი ომის გამო, რომ არ შეგვიძლია მკითხველი საზოგადოება უყოველდღიურო გაზეთით დაგვტოვოთ ამ დროს მით უფრო დასავლეთ საქართველოს დედა ქალაქი ქუთაისი, რომელსაც დღემდე ორი გაზეთი ქონდა, ამ ჟამათ უგაზეთოდ დარჩა“. აქვე არის გაკრიტიკებული იმდროინდელი პერიოდული გამოცემები „არჩევანი“ და „შიკრიკი“.

„იმერეთი“ მოხრდილი ფორმატის ოთხ გვერდზე არის დაბეჭდილი. პოლიგრაფიულად არც ისე მაღალ დონეზეა, თვალშისაცემია მუქი შავი შრიფტი, აჭრელებული ფურცლები, ბოლო გვერდი იშვიათად არის ილუსტრირებული, ისიც რეკლამის ხარჯზე.

პირველ გვერდზე, სათაურის გასწვრივ, მითითებულია გაზეთის ფასი. „იმერეთის“ გამოწერა შეიძლებოდა წლით ან ნახევარი წლით ოთხ მანეთად, საზღვარგარეთ – თოთხმეტ მანეთად. ერთი ნომერი ღირდა შაური. რედაქცია გარკვეულ შეღავათს უწევდა წლიურად ხელისმომწერთ, რომელთაც გამოწერის დროს უნდა გადაეხადათ სამი მანეთი, დანარჩენი – ნაწილ-ნაწილ. სასათაურო გვერდზე არის მითითებული რედაქციის მისამართიც: „რედაქცია მოთავსებულია ქუთაის-



ში ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში (ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ)“. გაზეთი იბეჭდებოდა ა. ხელაძის სტამბაში.

სათაურის ქვეშ აღნიშნულია, რომ „1912 წლის სექტემბრიდან გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი „იმერეთი“. იქვე მითითებულია განცხადებათა ღირებულება გვერდების მიხედვით: „განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შაური, მეოთხეზე აბაზათ. შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება – 3 მანეთად“.

მიუხედავად იმის საგანგებო აღნიშვნისა, რომ „იმერეთი“ ქართული გაზეთია, პირველივე გვერდიდან საგრძნობია რუსული ენის გავლენა. რედაქცია მოითხოვს, „ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში“ გაგზავნილ იქნეს რუსულად დაწერილ მისამართზე. იქვე არის გაფრთხილება: „სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს“; გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებები ზოგჯერ რუსულენოვანია ან რუსულ-ქართული. ეს ვითარებაც მაშინდელი რეალობის, რუსიფიკატორული პოლიტიკის სიმძაფრეზე მიუთითებს.

აღსანიშნავია გამოცემის კიდევ ერთი თავისებურება: ყოველ წინადადებაში პირველი სიტყვის პირველი ასო, აგრეთვე საკუთარი სახელების დასაწყისი აწყობილია შავი შრიფტით.

გაზეთის სასათაურო გვერდზე იბეჭდებოდა სამგლოვიარო და სხვა სახის განცხადებები, თეატრალური აფიშა. რუბრიკა „ღღიური“ მკითხველებს აწვდიდა უახლოესი დროის მოვლენების ნუსხას.

რეკლამას ფართო გასაქანი ჰქონდა „იმერეთშიც“. პირველი და მეოთხე გვერდები აჭრელებულია სხვადასხვა შინაარსისა თუ ხასიათის განცხადებებით. ისინი შეუსწორებლად, ამა თუ იმ პირის, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალის სახით, არის გადატანილი გაზეთის ფურცლებზე. მაგალითად, „პარიზის ჭრა-კერვის კურსები – ს. ა. ალიბეგოვისა – დილა-საღამოს“ საათის მაცადინობით ათავებენ პ. ჭ. კ. მთელ კურსს ექვსი თვის განმავლობაში, კურსდამთავრებულთ მოწმობა ეძლევათ. მისამართი: ქუთაისი, ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი, ნახვა შეიძლება 10-7 საათამდე“ (3, 1); „აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის,

# ივერეთი

სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტული გაზეთი

№ 77  
**წიგნის მარაგა**  
 1913  
 პარასკევი 17 მაისი  
 გამომცემი: ივერეთის რესპუბლიკის  
 სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის  
 ცენტრალური კომიტეტი

## სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტული გაზეთი

### გ. ს. შილიაშვილის

**1913 ივერეთი**

გაზეთის ფასი:

თვე	3 მანეთი
3 თვე	8 მანეთი
6 თვე	15 მანეთი
1 წელი	30 მანეთი

საგარეო კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

**ИМЕРЕТИ** — Басилий М. Чепуха. Редация: Тбилиси.

კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

გ. ს. შილიაშვილის

კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

**„მტკონი პერიოდი“**

საგარეო კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

**ნ. ს. გომარჯიანი**

საგარეო კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

**ივერეთის სხვა სისტემით დამუშავების გამო იყილვაზა**

1) ივერეთის სხვა სისტემით დამუშავების გამო იყილვაზა.

2) ივერეთის სხვა სისტემით დამუშავების გამო იყილვაზა.

3) ივერეთის სხვა სისტემით დამუშავების გამო იყილვაზა.

**ფრანს ბუგანის მე გაზეთი**

საგარეო კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

**დღიური**

საგარეო კორესპონდენტებისათვის დასაბრუნებელი ფასი 50 მანეთი.

# კომსოლქი

ყოველწლიური გაზეთი

წელიწადი	1935
ნომერი	783
საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი	
საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი	
საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი	

№ 83.  
წარმოადგენს  
1935

შემატი, 9 ივლისი.

რედაქცია მოთხოვნილ  
ფურცლებზე: დღის 10-დან, შაბათს  
შედილობის სახელი.

გაზეთი ირავად ჩაირის მისი მთელი უსაფრთხო საზღვრებზე გამოს და გამოხად უხარვეზოდ უპასუხებს მასზე და რაზე.

**ელექტრო-თავაჭრი  
თავაჭარი**

8 აგვისტოს ახალი პროგრამის დანახვის  
ნათესაურ კურსებს უფროსი ხარისხის კონს  
ტრუქციონის უფროსი ხარისხის კონსტრუქციონის  
საფასო განცხადება: 81, საბჭო.

**ლოთობის მსხვერპლი**

შემატიდან იმ ვარჯიშებით.

გაზეთი  
**ფინანსი ლუს ხოვავაძე**

გაზეთი  
**ვახროვანი მხარეთმცოდნეობის**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**უხვავაძის შიშვი.**

შემატი-საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

შემატიდან გაზეთი

**საბჭო-საქართველო № 116.**

პირველი ივლისიდან წლის დამლევაში გაზეთი „კომსოლქი“ ღირს 4 მან., სოფლის მასწავლებლისა და წყენისაგან-სამ კითხველთათვის 2 მან.

ამ წლის 25 მაისიდან გამოდის 3 მთლიანი თვეაღლიანი გაზეთი გაზეთი

**„კომსოლქი“**

გაზეთის ადრესი: ბათუმი, მთლიანად სსრკ-ის  
საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**გაზეთის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

**საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი**

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი

საბჭოთა კავშირის დაარსების 12-ე წლის იubilეუმი



ბავშვების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულე-  
ბით ავადმყოფებს. თფილისის ქუჩა, სახლი ნიჟარაძისა“  
(8, 1); ზოგჯერ განცხადება რუსულენოვანია ან ორენოვანი  
(რუსულ-ქართული): „Даю уроки пения и музыки, Казаковский  
переулок д. Кевсадзе“ და: „...ვაძლევ გალობისა და მუზიკის  
გაკვეთილებს. კაზაკოვის შესახვევი, კევსადის სახლი“ (იქვე).

„იმერეთი“ ხშირად უწევდა რეკლამას ვაჭრობას. სის-  
ტემატურად აცნობებდა საზოგადოებას, თუ სად, როგორ  
(შედავათიან, ხელმისაწვდომ, დაკლებულ ფასებში, შეუვაჭ-  
რებლად), როდის შეიძლებოდა ნებისმიერი საქონლის შექენა.

რედაქცია თავს მოვალედ მიიჩნევდა, მეოთხე გვერ-  
დზე, რუბრიკით „ნარევი“, ეცნობებინა მოსახლეობისთვის  
მატარებლების მოძრაობის განრიგის შეცვლა, ბეჭდავდა  
ახალი კალენდრის პროექტს. ამავე გვერდზე იყო მოთაფ-  
სებული „ღია ბარათი“, „წერილი რედაქციის მიმართ“. მიმარ-  
თვის ფორმაა „მამაო რედაქტორო“. ამასთან დაკავშირებით  
საინტერესოა ი. მეუნარგიას მოგონება: „სანამ ილიამ არ  
დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ უფალი კერესელიძე,  
უფალი მესხი. ეს უფალი ან იყო ამოდებული საღვთო წერი-  
ლიდან, ან ნათარგმნი იყო რუსული სიტყვიდან „Господин“.  
ილიამ თქვა „უფალი მესხი“-ს „ბატონი მესხი“-ს თქმა არა  
სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ  
სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში,  
რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც „ამხანაგი“  
და ვერც „მეგობარი“ (ი. მეუნარგია, 1957, 40).

რუბრიკა „დეკემო“ მკითხველს აცნობდა დეკემბებს  
საზღვარგარეთიდან, რუსეთიდან, ხოლო რუბრიკით „მოწე-  
რილი ამბავი“ ქვეყნდებოდა კორესპონდენციები დასავლეთ  
საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: სოფელ დიმიდან, სა-  
პაიჭაოდან, აცანადან (გურია), ვანიდან...

გაზეთ „იმერეთში“ აისახებოდა XX საუკუნის დასაწ-  
ყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული ცხოვრე-  
ბა. რედაქცია საგანგებო ყურადღებას უთმობდა არჩევნებს:  
მკითხველს აუწყებდა ყოველგვარი სიახლის შესახებ; მოუ-  
წოდებდა, მხარი დაეჭირათ ამა თუ იმ დეპუტატისთვის;  
აქვეყნებდა არჩევნების შედეგებს.





გაზეთი თეატრალურ ცხოვრებასაც არ ტოვებდა უყურადღებოდ: პირველ გვერდზე აქვეყნებდა განცხადებას, აფიშას სხვადასხვა წარმოდგენის შესახებ, მიუთითებდა დაწყების დროს, მონაწილეებს და ა. შ. სიახლეებს თეატრალური საზოგადოების ცხოვრებაში აშუქებდა რამდენიმე რუბრიკა: „თეატრი და ხელოვნება“, „ქართული თეატრი“. თეატრის შესახებ წერდნენ: შალვა დადიანი, ნინო ჩხეიძე, აკაკი პაპავა, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ.

გაზეთში იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები, რეცენზიები, რომლებიც ეხებოდა ორიგინალურ, აგრეთვე ნათარგმნ ლიტერატურას. მაგალითად, რუბრიკა „შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე“ აერთიანებს აკაკი პაპავას რამდენიმე წერილს. ერთ-ერთი მათგანი („ნისლის წიადში“) მიეძღვნა ალ. შანშიაშვილის ლირიკას (№№32, 33, 35).

900-იანი წლები მიჩნეულია ორი ლიტერატურული მიმდინარეობის – რეალიზმისა და მოდერნიზმის დაპირისპირების ხანად. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ გაზეთში თავს იყრიდა როგორც ტრადიციული, ისე მოდერნისტული ნაწარმოებები. ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო სიმბოლიზმი. ქუთაისში ძალებს იკრებდა „ცისფერყანწველთა ორდენი“. აქ მოღვაწეობდნენ იმპრესიონისტი მწერლებიც (ნიკო ლორთქიფანიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია). პირველი იმპრესიონისტული ნაწარმოებებიც ქუთაისური პერიოდიკის ფურცლებზე გამოჩნდა.

„იმერეთში“ ქვეყნდებოდა მხატვრული ლიტერატურის – პროზის, პოეზიის (ორიგინალური თუ ნათარგმნი) ნიმუშები. აქ დაიბეჭდა ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „მარად და მარად“, „კ. აბაშისპირელის“ (კ. გამსახურდიას) „ღექსები პროზათ“ (1. „სევდა მაძულისადმი“, 2. „შხამიანი ყვავილები“), ტ. ტაბიძის ღექსები, პროზაული ნაწარმოებები, მათ შორის, ფსიქოლოგიური ეტიუდი „რა ვქნა, რა ვქნა...“ ს. ხუნდაძის, ი. გრიშაშვილის ღექსები. ერთ-ერთი ღექსი „მგოსნის საფლავი“ ი. გრიშაშვილმა მიუძღვნა ი. ჭავჭავაძის ხსოვნას („იმერ.“, 1912, 29, 3). გვხვდება აგრეთვე „ცვარ-ნამის“ (დავით მეტეკე), „სევდიანის“ (?) ფსევდონიმებით გამოქვეყნებული ღექსები.



გაზეთში დაბეჭდილია დრამატურგის ნიმუშები, მაგალითად, ჯ. ჯორჯიკიას პიესა „ახალი ღმერთი“, მიძღვნილი ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძისადმი (№№39, 40), აგრეთვე თარგმნილი ლიტერატურა, როგორცაა: კ. გამსახურდიას „აი, რა ქნა ლორელაიმ!“ და პეტრიაშვილის „აკეთილი დედა“...

რედაქცია დიდ ადგილს უთმობდა ცნობებს ახალი წიგნების გამოცემის შესახებ, ეწეოდა პროპაგანდას მათი შექმნის თაობაზე. რამდენიმე ნომერში არის გამოქვეყნებული ერთი და იგივე ცნობა იმის შესახებ, რომ შეიძლება დაკვეთა ექიმ მ. გედევანიშვილის საგანგებო გამოცემაზე – „ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“, აღწერილია გამოცემა, მითითებულია ხელმოწერის ფასი, მისამართები, სადაც დაკვეთა შეიძლება, და სხვა პირობები.

„იმერეთში“ იბეჭდებოდა სამეცნიერო ხასიათის წერილებიც. მაგალითად, ს. ხუნდაძეს მიეძღვნა ექიმ ბადრიძის წერილი „რა აძლიერებს თვითდაცვის ძალას ადამიანის სხეულში“ (№39).

განსაკუთრებული იყო გაზეთ „იმერეთის“ დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთის რედაქცია თვალს ადევნებდა ახალ პერიოდულ გამოცემებს. გაზეთის ერთ-ერთი ნომერი მკითხველებს ამცნობს, რომ „1912 წლიდან ჟურნალი „განათლება“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა“, აქვე არის შეფასებული მისი მნიშვნელობა სწავლა-განათლების განვითარებაში. ხაზგასმულია, რომ „განათლება“ ერთ-ერთი ყოველთვიური ქართული ჟურნალია. მასში მონაწილეობენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები. ამიტომ ხელისმომწერებმა დროზე უნდა დაუკვეთონ ჟურნალი.

„იმერეთი“ თანამშრომლობდა სხვა გაზეთებთანაც. მაგალითად, №24-ში დაბეჭდილია წერილი „იმერეთის ეპარქიის ბლადონინთა საყურადღებოდ“. მასში საუბარია ისტორიული ძეგლების აღდგენის მნიშვნელობაზე, აგრეთვე იმ კომისიის შესახებ, რომელიც „ბაგრატის ტაძრის“ ზღუდის



შეკეთებაზე მუშაობდა. დასახელებული არიან ის პირები, ვინც შემოწირულობა გაიღო, ისინიც, ვინც არ გამოეხმაურა ამ სასიკეთო საქმეს, მათ შორის, „ბლადოჩინებიც“. „იმერეთი“ სთხოვს „შინაური საქმეების“ რედაქციას, გადაბეჭდოს ეს წერილი და გაზეთის ფურცლებზე აღნუსხოს იმ „ბლადოჩინთა“ სია, ვინც ასეთ მნიშვნელოვან და საგაღდეგულო მოწოდებას წაუყრუა (გვ. 4). თავის მხრივ, „იმერეთის“ რედაქცია აქვეყნებდა სხვა გაზეთებიდან გადმოღებულ წერილებსაც. მაგალითად, №31-ში დაიბეჭდა აპოლონ წულაძის „საყურადღებო დღესასწაული“ (წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების 30 წლისთავისადმი) (გადმოღებულია „სახალხო გაზეთიდან“). ამავე გაზეთმა შემოგვინახა აკაკი შანიძის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი „მოწოდება“.

ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციას გამოხატავდა გაზეთი „იმერეთი“.

### საეკლესიო პერიოდულ გამოცემათა ისტორიიდან

**მღვდელმთავრამე სიმონ მჭედლიძის საგამომცემლო საქმიანობა.** საეკლესიო მოღვაწეთა შორის, რომელთაც საქართველოში განსაკუთრებული ამაგი დასდეს საგამომცემლო საქმეს, კერძოდ, საეკლესიო პერიოდულ ორგანოთა დაარსება-განვითარებას, გამორჩეულია მღვდელმთავრამე სიმონ მჭედლიძის სახელი. იგი XX საუკუნის დასაწყისის (10-20-იანი წლების) არა მხოლოდ ქუთაისის, არამედ დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა და განსაზღვრავდა ქართველი ხალხის სულიერო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას.

სიმონ მჭედლიძე სასულიერო წრის შთამომავალი იყო. მჭედლიძეები სოფელ ბოსლევებიდან იყვნენ, მაგრამ მათი ერთი შტო სვირში დასახლებულა. ეს იყო მღვდელი სიმონ მჭედლიძე, რომლის უფროსი ვაჟი – მიხეილი შემდგომ იმერეთის ეპარქიის „ბლადოჩინი“ გამხდარა, ხოლო უმცროსი ვაჟი იყო ცნობილი პუბლიცისტი ევსტათე მჭედლიძე („ბოსლეველი“), რომელიც იმერეთის დეკანოზის მღვდელმთავრის



მღვდელი სიმონ მჭედლიძე



გაბრიელ ქიქოძის მდივანი იყო. იგი, სრულიად ახალგაზრდა, რეაქციონერთა ტყვიამ იმსხვერპლა.

მიხეილ მჭედლიძის უმცროსი ვაჟი, პაპის თანამოსახელე სიმონი, წინაპრების კვალს გაჰყვა. თბილისის (საარქივო მასალების მიხედვით სტავროპოლის) სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნებული სიმონი ერთხანს მასწავლებლობდა ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში, ქუთაისში ჰქონდა კერძო პანსიონი. 1894 წელს იგი გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ კი – მღვდლად სვირის წმინდა თომას ეკლესიაში. 1894-1905 წლებში ს. მჭედლიძე იყო დეპუტატი სვირის საბლადოჩინო ოლქიდან, 1896-1905 წლებში – იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს შორაპნის განყოფილების წევრი, შორაპნის სკოლების ზედამხედველი. 1900, 1901, 1903 წლებში თავმჯდომარეობდა იმერეთის სამღვდლოების მე-40, 41-ე და 43-ე ყრილობებს.

ს. მჭედლიძე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სასულიერო განათლების დარგში. 1901 წელს იგი იყო იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა კურსების ზედამხედველი, 1902 წელს – იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების საეკლესიო სკოლების ადგილობრივი პედაგოგიური კურსების სანიმუშო სკოლის ხელმძღვანელი, 1902-1905 წლებში – IV თანრიგის საგამომცდელო კომისიის თავმჯდომარე.

1902 წელს ს. მჭედლიძე გადაყვანილ იქნა სვირის ეკლესიაში. 1903 წელს იგი სასულიერო წოდების სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო კავკასიის ქვანახშირის მრეწველთა V ყრილობაზე. 1905 წელს დაინიშნა იმერეთის საეპარქიო საბჭოს საქმისმწარმოებლად და იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს წევრად. იმავდროულად იგი საღვთო სჯულს ასწავლიდა ქუთაისის ვაჟთა კერძო გიმნაზიაში.

მღვდელი სიმონ მჭედლიძე სამოძღვრო-საეკლესიო, სასულიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ნაყოფიერად უთავსებდა საგამომცემლო საქმიანობას. წიგნში „ქართული სტამბები 1627-1916 წწ.“ ზაქარია ჭიჭინაძე ცალკე თავს უძღვნის



მღვდელ სიმონ მჭედლიძესა და მის სტამბას ქუთაისში: „მას ქუთაისში აქვს საკუთარი შესაფერი სტამბა, თვით აწარმოებს ამ სტამბას და მის საქმიანობას უძღვება თავის შესაფერისად. ამას გარდა, იგი ცნობილი მუშაკი გახლავთ ქართული სასულიერო მწერლობისა. იგი ბეჭდავს სხვადასხვა ისტორიულ წიგნებს, ამასთანავე, გახლავთ რედაქტორი სასულიერო და სამოქალაქო გაზეთ „მინაური საქმეებისა“ (ზ. ჭიჭინაძე, 1916, 239).

როგორც ცნობილ ქართველ მოღვაწეთა თუ რიგით მკითხველთა პუბლიკაციებიდან ირკვევა, ს. მჭედლიძეს სამღვდელოების საეპარქიო კრებებსა თუ, საზოგადოდ, საქართველოს საეკლესიო წრეებში (ზეპირად თუ საგანგებო პუბლიკაციებში) არაერთხელ დაუყენებია საკითხი სამღვდელოების საკუთარი საგამომცემლო ორგანოს დაარსებისა, საკუთარი გაზეთის, ჟურნალისა და სამისიონერო წიგნაკების გამოცემის მიზნით. ამასთანავე, იგი მიიჩნევდა, რომ ამ საქმისთვის ხელი უნდა მოეკიდებინა თვით სამღვდელოებას ან რომელიმე საზოგადოებას. სწორედ ამიტომ ს. მჭედლიძემ თავის თანამდგომებთან ერთად დააარსა „იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-საგანმანათლებლო ძმობა“, რომლის მიზანს შეადგენდა ამგვარი წიგნაკების გამოცემა და ხალხში გავრცელება („მინ. საქმ.“, 1910, 30). სტამბასაც, რომელშიც იბეჭდებოდა გაზეთი „მინაური საქმეები“, ჟურნალი „განთიადი“ და საგანმანათლებლო წიგნები, „ძმობა“ ეწოდა. იგი მდებარეობდა ქუთაისში, საბურთალო-კაზაკოვის შესახვევში, №17 სახლში, სადაც ცხოვრობდა მღვდელი ს. მჭედლიძე თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით.

„იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-საგანმანათლებლო ძმობა“ ერთდგერთი დაწესებულება იყო არა მხოლოდ იმერეთში, არამედ მთელი საქართველოს საეპარქოსოში. მისი დანიშნულება და მიზანი იყო სარწმუნოების აღდგენა და ქრისტიანობის განმტკიცება ხალხში როგორც ქადაგებებით, „ისე ზეპირ მოძღვრებათა და ქრისტიანული წიგნებ-წიგნაკების გამოცემის საშუალებით“. ს. მჭედლიძეს არაერთხელ დაუსვამს საკითხი როგორც საეკლესიო კრებებზე, ისე გაზეთის ფურცლებზე სინოდის წინაშე, რომ „ეგზარხოსის,



მისი ყოვლადუსამღვდელოესობის განათლებული ყურადღება მიექციათ“ ამ „ძმობისათვის“, რათა მას საშუალება მისცემოდა განეხორციელებინა წესდებით განსაზღვრული მიზნები.

ს. მჭედლიძის მიერ დაარსებული „იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-საგანმანათლებლო ძმობა“ და სტამბა „ძმობა“ პრაქტიკულად ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, ხელს უწყობდა ქართულ ენაზე საღვთო სჯულისა და საღვთო ისტორიის, ღვთისმსახურების შესახებ სახელმძღვანელოების შექმნას. სწორედ რედაქტორი ს. მჭედლიძე, გაზეთ „შინაური საქმეების“ თანამშრომლები დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე და ძმობის წევრები არიან ავტორები XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საღვთო სჯულის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც დღესაც გამოიყენება სასწავლებლებში.

მრავალ პუბლიკაციასთან ერთად ს. მჭედლიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წიგნი „ძველი და ახალი აღთქმის ისტორია“. იგი საერთოდ დიდ ყურადღებას უთმობდა წიგნების გამოცემას. „შინაური საქმეების“ 1913 წლის №8-ში დაბეჭდილია ვრცელი სია სტამბა „ძმობაში“ გამოცემული წიგნებისა. ესაა წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობანი და სასულიერო-საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურა: „ახალი აღთქმის საღვთო ისტორია“, „მოკლე საეკლესიო ისტორია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით“, „სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში“, „სინამდვილე სახარებისა“, „წყარო ურწმუნოებისა“, „ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე“, „ქრისტიანობა და დემოკრატია“, „პროფ. მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე“, „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“, „პატარა ქრისტიანი“ და სხვ.

მაღალი ეროვნული შეგნებითა და მამულიშვილური სულისკვეთებით უძღვებოდა ს. მჭედლიძე „შინაურ საქმეებს“. გაზეთის ფურცლებზე აქტიურად ფიგურირებდა რედაქტორი. ხელმოწერით „რედაქტორი“ ქვეყნდებოდა სხვადასხვა შინაარსის სტატიები, „რედაქციის პასუხი“, გამოხმაურება ამა თუ იმ საკითხზე, პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე. ერთ-ერთ წერილში „ბ. კოლხიდელს“ (1908, 19) ს. მჭედლიძე



ეკამათება „კოლხიდელს“ (გრ. დადიანს), რომელმაც მიმართულება დაუწუნა გაზეთს; რედაქტორის წერილი „მამა ზ. ჭ-ს კერძო წერილის გამო“ საინტერესოა იმის ნათელსაყოფად, რაოდენ რთულ პირობებში ხდება გაზეთის გამოცემა და როგორია რედაქტორის ხვედრი: „სიღარიბეზე თუ ვიტყვით, არავინ ქართველ რედაქტორზე უღარიბესი არ იქნება. მთელი თავისი ენერჯია, ძალი და ღონე გამოცემას უნდა შესწიროს და თითონ კი მშიერ-მწყურვალი ეგდოს. ამას კიდევ ზედ დაურთეთ ზნეობრივი ტანჯვა, რომ მის შრომას არავინ აფასებს, არც კი კითხულობენ, არ იწერენ გამოცემას და აყვედრიან კიდევ, ვითომდა ქვეყანას ყველგავადეს. მაგრამ არა, ნურავინ გავამხელთ სიღარიბეს იქ, სადაც საქვეყნო, საერო და საეკლესიო საქმე კეთდება“.

ს. მჭედლიძის რედაქტორობით გამოდიოდა აგრეთვე ყოველთვიური საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი“.

განსაკუთრებული იყო ს. მჭედლიძის დამოკიდებულება მშობლიური ენის საკითხებისადმი (ვრცლად იხ. ქვემოთ).

რევოლუციების ეპოქაში მძიმე იყო ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის, რწმენისა და სიმართლისთვის თავდადებული მოღვაწის ხვედრი. სიმონ მჭედლიძე იმ ღირსეულ მამათა რიცხვს მიეკუთვნება, რწმენისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის რომ გაწირეს თავი. მას, როგორც რედაქტორ-გამომცემელს სასულიერო-ზნეობრივი გაზეთის „შინაური საქმეებისა“, რომელიც მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულებისა იყო, 1921 წლიდან შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი. იგი დახვრეტილ იქნა „ჩეკას“ განკარგულებით 1924 წლის აგვისტოს მიწურულში ქუთათელ-გაენათელ ნაზარი მიტროპოლიტთან, დეკანოზებთან – გერმანე ჯაჯანიძესა და იეროთეოზ ნიკოლაძესთან – და არქიდიაკონ ბესარიონ კუხიანიძესთან ერთად და მათთან ერთადვე 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე შერაცხილ იქნა წმინდა მღვდელ-მოწამედ. „თუ საუკუნის დასაწყისში იღია მადლით მოკლეს, ეს ეკლესიის მამები, ქრისტეს სჯულის მქადაგებლები, ილიას ეროვნული გზის გამგრძელებლები, დახოცეს მისი





სტამბა „ძმობის“ შენობა



1917-18 წლებში რუსეთ-  
 აზერბაიჯანის საზღვარსა და  
 სომხეთს შორის არსებულ  
 საზღვარსა და სომხეთს  
 შორის არსებულ საზღვარს  
 დასაზღვრებლად დადგინდა  
 სომხეთის საზღვარსა და  
 აზერბაიჯანის საზღვარს  
 შორის არსებულ საზღვარს  
 დასაზღვრებლად დადგინდა  
 სომხეთის საზღვარსა და  
 აზერბაიჯანის საზღვარს  
 შორის არსებულ საზღვარს  
 დასაზღვრებლად დადგინდა

სომხეთის საზღვარსა და აზერბაიჯანის საზღვარს შორის



მკვლევების შთამომავლებმა უკვე აშკარად, ოფიციალური ბრალდებით: „ავვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის“... დახოცეს, თოკებით გადაბმულები, შეურაცხყოფილნი, აღიონზე, საფინჩიაზე, ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში“... (დ. მელიქიშვილი, 2010, 8). დროის მსახვრალმა ხელმა ვერ შეძლო სიმონ მჭედლიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ისტორიის ბოლომდე განადგურება: დღეს ქალაქ ქუთაისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე, დგას სხვათა საცხოვრისად ქცეული შენობა, მემორიალური დაფა კი გვაუწყებს, რომ ერთ დროს ამ სახლში იყო სტამბა „ძმობა“ და მოღვაწეობდა მღვდელმწამე სიმონ მჭედლიძე.

და კიდევ: სიმონ მჭედლიძის უმცროსი ქალიშვილის აკადემიკოს მარგარიტა მჭედლიძის სიცოცხლეში აუხდენელი ოცნება: „ჩვენ, მჭედლიძეები, ყველანი მონდომებული ვართ, რომ ქუთაისში, იმ სახლში, სადაც ვცხოვრობდით (პაოლო იაშვილის, ყოფილ ცხაკაიას ქუჩაზე) სიმონ მჭედლიძის მუზეუმი გაიხსნას. ჩვენ როდი ვითხოვთ მთლიანად სახლს, მუზეუმისათვის ერთი მოზრდილი ოთახიც საკმარისია. ვითომ სხვაგან შემოგვთავაზეს და რაღაც... მაგრამ სხვა სახლში რატომ უნდა მივწყოს მამაჩემის მუზეუმი, სხვაგან რა ფასი აქვს? – როდესაც აქ, ქუთაისის ცენტრში, ცხოვრობდა მამა, აქ იყო მისი სახლი, აქ ქმნიდა ფასეულობებს, აქ ვიზრდებოდით ჩვენც...“ (ნ. ცხველიანი, 2001, 8).

სიმონ მჭედლიძის სახელობის მუზეუმი ნამდვილად შეიძლება იქცეს ქუთაისის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

„დღეს, როდესაც ქართული ეკლესია აღორძინების გზას ადგას, როდესაც აღდგა აგებდით დროთა ტრიალში წარტაცებული მისი დამოუკიდებლობა, უფრო მეტად გემართებს მისი ისტორიის უახლესი წარსულის დაფერფილი ფურცლების გამოთვლება, აღწერა იმ ახალწამებულთა ღვაწლისა, რომელთაც ჩვენს ქარტეხილიან საუკუნეში თავი დასდეს ქრისტიანული რწმენისათვის, როგორც ქართული ეროვნული სულისა და სახის ებგურისა და მცველისათვის“ (დ. მელიქიშვილი, 1990, 65).



ერისა და ეკლესიის წინაშე ვალმოხდილი, თავდადებული მღვდელმთაწამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების გაცნობას ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი მომავალი თაობების სულიერი მხნეობისთვის განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება.

## **„შ ი ნ ა უ რ ი   ს ა ქ მ ე ე ბ ი“**

XIX საუკუნისა დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს ქუთაისში გამოდიოდა საეკლესიო ხასიათის მხოლოდ ერთი პერიოდული ორგანო „მწყემსი“. „შინაური საქმეები“ მეორე სასულიერო გაზეთი იყო „მწყემსის“ შემდეგ. მის შესახებ ალექსი ბერი სტატიასში „გამოვედით, მუშაკნო ვენახისანო“ წერდა: „დღეიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი სამღვდელოების საისტორიო ხანისა. რამდენი ხანია და მხოლოდ ერთი ორგანო „მწყემსი“ უწევს ანგარიშს ეკლესიურ მოღვაწეობას. უკანასკნელ ჟამს წარმოიშვა ახალი ორგანო „შინაური საქმეები“. დღეს, როდესაც ყოველმხრივ გარემოგვადგენ და ბრახ-მორეულნი ყეფენ საზიზღარ ლანძღვა-გინებით სავსე წერილების გამოფენით, დიდათ სასურველია და სანუგეშო ახალ ორგანოს აღორძინება, სადაც შეგვიძლია გამოვსოქვათ ჩვენი გულის ნადები, მაგრამ ისევ უდებება, ეს ჩვენი ჩვეულებრივი სტუმარი ჯერ კიდევ ამ საერთო გამოღვიძების დროსაც, თავიდან არ გვშორდება და გულ-შემაზარად ემუქრება ჩვენს დაწყებულ საქმეს“ („შინ. საქმ.“, 1908, 22, 1).

„შინაური საქმეები“ ქართველი სამღვდელოების ყოველკვირეული გაზეთი იყო. იგი გამოდიოდა 1908-1915 წლებში (გ. ბაქრაძე, 1946, გვ. 32). სხვა ცნობით, გაზეთი გამოდიოდა 1908-1916 წლებში (პ. ვაჭრიძე, 1979, 91). სიმონ მჭედლიძე იყო „შინაური საქმეების“ არა მხოლოდ რედაქტორი, არამედ გამომცემელიც (ერთხანს გაზეთის გამომცემელი იყო იოსებ ლექუავა).

„მეხუთე ქართულ გამომცემათ ქუთაისში ირიცხება სამღვდელოების ორგანო „შინაურ საქმეები“, დ. ღამბაშიძის

# შინაური საქმეები.

ორ-კვირეული გაზეთი

№ 5.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 312 მან.

წელიწადი მეშვიდე.

სუთფაგათი. 15 მაისი 1914 წ.



## ს ი ტ ყ ვ ა

წმ. თამარ მთვინის დღეს.

1 მაისს

მზისა, ვარდისა, სიკოცხლისა და შებების  
თვეა მაისის თვე. ამ თვეში მზე, ვით აკვანზე  
ზაფხულისათვის ძუძუს მისაცემად დახრილი  
თმა გაშლილი დედა, უკლებლივ აფენს ბუნებას

თავის უთვალავ სხივებს, მაგრამ არა იმისთვის,  
რომ ამ სხივებმა დასწვან და გაახშონ რამე,  
არამედ იმისთვის, რომ მათ იგი ბუნება გაალხე-  
ვათბონ და სიკოცხლის ნაკალი ამოძრავონ  
მასში, გამოაღვიძონ, გააკოცხლონ იგი და  
ააფუონ, გაანდლონ და გამოაწყონ სამოქ-  
მელოთ მისი წიაღი; ამ სხივებს დედის ტკბი-  
ლი ძუძუსაგით სწოვენ სულდგმული და უსუ-



„მწყემსი-ს“ მაგიერი ჟურნალი, რომელიც დღეს უსახსრობის გამო შეჩერებულია. ქართველ სამღვდელოებას ერთი თვის ორგანოს გამოცემაც ვერ მოუხერხებია „მწყემსი“-ს ენერგიული ხემძღვანელის დეკ. დამბაშიძის სიკვდილის შემდეგ“, – წერდა ი. კვიციანიძე სტატილაში „მწიგნობრობის თანამგზავრი“ („განთ.“, 1915, 6, 25). 1914 წლიდან „შინაური საქმეები“ თვეში ორჯერ გამოდიოდა. სულ გამოვიდა: 1908წ. №№1- 30; 1909წ. №№1-22; 1910წ. №№1-33; 1911წ. №№1-38; 1912წ. №№1-45; 1913წ. №№21-22; 1914წ. №№1-6; 1915წ. №№12-24. ბიბლიოთეკებში მხოლოდ ცალკეული წლების არასრული კომპლექტები მოიპოვება (უნ., საჯ., სარევ. მუზ., ქუთ. მხ. მუზ.) (გ. ბაქრაძე, 1946, 48). აღნიშნული სია არის პირობითი. „შინაური საქმეების“ რამდენიმე ნომერი დაცულია აგრეთვე ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, თბილისის ცენტრალურ არქივში. 1924 წელს ს. მჭედლიძის ქონების კონფისკაციისა და გამოცემათა განადგურების შემდეგ რაღაც სასწაულით გადარჩენილი რამდენიმე ნომერი „შინაური საქმეებისა“ მღვდელმოწამის ხელნაწერებთან ერთად ინახებოდა ქუთაისში, მელიტონ კელენჯერიძის ოჯახში. „ბაბუას მთელი ნაწერები კელენჯერიძეების სახლის სხვენზე დამალეს, მაგრამ ეს სხვენი დაიწვა (თუ დაწვეს) და არაფერი გადარჩენილა“ (დ. მელიქიშვილი, 2009, 17).

„შინაური საქმეები“ იმდენად პოპულარული გაზეოთი იყო დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში, რომ მას ცნობილი მოღვაწეები ლექსებს უძღვნიდნენ. მაგალითად, „ივერიელის“ ერთ-ერთი ლექსი დაიბეჭდა 1909 წლის №11-ში:

...სალამს ვაძლევ, თაყვანსა ვცემ  
ჩვენ „შინაურ საქმეებსა“,  
დე, მნათობად დასახოდეს,  
სწორი გზისკენ ჩვენსა ერსა...

მეორე, უფრო ვრცელი ლექსი გამოქვეყნდა იმავე წლის №21-ში:



...ჭეშმარიტება ნათელი  
თავს იჩენს ყოველგანაო,  
იღალადებენ მამები  
„შინაურ საქმესთანაო“...

გაზეთი იბეჭდებოდა მცირე ფორმატის 16 გვერდზე. მისი გამოსწერა შეიძლებოდა წლით ან ნახევარი წლით. ღირებულება წლიურად იყო ოთხი მანეთი, ნახევარი წლით – სამი მანეთი. ერთი ნომერი ღირდა შვიდი კაპიკი. 1910 წლიდან გაზეთი გამოდიოდა ფასდაკლებით (ერთი ნომერი ღირდა ხუთი კაპიკი). 1911 წლიდან წლიური ფასი გახდა სამი მანეთი, 1914 წლიდან – ისევ ოთხი მანეთი, ერთი ნომერი – რვა კაპიკი. როგორც ჩანს, გაზეთის ღირებულების ცვალებადობა ხელისმომწერთა რაოდენობასთან იყო დაკავშირებული. მისი გამოცემა საკმაოდ ხარჯს მოითხოვდა. სასათაურო გვერდზე რედაქცია სისტემატურად აქვეყნებდა თხოვნას: „რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ წარმოდგინონ ჟურნალის წლიური ფასი“. იქვე იმასაც მიუთითებდა, რომ დასაბუქდად დებულობდა ყოველგვარ განცხადებას. რედაქცია ზოგჯერ იძულებული იყო, სანიმუშოდ გამოეკვეყნებინა იმ „ბლალაჩინთა“ სია, რომელთაგან სრულად ან ნაწილობრივ მიიღო მთელი წლის გაზეთის ფასი. აღსანიშნავია, რომ რედაქტორი – სიმონ მჭედლიძე იძულებული იყო, დაეგირავებინა საკუთარი სახლი იმისთვის, რომ დაეფარა გაზეთის ხარჯები.

„შინაური საქმეები“ პოლიგრაფიულად სადაა, არ ჰგავს იმდროინდელ ფურცლებაჭრელებულ ზოგიერთ გამოცემას, ილუსტრირებული გვერდები არ გვხვდება, იშვიათი გამოანაკლისის გარდა (მაგალითად, 1914 წლის 15 მაისის ნომერი, მიძღვნილი თამარ მეფის ხსენების დღისადმი). სათაურის ქვეშ წარმოდგენილია გაზეთის შინაარსი.

ბოლო წლებში „შინაური საქმეები“ იშვიათად სასათაურო ან მეოთხე გვერდზე თვალსაჩინოდ ბეჭდავდა ნეკროლოგს, სამძიმრის დეკლამაციას ან ჭირისუფალთა სამადლობელს იმათ მიმართ, ვინც პატივი სცა გარდაცვლილის ხსოვნას. ბოლო გვერდზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა შინაარსის



განცხადებები. მაგალითად, სათაურით „პროგიმნაზია“ წარმოდგენილია განცხადება: „პირველი თებერვლიდან ქალაქ ქუთაისში ქ-ნ ე. მჭედლიძის სახლებში (საბურთალო-კაზაკოვის შესახვევი №17) გაიხსნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია – აქვე ამზადებენ მსურველთ სხვადასხვა საწავლებლისათვის და ღებულობენ სარეპეტიციოდაც“ (ეს განცხადება მეორდება გაზეთის რამდენიმე ნომერში).

„შინაური საქმეები“ ამართლებს თავის სახელწოდებას. მასში ასახულია დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში შემავალი კუთხეების სასულიერო და საერო ცხოვრება. ამისთვის გაზეთს აქვს მრავალფეროვანი რუბრიკა.

„შინაური საქმეების“ ძირითადი მასალა მაინც ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის საკითხებს ეხებოდა. გაზეთში რეგულარულად ქვეყნდებოდა საღვთო წერილისადმი მიძღვნილი სტატიები, ბიბლიური მოთხრობების სერიალი და ა. შ.

ქვეყნის გაჩენის შესახებ მსჯელობს „ონოფრე მწირი“ წერილში „პირველი ფურცელი ბიბლიისა“: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა... პირველი წიგნი მოსესი – წიგნი შესაქმისა მოგვითხრობს, თუ საიდან გაეჩნდით, ხოლო უკანასკნელი წიგნი საღმრთო წერილისა – გამოცხადება იოანესი – გვიჩვენებს, სად მივდივართ“ („შინ. საქმ.“, 1908, 22, 11). იმის საჩვენებლად, თუ როგორ ემთხვევა ყველა ხალხის გადმოცემები ბიბლიურ მოთხრობას ქვეყნის გაჩენის შესახებ, ავტორს მოხმობილი აქვს ნაწვევები სპარსთა ძველი ნაწერებიდან, რომელთა მიხედვით: „ხილული სოფელი, ცა და ქვეყანა, შექმნილ იქმნა ექვს უამსა შინა. პირველად „ორმუხდმა“ – სიკეთის ღმერთმა – შექმნა ნათელი შორის ცისა და ქვეყნისა. ამის შემდეგ წყალი, რომელიც ფარავდა მთელს ქვეყანას, შემდეგ გამოჩნდა დედამიწა, შეიქმნა ყველა გვარის ხე; მეხუთედ ყველა მხეცი და ბოლოს შექმნილ იქმნა პირველი კაცი ქაიონურატსი მბრწყინავ და ზე აღპყრობილ თვალებიანი. მაგრამ ოდესმე კეთილად შექმნილმან ძველმან, არიმანმან, დაბნელება მოახდინა ნათლის სამეფოში და ყოველივე ქმნული დაამახინჯა“ („შინ. საქმ.“, 1908, 22, 11).





ამ სტატიაში ნახსენებმა სახელმა — **ორმუხდი** — გვაფიქრებინა, რომ ჩავლ-  
 რმავებოდი ადნიშნულ სახელს. იგი დასტურდება პალესტინის წარწერებშიც  
 (V სკ.), რომელთაც ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლთა შო-  
 რის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი გამოირჩევა საკუთარ სახელთა სიუნ-  
 ნით (მარუან — მურვანოსა, ბურზენ — ბუზმირი, ბაკური). მათი საშუალებ-  
 ბით შესაძლებელი გახდა წარწერათა დათარიღება და ქართული მონასტრის  
 პეტრე იბერთან დაკავშირება. ამ სახელთა უმრავლესობა ახსნილია მეც-  
 ნიერთა მიერ, თუმცა ზოგიერთი სახელის შესახებ არსებული მოსაზრებები  
 მთლად ნათელი არ არის. ვგულისხმობთ მესამე წარწერას, რომელიც ასე  
 იკითხება: „...და ბუქეულნი მათნი ბაკურ და|გრი ორმიხდ და ნაშობნი მათნი  
 ქ(რისტე)ე|მ(ვიწყალ)ენ აქენ...“ აქ მოხსენიებულ სახელთა შორის ყურადღებას  
 იპყრობს **გრი ორმიხდ** (ან: ა. **გრი-ორ-მიხდი** — გ. წერეთელი; ბ. **გრი-ორმ-  
 იხდ** — [http://ka.wikipedia.org/wiki/გ.გრი\\_ორმ\\_იხდ](http://ka.wikipedia.org/wiki/გ.გრი_ორმ_იხდ) — ARMAZI Project/  
 Manana Tandashvili, Frankfurt/Tbilisi 2000). სამეცნიერო ლიტერატურაში  
 გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით, ბაკური პეტრე იბერის შაპა (დედის  
 შაპა), „დიდი ბაკური“ უნდა იყოს. რაც შეეხება **გრი-ორმიხდს**, ამ სახელის  
 შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება:

1) მ. თარხნიშვილის აზრით, **გრი-ორმიხდ** სახელის პირველი ნაწილი  
 უნდა წარმოადგენდეს შემოკლებას გიორგი ან გრიგოლისა. ამასთანავე, მეც-  
 ნიერი მიუთითებს, რომ გრიგოლი იმ დროისათვის უფრო გავრცელებული სახ-  
 ელია, ვიდრე — გიორგი;

2) ს. ყაუხჩიშვილი საეჭვოდ მიიჩნევს ამ სახელის **გრიგოლად** წაკითხ-  
 ვას, რადგან აქ **და** კავშირი არის ერთი: **ბაკურ** და **გრი-ორმიხდ**. აქ გრიგოლი  
 რომ იყოს, მაშინ უნდა გვექონდეს ორი **და** კავშირი: **ბაკურ** და **გრი** და **ორმიხდ**;

3) როგორც გ. წერეთელი აღნიშნავს, საკითხის გარკვევისათვის გადაამ-  
 წყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ეს „უცნაური გრი- ირანული  
 წარმოშობის სახელს მიუძღვის წინ“. ამიტომ **გრი**-ს ძიება ირანულ ნიადგზე  
 უნდა მოხდეს. ს. ყაუხჩიშვილის მსგავსად, გ. წერეთელმა ეს სახელი სპარს-  
 სულ ორწევრიან კომპოზიტიად ცნო, ხოლო საწყისი სიტყვა **გრი** დაუკავ-  
 შირა საშუალო სპარსულ ტერმინს „გრი“, რომლის მნიშვნელობაა „სული“  
 და რომელიც ტრანსციულად იხმარებოდა ადამიანის საკუთარი სახელების  
 წინ. მანვე აღნიშნული სიტყვის ანალოგიად მიიჩნია ახალი სპარსულის „ჯან“  
 (გ. წერეთელი, 1960, 30-34). აქედან გამომდინარე, მესამე წარწერაში უნდა  
 იყოს არა **გიორგი**, არამედ **გრი-ორ-მიხდი**.

გ. წერეთლის აზრით, არაფერია მთულოდნელი იმაში, რომ ეს სიტყ-  
 ვა არის ირანული, რადგანაც ირანული სიტყვები ჩვენში მრავლად არის  
 გავრცელებული არა მარტო ქრისტიანობის წინა პერიოდში, არამედ შემ-  
 დეგშიაც. თვით პალესტინის ქართულ წარწერებში მოხსენებულ პირთა სახე-  
 ლების დიდი ნაწილი ირანულია (მაგალითად, ბაკური). თუ ვინ იყო **გრი-ორ-  
 მიხდი**, ტექსტიდან არ ჩანს, არც სხვა წყაროებიდან მოგვეპოვება მის შესახებ  
 რაიმე ცნობა. მთლად ერთი რამ არის საფიქრებელი: შეიძლება ის ნათესაურ  
 კავშირში იყოს **ბაკურთან**.

ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი პალესტინის მესამე წარწერაში  
 მოხსენებულ პირთა შესახებ გამოთქვამს სრულიად განსხვავებულ მოსაზრე-  
 ბას. მაგალითად, ბ. სურცილავა ეყრდნობა კორიუნისა და მოვსეს ხორენა-  
 ცის „მეფეთა ცხოვრების“, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისას“, დავათის  
 ქვატელისა და პალესტინის მესამე წარწერის მონაცემებს და **გრი ორმიხდს**



უკავშირებს ფარნავაზ მეფეს. სომხურ წყაროებში მას ამოუკითხავს „ბაკური“ და „ჯალი“. **ჯალს** ის აიგივებს **გრი ორმიზდთან** (შდრ. ზემოთ აღნიშნული გრი – ჯანჯალი). „ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვით ფარნავაზს ჰქონდა მეთრე სახელი: „სპარსულად არმაზ ერქვა“ (ფარნავაზ – სპარს. ხელმწიფე). სპარს. „არმაზი“ საშუალო სპარსულში „ორმიზდის“ შესატყვისია (ძვ. სპარს. „აპურამაზდა“, საშ. სპარს. „პორმიზდ|ორმიზდ“, ბართ. „ოპრამაზდ“) (ბ. ხურცილავა, 2008). პალესტინის მესამე წარწერის ბაკურსა და გრი ორმიზდს ბ. ხურცილავა ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელებად მიიჩნევს და „ქებაში“ მოხსენებულ „ახალ ნინოსა“ და „ეღუენე დედოფალშიც“ ამ პიროვნებებს გულისხმობს, თუმცა გრი ორმიზდის პიროვნებაში მისთვის ბეგრი რამ მაინც „ეთერ ლაქად“ რჩება.

პალესტინის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული სახელი **ორმიზდი** (<სპარს. **პორმიზდი|პორმიზდი** სიკეთის ღმერთი, **აპურამაზდა**, ადამიანის, პლანეტის სახელი), რომელიც მკვლევართა მიერ მიჩნეულია ირანულ სამყაროსთან საუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად, შესაძლებელია, პალესტინის წარწერაში მოხვედრილი იყოს ბერძნული გზით. ბერძნულში დასტურდება დაახლოებით ამავე აგებულების სიტყვა **ორმუზდი** (ძველ სპარსულ რელიგიიაში: სინათლისა და სიკეთის ღვთაება, სპარსულად **აპურამაზდა** – მ. ჭაბაშვილი, 1989, 357); ბერძნულში არის აგრეთვე სახელი **არიმანი**, რომელიც უპირისპირდება **ორმუზდს**. ესაა ძველ სპარსულ რელიგიიაში: ბოროტების ღვთაება – სპარსულად – ანჰრა-მაინიუ, შეურიგებელი მტერი თავისი ძმის – კეთილი ღვთაების – **ორმუზდისა** (იქვე, 53). **ორმიზდი** და **ორმუზდი** ერთი და იგივეა და ორივე სახელი დაკავშირებულია სპარსულ სიტყვა **პორმოზდთან** (**პორმიზდთან**). ამავე მნიშვნელობისაა **აპურამაზდა**, რაც ადამიანის, პლანეტის სახელიცაა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით **ორმუზდთან** დაკავშირებით შესაძლებელია დავუშვათ რამდენიმე ვარიანტი. პალესტინის წარწერაში მოხსენიებულია:

1. ორი სახელი – ბაკური და გრიგოლი (ან გიორგი);
2. ორი სახელი – ბაკური და ორმიზდი;
3. სამი სახელი – ბაკური, გრიგოლი და ორმიზდი;
4. ორი სახელი – ბაკური და გრიგოლი – სიკეთის ღმერთებად წოდებული.

ამათგან არჩევანის შეჩერება შეიძლება ორ ვარიანტზე: პალესტინის მესამე წარწერაში, ჩვენი აზრით, მოხსენიებული უნდა იყოს ორი პიროვნება. ესაა, ერთი მხრივ, **ბაკური** და **გრი-ორმიზდი** (**გრი-** ნაწილაკია), მეთრე მხრივ კი – **ბაკური** და **გრიგოლი** (ორმიზდი) – სიკეთის ღმერთებად წოდებული, ე.ი. ორმიზდი – სიკეთის ღმერთი აქ არის ეპითეტი ან ზედწოდება.

**ორმიზდი|ორმუზდი** სახელების დაკავშირება და ვარაუდი ბერძნული გზით წარწერაში მოხვედრისა ემყარება მრავალსაუკუნოვან ქართულ-ბერძნულ ისტორიას, ქრისტიანულ ტრადიციას, აგრეთვე იმავე წარწერებში მოხსენიებულ სხვა ბერძნულ სახელებს. ასეთია, მაგალითად, **ანტონი აბაა** (წინამძღოლი).

„შინაურ საქმეებში“ რეგულარულად ქვეყნდებოდა საღვთო წერილისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, ქრისტიანული რელიგიის საკითხები შუქდებოდა სტატიებში: „საკითხი სუ-



ლის უკედავებაზე“, „საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია“, „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“, „პროფესორ მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე“ და სხვ. რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ე. ჩძის საინტერესო თარგმანი „ქრისტიანული აღზრდა ნებისა“. №22-ში (1908წ.) გადმოცემულია ძველი ინდური თქმულება, თუ როგორ მოწყვიტა ერთმა მამამ მწიფე ნაყოფი, გაჭრა შუაზე, ამოიღო გული, აჩვენა შვილს და ჰკითხა, რას ხედავდა იქ. რამდენიმე პატარა თვალს, – სწრაფად მიუგო შვილმა. მამამ სთხოვა, გაეტეხა ერთ-ერთი მათგანი და ეთქვა, რა იყო მის შუაგულში. შვილმა შუაგულში ვერაფერი ვერ დაინახა. შვილო ჩემო, – ბრძნულად შენიშნა მამამ, – მარცვლის შუაგულში, იქ, სადაც შენ არაფერს არ ხედავ, არის დაფარული უშველებელი ხის სიცოცხლის ნასახი, რომლის ნაყოფით შესაძლებელი იყო დამტკბარიყო ასობით ადამიანი, თუკი ნასახი კეთილ ნიადაგზე დავარდებოდა და აღმოცენდებოდა!..

„რამდენი ასეთი კეთილი ნასახი იღუპება ყველა ჩვენგანში იმის მეოხებით, რომ ჩვენ, როგორც მუშები, ვხედავთ იმათში ვერაფერს და არ ვაძლევთ იმას მნიშვნელობას, რამდენი წმინდა და მაღალი გრძნობები ჭკნება იმიტომ, რომ ვერ ვაქცევთ იმათ ყურადღებას და არ ვაძლევთ საშუალებას გაიფურჩქნოს და გამაგრდეს ჩვენში! და რაც დრო გადის, მგრძნობიარე გული მოუხეშავი ხდება; იშვიათად აღიგზნება ხოლმე კეთილი მისწრაფებანი, სიყვარულის და სიმართლის შესაძლო საქმეები აღარ სრულდება: ცხოვრება კი ასე ღარიბია ამაებით და ასე დიდათ საჭიროებს ყველა ამას“, – დასძენს ავტორი (იქვე, გვ. 9).

„შინაური საქმეების“ 1908 წლის №17-ში დაბეჭდილია რედაქტორის ს. მჭედლიძის ორი სტატია: ერთი „ბოსლეველის“ ფსევდონიმით „გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეს გამო“ და მეორე „სანმანიანის“ ფსევდონიმით „ქრისტე ღმერთი და ივანე გომართლის იტიბოჭია“. მათში მოცემულია ლ. ტოლსტოის კრიტიკა სახარებისა და იესო ქრისტესადმი დამოკიდებულების გამო. „ამის შემდეგ თავის თავად ირღვევა ყველა ჯურის რაციონალისტების, და მათ შორის ტოლსტოისაც, ის აზრი, ვითომ იესო ქრისტე უბრალო კაცი იყო და წარ-



მოსდგა კაცობრივ. თვალსაჩინო სისულელე ამ აზრისა ორ-  
კეცდება იმ საზიზღარი ცინიზმით, რომლითაც ბ. ტოლსტოი  
(ჩვენებურად გომართელი) ცხადჰყოფს მაცხოვრის უმამოდ  
ჩასახვის საიდუმლოებას“, – წერს ავტორი ივ. გომართელის  
(„ექიმ-ღვთისმეტყველის“) პასუხად.

გაზეთის თემატიკაში გამოკვეთილია ღრმა ეროვნული  
მნიშვნელობის საკითხები, პედაგოგიური ხასიათის მასალა  
(მაგალითად, სტატია საღვთო სჯულის სწავლების შესახებ  
პირველდაწყებით სკოლებში). განსაკუთრებული ყურადღება  
ექცევა სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავ-  
ლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. „შინაური საქმეების“  
1908 წლის 20 აპრილის ნომრის მიხედვით 1907 წლის დეკემ-  
ბერში თბილისში შემდგარა მთავრობისაგან ნებადართული  
კრება ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებისა, რომელ-  
საც მრავალ საყურადღებო საკითხთან ერთად განუხილავს  
„საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართუ-  
ლად სწავლების შესახებ“. კრების დეპუტატებს საჭიროდ  
უცვნიათ საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება  
და დადგენილება სინოდისთვის წარუდგენიათ, მაგრამ, რო-  
გორც გაზეთი იუწყება, სინოდს იგი არ დაუმტკიცებია იმ  
მიზეზით, რომ სახელმძღვანელოები არა გვაქვსო. რედაქცია  
მოითხოვდა სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნას და  
ამისთვის ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შე-  
მუშავებას, მაშასადამე, იმ მემკვიდრეობითი ხაზის აღდგე-  
ნას ძველ ქართულ საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან,  
რომელიც იძულებით გაწყდა მას შემდეგ, რაც 1811 წელს  
რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტო-  
კეფალია და მის გამიზნულ რუსიფიკაციას შეუდგა (ამის  
შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ).

„შინაურ საქმეებში“ სპეციალური წერილები ეძღვნე-  
ბოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს. პუბ-  
ლიკაციებიდან ირკვევა, რომ თვითმყრობელური ხელისუფ-  
ლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას  
უკავშირებდა ეროვნული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას;  
ხვდებოდა, რომ ეკლესიის ავტოკეფალია წინამორბედი იყო  
სახელმწიფოებრივი ავტონომიისა და „საქართველოს სრუ-



ლი დამოუკიდებლობისა რუსეთის იმპერიისაგან“. „ბოსღველის“ (ს. მჭედლიძე) წერილი „რევიზიის დასასრული“ ეხება უწმინდესი სინოდის განკარგულებით ბაქოს ეპისკოპოს გრიგორის რევიზიას იმერეთის ეპარქიაში. ავტორის აზრით, განკარგულებაში განსაზღვრული არ ყოფილა, საიდან უნდა დაწყებულიყო ეს რევიზია და სად დამთავრებულიყო. ამიტომ იგი უნდა ყოფილიყო საზოგადო და შეხებოდა ეპარქიულ მართვა-გამგეობას კათალიკოსობის დამხობიდან, ე.ი. საქართველოს ავტოკეფალიის მოსპობიდან. ეს ასე არ მოხდა: რევიზია შეეხო მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ღვინიდეგ მართვა-გამგეობის ხანას. ასეთი რევიზია არ ახსოვდა იმერეთის ეპარქიას. „ბოსღველი“ ფიქრობს, რომ იგი უნდა გამოეწვია ან იმერელთა „დონოსებს“, ან „ყბად აღებულ ავტოკეფალობას“. „შეიძლება ერთის და ორისათვის მოსაწონი და სასიამოვნო არ იყოს ავტოკეფალობა და მისი მომხრენი მავნებელ პირებად მიაჩნდესთ, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ აძლევს მათ საჯონ ივინი; მათი მსაჯული მთელი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიაა“, – წერს ავტორი. მას მიაჩნია, რომ რევიზიას არ უნდა დაექვემდებაროს ავტოკეფალიის საკითხზე კვლევა-ძიება მით უფრო, რომ აქ ყოვლად სამღვდელო ღვინიდე არაფერ შუაშია; ავტოკეფალობა აღძრა მთელმა სამღვდელოებამ და, რა თქმა უნდა, ეპისკოპოსიც თან უნდა გაჰყოლოდა, თუ იგი სამწყსოს მწყემსი იყო და არა სახელმწიფო პოლიტიკური აგენტი (1908, 8, 11).

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იმითაც გამოიხატა, რომ „შინაური საქმეების“ რედაქციამ 1911 წელს ი. ხელადის სტამბაში ცალკე წიგნად დაბეჭდა პროფესორ ალ. ცაგარელის „მოწმობანი მე-17-18 საუკუნეების ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“. ეს შრომა გამოქვეყნებული იყო 1906 წ. „Церковные ведомости-ში“ (პ. ვაჭრიძე, 1979, 91).

გაზეთში სისტემატურად შექდებოდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიის საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრება, ეკლესიის პრაქტიკული საქმიანობა. წერილები სამღვდელოების შესახებ ხშირად კრიტიკული ხასიათისა იყო. Fanius-ის სტატიაში „სამღვდელოების აუკარგი“ საუბა-



რია სარწმუნოებისა და სამღვდელთადადმი გულგრილობა-სა და უყურადღებობაზე. სულ სხვაგვარი იყო ძველად (XVIII საუკუნემდე) სამღვდელთა და ეკლესია, დამოკიდებულება ერსა და მოძღვარს შორის. XIX საუკუნის დასაწყისიდან კი საქართველოს ბედი შეიცვალა და ამან დიდი გავლენა იქონია მრევლთან სამღვდელთა დამოკიდებულებაზე. ერსაც და მღვდელსაც გზა აებნათ და, სანამ გონს მოვიდოდნენ, მტერმა თავისი გაიტანა. ამით უნდა აიხსნას, ავტორის აზრით, ჩვენი მწერლობის უყურადღებობა სამღვდელთა ცხოვრებისადმი. იგი აკრიტიკებს XIX საუკუნის საერო მწერლობას, რომელმაც ვერ შექმნა ვერც ერთი ტიპი ქართველი მოძღვრისა. ქართულ მწერლობაში არის ორი მოთხრობა – ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“, თუმცა მათში, ავტორის შეხედულებით, გამოსატყულია მოძღვრის იდეალური და არა ნამდვილი, რეალური სახე. დანარჩენმა მწერლებმა, მაგალითად, დ. კლდიაშვილმა თავის „მრევლში“ და მელანიამ „ბნელში“, გაკვირვებით მოიხსენიეს მღვდელი, თუმცა დასრულებული ტიპი ვერ დახატეს. Fanius-ს განსაკუთრებით აწუხებს ის, რომ ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ჩვენს ბედში მყოფი ერისთვის სამღვდელთა საჭიროება და სარგებლობა („შინ. საქმ.“, 1908, 8, 5).

მართალია, „შინაური საქმეები“ სასულიერო-საეკლესიო ხასიათისაა, იგი საერო-ყოფითი შინაარსის სტატიებსაც შეიცავდა, უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენას. მაგალითად, „შინაური საქმეების“ 1908 წლის №18 იწყება ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილით „ცხოვრება და მწერლობა“. იგი გრძელდება მომდევნო ნომერში. იქვეა დაბეჭდილი „ივერიელის“ ლექსი „ილია ჭავჭავაძის ხსოვნა“; აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით რედაქციამ 1909 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდა მელიტონ კელენჯერიძის „აკ. წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“...

გაზეთი ეხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას. მაგალითად, ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებით წერდა: „ქუთაისში 50 ათასი მცხოვრები ირი-



ცხება და ამოდენა ალაიაში ქალაქისთავად გამოსადეგი კაცი ვერ გვიშოვნია. სირცხვილი და სიკვდილი ამის იქით წავა? ფოთში დეპუტაცია გაგზავნეს, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ნიკოლაძე დაგვთანხმდეს ქალაქის თაობაზეო, მაგრამ ვაი სირცხვილო! მანაც უარი სთქვა და ამნაირათ ცეცხლზე წყალი დაგვესხა... ნიკოლაძე თუ კაი კაცია და კაი გამგე, დაუმადლოთ ის, რაც გააკეთა და დაუფასოთ ის, სადაც მსახურებს; ფოთიც ჩვენია, ჩვენი ღვიძლი ძმა, რომლის დამცირება და წახდენა ისე უნდა გვაწუხებდეს, როგორც ჩვენი საკუთარი უბედურება. ფოთს კიდევ დიდხანს დასჭირდება კარგი ქალაქის თავი და თუ ნიკოლაძე კარგია, რა უფლებით ვართმევთ მას ფოთს. ან კიდევ ვსთქვათ, აღარ გახლავთ ნიკოლაძე! რა ერია ის ერი, რომელსაც მოელი იმედი ერთ კაცზე აქვს დამყარებული?! რა ნასწავლი თაობაა ის თაობა, რომელიც თაობას ჩემობს და თავის შორის კაცს ვერ ჰპოებს, რომ ქალაქის თავად გამოდგეს...“ („შინ. საქმ.“, 1908, 22, 13).

რედაქცია ხშირად აწვდიდა საზოგადოებას ინფორმაციასა და დაწვრილებითს ცნობებს ახალი წიგნების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი განცხადება მკითხველებს აუწყებს, რომ „ძმობის“ სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდად წიგნები „სინამდვილე სახარებისა“ და უბის „ვეფხისტყაოსანი“. ფასი თითოეული წიგნისა ექვსი შაური. დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება“.

სტამბა „ძმობაში“ იბეჭდება „საბლადოჩინო ვედომოსტის ბლანკები“, „მეტრიკის ამოწერილობის ბლანკები“. „სტამბა ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს ხელმისაწვდომ ფასებში. ასრულებს სუფთად და თავის დროზე“, – ამის შესახებაც აუწყებს მკითხველს გაზეთის რედაქცია.

„შინაურ საქმეებს“ აქვს მრავალფეროვანი რუბრიკა: ბოლო გვერდზე რუბრიკით „მადლობის გამოცხადება“ რედაქცია მადლობას უხდის ქველმოქმედ პირებს ან საზოგადოებას; რუბრიკით „წერილი რედაქციის მიმართ“ იბეჭდება გამოხმაურება „ეშმაკის მათრახში“, „ამირანსა“ და სხვა პერიოდულ ორგანოში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებისა. გაზეთის ფურცლებზე ხშირად იმართება პოლემიკა.



„შინაური საქმეების“ პირველი ნომრიდან იწყება და მთელი წლის განმავლობაში ქვეყნდება „სანმანინის“ ფსევდონიმით კრიტიკული სტატიები ივანე გომართელის „სულისა და ტვინის“ გამო; რუბრიკით „კვირიდამ-კვირამდე“ ან „ორ კვირაში“ იბეჭდება ახალი ამბები; რუბრიკაში „ჟურნალ-გაზეთებიდან“ მიმოხილულია პრესის მასალები, გამოხატულია „შინაური საქმეების“ რედაქციის პოზიცია; ყურადღება ექცევა სამეურნეო მნიშვნელობის საკითხებს. იბეჭდება „სამეურნეო წერილები“; რუბრიკით „სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი“ რეგულარულად ქვეყნდება სახარებისადმი მიძღვნილი სტატიები, აგრეთვე ნაწყვეტები სახარებიდან.

გაზეთში იბეჭდებოდა კორესპონდენციები დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისა. ესენია: მღვდელი პ. კვარაცხელია (სალხინოდან, სენაკის მაზრიდან), ლ. გაგუა (სოფელ აბაშიდან), მღვდელი დ. ლოსაბერიძე (სოფელ წყალშავიდან), „ცისკიდელი“ (რაჭიდან)... მაგალითად, მღვდელი ი. მარვიანს (სვანეთიდან) ეკუთვნის ფსიქოლოგიური ეტიუდი სვანეთის ცხოვრებიდან „მაგის რა ბრალია?!“

„შინაური საქმეები“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მხატვრული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს (რ. საჯავახოელი-ხუნდაძის, ლადი გაგუას, ალექსი ბერის, ქაიხოსრო გელოვანის, დათიკო ჭიპაძისა და სხვათა), აქვეყნებდა თარგმანებს რუსული და უცხო ენებიდან. მაგალითად, მ. ვლ. ფ-ძის „საკითხი სულის უკვდავებაზე“, ე. ჩ-ძის „პრისტიანული აღზრდა ნებისა“ და სხვ. მასალები იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „ბოსლეველი“ (სიმონ მჭედლიძე), „ტონკმელი“, „რ. საჯავახოელი“ იგივე „ივერიელი“ (მთ. დიაკ. რაჟდენ ხუნდაძე), „სეფეველი“, „სარკინელი“, „ალექსი ბერი“, „ონოფრე მწირი“, „ნოე მკურნალი“, „სოფლის მღვდელი“, „უკიდურესი“, „მართალიშვილი“, „კვირილე წუთისოფელი“, „ნაცარყანელი“, „ვინმე მწვანეყვავილელი“, „გულკეთილი“... ზოგჯერ მითითებულია ავტორის ვინაობაც. მაგალითად, 1914 წლის №3-ში წერილს „14 იანვრის დღესასწაულის მნიშვნელობა“ ხელს აწერს მღვდელი დომენტი ჩხაიძე, 1912 წლის №21-ში წერილს რედაქციის მიმართ – ჩუკულის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი პორფირი ჩხეტიანი და სხვ.






„შინაური საქმეების“ ძირითადი მიმართულება განმანათლებლურია, მიზანი – მაღალზნეობრივი და ღრმად-ეროვნული იდეების ქადაგება და განხორციელება. ბევრი პუბლიკაცია ამ მეტად საინტერესო გაზეთისა, რომელშიც ხელისგულისვით ჩანს იმჟამინდელი საქართველოს ზნეობრივ-სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრება, მძაფრად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას. ამდენად, მათ არა მხოლოდ ისტორიული, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც აქვთ.

### „განთიადი“

1913 წელს სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით გამოვიდა აგრეთვე 274 გვერდიანი ყოველთვიური საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი“, მაგრამ მისი დამაარსებლის უსახსრობის გამო იგი შეჩერდა. ერთი წლის შემდეგ, 1915 წლიდან, ს. მჭედლიძისავე რედაქტორობით განახლდა იგი 32 გვერდიანი ორკვირეული სამეცნიერო, სალიტერატურო და პოლიტიკური ჟურნალ „განთიადის“ სახით. ერთხანს (№5-დან) მას რომანოზ ფანცხავა („ხომლედი“) უძღვებოდა. ამის შესახებ აღნიშნავს ი. კვიციანიძე „მწიგნობრობის თანამგზავრში“: „ამ წლის იანვრიდან ქუთაისში იწყო გამოსვლა ჟურნალმა „განთიადმა“, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელობა რამდენიმე ახალგაზრდებთან შეთანხმებით იკისრა ჩვენ მწერლობაში ცნობილმა მე-90-იან წლების კრიტიკოსმა ბ. ხომლედმა. მან ეს მეექვსე ქართული გამოცემა ქუთაისში უპარტიო ორგანოთ გამოაცხადა და ყველა მიმართულებიდან იწვევს შიგ მწერლებს. ვნახოთ, ამგვარ ორგანოს რამდენი ხნის ბურჯი ექნება ჩვენში“ („განთ.“, 1915, 6, 27).

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა საახალწლოდ წიგნაკის სახით, მცირე ფორმატის 64 გვერდიანი. მას უძღვის რედაქციის მისალმება და „ხომლედის“ წერილი „სახალწლოდ“, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენ ვეცდებით ჩვენი ცხოვრების დიფერენციაციას ყური ფროთხილათ ვათხოვოთ და მისგან შექმნილი სხვა და სხვა კლასობრივი ერთეულები

# განთიადი



ორკვირული  
სამეცნიერო, სალიტერატურო  
და საზოლიტიკო ჟურნალი.

### შინაარსი.

1. ნეკროლოგი—ხომელისა.
2. აკაკის გარდაცვალების გამო—  
ა. ტაბიძესი.
3. აკაკის მხედართან—ვერვისანა-  
შვილისა.
4. საუბარი—ივანე ელიაშვილისა.
5. ვაგნერი—გ. ტაბიძესი.
6. „ვაი დედა!“—თეოფანე ხუსკი-  
ეაძესი.
7. ზამბახ ზეკაკაძე—ივ. იანის
8. მხოვრება და შესწორება—ივ.  
ფანსხავასი.
9. მოგზაურობა რაკა-ლიჩხუმში—  
ამბერისა.
10. კრიტიკა—ხომელისა.
- 12 ახლო აღმოსავლეთი—გულკმ.  
თილისა.
11. შინიშენა—დ. ბაქრაძესი.
13. წერილი სამეგრელოდან—პ.

1 თებერვალი 1915

№ 3.

ქუთაისი

სტამბა „მომბა“ ქარვასლის ქუჩა, სახლი ჩარქოვისა.  
1915



შედლებისდაგვარად ჩამოვაყალიბოთ, გავარკვიოთ მათი იდეოლოგიები, რომ მივანიჭოთ იმათ შესაფერი ადგილი ქართულს ლიტერატურაში. აი, ეს დიდი საგანი, ეს ჩვენი ტრფიალი, ეს ჩვენი სულის და გულის დიადი წყურვილი გვინდა გამოვხატოთ ქართული ენის მდიდარს და შუენიერს, სუბუქს ფორმებში, რომ ჩვენი ხმა ყველამ ნათლით გაიგონოს და შეისმინოს“.

„განთიადის“ სხვა ნომრები მოზრდილი ფორმატის 32 გვერდს მოიცავს. ჟურნალი იშვიათად არის ილუსტრირებული. რამდენიმე ნომრის გარეკანზე მოთავსებულია აკაკის პორტრეტი. 1915 წლის ჟურნალის რამდენიმე ნომრის ყდა არის ფერადი, მოვარდისფრო.

„განთიადი“ გამოდიოდა ქარვასლას ქუჩაზე, ჩარექოვის სახლში, ს. მჭედლიძის სტამბა „ძმობაში“. გარეკანზე წარმოდგენილი იყო შინაარსი, პირველსა და ბოლო გვერდებზე კი – რეკლამები სხვა გამომცემებისთვის. როგორც ჩანს, ცენზორის (თანაც სამხედროსი) თვალი არც ამ პერიოდულ ორგანოს სცილდებოდა. ერთ-ერთი ნომრის (1915წ. №5) ბოლოში მითითებულია: „ნებადართულია სამხედრო ცენზორისგან“.

ჟურნალში იბეჭდებოდა სხვადასხვა სახის მასალა: მოთხრობები, ლექსები, შეხედულებანი სწავლა-განათლებაზე, კრიტიკა (მაგალითად, რუბრიკით „კრიტიკა“ პირველ ნომერში იწყება და რამდენიმე ნომერში გრძელდება აკაკი წერეთლის ლირიკის კრიტიკული მიმოხილვა (აგტორი „ხომღელი“); ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა გერონტი ქიქოძის „ვაჟა ფშაველა“ და სხვა), ფილოსოფიური ნააზრვეი, სამედიცინო მასალა. „განთიადში“ თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო ნიკო ნიკოლაძე. მის სტატიათაგან საყურადღებოა წერილი „ხომღელისადმი“ ილიასა და აკაკისთან დამოკიდებულების შესახებ („განთ.“, 1915, 8. 20); ჟურნალში დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსები „მერი“, „ბედისწერა“, „ვაგნერი“ და სხვ. თანამშრომელთა შორის იყვნენ აგრეთვე: დუტუ მეგრელი, დია ჩიანელი, რომანოზ და იაკობ ფანცხავები (ძმები), იპოლიტე ვართაგავა, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვ.



„განთიადი“ უდიდეს ადგილს უთმობდა ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებას. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო აკაკი წერეთელი. ჟურნალი თვალს ადევნებდა პოეტის ჯანმრთელობას სიცოცხლის ბოლო ხანებში, ბეჭდავდა ინფორმაციებს მისი ავადმყოფობის შესახებ. რამდენიმე ნომერი დაეთმო მასალებს აკაკის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. მაგალითად, 1915 წლის 1 თებერვლის „განთიადი“ მთლიანად მიეძღვნა აკაკის გარდაცვალებას. პოეტის შესახებ წერდნენ: „ხომღელი“, ნოე ჟორდანი. ჟურნალში დაიბეჭდა ეგზარქოს პიტირიმის, ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, გალაკტიონის ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“, „ვერმიცანაშვილის“ „აკაკის ცხედართან“.

მომდევნო ნომერი აკაკის დაკრძალვას ასახავდა. სხვა მასალათა შორის აღსანიშნავია სერგო ბახტაძის „აკაკი“. ავტორი იგონებდა პოეტის შემოქმედებითს პროცესს (აკაკი მის ბინაში ცხოვრობდა ერთხანს); ივ. ი-ანის „მოგონებაში“ ივანე მაჩაბლისა და აკაკის ურთიერთობაზე იყო საუბარი: „(აკაკის) გაახსენდა ვანო მაჩაბელი... მწარეთ დაღონდა და მითხრა, ხომ იცი, მისი სიკვდილი დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. როცა მოგკვდები, ყველა გაიგებს ამ საიდუმლოებას. მე ყოველიფერი ვიცი, მარა სიცოცხლეში ვერ მითქვამსო“. ამ ნომერში იწყება და მომდევნოშიც გრძელდება აკაკის ლექსი „სიკვდილი“. ეს უკანასკნელი ნომერიც პოეტის დაკრძალვასთან დაკავშირებულ მასალებს ბეჭდავს. მეექვსე ნომერში აკაკის გარდაცვალებას ეძღვნება „სიტყვა თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მინდობილობით ბაბო მჭედლიძის ასულის მიერ“ (ბაბო მჭედლიძე, მომავალში ცნობილი პედაგოგი, სიმონ მჭედლიძის ასული).

1915 წელსვე გარდაიცვალა დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა. „განთიადი“ სათანადოდ გამოეხმაურა ამ ფაქტს.

მართალია, „განთიადი“ სამეცნიერო, ლიტერატურული, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პერიოდული ორგანო იყო, მაგრამ დიდი ხნის „ბურჯი“ მაინც არ აღმოაჩნდა მას იმხანად ჩვენში.



## 1.2. პოლემიკა ენობრივ საკითხებზე

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ყურადღების ცენტრში იღვა მშობლიური ენა. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შექდებოდა ქართული ენის შენარჩუნების, გავრცელებისა და სიწმინდის დაცვისადმი მიძღვნილი საკითხები. ზოგჯერ ესა თუ ის პრობლემა საკმაოდ ცხარე და მწვავე პოლემიკის საბაზიცი ხდებოდა.

ქუთაისის პრესა კრიტიკულად ასახავს მშობლიური ენის ფუნქციონირებას მაშინდელ საზოგადოებაში. ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ვიგებთ, ქართველებისავე წყალობითა და ხელშეწყობით როგორ იწაგრება ქართული ენა რუსულის ხარჯზე. ქართველს ეროვნული შეგნება და მეობა ისე დასჩლუნგებია, რომ ყველაფერი, რაც ქართულია, ეთაკილება, ხოლო ყველაფერი, რაც ძლიერ ერს ეკუთვნის, უყვარს და მოსწონს. ესაა მონური სიყვარული. ამის შესახებ აღნიშნავს მწერალი აკაკი პაპავა გაზეთ „კოლხიდაში“ დაბეჭდილ სტატიაში „დიდი ცოდვა“ (1911, 224). მონური სიყვარული, ავტორის აზრით, მონური ფსიქოლოგიის ხალხს ზრდის. ყველაზე უკეთ ეს მონური მორჩილება გამოიხატა ისეთ გარეგნულ და აშკარა ფაქტში, როგორცაა ქართული ენის წინაშე რუსულის უპირატესობის აღიარება.

დ. ჟღენტი ფელეტონში „კიდევ ქართველი სტუდენტების შესახებ“ გულისტკივილით ლაპარაკობს ეროვნული ცნობიერების გადაგვარებაზე. იგი აღწერს, თუ როგორ ნიჰილისტურად უყურებენ გარუსებული ქართველები ჩვენს ისტორიას. ზოგიერთმა მათგანმა არც იცის ჩვენი წარსული, ქართული დამწერლობისა და ლიტერატურის შესახებ ორიოდ სიტყვის თქმაც კი არ შეუძლია. ავტორი ქ. როსტოვის სადგურზე ასეთ სამარცხვინო ფაქტს შესწრება: ერთ სომეხს საუბარში ქართველი სტუდენტისთვის უთქვამს, მესროპ მაშტოცი ძალიან ნიჭიერი კაცი ყოფილა, მან ჩვენი და თქვენი ანბანი გამოიგონა... მობაასეს პასუხი არ გაუცია, დადუმებულა.

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში საჯარო ლექციები მეტწილად რუსულ ენაზე იკითხებოდა. ქართულენოვანი ლექციები, ქართული წარმოდგენები ფართო საზოგადოებ-



რიობას ნაკლებ აინტერესებდა. გაზეთ „შრომის“ ქრონიკა იუწყება, რომ სიმონ ქვარიანმა ქალაქის თეატრში ქართულ ენაზე წაიკითხა საინტერესო ლექცია „საქართველოს უძველესი კულტურა ევროპის წყაროების მიხედვით“. ცუდი ამინდის გამო ლექციას საზოგადოების მცირე ნაწილი დასწრებოდა. აქვეა კრიტიკული შენიშვნაც: „არ ჩანდა განსაკუთრებით ჩვენი არისტოკრატია, რომელსაც ქართულ წარმოდგენაზე თუ ლექციაზე დასწრება სასირცხვოთ მიაჩნია“.

პრესა თვალს ადევნებდა მწერალთა და ხელოვანთა, განსაკუთრებით მსახიობთა, მეტყველებას. გაზეთ „ფონის“ რედაქცია მიმართავს ქუთაისის დრამატული საზოგადოების დასს: „კვლავ და კვლავ ერთი და იგივე შენიშვნა მოელს დასს! ქრისტიანული ქართული არ გვესმის სცენიდან! არ გვესმის მარტივი საუბარი, მარჯვე დიკცია“ (1909, 16).

XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით მწვავედ დაიხსნა სახელმწიფო სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხი. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა კატეგორიულად მოითხოვდა, სასწავლებელს კურსდამთავრებულთათვის ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა მიეცა.

„მასწავლებელი – აი, რა წოდების მატარებელი ხართ თქვენ, პატივცემულო სევერიანე!“ – ასე იწყებს გ. ანი (გ. ახვლედიანი – რ.ს.) თავის წერილს „აბედათის შკოლის გამგის სევერიანე ბახტაძის საყურადღებოთ“ (იმერ., 1913, 13). „თქვენთვის ხალხს მოუნდვია დიდი საქმე – ყრმათა აღზრდისა. ჩვენი ხალხი, ქვეყანა შველას მხოლოდ ადამიანურათ აღზრდილი შვილებისგან მოელის, – აგრძელებს იგი, – ცხადია ასეთ აღზრდაში უპირატესი ადგილი ბავშვის სულში სამშობლოს სიყვარულის განვითარებას უნდა ეჭიროს. საჭიროა ვასწავლიდეთ მას ჩვენი სამშობლოს ცხოვრებას, მის მდგომარეობას, ჭირს, ვარამს და იმედს“.

სამშობლოს სიყვარული, ავტორის აზრით, „დედაენამ“ უნდა ჩაუნერგოს მოზარდს: „მხოლოდ „დედაენა“-ზე წარმოთქმული სიტყვები გამოხატავს სამშობლოს სულისკვეთებას და მხოლოდ ეს სიტყვები მძლავრათ და სინამდვილით ებეჭდება ნორჩ გულს ბავშვისას“.



გ. ა-ნი იმასაც შენიშნავს, რომ არსებულ პირობებში, ძნელია ზემონათქვამ აზრთა განმახორციელებელი სკოლების მოწყობა, თუმცა „ჩვენს სკოლებს აქვს ცოტათი მაინც დედა-ენის ხმარების უფლება“. ავტორს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ სევერიანე ბახტაძე არა თუ მოღვაწეობს ამ მცირე უფლებათა გასაფართოებლად, პირიქით, დავიწყებისთვის მიუცია წინაპრის ოფლით მონაპოვარი. იგი დაუფარავად მიმართავს მას: „ბავშვების ნორჩი გულიდან უღმობელათ გლეჯთ იმ ენას, რომელიც მათ შესისხორცებია დედის რძესთან ერთად. არ ვიცი, რა გაიძულებთ თქვენ ასე მოიქცეთ?“ წერილის ბოლოს რედაქცია შენიშნავს, რომ „ამ სამართლიან შეკითხვაზე გარდა ბ-ნი ბახტაძისა, სხვა ბევრ მასწავლებელსაც მართებს დღეს პასუხის გაცემა, იმ მასწავლებელთ, რომელთაც უფროსების გულის მისაგებათ გზა მრუდი აურჩევიათ“.

გაზეთ „კოლხიდას“ მეექვსე ნომერში ფელეტონად დაიბეჭდა ვ. წერეთლის სტატია „დედაენა“, სადაც მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობის თეორიაა ჩამოყალიბებული: ნორჩმა ჯერ დედაენა უნდა შეითვისოს და, როცა კარგად გაიგებს მის სისტემას, მერე უნდა დაგაწყებინოთ უცხო ენებიო“, – აღნიშნავს ავტორი. რედაქციას მხედველობიდან არ გამოჰპარვია ვითარება, როცა სკოლაში ქართული ენა იზღუდებოდა რაიმე მიზეზით. „სულით ობოლი“ (ფსევდონიმია – რ. ს.) სტატიაში „დ. ხონი“ წერს იმის შესახებ, რომ თითქმის ყვეგან იდევენება მშობლიური ქართული. თუ მოსწავლე გალობის გაკვეთილს გააცდენს, მკაცრად სჯიან, ხოლო ქართული ენის გაკვეთილის გაცდენისას – არა (1911, 66).

მშობლიური ენის საკითხებს შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს სასულიერო გაზეთი „მინაური საქმეები“. რედაქცია მოითხოვდა და ასაბუთებდა პირველდაწყებით სკოლებში საღვთო სჯულის, სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების შემოღების აუცილებლობას, ამისთვის საჭირო სახელმძღვანელოების თარგმნას, აკრიტიკებდა სასულიერო პირებს, რომელთა ცოლებმა ქართული ენა არ იცოდნენ კარგად...



ეს პრობლემებია ასახული „სარკინელის“ სტატიაში „საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ“. წერილი ეხება 1907 წ. დეკემბერში თბილისში ჩატარებულ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელთა კრებას.

ავტორი ადასტურებს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობას. იგი ფიქრობს, რომ შეუძლებელი არ არის ამ ნაკლის თავიდან აცილება, და მოითხოვს თარგმნის აუცილებლობას. საამისოდ ასახელებს მდიდარ რუსულ საღვთისმეტყველო ლიტერატურას, რომლის ქართულ ენაზე გადმოდება შეუძლიათ სასულიერო აკადემიების კურსდამთავრებულ პირებს. „დიდებული მეცნიერი ანტონ კათალიკოზი რომ სთარგმნიდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებს, რას აშავებდა?.. ღმერთმა იმ დროსაც მოგვასწრო, რომ თვითონ მთავრობა გვეკითხება, საჭიროდ სცნობთ თუ არა საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლებასო, და სირცხვილი და სიკვდილი არ იქნება ჩვენთვის ამის შემდეგ გავჩერდეთ და უარი ვთქვათ სწავლებაზე „უჩებნიკების“ უქონლობის გამო?“ – წერს „სარკინელი“. სათარგმნი ლიტერატურის წყაროდ მას მიაჩნია აგრეთვე საეკლესიო მუზეუმის, სემინარიისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავები. მისი აზრით, ძველი ქართული ხელნაწერებიც დიდად დაეხმარება მთარგმნელს საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის გარკვევასა და შექმნაში. „თუ არ მიექცა ჩვენში საღვთისმეტყველო საგნების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება, – აგრძელებს იგი, – მაშინ უმჯობესია მივიდეთ საეკლესიო მუზეუმში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, მოუყაროთ ერთად თავი საღვთისმეტყველო წიგნებს, რომლებიც დაწერილ არიან ჩვენ წინაპართა სისხლით და ოფლით და წავუკითხოთ მათ სულმობრძავის ღოცვა, მერე ზედ პანაშეიდიც მოვაბათ! თუ შეიძლება ქართულ ენაზე შედგენა სახელმძღვანელოებისა სიტყვიერების, მათემატიკის, ისტორიის და სხვა საგნების შესასწავლად, ღვთისმეტყველება რაღა არის?“.

ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო საგნები რომ არ ისწავლებოდა, ავტორი ამის მეორე მიზეზსაც ასახელებს:





ქართული ერის „არამკითხე ჭირისუფლებს“ უწოდებს მათ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქართულად სწავლება სემინარიში ქართველ ახალგაზრდობას დაუხმავს უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლების, აკადემიების კარებს. ამ აზრის გასაბათილებლად მას დამოწმებული აქვს წესდება, რომლის თანახმადაც, სასულიერო აკადემიაში შემსვლელი უნდა იყოს მართლმადიდებელი, რუსეთის იმპერიის საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული, კეთილსაიმედო, რა ენაზე ექნება მას შეძენილი ცოდნა, სულიერითა. ამის ნიმუშად „სარკინელი“ ასახელებს რუსეთის სასულიერო აკადემიებში აღმოსავლეთიდან (საბერძნეთი, სერბია, ბულგარეთი, რუმინეთი...) უმაღლესი განათლების მისაღებად ჩასულ ახალგაზრდებს. თუ მათ არ ეხშობათ აკადემიების კარები, რატომ უნდა დაეხშოთ ქართველებს, რომლებიც ქართულად მხოლოდ საღვთისმეტყველო საგნებს ისწავლიან, დანარჩენებს კი – რუსულად და, მაშასადამე, რუსული ენა კარგად ეცოდინებათ? ამ პუბლიკაციიდან ისიც ჩანს, რომ იმდროინდელი საზოგადოება ნაწილობრივ კომპრომისის გზას დასდგომია და შეჰგუებია გარკვეული დოზით რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას.

„უკიდურესის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი სასულიერო სასწავლებლები“ გაკრიტიკებულია ქუთაისის ქალთა სასწავლებელი, კერძოდ, სწავლა-განათლების დონე. ავტორი ენის უცოდინრობაზე საუბრობს. მისი აზრით, პროგრამა ვრცელია, ქალებიც უნიჭოები არ არიან, მაგრამ რუსული ენა ხომ არ იციან და ქართულადაც ვერ ლაპარაკობენ: „ძმანები“, „დანები“, „აქანეი“, „მაქანეი“, „მითინ“, „მაგითინ“ და სხვა ამის მსგავს ენის „მარგალიტებს“ ხშირად გაიგონებთ ჩვენი მომავალი დედებისგან“ („შინ. საქმ.“, 1908, 7).

იმჟამინდელი ვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა „შინაური საქმეების“ 1908 წლის №13-ში გამოქვეყნებული სტატია „რამდენიმე დღე ზუგდიდის მაზრაში“, რომელსაც ხელს აწერს „გულშემატკივარი მოკეთე“.

ზუგდიდის მაზრის თვალწარმტაცი ბუნების აღწერის შემდეგ ავტორი მის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების შესახებ



მოგვითხრობს. გზადაგზა მისი ყურადღება მიუზიდავს ზოგიერთ სახლს, რომლებზეც გამოუკრავთ ფიცრები რუსული წარწერით, აქ სასწავლებელიაო. ავტორი გაუოცებია იქაურ სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის დაბალ დონეს, კერძოდ, მშობლიური ენის უცოდინრობას. რამდენიმე შეკითხვის შემდეგ იგი დარწმუნებულია, რომ რუსული ენის სწავლებასთან შედარებით არც მშობლიური ენის სწავლება ყოფილა უკეთეს ნიადაგზე დაყენებული. ბავშვები მოთხრობებს სწავლობენ შეუგნებლად, ლექსებს იზეპირებენ უაზროდ. მოწაფე, რომელსაც ოთხი წელიწადი გაუტარებია სასწავლებელში, ვერ გასცილებია „დედაენას“ (იგულისხმება მეგრული – რ. ს.) და უცნობ ტექსტს ისე ვერ წაიკითხავს, თუ ასოები არ ჩათვალა. ქართული მოთხრობების შინაარსის შეგნებული გადმოცემა იმდენადვე გასძნელებიათ ბავშვებს, როგორც რუსულისა. „ჩვენმა მკოსნებმა რომ თავიანთი ბედნიერი ყურით მოისმინონ რა უღვთოდ და შეუბრალებლად ჰსჯიჯგნიან და აწამებენ მათ ნაწერებს, – აღნიშნავს ავტორი, – დარწმუნებული ვარ დიდის ხვეწნა-მუდართი შევედრებოდნენ სკოლების ხელმძღვანელებს: იწამეთ თქვენი გამჩენი ღმერთი, დაესხენით ჩვენს ნაწერებს, დე სრულებით ნუ იქნება ჩვენი და ჩვენი ნაწერების ხსენება სასწავლებელში, იქნება შემდეგში აქედან გასულებმა მართლა ხალისით და შეგნებით მოჰკიდონ ხელი ჩვენს ქმნილებებს, ეხლა კი თქვენი დამტანჯავი სწავლების მეოხებით მარტო ზიზღი ემატებათ ბავშვებს ჩვენდამი და ვაი თუ ეს გრძნობა საბოლოოდ ჩარჩეთ მათ გულში!“

ავტორი აკრიტიკებს სამღვდელოებას („მათებრ ქართული ლაპარაკი მეძროხესთვისაც კი სათაკილოა“), ავრეთვე მღვდლების ცოლებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა: „რა შვილები უნდა აღუზარდოს მამულს და ეკლესიას იმისთანა დედამ, რომლის გული და გონება დახშულია წმინდა სახარების, ლოცვისა და ქართველ გამოჩენილ მწერალთა უკვდავი ქმნილებების ზეგავლენისათვის!“

მშობლიური ენის დაცვისა და შენარჩუნების საკითხი თითქმის ერთნაირად აქვს გააზრებული ყველას, მიუხედავად იმისა, რომელი პარტიისა თუ საზოგადოების წარმო-



მადგენელი იქნება იგი. ენას სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის, რევოლუციური გარდაქმნის, პიროვნული თავისუფლების მინიჭების ერთ-ერთ იარაღადაც მიიჩნევენ.

გაზეთ „ფარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ საუბარია მშრომელ კლასთა ცხოვრებაში ენის მრავალმხრივ მნიშვნელობაზე. იქვე ფრანგული მწერლობიდან მოხმობილია პოეტ მისტრალის გამონათქვამი ენის შესახებ: „ვინც თავის ენას იცავს, იმას ხელთა აქვს კლიტე თვისი ბორკილის გამღები და თავისუფლების მიმნიჭებელი“ (1908, 4).

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში ასახულია ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად იმართებოდა პაექრობა ენობრივ ნორმებზე, რომლის ცენტრშიც იღვა ცნობილი გრამატიკოსი, პედაგოგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე. მისი მოწაფეები იყვნენ: აკად. კ. ერისთავი, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, ვ. ნოზაძე, გ. ჯიბლაძე და მრავალი სხვა გამოჩენილი პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე. იგი არის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ერთ-ერთი პირველი დამდგენი. მის მიერ შემუშავებული ნორმები იმ დროს სავალდებულოდ არ ითვლებოდა, მაგრამ, რადგან ის ცოცხალ სასაუბრო ენას ემყარებოდა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც მის მართლწერას იცავდა ყველა პერიოდული ორგანო, განსაკუთრებით „კოლხიდა“, „იმერეთი“, „შრომა“.

ს. ხუნდაძე მუდმივად თანამშრომლობდა ისეთ პერიოდულ გამოცემებში, როგორც არის „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „განათლება“ და სხვ. იგი იყო გაზეთ „კოლხიდას“ ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი რედაქტორის ა. ჭუმბაძის თანამებრძოლი. გაზეთში ხშირად ოფიციალურადაც ასრულებდა სტილისტის ფუნქციას. მას ევალებოდა დროდადრო მოწინავე სტატიების ენობრივად გადახედვა და სალიტერატურო მასალების ენობრივ-ლიტერატურული მომზადება.

ს. ხუნდაძემ იმთავითვე შეიმუშავა გაზეთის სტილი და დაამკვიდრა რამდენიმე მყარი წესი, კერძოდ, ყოველი ფრაზის, ღვთის სახელის, ასევე ადამიანის სახელისა და გვარის



დასაწყისი გამოყოფილია შავი შრიფტით; ვითარებით ბრუნვაში სახელი ყოველთვის თანით მთავრდება; ყურადღება ექცევა სიტყვის ემოციურ უღერადობას, გრამატიკული კანონი ირღვევა ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპის დასაცავად (სოქვა, ვსოქვი, სოქვას...).

„კოლხიდას“ სარედაქციო კოლეგია შემოსულ მასალებს საგულდაგულოდ ასწორებდა საკუთარი სტილის მიხედვით და მხოლოდ ამის შემდეგ ბეჭდავდა. თავისი ნორმების შესათვისებლად სილოვანს რედაქციის მუშაკებისათვის სემინარი დაუნიშნავს: ყოველდღე, განსაზღვრულ საათებში, იბარებდა მათ შინ, უხსნიდა და ასწავლიდა მართლწერას. მან საგანგებო წიგნაკიც კი გამოსცა, სადაც „კოლხიდას“ რედაქციის მთხოვნების მიხედვით იყო დადგენილი სტილისტიკისა და ორთოგრაფია-ორთოეპიის წესები. წიგნაკი დაურიგდა იმ ავტორებსაც, რომლებიც „კოლხიდაში“ აპირებდნენ თანამშრომლობას.

ს. ხუნდაძის დამოკიდებულება ენის სიწმინდის დაცვისადმი კარგად ჩანს გაზეთ „კოლხიდას“ 1911 წლის №214-ის მეორე გვერდზე დაბეჭდილ სტატიაში „განცხადებათა ენა“. იგი გაზეთ „თემის“ რედაქციას შენიშვნას აძლევს: რედაქციამ განცხადება გაუსწორებელ-გაუშალაშინებლად არ უნდა დაბეჭდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ენა ნაგვიანდება და ქართული მახინჯდება.

გაზეთმა „ცხოვრების საქმე“ პირველსავე ნომერში გააკრიტიკა „კოლხიდას“ ენა და სტილი. ს. ხუნდაძის საპასუხო წერილი „ცხოვრების საქმის ჭორები“ იცავს „კოლხიდას“ ენობრივ დემოკრატიზმს: „გაზეთი „ცხოვრების საქმე“ გამოხოხორიკდა და მისმა ხელმძღვანელებმა ჩვენს გაზეთს თავისებური სალაში, ე.ი. ჭორით, სიცრუით, ცილისწამებით შეხანხლული რეცენზია უძღვნეს“.

განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება გამოიწვია ს. ხუნდაძის სტატიებმა რუბრიკით „კარტველი კალები“, რომლებიც მიმართული იყო გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. პირველი წერილი დაბეჭდილია 1911 წლის №73-ში. მისი მთელი არსი ის არის, რომ ე.წ. „კარტველი კალები“ შინ და გარეთ რუსულ ენას მიმართავენ და ქართულს ავიწროებენ. ამის



სილოვან ხუნდაძე



შემდეგ მთელი წლის ნომრებში ეს რუბრიკა არ შეწყვეტილა. №86-ში გამოსნდა სტატია „კარტველი კალების“ პასუხი ბ. სილოვანს“. შეურაცხყოფილი ავტორები თავს იმართლებდნენ. შემდგომში ცხადი გახდა, რომ ისინი ცდებოდნენ, სილოვანს დამცველებიც გამოუჩნდნენ. მართალია, ერთხანს რედაქტორმა შეწყვიტა ამ თემაზე კამათი, მაგრამ სარედაქციო ფოსტა გამოგზავნილი ბარათებით აივსო და რედაქცია იძულებული გახდა, ამ მეტად მტკივნეულ საკითხზე კამათი გაეგრძელებინა. „კარტველი კალების“ სინდრომი თბილისელ ქალებშიც აღმოჩნდა. გაცილებით ადრე აკაკი წერეთელს უხუმრია: გოლოვინის პროსპექტზე ქალები დასეირნობენ, თუ გსურთ გამოიცნოთ მათში ქართველები, ყური უგდეთ: ვინც უცხო ენაზე დამტვრეულად ჟღერტულებს, ის უსათუოდ ქართველი იქნება.

ს. ხუნდაძემ თეორიულ-პრაქტიკულ საენათმეცნიერო საკითხებზე მწვავე კამათი გაუმართა გრ. ყიფშიძეს. „კოლხიდას“ 1911 წლის №№156, 157-ში სილოვანი მიუთითებდა, რომ სალიტერატურო ქართულისთვის მარტოდმარტო არც ქართლის ენა გამოდგებოდა, არც კახეთის, არც იმერეთისა და არც სხვა კუთხისა. „ეს ფუნდამენტური დებულებაა და იგი გაიზიარა თანამედროვე ენათმეცნიერებამ. ეგ თქვენი – **მშეთაურობს** და **გაჰნადოს** რაღა ჯანდაბა და დოზანაა, ამ ფორმებში ჰ-ს ქაჯის მეტი ვერავენ გამოთქვამს“, – საყვედურობდა იგი გრ. ყიფშიძეს.

გრ. ყიფშიძე გამოეხმაურა ამ მოსაზრებებს („განათლება“, 1911, 9). მას მიაჩნდა, რომ ილიას, ორბელიან-ბარათაშვილის ენაა კლასიკური ენა და იმით უნდა ეხელმძღვანელათ. მეცნიერი ვერ ითვალისწინებდა, რომ: ა) ენა მოძრავი ორგანიზმია და ისტორიულად იცვლება; ბ) ენის კანონმდებელი ცოცხალი მეტყველებაა. ს. ხუნდაძე აცხადებდა, რომ კლასიკოსთა ენა შესაწყნარებელი არ არის, „მათ ენაში მრავალი სიმახინჯე მოიპოვება, მრავალი დაძველებული ფორმა, მრავალი ცხადი უკანონობა“.

„საერთოდ, სილოვან ხუნდაძეს არ უყვარდა უკან დახევა, ერთხელ მიღებულ თვალსაზრისს ძნელად უღალატებდა, დაუხოვავი იყო იმით მიმართ, ვინც მის შეხედულებას არ გაი-



ზიარებდა“ (დ. კვანტალიანი, 2009, 77). მართლაც დაუნდობლად ებრძოდა ს. ხუნდაძე ქართული ენისა და მეტყველების შემრყენელებს. მათ „ცრუ პატრიოტებს“, „შინაურ მტრებს“ უწოდებდა. გაზეთში შემოიღო რუბრიკაც „შინაური მტრები“, სადაც ძირითადად თვითონვე აქვეყნებდა სტატიებსა და ლექსის ფორმით შესრულებულ პამფლეტებს, ზოგჯერ პოემასაც კი!

„შინაური მტრების“ რუბრიკით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ბევრი ცნობილი მოღვაწე მოხვდა. ცხადია, ზოგიერთების მიმართ სილოვანის კრიტიკა გადაჭარბებული იყო, მაგრამ პიროვნების დამცირებამდე და სხვა დარგში მისი დამსახურების უარყოფამდე იგი არასოდეს არ მისულა. მართალია, ს. ხუნდაძე კრიტიკულად აფასებდა ქართველი კლასიკოსების ილიას, აკაკის, ვაჟას... ენას, იმავდროულად უდიდესი პატივისმცემელი იყო მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობისა. ეს კარგად ჩანს იმ წერილიდან, რომელიც მას აკაკი წერეთლის გარდაცვალების დღეებში დაუწერია: „არავინ დაიჯერებს, თითქოს მე აკაკის სახელს პატივს არ ვცემდე, როგორც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მზე ქვეყანას ანათებს და ათბობს, ისე შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ აკაკი დიდი სახელის მგოსანია და დიდი როლიც შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული გრძნობის გათბობასა და გაფხიზლებაში. დაუფასებელია აგრეთვე აკაკის ღვაწლი ხალხური მარტივი ნაზი ენისა და სტილის შემუშავების ფარგალში. ყველა ეს მეც ისე ნათლად მესმის, როგორც ბევრ სხვასაც, მაგრამ შეიძლება ზოგიერთებისაგან იმით განვსხვავდებოდე, რომ კერპთაყვანისმცემლობას არ ვეწვი და უკიდურესობაში არ ვარდები“.

აღსანიშნავია ს. ხუნდაძის ვაჟასადმი დამოკიდებულება. იგი იზიარებდა ენის საკითხში აკაკის საყვედურს („ენას გიწუნებ, ფშაველო...“) და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ფშაველი მგოსნის ნაწერებს. მიუხედავად ამისა, მისი უდიდესი პატივისმცემელი იყო. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ვაჟა ფშაველა ქუთაისში ს. ხუნდაძის თაოსნობით მოიწვიეს. მასვე დაებადა აზრი, რომ სტუმარი ჩოხითა და ნაბლით დაესაჩუქრებინათ.



„კოლხიდას“ რედაქცია ენის თვალსაზრისით მკაცრად მოექცა ისეთ მწერალს, როგორცაა ნიკო ლორთქიფანიძე: ს. ხუნდაძის ნორმათა მიხედვით გაასწორა მისი ერთ-ერთი მოთხრობა „დადიანის ასული და მათხოვარი“. 1912 წლის №4-ში განაწვევებულმა მწერალმა გამოაქვეყნა „იძულებითი განმარტება“, რომელშიც პროტესტი გამოთქვა ჩასწორების გამო. იქვე არის რედაქციის მინაწერიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ რედაქციას ვერავინ წაართმევს უფლებას, საჭიროებისამებრ ჩაასწოროს მასალა და, მით უფრო – ახალგაზრდა დამწეები ავტორის ნაწარმოები.

გაზეთმა ამ მხრივ არ დაინდო არც უკვე მსცოვანი და აღიარებული ავტორიტეტები, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილიც კი. ი. გოგებაშვილმა „კოლხიდას“ გაუგზავნა სტატია „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა“. იგი ს. ხუნდაძის ხელში მოხვდა. ეს არ მოეწონა ავტორს და ჩასწორებული მასალის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა. „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 10 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ი. გოგებაშვილის წერილს ერთგოდა შენიშვნა: „ამ წერილის დაბეჭდვა გაზეთ „კოლხიდაში“ შეუძლებლად გახდა ბ-ნმა სილოვანმა იმით, რომ ჯიუტურათ შეაქვს თავისი პროვინციალური მართლწერა ჩემს სტატიებში, ნაცვლად ჩემის ქართულ-ლიტერატურული მართლწერისა, რომელსაც მისდევენ ყველა ქართველნი“. გაზეთ „მნათობშიც“ იგივე დაუბეჭდავს ი. გოგებაშვილს: „ეს ახლად მოვლენილი რეფორმატორი (ე.ი. სილოვანი – რ. ს.) არ იწყნარებს ჩემს მართლწერას და თავისებურად სცვლის მას. ვთხოვე ჩვენს სილოვანს, განმათავისუფლეთ ამ უღმობის ცენზურისგან-მეთქი, მაგრამ არ შეისმინა“.

ს. ხუნდაძე გამოჩენილი პედაგოგის შესახებ აღნიშნავს: „მის ნაწერებს მართლაც დიდი და დიდი გასწორება ეჭირვება“ („კოლხიდა“, 1911, 188). იგი იშველიებს დიდი აკაკის ავტორიტეტსაც: „ამ ოცდახუთი წლის წინათ, მახსოვს, ბ-ნი გოგებაშვილის ნაწერის გამო, სადაც ავტორს ერთი ვირი ჰყავდა გამოყვანილი და სადაც ბ-ნი გოგებაშვილის ენა ჩვეულებრივად კოჭლობდა, აკაკიმ ასე იოხუნჯა: „ყველა, ყველა, მაგრამ ბ-ნი გოგებაშვილის ვირს ქართული არ სცოდნიაო!“ სილოვანს ი. გოგებაშვილის ნაწარმოებიდან ამო-





წერილი აქვს შეცდომები, რომელთაც „მარგალიტებს“ უწოდებს: „ვეტყვით და მივწერავთ ღირექტორებს“, „მუნჯურის მეთოდზე“, „გამყრელიძესთვის ეთქვა“, „წერა-კითხვა დააწყო ბინონ“, „დედა-ენა უნდა შეამკოდ“, „რუსეთელს მგოსანთა შორის“, „ყველა კლასებიდან“, „შეთხუზველებს“ და სხვა. ს. ხუნდაძეს ღრმად სწამდა, რომ ამგვარ დარღვევებზე ღუმილი დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. ი. გოგებაშვილის ნაწერებზე თაობები იზრდებოდა. პედაგოგიურ ნააზრევსა და ჭეშმარიტ ცოდნას კი დახვეწილი სალიტერატურო ქართული უნდა დასდებოდა საფუძვლად.

აღნიშნულ პოლემიკას მოჰყვა ი. გოგებაშვილის სხვა პუბლიკაციები: „კოლხიდას“ მკითხველთა მიმართ“, რომელშიც საუბარია ი. გოგებაშვილსა და ს. ხუნდაძეს შორის შეუთანხმებლობაზე ქართული მართლწერის ბევრ საკითხში (ი. გოგებაშვილი, 1990, 275); „მოწიწებით ეპისტოლე ჩვენის რეფორმატორის ბ. სილოვანის მიმართ“, სადაც გაკრიტიკებულია ს. ხუნდაძის ენობრივი პოზიცია. ი. გოგებაშვილმა მისი ზოგი შენიშვნა გაიზიარა, ზოგი უარყო, ზოგიც სადავოდ აქცია, ბოლოს კი დაასკვნა: საჭირო იყო ექვსიოდე ქართველი ინტელიგენტის არჩევა, რომლებიც განიხილავდნენ ს. ხუნდაძისა და მის მართლწერას და, რასაც ისინი დაადგენდნენ, იმით იხელმძღვანელებდნენ მომავალში (იქვე, 625). როგორც აქედან ჩანს, უკვე მომწიფებულია აზრი მართლწერა-სწორმეტყველების ნორმათა შემუშავებელი საგანგებო კომისიის შექმნისა.

ასევე დიდი საზოგადოებრივი აქტიურობა გამოიწვია ს. ხუნდაძის პუბლიკაციებმა რუბრიკით „შინაური მტრები“. აღნიშნული თემა 1911-1913 წლების „კოლხიდას“ ფურცლებიდან არ გამქრალა, თუმცა რედაქციამ ერთხელ კიდევ შეწყვიტა ამ საგანზე კამათი. მალე იგი იძულებული გახდა პოლემიკა გაეგრძელებინა. ჭიათურელი ქალების სტატიას ქართული მეტყველების შესახებ დართული აქვს შენიშვნა: „რედაქციამ სიამოვნებით უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ ამ საგანმა გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებაში. ამას მოწმობს დაუსრულებელი წერილები, რომლებიც მოგვდის ყოველდღე. ჩვენ ისიც ვადმოგვცეს, რომ ქუთაისში შემდგარა



კიდევ რამდენიმე წრე – ქართულს სწავლობენ, ქართულათ ლაპარაკობენ, ქართულათ სწერენ, ქართულს კითხულობენ“ (№96).

რუბრიკა „შინაური მტრები“ გაზეთმა „იმერეთმაც“ შეინარჩუნა. მწვავე პოლემიკის ნიმუშია ს. ხუნდაძის წერილი „უტიფარი შიკრიკი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „იმერეთის“ პირველსავე ნომერში ამავე რუბრიკით. ავტორი დაუნდობლად აკრიტიკებს თავად ვლადიმერ მიქელაძეს, რომელსაც დაუწერია, „სილოვანი ილია ჭავჭავაძეს და გოგებაშვილს ენას უწუნებდაო-და თვითონ ოღასყურული ქართულის მცოდნეაო“.

„რა უნდა ველაპარაკო იმისთანა ვაუბატონებს, – წერს ს. ხუნდაძე, – რომელნიც სილოვანს ენის უცოდინრობას ეწამებიან და თვითონ კი თავის მკითხველებს ამგვარი „კარტულით“ უმასპინძლებიან: „ზდანოვიჩმა ქარხნის კეთებას შეუდგა“, „მაგისანა“, „ამისანა“, „რომელშიდაც“... ზოგს ხუთსტრიქონიან აღმანახში ამდენ სიმახინჯეს რომ კაცი ვერ შეამჩნევს, იმას განა ნება აქვს – ქართული ენის სიწმინდეზე ილაპარაკოს? იმას განა შეუძლია – ასწონ-დასწონოს, თუ სილოვანი რამდენათ სამართლიანათ უწუნებს ვისმე ენას?“

ს. ხუნდაძესა და ვლ. მიქელაძეს შორის ასეთი მწვავე პოლემიკის საფუძველი უნდა იყოს გაზეთ „ფარის“ 1908 წლის №3-ში გამოქვეყნებული წერილი „შინაური მიმოხილვა“. იგი ხელმოწერილია ფსევდონიმით „ს“ (სილოვან ხუნდაძის ინიციალი უნდა იყოს).

წერილის დასაწყისში ავტორი საუბრობს ერის განვითარებაში მნშობლიური ენის განსაკუთრებულ როლზე: „თითოეული ერის პროგრესიულ წინსვლაში დედაენა განსაკუთრებულ როლს ასრულებს. თუ ენა იმდენათ განვითარებულია, რომ ყოველი აზრი იმის საშვალეებით სახსებით და ღამაზათ შეიძლება გამოხატო, მკითხველი მეტი ხალისით დაეწაფება ამგვარი ენით დაწერილ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებს“.

იმის უტყუარ საბუთად, რომ რვა საუკუნის წინათ ქართული ენა ისე დახვეწილი და პოეტური იყო, არაფრით ჩამოუვარდებოდა სპარსულს, ბერძნულსა და ლათინურ ენებს, ავტორი ასახელებს „ვისრამიანს“, „ამირან-დარეჯანიანსა“ და



„გეგმისტყაოსანს“. აქვე დამოწმებული აქვს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის სიტყვები: „ქართული ენა მე-12 საუკუნეში დამდოვრდაო“, ე.ი. სავსებით შემუშავდა და განმტკიცდა.

„მაგრამ ენა ცოცხალ არსებასა გავს, – წერს ავტორი, – ერთ წერტილზე არსოდეს არ ჩერდება, – მოძრაობს, იფურჩქნება, წინ მიდის, თუ ხელს არაფერი უშლის, მაგრამ უკან იწვევს, თუ დამაბრკოლებელი გარემოება წინ ეღობება...“

წარსულ საუკუნეებში ჩვენი ენა, ისტორიულ გარემოებათა მიუხედავად, წინ მიდიოდა (თამარის, აგრეთვე ვახტანგ VI-ის ეპოქა), ხან ქვეითდებოდა (XIII საუკუნიდან XVIII-მდე). ავტორს მიაჩნია, რომ XIX საუკუნიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე ქართულ ენას წინსვლა არ დასტყობია. თუმცა ახალმა დრომ ბევრი სახელოვანი ნიჭიერი პოეტი და მწერალი შვა, მათს ნაწერებში მაღალი პოეზიაც მოიპოვება, ღრმა აზრებიცა და კეთილშობილური გრძნობაც, მაგრამ ენა, ე.ი. აზრის გამოსახატავი ფორმა, მეტად შეუფერებელი, ხშირად დამახინჯებულიც კი არის. ასეთია პოეტ-მწერალთა ენა და საზოგადოების, მასის, უბრალო მოკვდავთა ენა ხომ „თვისის სიმახინჯით ჩაქვესკნელებულა...“

სახელოვან შემოქმედთა ასეთმა მკაცრმა შეფასებამ წარმოშვა უთუოდ ზემოსხენებული მწვავე პოლემიკა.

ამავე წერილში ს. ხუნდაძე ამხელს ინტელიგენციას, რომელმაც, თუ ქართულად იკადრა ლაპარაკი, „იმისთანა ენით დაგიწყებს საუბარს, რომ ყური თითით უნდა დაიცოთ“, თუ არა და – სულ არ ილაპარაკებს ქართულად, „უკეთ ვსთქვათ – ვერ ილაპარაკებს, რადგან მის გონებას აზროვნების სფეროში ქართულათ არ შემუშავია, მის ენას ქართულათ არ უვარჯიშებია“.

ავტორი ასახელებს ინტელიგენციის ენობრივად გაუმართავი მეტყველების ნიმუშებს: „ჩვენ ყველას იმდენათ შეჩვეული გვაქვს სმენა მახინჯი ქართულისთვის, – წერს იგი, – რომ არაფრათ არ ვაგდებთ, როცა ინტელიგენტი იმერლისაგან გვესმის იმისთანა მარგალიტები, როგორიც არის, მაგალ. „ლაპარაკი, იმგენმა წვიდენ, კაცმა წვიდაო“ და სხვა, ან ამერლისაგან – „შაიძლება, აქამდისინ, ვნახევი, წამითხნიაო და სხვ.“



ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად ს. ხუნდაძე საჭიროდ მიიჩნევს შეგნებასა და ენერგიას. „გარეშე მიზეზებს რათ ვასახელებთ, როცა იქ, სადაც თითქმის სავსებით დამოუკიდებელი ვართ, სრულ გულგრილობას ვიჩენთ ჩვენი ენისა და ჩვენი მწერლობის განვითარებასა და გავრცელებაში? აბა შევიხედოთ ჩვენს ოჯახებში, რა სურათებს ვხედავთ ჩვენ იქ?“

წერილს დართული აქვს ლექსი, რომელიც კრიტიკულად ასახავს მაშინდელი ოჯახების ყოფას. „ქართულ ოჯახში გაბატონებულია უცხო ხალხის მოწყობილობა, ჩაცმა-დახურვა, ცეკვა-თამაში, მღერა-მოლხენა“. სასაუბრო ენაც უცხოა: „უცხო წიგნები, ჟურნალ-გაზეთი ყოველნაირი აქ იშოვება... დახეთ, რა რიგათ განათლებულან: ქართული წამლათ არ იშოვება!“ ამ „ქართველთა“ წრეში იწვრთნება პაწია მამულიშივილი. „წინ წავა ჩვენი ენა, მწერლობა პროგრესიულათ, მაშ, რა იქნება?!“

ს. ხუნდაძის ეროვნული სულისკვეთების საჩვენებლად საინტერესოა ნაწყვეტი ლექსიდან „ქართველ მოსწავლეებს“, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „ფარის“ 1908 წლის №2-ში. ავტორი მიმართავს მომავალ თაობას:

ცოდნით უნდა აღიჭურვოთ...  
 მაგრამ ცოდნის თქვენ შეძენა  
 განა ისე შეგიძლიათ,  
 თუ არ იცით კარგათ ენა?!..  
 და რა ენა? – აი საქმე,  
 მხოლოდ ჩვენში საკითხავი!..  
 ოხ, სამშობლო ჩემო ენა,  
 რამდენი გყავს გამკიცხავი!  
 გარეთ მტერი რას დაგაკლებს,  
 შინაურიც რომ არ გყავდეს,  
 და თვით შენი ღვიძლი შვილი  
 რომ მოყვარეს რითმე გავდეს?!

სხვის ენაზე წერა-კითხვა,  
 სხვისი ენით ყრმათ სწავლება!..  
 განა კიდევ შეიძლება  
 მეტი ტანჯვა და წვალება?!  
 ჯერ ნაცნობი და ადვილი,  
 მერე უცხო, უფრო ძნელი: –  
 აი, სწავლის უტყუარი,  
 ჭეშმარიტი საფუძველი!  
 მაშ პირველათ დედაენა  
 და სამშობლო შეისწავლეო,  
 და მერე კი უცხო სათვის  
 მოემზადეთ, მოიცაღეთ.



ლექსი დაწერილია 1906 წლის 9 ივნისს ქუთაისში.

გაზეთ „იმერეთში“ გამოქვეყნებულია ერთ-ერთი წერილი, რომლის ავტორია „სულხანი“ (ს. ხუნდაძე – რ. ს.). იგი ეხება ს. რობაქიძის მიერ შედგენილი წიგნის „სამშობლოს აღწერა“ მიმოხილვას. ავტორს საგანგებოდ აქვს შეფასებული გამოცემის ენა, სტილი, ახდენს ენობრივ ანალიზს, აღნიშნავს, რომ წიგნის ენა მარტივი, მსუბუქი და ადვილად გასაგებია, გრამატიკულადაც „სწორი და კანონიერია“, თუმცა იშვიათად შეცდომებიც დასტურდება, მაგალითად, „განაგებს ყოველგვარ საქმეს, როგორც, მაგალ. გზების კეთება, ქალაქის განათება. უნდა იყოს: „კეთებას, განათებას (რას განაგებს?), – წერს ავტორი, – სინოტიეს მიხედვით (= სინოტიის), კათოლიკები (= კათოლიკეები), ყველა ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფლებს (= ქუთაისის მახლობლად მდებარე ყველა სოფელს), „ხილით ვაჭრობს“ არ ითქმის, „არამედ ხილს ვაჭრობს“... „ტანსაცმელში გამოწყობილი“ უნდა იყოს „ტანსაცმლით გამოწყობილი“, „მონასტრები ვარძია, საფარა და ზარზმა“ უნდა იყოს „ვარძიის, საფარისა და ზარზმის მონასტრები“. ავტორის აზრით, არ არის სწორი ქართული: ყველა ქალაქები, რამდენიმე დაწესებულებანი, ყველა სასწავლებლები და ეკლესიები მართავენ და სხვა. „რუკაშიც (= ქარტა) რამდენიმე შეცდომაა: კარსი (= ყარსი), ალექსანდროპოლი (ქართულათ გუმბარი), ელიზავეტპოლი (ქართულათ განჯა) და სხვა. იგი მოითხოვს, რომ „ყოველ შემთხვევაში, ორივე სახელწოდება მაინც იქნეს მოხსენებული“.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რა მიაჩნდათ მაშინ ქართული სალიტერატურო ენის ნორმად და რა – არა. გარდა ამისა, ვეცნობით ისეთ თავდადებულ პიროვნებას, როგორიც იყო სილოვან ხუნდაძე. იგი ძირითადად ქუთაისში მოღვაწეობდა, მაგრამ მისი გაბედული სიტყვა მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისა და ქართველი ერის კულტურული განვითარების შესახებ სრულიად საქართველოს ყოველ კუთხემდე აღწევდა. „სილოვან ხუნდაძე ქართული ენის შესწავლის ისტორიაში შევიდა, როგორც ენის კულტურის მოუღლელი მუშაკი, „ტიპური და კლასიკური ნიმუში სალიტერატურო



ენის დამცველისა“ (გ. ახვლედიანი), ბევრი სწორი სიტყვა-გამოთქმის სალიტერატურო ქართულში დამამკვიდრებელი, ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის ერთ-ერთი შემდგენელი“ (ლ. კვანტალიანი, 2009, 79).

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ფურცლებზე ასახულია ენათმეცნიერული შეხედულებანი, მიღწევები ენათმეცნიერებაში. „შინაური საქმეების“ 1908 წლის №2-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია ენის წარმოშობის ბიბლიურ თეორიას მიეძღვნა. აქ დასახელებულია მთელი დასი „ნემეცების და ფრანცუზების რაციონალისტებისა“: შტრაუსი, ფლეიდერერი, გრილლი, ვატტერერი, ეიხორნი, პაულუსი, გაბლერი, იერუხალეში, ჰეგელი, ისტორიკოსი და ლინგვისტი ფრანსუა ლენორმანი და სხვა მრავალი, რომელნიც „დაბადების“ წინააღმდეგ გამოდიან და აღნიშნავენ, რომ მოსეს თქმულების მიღება პირდაპირ, მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა მსგავსად, ყოველად შეუძლებელია, აქ უფრო მითი, ზღაპარია, ვიდრე ნამდვილი ისტორიული ამბავი.

სტატიაში ვრცლად არის გადმოცემული გაბლერის მსჯელობა ენის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. სიუსმელის საწინააღმდეგოდ, გაბლერს შეუძლებლად მიაჩნია ღვთის მიერ ადამისთვის მზამზარეული ენის ერთბაშად გადაცემა. იგი თვლის, რომ თუ ეს ასე მოხდა, ეს ენა იქნებოდა მხოლოდ „ცალიერი ხმები“ (ხმაბაძვითი სიტყვები – რ.ს.), რადგან იმ დროს კაცის თავში ჯერ არავითარი აზრი არ იქნებოდა; თუ თანდათან მისცა ღმერთმა ადამს ენა მისი გონების ზრდის მიხედვით, მაშინ კაცს ორი სული უნდა ჰქონოდა, რადგან იდეების ასოციაცია სულში ძალიან რთულია.

ლესინგი და ტეტენსი ამტკიცებენ, რომ ადამსა და ევას არავითარი ენა არ ჰქონდათ. ღმერთი ედგა მათ უკან სუფლიორივით და ის ასწავლიდა ლაპარაკს. არც ამ შეხედულებას იზიარებს გაბლერი, რადგან მიაჩნია, რომ ადამიანს ლაპარაკის ნიჭი თანდაყოლილი აქვს. ამ ნიჭიერების წყალობით იგი უღმერთოდაც განავითარებდა ენას გარესამყაროდან მიღებული შთაბეჭდილებების საშუალებითა და ზეგავლენით.

„ამნაირათ თუ გვსურს, რომ ენის გაჩენა ღირსეულათ



მივაწეროთ ღმერთს, უნდა ის აზრი მივიღოთ, რომ ენა თვით კაცმა გააჩინაო“, – დაასკვნის გაბლერი. „ასეთი ენის შექმნისთვის, როგორც ცდა გვიჩვენებს, საჭიროა დიდი დრო, ადამი და ევა კი, – განაგრძობს გაბლერი, – ცხოვრობდნენ სამოთხეში სულ მოკლე დროს, შეიძლება რამდენიმე თვე და, ვინ იცის, იქნება რამოდენიმე კვირაც კი. მაშასადამე, შესაძლებელი არაა მივიღოთ, რომ იმ დროს ადამს ესმოდა ღვთის საუბარი და ან თვითონ ელაპარაკნა ასე დალაგებით“.

ქუთაისის პრესა დიდ ადგილს უთმობდა ცნობილ ლინგვისტთა შრომების ანალიზს, გამოხმაურებას ახალი ენათმეცნიერული შეხედულებების თაობაზე და ა.შ.

კ. ჯორჯიკიას წერილების სერია მიეძღვნა ნ. მარის იაფეტურ თეორიას. გაზეთ „იმერეთის“ 1912 წლის რამდენიმე ნომერი (43, 44) დაეთმო კ. ჯორჯიკიას საკმაოდ ვრცელ წერილს „იაფეტური თეორია და მესხ-აფხაზთა ვინაობა“, რომელშიც განხილულია ნ. მარის თეორია, მოცემულია მისი შეფასება. ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნ. მარის ღვაწლს: „ქართული, მეგრული, ჭანური და სვანური ენები ერთმანეთს რომ ენათესავენოდნენ, ეს საიდუმლოებას არავისთვის არ წარმოადგენდა, და არც ამ ენათა ნათესაობის დამტკიცებაშია პროფ. მარის ღვაწლი. მნიშვნელობა მარის ლინგვისტური შრომისა იმაში გამოიხატება, რომ მან დაამტკიცა ყველა ამ ენის – როგორც მან მათ უწოდა – იაფეტური ენათა ჯგუფის ნათესაობა სემიტურ ენებთან და შედარებით-ისტორიული მეთოდით გამოიკვლია უმთავრესი ფონეტიკური კანონები“.

ამავე წერილში აღნუსხულია იაფეტური ენების ის ფონეტიკური და მორფოლოგიური კანონები, რომელთაც ეყრდნობა მეცნიერის ნაშრომი:

1. ქართულ ენას უყვარს თანხმოვნების მოზიდვა სიტყვის თავში, მაგალითად, სიტყვა **ღმერთი** წარმომდგარია „**ღერმთი**“-დან, და, მაშასადამე, აქ **მ** გადამხტარა, სიტყვის თავში მოქცეულა. ეს იმით მტკიცდება, რომ სვანურში ამ სიტყვას უდრის **ღერმეთ** და ჭანურში **ღორმთო**.

2. ზოგს იაფეტურ ენაში (მაგალითად, სვანურში) ყო-



ფილა სუფიქსი **ხ**, მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი; იგი ხშირად გვხვდება სხვადასხვა ხალხების სახელებში, მაგალითად, **ტაონი, კოლხი, სომეხი, მესხი...**

3. იაფეტურ ენებში ხმიერი (მუდერი – რ.ს.) ბგერა **ბ**-ან ხშირად იცვლება საშუალო **ფ**-არად, მაგალითად, ქართ. **კაცები** – მეგრ. **კოჩეფი**.

4. სიტყვის ბოლოში **ს**-ან ხშირად იქცევა **ზ**-ანად, მაგალითად, **სტეფანოს** – **სტეფანოზ**, **თადეოს** – **თადეოზ**.

5. **ზ**-ენ იცვლება ძ-ილად: **ზრახვა** – **ძრახვა**, **ზახილი** – **ძახილი**, **ზროხა** – **ძროხა**.

6. ქართული ენის სახელების თავსართს უდრის მეგრულში **ღო-** ან მარტო **ო-**ნ, მაგალითად, **სა-ხლი-ი**, მეგრ. **ღო-ხორ-ე** (ან **ოხორ-ე**).

7. არქაული **ხ**-ან გარდაიქმნის **შ**-ინად: მაგალითად: **ფხოვი** – **ფშავი**.

8. ქართულ **ზ**-ენს მეგრულში უდრის **ჟ**-ან (**მზე** – **ბჟა**); ქართულ **ს**-ანს – მეგრული **შ**-ინ (**სული** – **შური**); ქართულ ძ-ილს – მეგრული **ჯ**-ან (**ძმა** – **ჯიმა**).

9. ქართული **ა** – სვან. **ე** – მეგრ. **ჰან. ო**.

10. აფხაზურ სახელ-არსებითებს თავში უზის **ა**-ნი. მაგალითად, **ა-ფშქა** (ბავშვი), **ა-ფსი** (სული).

11. ხშირად იაფეტურ ენებში **ბ**-ანი წარმომდგარია პირვანდელ **მ**-ანიდან, მაგალითად, გურ.-იმერ. **ბზე** ქართული **მზე**-დან („იმერ.“, 1912, 43, 2).

იაფეტურ მასალებს ეძღვნება კ. ჯორჯიკიას „ფონეტიკური ეტიუდები“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „იმერეთის“ 1913 წლის №23, 26-ში.

ავტორი განიხილავს შედარებით-ეტიმოლოგიურ მოვლენათა ფონეტიკური თვალსაზრისით უმთავრეს ტიპებს. პირველი პარაგრაფი გენეტიკურად მონათესავე სიტყვათა მარტივ ტიპს ეხება. ასეთად მიჩნეულია ქართ. ძაღლი|მეგრ. ჯოდორი. ავტორის აზრით, ამ მაგალითში სრულებით არის დაცული ფონეტიკური „თანხმობის“ (შესატყვისობის – რ.ს.) ქართულ-მეგრული კანონები. იქვე მოცემულია ბგერათშესატყვისობის სქემაც შესაბამისი მაგალითებით:





ქართ.		მეგრ.
ძ	–	ჯ (რძე – სინჯა)
ა	–	ო (ასი – ოში)
ღ	–	ღ (ღორი – ღეჯი)
ისევე ა	–	ო (კაცი – კონი)
ლი	–	რი (თფლი – თირი)

დასახელებულია ფუძეების აღდგენილი ფორმაც: **\*ძაღალი – ჯოღორი**. კ. ჯორჯიკიას **ძაღალი** ქართული სიტყვის უძველეს ფორმად მიაჩნია. იგი ფიქრობს, „შეიძლება ამგვარი ხმოვანების ჩართვა მარტოოდენ მეგრულის თვისება იყოს, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული, როგორც, მაგალითად, **თაფლი||თოფური, ქმარი||ქომონჯი, წაბლი||ჭუბური, მხარე||მუხური** და სხვ. მრავ.“.

მეორე პარაგრაფში განხილულია ფონეტიკური ასოციაციის (ასიმილაცია, დისიმილაცია...) კანონებით დამახინჯებული გენეტიკურად მონათესავე სიტყვათა ტიპი. ასეთია ქართ. **შეშა||მეგრ. დიშკა**. აქ „ფონეტიკური კანონიერება თანხმობისა“ არ არის დაცული: ქართულ შინს შეუძლებელია შეესატყვისებოდეს მეგრული დონი, თუმცა პარალელის მეორე ნაწილს (**-ეშა||-იშკა**) სრულიად კანონიერი სახე აქვს. შესაძარებლად მოხმობილია: ქართ. **ე – მეგრ. ი (გა-გჭერი – გობჭკირი)**. **შა – შკა (არ მა-უ-შვა – ეს ქართლ-კახური ფორმა ავტორს კანონიერად მიაჩნია, რასაც მეგრულის ნიადაგზე ხსნის: ვა მო-უ-შევა**. ამ ფორმით იხმარება ეს სიტყვა ზემო სამეგრელოს, ზუგდიდის ჩრდილოეთით, სოფლებში). ერთად: **ეშა – იშკა**.

ავტორის დასკვნით, ასეთი ფონეტიკური და სემასიოლოგიური თანხმობა ამტკიცებს, რომ ეს სიტყვა არსებობდა პირვანდელ იაფეტურ ენაში, სანამ ეს უკანასკნელი ქართულ, მეგრულ და სხვა ენებად დაიშლებოდა.

**შ – ღ** ბგერათა „უთანხმოება“ (შეუსაბამობა – რ. ს.) თითქოს ეწინააღმდეგება ასეთ დასკვნას, მაგრამ სიტყვათა მშობლიურობა შეიძლება დამტკიცდეს ე.წ. ფონეტიკური ასოციაციის (ასიმილაცია, დისიმილაცია...) კანონებით.



ავტორი ფიქრობს, რომ ქართული **შ შეშაში** და მეგრულის **დ დიშკაში** წარმოდგება სულ სხვა ბგერათაგან, რომელნიც შეიცვალენ ასიმილაცია-დისიმილაციის კანონებით მახლობელი „ხმის“ (ბგერის – რ.ს.), სახელდობრ, **შ-ს** გავლენით (**შეშა||დიშკა**). ასეთი ასიმილაცია შესაძლებელი რომ არის, ამის ნიმუშად დასახელებულია ენაში პარალელურად ორი ფორმის არსებობა: **სიმშილი** და **შიმშილი**. ავტორს პირველი ეტიმოლოგიურად უფრო სწორად მიაჩნია, რადგან „სი“ სიტყვის თავში წინსართია (მაგალითად, **სიმართლე, სიმაგრე**). **ს შ-თი** შეიცვალა, რადგან ამას მოითხოვდა მომდევნო ბგერა **შ**, რომელიც თავის გვერდით სისინა ბგერა **ს-ს** ვერ იგუებდა. „ეტიყობა ქართველის სმენას უფრო მოსწონს“ ბგერათა ასოციაცია **შ-შ**, ვიდრე – **ს-შ**. ამიტომ უძველესი ქართული „სეშას“ მაგიერ ჩვენ მოგვეცა დამახინჯებული, მაგრამ დღეს უკვე მიღებული ფორმა **შეშა**“, – წერს კ. ჯორჯიკია.

მაშასადამე, **სეშა** ავტორს უძველესად მიაჩნია. **ს-ს** მეგრულში **შ** შეესატყვისება, ამიტომ **შეშა||დიშკა** უნდა შეიცვალოს ასე: **სეშა||შიშკა** (ნ. მარიც მიიხნევდა, რომ **სეშა – შეშა**. მაგალითად, **ასი – ოში, სული – შური, სვანი – შონი, კაცის – კოჩიშ...**).

ამ პარალელების შედარება მიგვაგნებინებს ერთ საინტერესო კანონს: ქართულსა და მეგრულში ფონეტიკური ასოციაციის დარგში ხშირად საწინააღმდეგო მოვლენები ხდება: ქართულში – ასიმილაცია, მეგრულში კი – დისიმილაცია, მეგრულში **შ** იქცა **დ-დ**.

როგორც ჩანს, კ. ჯორჯიკიას მსჯელობას რედაქცია გულისყურით ადევნებს თვალს. იგი შენიშნავს, რომ **შიშკასა** და **დიშკას** შუა უნდა წარმოვიდგინოთ გარდამავალი სახე, თეორიულად სრულიად კანონიერი **ჯიშკა**. **ჯ** დისიმილაციის შემდეგ გვაძლევს **დ-ს** (**ჯ – დჟ**). ამგვარსავე კანონზეა დამყარებული ჭანური **ჩხვინდი** (ცხვირი) არქაული **ჩხვინჯის** მაგიერად. ეს უკანასკნელი დაცულია, როგორც ნასესხები, იმერულ თქმაში **ცხვინჯის** სახით (ვ. ბერიძე).

მეგრული უხვად იძლევა სიტყვებში ფონეტიკურ ასოციაციურ ცვლილებათა მაგალითს:



ა) ქართ. **მო-სვენ-ებ-ა**||მეგრ. **მო-სვანჯ-ა**:

რადგან ქართულში სანი გვაქვს, მეგრულში კანონიერად შინი უნდა ყოფილიყო: **მოშვანჯა**. მაგრამ ეს შინი სანად შეიცვალა ჯანის ასოციაციის ზეგავლენით. ეს ასოციაცია დისიმილაციაში გამოიხატა. ამავე **ჯ** ბგერამ ქართულში **ს-ს** ასიმილაცია მოითხოვა: **სინჯვა – შინჯვა**.

ბ) ქართ. **ცვარი**||მეგრ. **ცუნჯი**:

ქართულ ცანს მეგრული ჩინი შეესატყვისება (**კაცი – კოჩი, ოცი – ეჩი, აღმოცენება – ჩან-აფა**). ამიტომ აღდგება მეგრული არქაული ფორმა „ჩუნჯი“, უფრო არქაულად – „ჩინჯი“. ავტორის აზრით, აქაც დისიმილაცია მომხდარა (**ჩ – ჯ||ც – ჯ**);

გ) ქართ. **ცეცხლი**||მეგრ. **დაჩხირი** (ამ მაგალითის განმარტება მოცემულია ნ. მართან). აქაც დისიმილაციის გავლენაა (**ჩ – ჩხ||დ – ჩხ**, რადგან მეგრული ფორმა წარმომდგარია უძველესი **ჩაჩხირიდან**. ამ ფორმის მიხედვით, ფიქრობს ავტორი, შევსებას საჭიროებს ქართული ფორმაც: **\*ცეცხილი** (შდრ. **\*ძაღალი**).

სტატიის მომდევნო ნაწილში კ. ჯორჯიკია აღნიშნავს, რომ მეგრელის სმენას დისიმილაცია უფრო ეჭაშნიკება, ვიდრე ასიმილაცია, თუმცა ზოგჯერ იგი ამ უკანასკნელსაც მოითხოვს. მაგალითად, სიტყვა **шосце** მეგრელს შეუთვისებია ასე: **შოშე**. ეს სიტყვა სენაკი-ზუგდიდის ფარგლებში სხვადასხვა ფორმით იხმარება: **შოსსე, შოსე, შოშე, სოშე, სოსე**. ავტორი გამოთქვამს რწმენას, რომ ოდესმე, როცა იაფეტური ენათმეცნიერება მიაღწევს თავისი განვითარების იმ წერტილს, რომ ე.წ. ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებს გამოიყენებს, ეს მრავალფორმიანი რუსული **шосце** საინტერესო სახანალიზო ექსპერიმენტად გამოდგება.

ქართულიც მოითხოვს ფონეტიკურ დისიმილაციას. ამის შესახებ დაკვირვება მოცემულია დ. ყიფიანის „ახალ ქართულ გრამატიკაში“. ზედსართავის დაბოლოება **-ური** იცვლება სუფიქს **-ულით**, თუ სიტყვის ფუძეში მოიპოვება **რ**. მაგალითად, **ქართული** (**ქართურის** მაგიერ).

ზემოდასახელებულ მაგალითებში წარმოდგენილი იყო ე.წ. რეგრესული ასიმილაცია-დისიმილაცია. უკანასკნელ მა-



გალითებში **шоссе**||**შოშე**, **ქართური**||**ქართული** კი პროგრესული ასიმილაცია-დისიმილაციაა. წინა ბგერათა (**შ, რ**) გავლენით იცვლება მომდევნო ბგერები (**ც, რ**).

ასეთივე პროგრესული დისიმილაციის ნიმუშია **ჩხვირი**||**ჩხვინდი**. კ. ჯორჯიკიას აზრით, ქართული **რ** წარმოდგება პირვანდელ-იაფეტური (профетическое) **დ**-საგან. ამავე **დ**-საგან მეგრულში წარმოიშვა **ჯ**. მაშასადამე, თანამედროვე ქართულ **რ**-ს შეესატყვისება მეგრული **ჯ** (იაფეტური დონი). მაგალითად: **პირი** – **პიჯი**, **ხარი** – **ხოჯი**... მაგრამ **ცხვირი** – **ჩხვინდი** ფორმაში **ჯ**-ს მაგიერ **დ** გვხვდება. ამას კ. ჯორჯიკია პროგრესული დისიმილაციის კანონით ხსნის: წინმდგომმა **ჩხ**-მ ნება არ მისცა პირვანდელ-იაფეტურ დონს ჯანად ქცეულიყო. ამგვარად აიხსნება მოვლენა, როცა პირვანდელი ენის ფაქტები შეუცვლელად რჩება თანამედროვე ენაში.

შესაძლებელია ერთსა და იმავე სიტყვაში ორივე მოვლენა აღინიშნებოდეს: პროგრესული გავლენაც და რეგრესულიც. ამის ნიმუშია მეგრული **სკასკერი**<**შკასკერი**. იგი ქართული **შვა-ღამის** (შუაღამე) მსგავსად ორი ნაწილისაგან შედგება: **შკა** (შვა) და **სერი** (ღამე). კ. ჯორჯიკიას ვარაუდით, აქედან არის **სერ** შეთვისებული ქართულ საეკლესიო ტერმინში „სერობა“. მეგრულში სანის ზეგავლენით **შკ** გარდაიქმნება **სკ**-დ (რეგრესული ასიმილაცია), შემდეგ ამ უკანასკნელის (**სკ**) ზეგავლენით თვით **ს** ბგერაც შეიცვალა **სკ** „წყვილ-თანხმოვანად“ (თანხმოვანთკომპლექსით – რ. ს.) (პროგრესული ასიმილაცია).

ასეთივეა სიტყვები **ძლიერ** და **ძრიელ**. პირველი უფრო არქაულია, რადგან წარმომდგარია სიტყვისაგან **ძალა**, რომლის წარმოშობას სტატიის ავტორი პოზიციით ხსნის: **ძ** თავის გვერდით **რ**-ს უფრო იგუებს, ვიდრე **ლ**-ს და, რადგან ორი **რ** ერთ სიტყვაში ვერ თავსდება, მეორე **რ** დისიმილირდება, **ლ**-თი იცვლება. ასეთივე მოვლენაა მეგრულ **ირულ-უანს** (იძინებს, ირულავს) და **ლურ-ს**. მათი საერთო ძირია **რულ**. მეგრელის სმენა ვერ ეგუება **ლს**, **ლდ** და სხვა „ბგერათა



შეერას“ (თანხმოვანთკომპლექსებს – რ. ს.). ამ ზმნაში ძირი **რულ** უცვლელად რომ დარჩენილიყო, მიმოხრა (უღლება) გაუჭირდებოდა მეგრულს, რადგან მიიღებდა ასეთ ფორმებს: **ბ-რულს** (მძინავს), **ბრულდ** (მძინავდა). ასეთი კომბინაციების (**ლს, ლდ**) ასაცდენად ეს ფორმები ჯერ რეგრესული ასიმილაციის (**ლდ||რდ, ლს||რს**), შემდეგ რეგრესული დისიმილაციის (**რ-რ||ლ-რ**) გავლენით შეიცვალა ფორმებად: **ლურს, ლურდუ**. მეგრულში არის ფორმები: **ირულუნს, ირულუნდე**.

მესამე პარაგრაფში კ. ჯორჯიკია უცხო ენიდან შეთვისებულ (ნასესხებ) სიტყვათა ტიპს განიხილავს. ასეთია: ქართ. **ჩიტი||მეგრ. ჩიტი**. ქართული **ჩ** და მეგრული **ჩ** ერთმანეთს „გენეტიურად არ ეთანხმებიან“ (ან: ქართ. **ჩი||მეგრ. ჩქ**, ან: მეგრ. **ჩი||ქართ. ც**). ამ სიტყვათა მშობლიურობა ვერ დამტკიცდება ლინგვისტური კანონებით. ამიტომ ისინი, ავტორის აზრით, უცხო ენიდან შემოსულად უნდა ჩაითვალოს. თუ არც ერთ უცხო ენაში არ აღმოჩნდა ამდაგვარი სიტყვა, მაშინ, ცხადია, ერთ მონათესავე ენათაგანს შეუთვისებია მეორისგან. ასეთივეა **კატა – კატუ** და სხვა.

მეოთხე პარაგრაფი ფსიქოლოგიური მოვლენებით დამახინჯებულ სიტყვათა ტიპს ეთმობა. ფსიქოლოგიურ მოვლენებს ავტორი ორ კატეგორიად ყოფს: 1) ფსიქოლოგიური ასოციაციის ანუ ანალოგიის ფაქტები, 2) ბგერათა ფსიქოლოგიის ფაქტები.

ანალოგიის დროს ბრძანება, რომ ესა და ეს ბგერა შეიცვალოს ამა და ამ ბგერით, პირდაპირ ტვინიდან მოდის. ამიტომ არის მოვლენა ფსიქოლოგიური. ბგერათა ცვლილებას ფიზიოლოგიურ ნიადაგზე იწვევს ასოციაცია ან ურთიერთგავლენა ბგერათა, რაც ადამიანის სმენას ერთმანეთთან მონათესავედ ეჩვენება. ამიტომ მოვლენა წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა. ცვლილება ფსიქოლოგიურ ნიადაგზე კი გამოსწვეულია ასოციაციით ან სიტყვის ფორმათა ურთიერთგავლენით. ავტორი აღიარებს, რომ, რადგან თვითონ იაფეტიური ენების შედარებითი მორფოლოგიის მცოდნე არაა (მისივე თქმით, ეს



დარგი იმხანად არ ყოფილა სრულად გამოკვლეული), იაფეტურ ენებში ანალოგიის ფაქტების აღნიშვნა უძნელდება.

კ. ჯორჯიკიას სიტყვა **ლურის** (ძილი, რული) **ლურ** ძირის დამახინჯებულ ფორმად მიაჩნია. მისი აზრით, ფსიქოლოგიური ასოციაციის შედეგად თვით მთავარი ფორმა **რული** დაემსგავსა ფორმებს **ლურს**, **ლურდუ** და გარდაიქმნა **ლური** ფორმად. ამგვარ მოვლენას, მისი განმარტებით, სპეციალური ლიტერატურაში ასსონაცია (ассонация) ჰქვია.

ავტორს ფსიქოლოგიურ მოვლენად მიაჩნია ე.წ. „ხალხური ეტიმოლოგია“, რაც იმაში გამოიხატება, რომ მდებარეობს ამახინჯებს სიტყვას, მისთვის უცნობს, რათა დააკავშიროს იგი რომელიმე განსაზღვრულ, მისთვის გასაგებ ცნებასთან. ამის ნიმუშია „ქუთათურთა ენის“ სიტყვა „გულ-ვარდი“ = вульварь. მეორე ნაწილი უცხო სიტყვისა გარდაიქმნა ყვავილად, ვარდად, ხოლო პირველი ნაწილი რას გამოხატავს, უცნობია. „იქნებ ქართულ გულს, სპარსულ გულს (= ვარდი) თუ ძირს მეტად გრაციოზული სიტყვა „გულაობისა?!“ – წერს ავტორი.

მართალია, კ. ჯორჯიკიას „ფონეტიკური ეტიუდები“ მეცნიერულ სიღრმეს მოკლებულია და მასში გადმოცემული სოციოლოგიური მოსაზრება, შეხედულება – ენათმეცნიერებისთვის მიუღებელი, მაგრამ მაინც საინტერესოა. რაც მთავარია, მასში აღიარებულია მეგრულისა და ქართულის საერთოქართველური ენიდან, ერთი საერთო ფუძეენიდან მომდინარეობა და ამ გენეტიური ნათესაობის დამამტკიცებელი მასალაც უხვად არის მოხმობილი.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში ასახულია ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა, პაექრობა ენობრივ საკითხებზე. ამ მასალების გაცნობა წარმოდგენას გვიქმნის, რა მიაჩნდათ მაშინ ქართული სალიტერატურო ენის ნორმად და რა – არა.



### 1.3. ტერმინოლოგიური პიუზანი

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში გამოჩენილმა მოღვაწეებმა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა, ევრემ მცირემ, იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან თარგმნის ბრწინვალე ნიმუში მოგვცეს. მათ მიერ შემოღებული ბევრი ტერმინი დღესაც ერთადერთია. მაგალითად: გრძნობა, მეტყველება, არსი, მეცნიერება, შემეცნება, აგებულება, გონიერი, უპირატესი, ნივთიერი, არარაობა, ცნობიერება, ჭეშმარიტება, მოძღვრება, ურთიერთობა, იგივეობა, მსგავსებითი, ხილული, უმეცრება, შესატყვისობა...

ქართული სალიტერატურო ენის ტერმინოლოგიური ლექსიკით გამდიდრებაში დიდი წვლილი შეიტანეს სულხან-საბა ორბელიანმა, დავით რექტორმა, იოანე ბაგრატიონმა, ანტონ კათალიკოსმა, ნიკო და დავით ჩუბინაშვილებმა, ილია ჭავჭავაძემ, რაფიელ ერისთავმა... (რ. დამბაშიძე, 1972, 14).

ქართული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე XX საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია. ეს არის ეპოქა ძველისა და ახალის შეჯახებისა, აზრთა ჭიდილისა... ამ შეხლა-შემოსხლაში იკვეთება ბევრი სიახლე, რაც, ბუნებრივია, დამკვიდრებას ღამობს. ანალოგიური პროცესი შეიმჩნევა ტერმინოლოგიურ სფეროშიც. ბევრ ტერმინს დიდი ხანია, მივიწყების ბურუსი ფარავს, ბევრიც ეს-ესაა წარსულს ჰბარდება. ქართული ენის მოამაგენი, ღრმა ეროვნული თვითშეგნების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, საგანგებოდ ზრუნავენ როგორც ნამდვილ ქართულ ტერმინთა დაცვისათვის, ისე ახალ ტერმინთა შექმნისა და გავრცელებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესა საკმაოდ მდიდარ მასალას გვაწვდის იმდროინდელ ტერმინოლოგიურ ძიებათა შესახებ.

ქართველი ხალხი ბიბლიურ წიგნთა თარგმანებს უძველეს დროში გაეცნო. საუკუნეთა განმავლობაში შემუშავდა მდიდარი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაც, თუმცა ორიგინალურ ტერმინთა პარალელურად შეიმჩნეოდა და დღესაც შეიმჩნევა უცხო ტერმინთა გამოყენება.



ორიგინალური სასულიერო ტერმინოლოგიის შემუშავებას, საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე შემოღებასა და სახელმძღვანელოების თარგმნას XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ამ საკითხებს შეუვნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართველი სამღვდლოების ყოველკვირეული ორგანო „შინაური საქმეები“. გაზეთის რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე არა მხოლოდ მოითხოვდა, არამედ ზრუნავდა კიდევ ქართული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ ტერმინთა შექმნისათვის. იგი თარგმნიდა უცხოურ ლიტერატურას (ხშირ შემთხვევაში „ბოსლეველის“ ფსევდონიმით. ს. მჭედლიძემ თავის ერთ-ერთ ფსევდონიმად აიღო ბიძის, ცნობილი პუბლიცისტის, ესტატე მჭედლიძის (მოკლეს 1885 წელს) ფსევდონიმი „ბოსლეველი“), აქართულებდა ტერმინებს, იძლეოდა ახალი და ძველი ტერმინების განმარტებას და ა. შ. მაგალითად, **ატეისტი** მის მიერ ასე არის განმარტებული: ღვთის უარმყოფელი, ურწმუნო: „... მან მაინც უარჰყო ძველი მამაკაპური სარწმუნოება და შეიქმნა, როგორც ლაპარაკობენ ახლა, ატეისტი“ („შინ. საქმ.“, 1908, 11, 5); **შემეცნება – познание**: „შე დაგიხატე თქვენ რამდენიმე ხაზით კაცობრიობის შემეცნების (познание) წინსვლა“ (იქვე, 6); ვრცლად არის განმარტებული ტერმინი **მყოფი** ს. მჭედლიძის („ბოსლეველის“) თარგმანში „პროფესორ მაქს მიულერის ახრი მატერიალიზმზე“: „1. მისთვის, რომ ჩვენ აქ დედამიწაზე მიგველო დასაბამი, უნდა ყოფილიყო ის, რასაც უნდა დაეწყო, რაც უნდა იყოს იგი გაღია (клеточка), თუ მყოფი – ყოლიფერი, რასაც ჩვენ „მე-ს“, პიროვნებას, ხასიათს და სხვას ვეძახით, ვითარდებოდა დედამიწაზე, ეს ყოლიფერი მიწიერია, ხოლო მყოფი არ არის მიწიერი. თუ ჩვენ აქ დედამიწაზე სრული კმაყოფილი ვიყავით ამ მყოფით, თუ ჩვენ ყოველი ჩვენ საყვარელ არსებებში გვიყვარს მხოლოდ უკვდავი მყოფი და არა უბრალო მოვლენანი, რა არის დაუჯერებელი, რომ მომავალ ცხოვრებაში იგივე იქნეს, რომ არსებობა არ შესწყდეს და რომ მყოფი ხელ ახლა იწყებს გამოჩინებას, თუნდაც, რასაკვირველია, ახალ, უცნობი სახით, რაც ჩვენ არც კი გვსიზმრებია; 2. მხოლოდ ერთი რამ, რაც დაუსაბამოა და დაუსრულებელი,





რაც იმყოფება ყოველ ჩვენგანში, რაშიდაც თითოეული ჩვენგანი ჰპოვებს თვით ჭეშმარიტ არსებობას... 3. მყოფს, ღვთაებრივ ნაწილს ჩვენში არ შეიძლება ექნეს არც დასაბამი და არც დასასრული“ (,შინ. საქმ.“, 1908, 13, 7-8).

„შინაური საქმეების“ ფურცლებზე დაიბეჭდა „სარკინელის“ სტატია „სადვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში“. „დიდებული მეცნიერი ანტონ კათალიკოზი რომ სთარგმნიდა ქართულს ენაზე სახელმძღვანელოებს, რას აშავებდა?“ – წერს ავტორი. სთარგმნი ლიტერატურის წყაროდ მას მიაჩნია საეკლესიო მუხეუმი, სემინარიისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავები. მისი აზრით, ძველი ქართული ხელნაწერებიც დიდად დაეხმარება მთარგმნელს სადვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შექმნაში. ავტორი წუხს იმის გამოც, რომ, თუმცა გაზეთ „მწყემსის“ 1907 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა სტატია ქართული სადვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ, მისთვის „ხმა ჯერ არავის აუბამს“.

„შინაურ საქმეებში“ დაბეჭდილია რეცენზია არქიმანდრიტ ნესტორის (ყუბანეიშვილის) წიგნზე „ახალი აღთქმის ისტორია“. რეცენზენტი ეხება ახლად გამოცემული წიგნის ღირსებას, იქვე მოცემულია კრიტიკული შენიშვნები, დასახელებულია ტერმინები **იულიელი, იუდეა, იულიელთა ქვეყანა**, რომლებიც ხშირად არის გამოყენებული როგორც საღმრთო ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებში, ისე დასახელებულ გამოცემაშიც. ავტორის აზრით, მათი გავრცელება რუსული ენის გავლენა უნდა იყოს. იგი მოითხოვს, დაცულ ექნეს ქართული სახარების ტერმინები: **ურია, ურიასტანი**: „*პრქუა უფალმან მოსრულთა მათ მისსა მიმართ ურიათა*“, „*კითხვიდეს მას ურიანი*“, „*მოვიდა იესო ურიასტანს*“ (1910, 27).

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ახალ გამოცემაში **შესაკრებლის** მაგიერ წერია **თორა**. „რასაკვირველია, სიტყვა „თორა“ უფრო მისახვედრი და გასაგებია ქართველისთვის, ვიდრე „სინაგოგა“, რომელიც იხმარება სხვა სახელმძღვანელოებში,



– წერს იგი, – მაგრამ, ჩვენი აზრით, სახარებაში გამოყენებული „შესაკრებელი“ აჯობებდა“ (იქვე).

ტერმინოლოგიური სიტყვულე თვალშისაცემია ბიბლიურ წიგნთა თანამედროვე გამოცემებშიც.

„მინაურ საქმეებში“ გამოკვეთილია ნასესხები ტერმინებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. ასეთია: **ახალთაობა, სოციალდემოკრატია, არგანისტაცია, პრაპაგანდისტი, კამიტენტი, სულაგანი ან სურგანი...** „ამ ტერმინებს ხალხი ასე ხმარობს და მეც დავიცევი ეს ხმარება ასე“, – წერს „ქვაციხელ-საბაჟოელი“ (1908, 14, 5).

„მინაური საქმეები“ სხვა დროსაც გარკვეულ ადგილს უთმობს ტერმინოლოგიურ საკითხებს. რედაქტორი ს. მჭედლიძე თავის წერილში „ბ. ახელის მოკლე შენიშვნის პასუხად“ უყურადღებოდ არ ტოვებს შენიშვნას ტერმინ **ვიწროს** შესახებ: „ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნახმარია: ვიწროც და იწროც. ამიტომ მიუხედავად ახელის კითხვითი ნიშნისა, ორივე ფორმას განურჩევლად ვხმარობ“ („შინ. საქმ.“, 1920, 27).

ტერმინოლოგიურ საკითხებს ეხება გაზეთ „იმერეთში“ „კვირიკეს“ (დავით მესხი) ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „კვირიკე“. მასში საუბარია სიტყვის ფორმის მნიშვნელობაზე: „ფორმა – იგივე სიტყვაა, სიტყვა ლამაზი, მომხიბლავი და მომაჯადოებელი წამისად... სიტყვა გულია, სიტყვა სულია... უკეთუ სულსა და გულში არ მოგზავდა იგი, რაც გინდა ლამაზსა და კოხტა ფორმაშიც არ უნდა ჩამოაყალიბო, ბოლოს ყალბი გამოვა, რაკი ამ სულსა და გულს საბოლოოდ ვერ მოინადირებს... ხალხი დიდი გულისა და სულის პატრონია, ცუდ მონადირეს მალე იცნობს და სულ კუდით ქვას ასროლიებს“ (1912, 16). ავტორი მკითხველს სთავაზობს ახალ ტერმინს. ეს არის **შიგნიტიკური** (შინაგანი – რ. ს.), რომლის მსგავსი მას არ ამოუკითხავს „არც ჩუბინაშვილის ლექსიკონში და არც ბ. ბ. ილ. ჭყონიასა და არც ვ. ბერიძის იკლიკანტურ სიტყვათა კონაში“ (იქვე).

ტერმინოლოგიურ ძიებათა ისტორიისათვის საინტერესოა ჟურნალ „განთიადის“ მასალაც.



ბიოსამედიცინო ტერმინებს ეხება იაკ. ფანცხავას „ცხოვრება და მეცნიერება“ (1915, 3). ავტორი განიხილავს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებულ სტატიას „უჯრედი და ქსოვილი. ადამიანის ანატომიის შესავალი“ (მკურნ. ს. კახიანი და სტუდ. პ. ქავთარაძე). შესავალში იაკ. ფანცხავა აღნიშნავს: „ისეთი ტერმინების შესახებ არას ვიტყვი, რომელიც, ჩემი აზრით, მოსაწონი და მისაღებია. ავნიშნავ მხოლოდ ისეთ ტერმინებს, რომელიც... შეწყნარებული და მიღებული არ უნდა იქნეს. ასეთი ტერმინების შეთანხმებით გასწორება ახლავე საჭიროა, სასარგებლოც და აუცილებელიც“. ეს ტერმინებია:

**თეთრი სორსლები** (დეიკოციტები – რ. ს.) – იაკ. ფანცხავა **სორსალს** ამჯობინებს **სირსვალს**. **სირსვალი** ცერცვის მარცვალს ჰქვია. სისხლის წითელი წინწკლები, მისი აზრით, თავისი ფორმითა და მოხაზულობით ძალიან წააგავს სირსვალს: სისხლის წითელი წინწკლი მთლიანი, ხორციანია და გვერდები შეჭყლეტილი აქვს, ბისკვიტის მაგვარია, ამიტომ სრული მსგავსება აქვს სირსვალთან. ადრე ამ ტერმინის მნიშვნელობით იაკ. ფანცხავას გამოუყენებია **ბუშტი**, მაგრამ შემდეგ შეცდომად ჩაუთვლია, რადგან, მისივე თქმით, „ბუშტი სრულებით გვრალია და შიგნით ცარიელია... სორსალიც არ გამოდგება, რადგან ეს მოგუნდავებული ნაფლეთი რამ არის“. საბოლოოდ, ავტორი უპირატესობას ისევ **სირსვალს** ანიჭებს და დასძენს, ფიზიოლოგიაშიც ხშირად წითელ წინწკლებს ცერცვის მარცვლებს შეადარებენ ხოლმეო. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში **წინწკლების** მაგივრად დამკვიდრებულია **ბურთულაკები**;

**მოციმციმე ეპიტელს** ავტორი **ბეწვიან ეპიტელს** ამჯობინებს;

**შემაერთებელი ქსოვილი** უნდა შეიცვალოს **შემაკავშირებელი ქსოვილით**, რადგან ეს ქსოვილი, ავტორის აზრით, მართლაც მჭიდროდ, მტკიცედ აკავშირებს და არა აერთებს მხოლოდ; შეერთება ისეც შეიძლება, რომ საგანი მეორეზე დაშორებული იყოს;



**სასუნთქავი მილი|სასუნთქავი ყელი** – ამ ტერმინს იაკ. ფანცხავა ამჯობინებს **სასუნთქავ ყიას**. მისი არგუმენტაციით, ეს უკანასკნელი ნამდვილი ქართული სიტყვაა და ქართულ მწერლობაში დიდი ხნიდან ხმარებული. იგივე სიტყვა აღნიშნულია სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, ცოცხალ მეტყველებაში. **ყიამყრალიაო**, იტყვიან კაცზე, რომელიც ყველას კიცხავს და არავისზე კარგს არ ამბობს;

ანალოგიურად, **пищеводь** უნდა გადმოიცეს ტერმინით **საყლაპავი ყია**;

**пласт**-ის გადმოსაცემად **ერთფენიანი** არ ვარგა. მიზანშეწონილია **-ფა** ნაწილაკიანი ფორმა. ორი ან რამდენიმე ერთად შეგრეხილი ძაფის შესახებ უნდა ითქვას: ერფა, ორფა და სხვა ძაფით;

**უდრეკი** არ არის **ელასტიური**. **უდრეკი** ის არის, რომელიც მართლაც არ იდრიკება, არ მოიღუნება. ასეთი საგნის მხოლოდ გადატეხა შეიძლება. **ელასტიური** კი ის არის, რომელიც ძალის მიმართულებას მიჰყვება ხოლმე, საითკენაც ძალა ეზიდება, საგანიც იქით გადაიღუნება, გადაიხრება, ძალა გაქრება და ელასტიური საგანიც წინანდელ მდგომარეობას უბრუნდება თავისთავად. ასეთი საგნის შესახებ, იაკ. ფანცხავას აზრით, უნდა ითქვას **მოქნილია** და არა **უდრეკიო**. მაგალითად, თასმა მოქნილია. ძალზე მოქნილ თასმას კი **უწყვეტი** უნდა ეწოდოს;

**კენჩხო** პროვინციალიზმია. გავრცელებული ტერმინია **კეფა**;

**ხოჭოს მსგავსი ხდება** კი არა: **ხოჭოს ტანის გარე მოქცეულის მაგარი კანის მსგავსი ხდება**. ამ კანს – **ხოჭორს** (ХИТОНЬ) ხალხი **დოხოკონს** უწოდებს. სულხან-საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში ეს სიტყვა ისეა განმარტებული, თითქოს სადაფის მკეთებელს ნიშნავდეს. ხალხი ამ სიტყვით აღნიშნავს გველის, ხვლიკისა და ხოჭოთა მაგარ კანს. ავტორი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ამ ტერმინს პირველად ასეთი შინაარსიც ჰქონდა, მაგრამ ხალხმა შეუცვალა მნიშვნელობა. ამიტომ ჩვენც ასე უნდა მივიღოთ ეს ტერმინი;



ჯოხის მაგვარი უნდა შეიცვალოს ჩხირის მაგვარით, რადგან ჯოხი „ნამეტანი დიდი რამეა ამ საგნის გამოსახატავათ“ (იაკ. ფანცხავა);

**ხმელ-ძარღვი** არის **сухожильные**-ს პირდაპირი თარგმანი. იაკ. ფანცხავას აზრით, არ იყო საჭირო თარგმნა, რადგან სულხან-საბას ლექსიკონში მოიპოვება ტერმინი **მყესი**, რომელიც ზედგამოჭრილია ამ ცნების გამოსახატავად (1. მყესნი – მომზიდველი თაგუნი ძარღვთანი: „მყესნი არიან მომზიდველნი თაგუნი, რომელ არს ძარღვნი“; 2. თაგუნი (თაგენი) – სხვილ(ნი) ძარღვნი. შდრ. მყესნი – სულხან-საბა). გარდა ამისა, ქართულად სრულებით არ ვარგა ტერმინი **ხმელ-ძარღვი**. თუ ძარღვი ხმელია, ცხოველი მკვდარია. თუ ძარღვი ხმელი შეიძლება, ჩანს, ნედლი ძარღვიც არსებობს. „თუ გაუჯიუტდებით და მყესს არ მივიღებთ, მაშინ ხმელ-ძარღვს ისევ მშრალი ძარღვი ემჯობინება“, – დასძენს ავტორი. თანამედროვე ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულია **მყესი**.

ტერმინოლოგიური ძიებანი აისახა იაკ. ფანცხავას კიდევ ერთ წერილში. იგი დაბეჭდილია რუბრიკით „ბიბლიოგრაფია“ და ეხება დ. ახვლედიანის წიგნს „ჩარღვ დარვინი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“ („განთ.“, 1915, 7, 23).

იაკ. ფანცხავა წიგნაკის ავტორს შენიშვნას აძლევს: „ბ-ნი ახვლედიანი ტერმინების ძალიან რყევას განიცდის. ერთი და იმავე ცნების გამოსათქმელათ იგი სხვა და სხვა სიტყვებს ხმარობს. ეს მრავალსიტყვაობას ბადებს, ტერმინის სიმტკიცეს კი ძალზე ხელს უშლის. ხანდახან კი ორი სხვა და სხვა ცნების გამოსათქმელათ ერთი და იგივე ტერმინია ნახმარი. ეს კი წაკითხულის გაგებას აძნელებს. ეს ორი გარემოება – დიდი მნიშვნელობის ნაკლია ასეთი სახალხო წიგნაკისათვის...“ ავტორი ეხება ტერმინებს:

**ძუძუთ-ზრდილი** და **ძუძუიანი** – ეს ორი ტერმინი, იაკ. ფანცხავას აზრით, უდრის რუსულის ერთ ტერმინს **млекопитаю-щая**. პირველი პირდაპირი თარგმანია რუსული ტერმინისა, მეორე კი – ლათინურისა (**mamalia**). ტერმინ **ძუძუიანს** სჯობია **ძუძუებიანი**, რადგან იგი შეეფერება საერთაშორისო (ლათინურ) ტერმინს;



**დასამარებელი, დასამარებულ-დამიწებელი, დამიწე-  
ბულ-დასამარებული, დამიწებელი, ცხოველთა გაქვავებუ-  
ლი ნაშთი, გაქვავებული ძელები, დამიწებულ-გაქვავებული,  
დამიწებულ-გაქვავებული სამთხრებლო...** აქ რუსული ტერმი-  
ნის **искапаемое**-ს გამოსათქმელად მთელი ღექსიკონია გამო-  
ყენებული. ავტორი უარყოფს ამგვარ მრავალსიტყვაობას და  
მისაღებად მიაჩნია ტერმინი **სამთხრებლო**;

პარალელურ ტერმინთაგან: **გვართა წარმოშობა|მოდგმათა  
წარმოშობა** უმჯობესია **გვართა წარმოშობა** (იაკ. ფანცხავა);

**მოსინაურებული ცხოველები და შეკეთებული მცენარე-  
ბი...** ეს უკანასკნელი ყოველად უფარვისად მიაჩნია იაკ. ფან-  
ცხავას. ამ სიტყვით აღნიშნულია ის მცენარეები, რომელნიც  
აღამიანს მოშენებული ან გაშენებული აქვს და რომელთაც  
იგი თავის ბაღში, ეზოსა და ყანაში რგავს, თესავს და მო-  
ჰყავს. უნდა იყოს: **მოშენებული მცენარეები**;

**არა-ორგანოვანი და ორგანოვანი|ორგანული ბუნება** –  
იაკ. ფანცხავასთვის მისაღებია **ორგანული ბუნება**;

**წყალ ვარდნილი** – ავტორი მოითხოვს, თავი დავანებოთ  
ასე უხეშად გადმოთარგმნილ სიტყვებს და გამოვიყენოთ ნამ-  
დვილი ქართული გამოთქმა **ჩანჩქერი**. აღსანიშნავია, რომ  
ვ. თოფურიასა და ს. ყაუხჩიშვილის „რუსულ-ქართულ ღექ-  
სიკონში“ (1956წ.) შეტანილია ორივე ტერმინი: **водопад** – ჩან-  
ჩქერი, წყალვარდნილი;

**ასცილიათა მატლები და ნიადაგის შემუშავება მატლე-  
ბით...** ერთი და იმავე სიტყვით (**მატლები**) გამოთქმულია ორი  
სხვადასხვა ცნება: **личинка** და **червь**. პირველ შემთხვევაში  
სრულებით შესაფერისია ტერმინი **მატლი**, ხოლო მეორეში  
ავტორს უნდა გამოეყენებინა ტერმინი **ჭია**. დარვინმა გამო-  
იკვლია სწორედ ჭიათა მნიშვნელობა ნიადაგის დამუშავე-  
ბასა და დაფოროვებაში (იაკ. ფანცხავა);

**ჩასახულება|ჩანასახი|განსახულება** – ამთგან ავტორი  
**განსახულებას** ამჯობინებს, რადგან, მისი აზრით, არსებობს  
უამრავი ცხოველი, მაგალითად, ფილოქსერა, რომელშიც  
ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობის პროცესი განსხვავე-  
ბულია: ახალი ცხოველის აგებულება დედალი ცხოველის  
სხეულში თავისთავად განისახება. ამიტომ აქ შეუძლებელია



ტერმინ **ჩაისახებას** გამოყენება; თანამედროვე ქართულში დამკვიდრებულია **ჩანასახი**;

**ნაკუჭა** – **желудочекь**. ეს ტერმინი აღნიშნავს გულის წვერს. გულსა და კუჭს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს. ამიტომ ავტორს **ნაკუჭა** გულის წვერის შესაფერის ტერმინად არ მიაჩნია. გულის ნაწილების აღსანიშნავად იგი იყენებს ტერმინებს: **წინა-გული** – **предсердые** და **უკანა-გული** – **желудочекь**. **предсердые** ლათინურად არის **atrium**. ასე უწოდებდნენ რომაელები სახლის აივანს, წინკარსაც.

ტერმინის სიზუსტე იმითაც მტკიცდება, რომ გული არის შუა ადგილი სისხლის მიმოქცევისა. სისხლის ყოველი ნაწილი და ამ სისხლის სირსვლები (ბურთულაკები – რ. ს.) პირველად წინა-გულს ხვდება და გაივლის მას, შემდეგ კი აქედან გადაეცემა უკანა-გულს. ამიტომ სისხლისა და სისხლის სირსვლებისთვის **предсердые** წინა-გულია, წინ გასასვლელია, **желудочекь** კი უკანა-გულია, უკან გასასვლელია. ავტორი რუსული ტერმინების უხერხულობაზეც მიუთითებს. მაგალითად: **желудок** – კუჭი და **желудочекь** – უკანა-გული, გულის წვერი სრულიად გამოუსადეგარი ტერმინებია. „ამ სიტყვებს თუ გავარჩევთ, აღმოვაჩნეთ, რომ ეს ორი სიტყვა ნიშნავს რკოს – **желуд**. აქედან კი კნინობითი სახელია წარმომდგარი **желудокь** – კუჭი და კიდევ უფრო დაკნინებული სახელი **желудочекь**. „ახლა იკითხავთ, რა აქვს საერთო რკოსა, კუჭსა და გულს?! არაფერი, მარა ახლა რუსული ლიტერატურა ამის უხერხულობას, ამის შეუფერებლობას როდი ამჩნევს, არც უკვირდება ამას. ერთხელ ასეა მიღებული, მორჩა და გათავდა!“

**ნაკუჭა** გულის წვერს სრულებით არ შეეფერება, რადგან მკითხველი ამ სიტყვის წაკითხვისას წარმოიდგენს, რომ ეს **ნაკუჭა** რაღაც პატარა და მცირე კუჭიაო, რომელიც ამასთანავე კუჭში ან კუჭთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მაშასადამე, ავტორი ცდილობს დაამკვიდროს ტერმინები **წინა-გული** და **უკანა-გული**. სრულიად სამართლიანად არ მიაჩნია მას მისაღებად რუსული ტერმინების პირდაპირ თარგმნა: „რუსული **пищеварительный канал** რა გამოთქმაა? სრულებით სინამდვილეს არ შეეფერება. პირდაპირ რომ



გადმოვთარგმნოთ, იქნება: საჭმლის მომხარშავი მილი. ახლა ყველამ იცის, რომ ჩვენი კუჭი და ნაწლავები საზრდოს როდი ხარშავენ, არამედ ინელებენ, ითვისებენ. ასე უხერხულია რუსული ტერმინოლოგია(ც-კი“. ამიტომ, იაკ. ფანცხავას აზრით, ზედმეტად არ უნდა ჩავეუიკრიკიტოთ ტერმინებს, უმჯობესია, გამოვიყენოთ და გავავრცელოთ ერთხელ ვინმესგან ხმარებული ტერმინი.

ჟურნალ „განთიადის“ ერთ-ერთ ნომერში განმარტებულია ტერმინი **ქაჯი**: „**ქაჯი** სომეხთათვის მხოლოდ ღონიერს იტყვის, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა საარაკო გრძნეულ რასმე უნდა ნიშნავდეს. ასეთია მათი სიტყვა **ქაჯაჰავ**, სახელი ირისის ანუ ეგვიპტური საარაკო მფრინველისა. ქართულად კი, უფრო ერთ შემთხვევაში, **ქაჯი** საარაკო ნაოცნებარი გრძნეული სულიერია (მდრ. „ვეფხისტყაოსნისეული“ განმარტება **ქაჯისა** – რ. ს.), იმერეთში აღის მსგავსი“ (1915, 14).

ტერმინოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით ჟურნალ „განთიადში“ იაკ. ფანცხავა მიმოიხილავს ს. ნ. ყიფშიძის სტატიას „საუბარი ტვინის შენობისა და ფუნქციის შესახებ“: წინადადებაში „ეს ნახატი წარმოადგენს ადამიანის ხელს, ხელი მოღუნულია იდაყვში“ გამოყენებული ტერმინი **ხელი** ავტორს სამართლიანად არ მიაჩნია მიზანშეწონილად. მის მაგიერ უნდა იყოს **მკლავი**. იდაყვში მოიღუნება ხელი კი არა, მკლავი. რუსული **рука** = მკლავსაც და ხელსაც, ხოლო ქართული **ხელი** = რუსულ **кисть руки**;

**მხარის ძვალი** – რუს. **Плечевая кость**. ქართულად ჰქვია **ყელივი** (საბა);

**წინა მხარის ძვალი** – უნდა იყოს **ბეჭის ძვალი** ან **ბეჭი**; **გრძნობის ნიჭი** კი არა **შეხების ნიჭი**.

რადგან ს. ყიფშიძის წიგნში არეულია მთელი ანატომიური ტერმინოლოგია, ამიტომ ავტორი მოკლედ ჩამოთვლის იმ ტერმინებს, რომლებიც ადვილად გამოსათქმელია, ხალხისთვისაც გასაგებია და მწერლობაშიც იხმარება:

**ბეჭი** – **лопатка**;

**ყელივი** – **Плечевая кость**;

**მაჯის ძვალი** – **лучевая кость**;

**წყრთის ძვალი** – **локтевая кость**.





შემდეგ ავტორი ისევ აგრძელებს მკურნალ მ. ყ. ცეცხლადის სტატიაში „დაამიანის სქესობრივი ცხოვრება“ დადასტურებული ტერმინების მიმოხილვას:

**სამამო, სადედო** – უნდა იყოს: **სამამრო, სადედრო**;

**გერმაფროდიტი** – ქართულად **აკუმი**. სულხან-საბა: „აკუმი ესე არს არც მამალი, არც დედალი, გინა ქალი ბუნებით ქმრისაგან გა(ნ)უხრწნელი“;

ფუტკერების დედას ქართულად **დედო** ჰქვია და არა **დელოფალა**;

**სქესობრივი ლტოლვილება** – უნდა იყოს **სქესობრივი მისწრაფება**, რადგან **ლტოლვილება** განშორებას ნიშნავს...

ჟურნალ „განთიადის“ სხვა სტატიებშიც ჩანს ტერმინოლოგიური ძიებანი. მაგალითად:

**სამარადისო** და არა **მარადიული** (მარადიული პრობლემა, მარადიული ცვალებადობა...).

**შეთანწონილება** – რუს. **равновесие** და არა **თანშეწონილება**. „თან“ უნდა იქნეს მოქცეული მეორე შორისდებულის **შე**-სა და სიტყვას შორის. ეს არის კანონიერი წარმოება სიტყვისა, როგორც სხვა ამისთანა სიტყვებში: **შეთანასწორება, შეთანხმება** და სხვა. პირდაპირი თარგმანი კი – **წონასწორება** (ვლ. ლორთქიფანიძე, ვ. წერეთელი...) არ ვარგა“.

ჟურნალ „განთიადის“ ერთ-ერთ ნომერში ახსნილია ტერმინები **დაბა** და **უდაბნო**: „საქართველოში ძველი დროიდანვე მიღებული იყო უდაბნოებათ წოდება მონასტრებისა. იმნაირი დიდებული მონასტრებიც კი, როგორც არიან გელათის, ოპიზა და სხვა, ატარებდენ უდაბნოს სახელს. ასეთი სახელი მაშინდელ მონასტრებს კიდევაც შეეფერებოდა. ეს წარმოდგა იქიდან, რომ ძველ ქართველ მოღვაწეებს ჩვეულებათ ქონდათ სამონასტროთ აერჩიათ იმნაირი ადგილი, რომლის ახლო მოსახლეობა არ იყო. ტერმინი „დაბა“ ნიშნავდა ადგილს, რომელიც დასახლებული ანუ კაცის ხელით დამუშავებული იყო, „უდაბნო“ კი – დაუმუშავებელს, რომელსაც ჯერ კაცის ხელი არ შეხებია“ („განთ.“, 1915, 3, 21).

ჟურნალში მოცემულია ტოპონიმების ახსნაც. სტატიაში „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (ავტორი „ამბერი“) აღნიშ-



ნუღია: „ნაქერალა ერთი ნაწილია იმ მთაგრეხილისა, რომელიც სხვა და სხვა ადგილას, სხვა და სხვა სახელწოდებით არის ცნობილი. მაგ. წმიდა გიორგის მთა, გათხრილი, ნაქერალა, საღორე, გარჯილა, ნაჯიხურევი (ჯიხური = ხის კოშკი – საბა). აქედან: მეგრ. ჯიხა. ამ ადგილზე ჯიხურები ყოფილა. ამის გამო დარქმევია ნაჯიხურევი)“...

ხალხის თქმით, **ნაქერალას** მიუღია სახელი იქიდან, რომ ამ მთის კალთებზე ერთ დროს უთესიათ ქერი და, ვითომ კალო ყოფილა იმ ადგილის ახლო, სადაც ნაქერალას გასასვლელია... ხალხური ეტიმოლოგიის მეორე ვარიანტით სახელი **ნაქერალა** იმის მაჩვენებელია, რომ თითქოს წინათ აქ უნდა ყოფილიყო ქურა (**горнило**). ეს ახსნა, ავტორის აზრით, მისაღები არაა, რადგან მაშინ ადგილს **ნაქურალა** უნდა რქმეოდა.

სოფელმა **აგარამაც**, რომელსაც უჭირავს მადლობები შაორის ველის აღმოსავლეთით, იმისგან მიიღო თავისი სახელი, რომ ის იყო სააგარაკო ადგილი (იმერეთის მეფეები ზაფხულის თვეებს აქ ატარებდნენ). ვახუშტიც ამ ადგილებს იხსენებს „ეკლათგვირგვინოვანათ“. აქ არის წყარო **მეფის წყაროდ** წოდებული, რომელსაც ეს სახელი იმის გამო დარქმევია, რომ იმერეთის მეფეებს ჰყვარებიათ ამ წყაროს წყალი.

ამგვარად, წარმოდგენილი მიმოხილვა ცხადყოფს, რომ XX საუკუნის დასაწყისშიც აქტუალურია ტერმინოლოგიური ძიებანი.

## II თავი პრესის მასალების ენობრივი ანალიზი

### 2.1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები

პრესა სალიტერატურო ენის ყოველდღიური სარბიელია. გაზეთი, მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება და ინფორმაციის მუდმივი წყარო, ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას და თანმიმდევრულად ასახავს საყოველთაო-სახალხო ენის ლექსიკური გამდიდრების განუწყვეტელ პროცესს. გაზეთის ფურცლებზე უფრო ხელშესახებია ენის განვითარების სოციალური ფაქტორით განპირობებულობა, ახალი საზოგადოებრივი მშენებლობისა და სათანადო ენობრივი ცვლილებების სურათი (ლ. შალვაშივილი, 1986, 7).

პრესა მნიშვნელოვანი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის კვლევისათვის. საგაზეთო მასალის გათვალისწინება აუცილებელია სალიტერატურო ენის ლექსიკური განვითარების არსებითი ნიშნების დადგენისათვისაც. პრესა უადრესად ფართო აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ სპეციფიკურია მისი ენა. „გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს მას და იკითხოს... გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებელი სტატიებისთვის არ სცალია... ფრანგები იტყვიან: „თუ გინდათ თქვათ, რომ წვიმს, თქვით წვიმს“ და ნუ მოჰყვებით „ათადან-ბაბადან“, ნუ დაიწყებთ ციდან, ღრუბლიდან, ჰაერიდან, თქვით მოკლედ, წვიმს“ (ი. მეუნარგია, 1957, 38).

პრესის ენის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთაგანი აზრის, ინფორმაციის სიზუსტე და სიცხადეა. ამ ნიშნით ის სამეცნიერო ლიტერატურის ენას უახლოვდება. პრესაში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ენის განვითარების რთული და მრავალფეროვანი პროცესი. ყოველივე ეს გაცნობიერებული ჰქონდათ XX საუკუნის დასაწყისშიც. ამის ნიმუშია „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ დამოკიდე-



ბუღება ენის საკითხებისადმი. საზოგადოებას აუცილებლად მიაჩნდა, რომ „ქართული პრესის სათავეში ყოფილიყვნენ ქართული ენის კარგად მცოდნენი, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ჰყოლოდათ სტილისტები“ (ლ. ლეჟავა, 2004, 20).

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენას კარგა ხნის ტრადიციები აქვს. ამ დროს ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. ამიტომ, როგორც მოსალოდნელია, ბევრი რამ ქუთაისის პრესის ენაშიც არ არის ნორმირებული და ნორმირების შიდა პროცესს, ბუნებრივია, დიალექტური ფორმები განსახედვრავს, ჭარბობს არქაიზმებიც. პრესაში ასახულია ენობრივი დუდილისა და ცვლილებათა პროცესი. ჟურნალ-გაზეთების ენა გამიორჩევა ფორმათა სიჭრელით, ახალწარმონაქმნებით, ტერმინოლოგიის შემუშავების მთავარი პრინციპის ძიებით, პოლემიკით ორთოგრაფიული, სინტაქსური, სტილისტური თუ სხვა სახის მასალის ირგვლივ.

„ახლა ყველა გამსწორებელს თავისი გრამატიკა უდევს ჯიბეში და იმის მიხედვით ასწორებს“, – წერდა გაზეთ „შინაური საქმეების“ რედაქტორი ს. მჭედლიძე. მიუხედავად ამისა, ქუთაისის პრესის ენაში მაინც არის ასახული ნორმებადელი პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი პროცესი, რომელშიც გარკვეული ტენდენციები იკვეთება. პრესის მასალებში აშკარად ჩანს, რომ ამა თუ იმ პერიოდული ორგანოს რედაქცია, ცალკეული პიროვნებანი, მწერლები ცდილობენ კონტროლის დაწესებას, ახდენენ ენობრივ მოვლენათა უნიფიცირებას. შეიმჩნევა ტენდენცია ნორმირებისაკენ, ე.ი. ხდება ენობრივი ნორმის აუცილებლობის გაცნობიერება. ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ნორმა, ვთქვათ, ვითარებითი ბრუნვის თანიანი დაბოლოება, **-ეზ/-ობ** მონაცვლეობა, ზმნებში მრავლობითობის **-ენ** სუფიქსი და სხვა, უგამონაკლისოდ არის გატარებული თითქმის ყველა პერიოდული ორგანოს ენაში.

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენა ძირითადად მოქცეულია იმ ენობრივი არეალის გავლენის ქვეშ, სადაც იგი იქმნება, თუმცა აღსანიშნავია, რომ პერიოდულ



ორგანოთა ენაში შეიმჩნევა არა მარტო იმერული, საერთოდ, დასავლური კილოების გავლენაც. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება კორესპონდენციები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: ზემო იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, ვანიდან, სამტრედიიდან და ა. შ. ეს ანიჭებს პრესის ენას მრავალფეროვნებას, ზოგჯერ ამძიმებს კიდევ მას. ამასთანავე, აბრკოლებს ამა თუ იმ ენობრივი თავისებურების ახსნას.

აღბათ, ამიტომ მიმოიხილავდა ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით მკაცრად ენობრივი თვალსაზრისით „ივერიაში“ დასავლეთ საქართველოდან გაგზავნილ კორესპონდენციებს. „სხვის ნაწერებს ის (ილია რ. ს.) თავაზიანად ეპყრობა, მხოლოდ ენის მხრით რედაქტორი („ივერიისა“) უღმობელია, მეტადრე დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილი კორესპონდენციებისა და წერილების კითხვის დროს, – იგონებდა ი. მეუნარგია, – იმას არ მოსწონს იმერელთა წერილებში სიტყვები „ვღებულობ“, „ამნაირად“, საცა ეს სიტყვები მოხვედბა ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს სიტყვებს: „ვიღებ“, „ამგვარად...“ (ი. მეუნარგია, 1957, 39).

ილია ჭავჭავაძესთან ერთად ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი იყო აკაკი წერეთელი. ერთიანი სალიტერატურო ქართულის საფუძვლად მას ქართლ-კახური დიალექტი მიაჩნდა, მაგრამ სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა.

1874 წელს „დროებაში“ (№452) ს. მესხმა გამოაქვეყნა აკაკის სცენა „ენების გასამართლება“, რომელშიც ავტორს ის აზრი აქვს გატარებული, რომ ქართული სამწერლობო ენის გასამდიდრებლად საჭიროა იმერეთსა და, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში შემონახული ზოგიერთი სიტყვის გამოყენებაც. იგი მოითხოვდა, ქართული ლექსიკონის გასამდიდრებლად, თუკი მასში სათანადო სიტყვები არ მოიპოვებოდა, სხვა დიალექტებიდან, კერძოდ, დასავლეთ საქართველოდან შემოსულ სიტყვებს მისცემოდა „მოქალაქეობრივი უფლებები“ (ლ. ასათიანი, 1965, 268).



ამ ორი დიდი მამულიშვილის დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი სახელმძღვანელო პრინციპად გამოდგება დასავლურ კილოებზე დაკვირვების დროს.

ხემოთქმულის ნათელსაყოფად განვიხილავთ XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალებში დადასტურებულ ძირითად ენობრივ ფაქტებს. საანალიზოდ აღებულია „შინაური საქმეების“ (1908, 1910, 1912 წწ.), „განთიადის“ (1915 წ.), „იმერეთის“ (1912წ.), „ფონის“ (1909, 1910 წწ.) ნომრები.

### 2.1.1. სახელთა ბრუნება

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალების მიხედვით სახელთა ბრუნება გარკვეული ნორმის ფარგლებში არის მოქცეული, თუმცა შეინიშნება მერყეობაც.

მთხრობითი ბრუნვის ნიშანი უმეტესად სრულად არის წარმოდგენილი, დაცულია არქაული ვითარება: *...ურმის თვალმან ამოასკუპა* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8).

მთხრობითსა და მიცემითში მ-სა და ს-ზე დაბოლოებულ ფუძეთა მქონე სახელებში ხშირად არ არის ორი თანხმოვანი:

**ჟანდარმა:** *ჟანდარმა შეაყენა ოქმი* („იმერ.“, 3, 2);

**შინაარს:** *ვერ არკვევენ იმის შინაარს* („იმერ.“, 2, 2).

ვითარებით ბრუნვაში წარმოდგენილი სახელების ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი დონი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის დაყრუებულია:

**შვილათ:** *ზეცის შვილათ მონათლულ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13);

**ყორნათ:** *იგი ყორნათ მიაჩნია* („იმერ.“, 1, 2);

**კაცუნათ:** *პატარა კაცუნათ დარჩა* (იქვე);

**წლიურათ:** *ფახი წლიურათ შვიდი მანეთი* („იმერ.“, 1, 1);

**მეტათ:** *სიღოვანი... მეტათ ჩუმათ შრომობს და ცხოვრობს* (იქვე);

**სასირცხოთ, რჩეულათ, უზომოთ, ურცხვათ, უტიფრათ:** *ნუთუ სასირცხოთ არ მიგაჩნიათ თქვენს რჩეულათ ითვლებოდეს კაცი უზომოთ მოტრახახე, ანგარების ტლაპოში ჩაფლული, ურცხვათ ცილისმწამებელი და უტიფრათ მატეზლარი?! (იქვე);*



**გამგეებათ:** გამგეებათ თვით გიმნაზიელებია (2, 13);

**რათ:** რათ არ მეორდება ერთის სულიერი ცხოვრება მეორეში? (2, 4);

**წითლათ, ელვარეთ, მკაცრათ:** სვეტები და დერეფნები, განათებულნი, როგორც წითლათ შედებილი ცა, ელვარეთ და მკაცრათ აღბეჭდილან ღამის ბნელ ცის ფონზე („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13);

**საკითხათვეა:** ჯერ-ჯერობით ეს საკითხი საკითხათვეა დარჩენილი („ფონი“, 1910, 1, 3).

უნდა აღინიშნოს, რომ დ-ს თ-დ ქცევა არ არის მხოლოდ დასავლური დიალექტური მოვლენა. იგი დამახასიათებელია საყოველთაო სამწერლობო ენისთვის.

პრესის ენაში დონი დაყრუებულია არა მხოლოდ აუსლაუტში, არამედ ინლაუტშიც, განსაკუთრებით კომპოზიტებში, რომელთა ერთი შემადგენელი ნაწილია სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით:

**ავათმყოფობას:** ექიმის წამალი მაშინ გამოადგება ავათმყოფს, როცა ექიმი მიმხვდარია ავათმყოფობას („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10);

**ყურათლებას:** საზოგადოებაც ყურათლებას არ მოგვაკლებს („განთ.“, 1, 4).

აღინიშნება მერყეობა, პარალელური ფორმებიც:

**ბუდეთ|ბუდედ:** თქვენი ანგარიშის მიხედვით ბ. გომართელი მე აზროვნების ბუდედ სისხლს დავასახელებდი („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3).

ასევე იშვიათია დონიანი ფორმებიც:

**უოფლოდ:** უოფლოდ ნაშოვნ ფულით ჩვენ ბევრს ვერას გაგაკეთებთ („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10);

**სუფთად:** ბარათი უნდა იქნას დაწერილი სუფთად ცაღ გვერდზე („იმერ.“, 1, 3);

**უგაზეთოდ:** ...უგაზეთოდ დარჩა („იმერ.“, 1, 2).

ამგვარად, მიუხედავად რამდენიმე გამონაკლისისა, აშკარაა თანიანი ფორმების უპირატესობა ვითარებითში. ეს ნორმა გატარებულია ყველა პერიოდულ ორგანოში.

ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვა სახელის ფუძის დასუსტებას იწვევს, მაგრამ ქუთაისის პრესის ენაში ყო-



ველთვის ასე არ ხდება – სიტყვა ხშირად შეუკუმშავი ფუძითა არის წარმოდგენილი:

**სასწავლებლის:** *საჭიროა, რომ მას პქონდეს გავლილი საშუალო სასწავლებლის კურსი* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 8);

**ქარიშხალიან:** *დღის სინათლეზე მოწყენილ მოქუშული ხევი, ქარიშხალიან დამეში სასაშიშრო ხლებოდა* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 5);

**სანიტარები:** *...ადამიანის სხეულის სანიტარები* („განთ.“, 1, 32);

**ქვეყანა,** რომელიც ძველ ქართულში მხოლოდ კვეცადი სახელი იყო და შეიკუმშა მოგვიანებით, პრესის ენაში წარმოდგენილია ორივე სახით, შეკუმშულიც და შეუკუმშავიც: **ქვეყანის** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 5) და **ქვეყნისაგან** (იქვე, 4, 12).

ნაირგვარობაა საკუთარი სახელის ბრუნების დროსაც: **გომართლის:** *გომართლის იჭიბოჭია* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); **გომართლები** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1) და **გომართელის:** *განავინც გომართელის ზომისაა, ის გონებითაც გომართელია?* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3).

ცხადია, სახელთა ბრუნების თვალსაზრისით მყარი ნორმა იმდროინდელი ქუთაისური პრესის ენაში ჯერ კიდევ არ არსებობს.

**თანდებულიანი სახელები.** მრავალფეროვან სურათს ქმნის თანდებულდართულ სახელთა ბრუნებაც. თანდებული უმეტესად სრული ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა გამარტივებულად დასტურდება. ეს იმას მოწმობს, რომ XX საუკუნის დასაწყისში შემორჩენილია ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

**მიცემითი ბრუნვა.** როგორც ცნობილია, ძველ ქართულშივე შეინიშნება მიცემითში თანდებულიან და უთანდებულ ფორმათა მონაცვლეობა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში უთანდებულ ფორმები თანდებულიანთან შედარებით უფრო არქაული ვითარების ამსახველად არის მიჩნეული (ი. იმნაიშვილი, 1957, 696). ეს მოვლენა XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაშიც დასტურდება და თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც. მაგალითად: *საზანოვი ღონდონიდან პარიზს ჩავიდა* („იმერ.“, 2, 1).





თანდებული ზოგჯერ გაუმარტივებლად არის წარმოდგენილი, დაცულია არქაული ვითარება: *მზემ ქვეყნიურებას შავი ზეწარი თავზედ გადაახია* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 11); *(იგი) შენშიდ მხეცს აღვიძებს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); *ეცდებიან ამ დიდ მარხვაშიდაც ორჯერ-სამჯერ გაახსენონ თავი საზოგადოებას* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13).

თანდებულის ძველი ფორმების გვერდით გამარტივებულიც დასტურდება: *მან თუ შეასრულა დარიგება მათ დამუშავებაზედ და მოვლა-მოშენებაზე...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10); *ქართველებს ქართულ ენაზე არა გვაქვს სახელმძღვანელოები საღვთისმეტყველო საგნების შესასწავლათ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7); *ურიცხვი მადნეულობა ჩვენს დედამიწაში და მთებშიდ არ მუშავდება და უსარგებლოთ აგდია* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10).

ზოგჯერ თანდებულის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაც შეინიშნება. მაგალითად: **-ზე** თანდებულის მაგივრად გამოყენებულია **-ში**: *ბულგარეთის ჯარმა უკვე გადალახა საზღვარი და ოსმალეთის ტერიტორიაში შეიჭრაო* („იმერ.“, 2, 2).

იშვიათია **-ვით** თანდებულიანი მიცემითი: *არც აფრიკის ველურ ხალხსავით თავადერილობა გამოდგება* („იმერ.“, 2, 3).

**ნათესაობითი ბრუნვა.** თანდებულისა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმას შორის ხშირად გვხვდება თანხმონათესაობითი ა: *პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება* („იმერ.“, 4, 3); *შეხვედვისა თანად მათი სურათი წარმოგვიდგენს სიმხეცეს...* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 9).

ზოგჯერ ცალკე მდგომი თანდებულები ნათესაობითის ნაცვლად მიცემითის ფორმას დაერთვის: *თქვენ დაგედასტურებათ ვილაცას მიერ შემთხვეული ჩემი ცრუ აზრი* („იმერ.“, 4, 3); *მის გამოცემას შემდეგ კი სამმა წელმა განვლო* („იმერ.“, 1, 4); *ჩემს პაწაწინა სამეფოთ და ხუთ სამთავროთ გაყოფას შემდეგ ქართველებმა ეს ძალა და იარაღი ერთმანეთს სამტროთ დაატაკეს* („იმერ.“, 2, 3); *კურსის დასრულებას შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი* („იმერ.“, 2, 4); *ელჩებთან საუბარს შემდეგ ოტომანის სააგენტოს აზრით ომზე შიში უსაფუძვლოა* („იმერ.“, 1, 4).



საყურადღებოა, რომ **მიცემითი + მიერ, შემდეგ** გაზეთ „იმერეთის“ ენისთვის არის დამახასიათებელი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი ს. ხუნდაძის ნორმებს ექვემდებარება.

ცალკე მდგომი თანდებული ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის, ოღონდ პრეპოზიციული წყობით (თანდებული+ნათესაობითი ბრუნვა): **შემდეგ საქართველოს ერთობის მოსალობისა ჩვენ ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ დოკუმენტს შესახებ ზოგიერთი ფედერალისტების წევრებისა და დედაბობებისა** („იმერ.“, 1, 2).

იშვიათად თანდებულიანი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: **დერეფანში მარცხენა იღლია ქვეშ პორფელ ამოხრილი და ყურში კალამ გარჭობილი ღიახოს პოლკის ამირ-სპასალარი შემხვდა** („ფონი“, 1910, 1, 6).

ზოგჯერ ენა ერთდება თანდებულის გამოყენებას და თავისებურად აწარმოებს გამოთქმას: **არ შეგვიძლია მკითხველი საზოგადოება უყოველდღიურო გაზეთოდ დავტოვოთ** („იმერ.“, 1, 2).

**მოქმედებითი ბრუნვა.** XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში ჩანს **-გან** თანდებულიანი ფორმის ცვლილების საინტერესო პროცესი. როგორც ცნობილია, მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისა და **-გან** თანდებულის შერწყმის, შემდეგ ბრუნვის ნიშნის (**-ით**) თანხმონითი ნაწილის გამჟღერების, ბოლო ეტაპზე კი გამარტივების გზით (შ. აფრიდონიძის აზრით, **-დამ** თანდებულის გავლენით **გ-**ს ამოვარდნით) არის მიღებული **-დან** (**<იდან<იდგან<ითგან**). პრესის ენაში ეს ფორმა იშვიათია. უფრო მეტად არის გავრცელებული და გაბატონებულიც **-იდ-გან** (გამჟღერებელი შუალედური ვარიანტი): **განა ცოტა ფულები გაიტანეს ბანკიდგან ჩვენმა მემამულეებმა?** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10); **ცხოვრებიდგან** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 2); აქა-იქ გამოყენებულია აგრეთვე **-დან**: **გაყიდვა დაიწყება დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** („იმერ.“, 1, 1); **-დან** შედარებით ახალი წარმოშობისაა. იგი XIX საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

**-განი||-დან-**ის გვერდით პრესის მასალებში დასტურდება მათი სინონიმური **-დამ** თანდებულიც: **დედამიწის პირიდამ ახრდილი ჰქრებოდა** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 2); **ქარის ვე-**



ღურ ღმუილში, რომელიც მითებიდამ ათასწაირ გამოცახილს იწვევდა, მოისმოდა ვედრებაც (იქვე).

-**ღამ** თანდებულს იყენებს XVII-XIX საუკუნეთა ზოგიერთი ქართველი მწერალი. მის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: 1. **-ღამ** მიჩნეულია **-დან-**ის სახესხვაობად (ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი...); 2. **-ღამ** თანდებულის ამოსავალია **-გამო: სოფლით-გამო – სოფლიდამ** (თ. ჟორდანიას); 3. **-ღამ** დამოუკიდებელი თანდებულია, გამოხატავს გამოსვლითობის ფუნქციას. იგი მიღებულია **დაღმა||დაღმე** ზმნიზედი-საგან, რომელშიც დაიკარგა **ღ**, შემდეგ ჩამოშორდა ბოლოკიდური ხმოვნები და დარჩა **-ღამ** (**<ღამა<ღამე<დაღმა||დაღმე**) (არნ. ჩიქობავა).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **-ღამ** არ არის. XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში მის შენარჩუნებას, ვფიქრობთ, ქართველი კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის ენის გავლენა განაპირობებს.

**ვითარებითი ბრუნვა.** ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის ფორმას **-მდე||მდის** თანდებულები დაერთვოდა. ა. შანიძის აზრით, **-მდე||-მდის** იშლება ნაწილებად: **მ** მიღებულია **მი-**სგან, **დე** კი ნაშთია **დღე** სიტყვისა: **მიდღედ>მ-დე>მდე||მიდღის>მ-დის>მდის** (ა. შანიძე).

X საუკუნიდან ტექსტებში ჩნდება **-მდინ** თანდებული. XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში კი მეტწილად წარმოდგენილია **-მდის, -მდი**, ნაკლებად – **-მდე, -მდისინ, -მდინ**: *აპრილიდგან იანვრამდის* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); *აქამდის არა ყოფილან ისინი საჭიროანი* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7); *თხოვნები მიიღება... ყოველდღე დილის 10-დან 12 საათამდის* („იმერ.“, 2, 4); *დღემდი მხოლოდ ის ვიცით...* („იმერ.“, 1, 2); *სესხი 721 ათასი მანეთიდან უცბათ 1.759000 მანეთამდი გაიზარდა* („იმერ.“, 1, 3); *წყლით რღვნამდისინ გამეფებული უკუღმართ წუთი* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8).

## 2.12. რიცხვითი სახელი

ნორმა არ არსებობს რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერაშიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნომრის აღნიშ-



ვნაა საჭირო: *მე 252-ე ნომერში მოათავსა ვრცელი წერილი* („იმერ.“, 1, 3); *ჩემი წერილი იყო მოთავსებული კოლხიდას მე 986-ში* („იმერ.“, 1908, 1, 4); *წავიკითხე თქვენი პასუხი კოლხიდას მე №139-ში* (იქვე). ამ მხრივ უკონტროლოდით „იმერეთი“ გამოირჩევა. გაზეთის ენა არ ემორჩილება ს. ხუნდაძის მართლწერას, რომლის მიხედვითაც: „*რთულს რიცხვით სახელებში რიგითი ფორმისათვის ნაწილაკი მე ბოლანდელ ნაწილს ემატება: ოცდამეათე, ორმოცდამეხუთე, ასორმოცდამეთხუთმეტე და სხვა*“.

დროის აღნიშვნისას რაოდენობითის მაგივრად პრესის ენაში ზოგჯერ რიგობითი რიცხვითი სახელია გამოყენებული. მაგალითად: *არჩევანი ნაშუადღევს მეხუთე საათზე დაიწყო* („იმერ“, 1, 3).

### 2.13. ზ მ ნ ა

**პირის ნიშანთა აღნიშვნა.** „მორფოლოგიური ხასიათის შეცდომები პირის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით, მძიმე ტვირთად აწვა ქართულ მწერლობას მრავალი საუკუნის განმავლობაში... პირის ნიშნის საკითხი ვერც სამოციანელებმა გადაწყვიტეს სალიტერატურო ენაში. მათაც მრავალი ფორმა იხმარეს, რომლებიც გრამატიკულად მიუღებელია... საკითხის არსებითი გადაწყვეტა უკავშირდება ა. შანიძის სახელს (თუმცა საძიებელი კვლავაც საკმაო დარჩა და დღემდე მოდის). ა. შანიძის გამოკვლევამდე (1920) ძნელია ვინმეს მკაცრად მოეთხოვოს პირის ნიშანთა ხმარება ენის ბუნებრივ კანონთა დაცვით“ (ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, 1971, 74). ზმნის პირის ნიშანთა ნორმირებაში განსაკუთრებულია სილოვან ხუნდაძის დამსახურება.

ზმნის პირის აღნიშვნის თვალსაზრისით ნორმა არ არსებობს XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაშიც. გამოიყოფა სხვადასხვა შემთხვევა:

1) არ არის წარმოდგენილი პირის ნიშანი: ძველ ქართულ ენაში **უ** ხმოვნის წინ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ** არ იწერებოდა. ეს ნორმაა გატარებული პრესის ენაშიც: *ჩვენ რომ დაუჯეროთ, მეცნიერების თვითმპყრობელი*



გომართელი მაინც არ დაიჯერებს („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); ასე გადაუწყვიტე იუდასაც, იმ იუდას, რომელმაც ჭეშმარიტება ვერცხლზედ გაჰყიდა („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6); რილასთვის გამოუჭედეთ ყველას ყურები, ქართულათ გვასწავლეთ საღვთისმეტყველო საგნების („შინ. საქმ.“, 1908, 2, 8); ეტლს დაუბახეთ და გაეაქროლეთ („იმერ.“, 1, 4); გინდ ძმას შეუჭამივარ გინდ სხვასო („იმერ.“, 2, 3).

ზოგჯერ იგრძნობა უ-ს წინ ზმნაში პირველი სუბიექტური პირის აღნიშვნის ტენდენცია: როცა გამაგებოეს, ხომ შევეუდექი („შინ. საქმ.“, 1908, 2, 19); რასაკვირველია, ჩვენ გაზეთის ფურცლებს ვერ ვუწოდებთ იმ ფურცლებს („იმერ.“, 1, 2).

მესამე ობიექტური პირის პრეფიქსები ჰ-, ს- ხშირად არ არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით ინვერსიულ ზმნებში:

ქართველებს ამ ქვეყნათ იმედი არსაიდან ქონდა („განთ.“, 1, 61); ფოშტას ხუთასი მანეთი მიქონდაო („იმერ.“, 1, 3); აქ ავტორს მოყავს ციფრები (იქვე); ნუთუ ჩვენს ახლად მოვლენილ მოჭირნახულეს გონია, რომ ჩვენი ხალხის უზენაესი მისწრაფებანი მხოლოდ კარგი გაზეთებია? („იმერ.“, 3, 2); მისი სოფელი სამოთხესა გავს („განთ.“, 1, 11); აი, სწორეთ ამას ქვია ნამდვილი უტიფრობა („იმერ.“, 2, 2); ცენტრალიზაციას ძალდატანებითი პოლიტიკა მოყვა („იმერ.“, 2, 3); კენინა ბაბო, ვინ იცის, რას არ პირდებოდა მას („განთ.“, 1, 12); წითელი ჯვრის საზოგადოება დახმარებას პირდება... ოსმალეთსაც („იმერ.“, 2, 1); არც მთხოვნელი ძულს მას („განთ.“, 1, 11).

დასტურდება პარალელური ფორმები:

ქონდეს||ჰქონებია: ...სამარცხვინო კაეშირი ქონდეს („განთ.“, 1, 1); კენინას ხურდა ფული ჰქონებია (იქვე);

ყავდეს||ჰყავს: (მას) ბევრი თაყვანისმცემელი ყავს („განთ.“, 1, 11); სტუმარი ჰყავს (იქვე).

ცხადია, მერყეობის თითოლოლა შემოხვევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ტენდენციას ნორმირებისაკენ.

2) ზედმეტია პირის ნიშანი: ხშირად შეუსაბამობაა ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების აღნიშვნაში:

ერთპირიანი ზმნები: (იხინი) უმეტეს სძრწიან საუკუნო მისაგებლის წინაშე („შინ. საქმ.“, 1908, 18, 2); სჩანს („იმერ.“,



1, 3); ...საიდან **წარმოსდგება** დღე და ღამეო („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); როცა სისხლის ჩქევა **შესწყდება** ძარღვებში, პიროვნებაც **ჩაქრება** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3); უეცრათ **შესდგა** („შინ. საქმ.“, 2, 12); დარაჯი **სდგას** („შინ. საქმ.“, 4, 3); ხევი ამ წუთებში თითქოს **სცოცხლდებოდა** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 3); ის კი **სტკებოდა** ჩემი ტანჯვით („ფონი“, 1909, 1, 3); ყველა ეს უბედურება სიზმარივით **გაჰქრა** („განთ.“, 1, 17).

**ორპირიანი გარდამავალი ზმნები:** საანალიზო მასალის მიხედვით ორპირიანი ზმნაში აუციქნით აღნიშნულია მესამე პირდაპირი ობიექტური პირი: რა ადამიანია ის ადამიანი, რომელსაც ერთი სწამს, ხოლო მეორეს **ჰქადაგებსო?** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6); აბა რა **სთქვას** ადამიანმა, რომელიც თავის ცხვირ ზევით ვერ იხედება („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2); საჭიროდ **სცნეს** საღვთისმეტყველო საგნების ქართულათ სწავლება („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7); დიდებული მეცნიერი ანტონ კათალიკოზი რომ **სთარგმნიდა** ქართულს ენაზედ სახელმძღვანელოებს, რას აშავებდა? (იქვე); ეს აზრი, სხვათა შორის, ჩვენმა ნიჭიერმა მგოსანმა ვახტანგ ორბელიანმა **გამოსთქვა** თავის შესანიშნავ ლექსში „ორი შენობა“ („იმერ.“, 3, 2); საარჩევნო კრების თავმჯდომარე ამომრჩევლისაგან ჩამორთმეულ კონვერტს **ჩასდებს** ყუთში („იმერ.“, 1, 3); ამომრჩეველმა უნდა **დასტოვოს** კრების დარბაზი (იქვე); მოკლეს სამი დარაჯი და **დასტრეს** ფოშტის მოხელე („იმერ.“, 2, 3); სანდერსმა და ენვერ ფაშამ ოსმალეთის რეგულარული არმია... **დასძრა** და აამოძრავა („განთ.“, 1, 52).

მერყეობა იშვიათად აქაც შეინიშნება: **სთაღეს** პირველებმა – ვერა **ჩამოთაღეს** („იმერ.“, 1, 4).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მესამე პირდაპირ ობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა ჰქონდეს. ამ ნორმის მიღებისას, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ანგარიში არ გაეწია სისტემის უნიფიცირების ტენდენციას, რაც დღესაც მძლავრად ჩანს მეტყველებაში, კერძოდ იმას, რომ პირველი და მეორე ობიექტური პირები ზმნაში აღინიშნება და ამ მხრივ ისინი ირიბი პირველი და მეორე პირებისაგან არ განსხვავდებიან, მესამე პირდაპირი ობიექტური პირი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს და, ამგ-



ვარად, ეს არღვევს სისტემას. ვფიქრობთ, ნორმის დადგენის დროს აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ეს ძლიერი ტენდენცია უნიფიკაციისაკენ და სასურველი იყო, მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნის წარმოდგენა მიღებულიყო ნორმად.

მხოლოებითი რიცხვის მესამე სუბიექტური და მრავლობითი რიცხვის მეორე ობიექტური პირების შეხვედრისას ზმნაში მეორე ობიექტური პირის მრავლობითობის **თ** ნიშნის წინ დაცულია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი: (*ივო*), *რასაკვირველია, გიპასუხებსთ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); *პიოთხეთ, ვისაც გნებავსთ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2); *უკანასკნელად გეძახისთ მიღებული ხმით* („იმერ.“, 3, 3).

ასეა ინვერსიულ ზმნაში მხოლოებითი რიცხვის მესამე ობიექტურ და მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირთა შეხვედრის დროსაც: *ამის შემდეგ რად უკვირსთ...* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8); *თუ ფული აქვსთ მოგროვებულები, ამ ცოტა ხანში მოაწოდონ* („იმრ.“, 1, 3).

როგორც წესი, გარდამავალი საფეხურის ფორმით, **-ენ** სუფიქსით არის წარმოდგენილი აქტიურ და პასიურ ზმნათა უწყვეტლისა და პასივისა და მედიოპასივის წყვეტილის მესამე სუბიექტური პირი მრავლობითში: (*ისინი*) *გადავიდენ ახალ ბინაზე* („იმერ.“, 2, 1); *ჯარების უფროსნი ხელმწიფე იმპერატორს ეწვიენ* („იმერ.“, 1, 3); *მოწაფეები შეერთენ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 12); *მოტირალი ქალები თმას იგლეჯდენ, სამოსელს იპობდენ და მაღალის ხმით მოსთქვამდენ, ხმაურობდენ* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13).

ისტორიულად სწორია **-ენ**, რომელიც ადრე ზმნაში საყოველთაო სიმრავლეს გამოხატავდა და შემდეგ იქცა მესამე პირის მრავლობითობის ნიშნად. ამის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება: „თავდაპირველად სიმრავლე უნდა გამოხატულიყო ზმნაში (ან მის წინაპარში) სუბიექტისა და გარდამავალში (ან მის წინაპარში) – ობიექტისა, თანაც რიცხვის ნიშანი ერთი უნდა გვექნონდა, ე.ი. არა **-ეს**, **-ან**, **-ნ** სუბიექტისთვის და **-ენ** ობიექტისთვის, არამედ ერთი რომელიმე, იქნებ ერთი ამათგანი. რაკი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** „მივა“ სუფიქსია,



ე.ი. უფრო ადრინდელი ფორმაციისა, შესაძლებელია სწორედ ის მივიჩნიოთ ზმნაში სიმრავლის გამომხატველ საყოველთაო სუფიქსად“ (ბ. ფოჩხუა, 1963, 59).

**-ენ** (<\***ენ-ენ**) აღმოსავლურ კილოებს ახასიათებდა და ნორმად იქცა 30-იან წლებში. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, სისტემის შესაბამისად სრულიად გამართლებულია **-ენ** ქართლურში, **-ენ** – იმერულში, სალიტერატურო ენაში კი, მისი აზრით, ორი დამოუკიდებელი სისტემის კონტამინირებამ მოგვცა **-ენ** პირის ნიშანი. „სალიტერატურო ენის ნორმით **-ენ** დაკანონებული ფორმანტია, ენობრივი სისტემის თვალსაზრისით კი გაუმართლებელი“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, 13). **-ენ** სუფიქსი დასავლური დიალექტის ფარგლებში დარჩა. მან თანდათან გაიფართოვა მოქმედების არე, დაიტვირთა ფუნქციურად და გამოხატა არა მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის, არამედ მეორე და მესამე ობიექტურ პირთა სიმრავლეც. **-ენ** ფორმანტმა შეცვალა აქტივებისა და მედიაქტივთა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის **-ეს**, **-ნ** და **-ან**: **გადაწყვიტენ**, **გააკეთენ... თლიენ**, **ტირიენ**, **მიდიენ**, **წუხლარიენ**, **დგალარიენ** და სხვა ზმნებში ფონეტიკური პროცესებიც ხორციელდება, რაც აძლიერებს ტენდენციას უნიფიკაციისაკენ.

„ზემოიმერულის ჩვენებამ **დგარენ**, **გავრენ**, **მოსულენ** და მსგავს ფორმათა ხმარებით კიდევ უფრო თვალნათლივ დაადასტურა, რომ **-ან** სუფიქსის ადგილას **-ენ** სუფიქსის გამოყენებისას უნდა გვექონდეს ანალოგიური წარმოება, რომლისთვისას საფუძველს ქმნის იმერულში მძლავრად მოქმედი ერთი ფუნქციის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმის გაერთოფორმირების ტენდენცია – უნიფორმაციის ტენდენცია“ (ქ. ძოწენიძე, 1975, 277).

**-ან** სუფიქსი ბ. ფოჩხუას ზანურიდან მომდინარედ მიაჩნია (ბ. ფოჩხუა, 1963, 61).

**-ენ** სუფიქსმა **-თ**-ს მაგივრად ფართო გამოყენება ჰპოვა ინვერსიულ ზმნაში. მიცემითში დასმული **RS**-ის აღსანიშნავად, გარდა ქვემოიმერულისა, იგი დასტურდება გურულში, ლეჩხუმურში, აჭარულსა და მესხურში. **გაქვ-ენ** (**გაქვ-თ**), **აქვ-ენ** (**აქვ-თ**), **გქონდ-ენ** (**გქონდა-თ**), **ქონდ-ენ** (**ქონდა-თ**) და მსგავსი ფორმები სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით





მიღებულია ზანური გავლენის შედეგად (არნ. ჩიქობავა, 1946, 95). უძველესი **-ენ** სუფიქსი მიჩნეულია ახალ დიალექტურ ნორმად და დაკბნილია ქვემოიმერულში მისი ფუნქციური გაფართოების საფუძველიც: „სწორედ ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნათა ანალოგიით მოხდა **-ენ** ფორმანტის ფუნქციის გაფართოება და იგი მოგვევლინა ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად არაინვერსიულ ზმნებშიც“ (კ. კუბლაშვილი, 1985, 148).

დასავლური ფორმების პარალელურად XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში იშვიათად აღმოსავლური **-ენ** სუფიქსიანი ფორმებიც დასტურდება: *როგორც მოსალოდნელი იყო გაჩნდნენ* ხელჯოხიანები („იმერ.“, 2, 2); *კარგს ინებებდენ... რომ მიიღებდნენ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 8).

**ზმნისწინიანი ფორმები.** XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში გამოხატულია ზოგადი ტენდენცია ზმნისწინთა გამარტივებისა იმ შემთხვევაშიც, როცა ახალ ქართულში ზმნისწინის ძველი ფორმებია დაცული და მათ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვთ მოპოვებული. მაგალითად: *გარისხდა მოძღვარი* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 12); *სერიოუა აფრთოვანდა* („განთ.“, 1, 18); *(ტბის) გარშემო ამართული ნაძვები დაღვრემილათ გაიცქირებოდნენ ცის სივრცეში* (იქვე); *ეს არის ამ ექვსი თვის მოკლეთ ანუსხული ამ ჩვენი დროის უდიადესი ომის მატინე* („განთ.“, 1, 52); *ახალი ცხოველის აკებულება... თავისთავად განისახება და ისე გავითარდება* („განთ.“, 7, 26); *ბელვიამ გასაცვიფრებელი მტკიცე დახდომით აზრი დაუბნია გერმანიას* („განთ.“, 1, 47); *ვისაც ახალგაზდათა აზრის განახლების საკითხი აინტერესებს...* („ფონი“, 1910, 2, 6); *...ყურადღების ღირსია მასწავლებელ-ამზდელთა მხრივ* (იქვე); *გადაიცვალა ბელვიის სტატმინისტრი* („იმერ.“ 1, 14).

**მეშველზმნიანი ფორმები.** ნორმის თვალსაზრისით მყარი მდგომარეობა არ არის არც მეშველზმნიან ფორმათა წარმოებაში. ზოგჯერ მეშველი ზმნა საერთოდ არ არის გამოყენებული (მაგალითად: *ამიტომ ამის შესახებ ვსდუმთ* – „შინ. საქმ.“, 1908, 4, 2), ზოგჯერ კი წარმოდგენილია გაუმარტივებლად, სრული სახით (*წიგნთ საცავში... მოუყარათ თავი საღვთისმეტყველო წიგნებს, რომლებიც დაწერილ არიან ჩვენ წინაპართა სისხლით და ოფლით* – „შინ. საქმ.“, 1908, 2, 8).



## 2.14. მსახღვრელ-სახღვრულის ბრუნება

მსახღვრელ-სახღვრულის პოსტპოზიციური წყობა და ბრუნების სრული სახეობა ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი. თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის ძირითადია გარდამავალი სახეობა (ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოებით), ე. წ. ვულგარული და შეკვეცილი სახეობა კი დიალექტურია.

X საუკუნიდან დაიწყო მსახღვრელ-სახღვრულის ბრუნებაში ძველი ქართულის ნორმათა რღვევა. X-XV საუკუნეთა ცოცხალ მეტყველებაში მსახღვრელ-სახღვრული ძირითადად ახლებურად იბრუნებოდა: შეიცვალა წყობაც. პოსტპოზიციური წყობის პრეპოზიციურით შეცვლას მოჰყვა მსახღვრელ-სახღვრულს შორის შეთანხმების შესუსტება. როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი მსახღვრელი სრული დაბოლოების ნაცვლად ფუძის სახით შეეწყო სახღვრულს. მაშასადამე, დაირღვა მსახღვრელ-სახღვრულს შორის სინტაქსური შეთანხმებაც.

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პერიოდულ ორგანოთა ენა მსახღვრელ-სახღვრულის ბრუნების მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. ძირითადად გავრცელებულია პრეპოზიციური წყობა. დასტურდება პოსტპოზიციური წყობაც, უფრო მაშინ, როცა მსახღვრელი მართულ-შეთანხმებულია: **ნაძენი ღიბანისანი მედიდურად შეინძრენ** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 11); **წინაპარნი ჩვენის ერისა** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9).

იშვიათად გვხვდება როგორც ატრიბუტული, მაგალითად, **წელიწადი პირველი**, ისე სუბსტანტიური მსახღვრელ-სახღვრულიც: **სახლი ჩარექოვისა** („განთ.“, 1, 11).

რაც შეეხება პრეპოზიციური წყობის ატრიბუტული მსახღვრელის ბრუნებას, მკაფიოდ გამოიყოფა რამდენიმე სახეობა:

- ა) დაბოლოება სრულია (არქაული ვითარებაა დაცული):  
მიცემითი: **ბედნიერს ყრმას** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 12);  
**მაღალს ღმერთებს** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 4);
- ნათესაობითი: **მთელის ერის** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9);  
**შენის საქმის** (იქვე);



მოქმედებით ბრუნვაში მსაზღვრელის დაბოლოებად მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთა ანალოგიით შემუშავდა **-ს** თანხმოვანი (ა. შანიძე, 1980, 84): **დიდის რიხით** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 4); **მაღალის ხმით** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); **სრულის პატივისცემით** („იმერ.“, 1, 1); **ფრთხილის მოქმედებით** („იმერ.“, 2, 1). მსგავსი ფორმები ქართულ წერილობით ძეგლებში XI საუკუნიდან იჩენს თავს: **დიდის გემოთა** („ვისრამიანი“);

ა) დაბოლოება მთლიანად არის მოკვეცილი:

სახელობითი: *...მას საღი წარმოდგენა ქონდეს მახე და თავის შეხედულება გამოსთქვას* („ფონი“, 1909, 1, 2);

მთხრობითი: **სულიერ სნეულებამ** („შინ. საქმ.“, 1909, 4, 7); **რუს ამომრჩეველებმა** („იმერ.“, 1, 1);

მიცემითი: **შენ თავს** („შინ. საქმ.“, 2, 6);

ნათესაობითი: **შინაურ საქმეებისა** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); **გერმანულ გაზეთების** („იმერ.“, 3, 3); **ქართული გიმნაზიის** („ფონი“, 1909, 1, 1);

მოქმედებითი: **დღიურ ვარშით** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 4); **წრფელ გულით** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9);

გ) დაბოლოება ნაწილობრივ არის მოკვეცილი: **ერთგვარი მიმართულებების** პირნი თავისუფლათ სარგებლობენ („ფონი“, 1909, 1, 2);

შეიმჩნევა მერყეობა, პარალელიზმი:

**საღი ჭკუის|საღ ჭკუის**: *ხოლო ამ საღი ჭკუის ნაწარმოებს ვომართელი... დიმილით მიეგება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); *როგორ მიეგება იგი იმავე უბრალო გაუნათლებელი ადამიანის საღ ჭკუის ნაშრომს* (იქვე).

ეს უკანასკნელი სახეობა (**საღ ჭკუის**) პრესის ენაში იშვიათია. მაშასადამე, XX საუკუნის დასაწყისში ტენდენცია ნორმირებისაკენ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი. 30-იან წლებში ნორმების დამდგენმა სახელმწიფო კომისიამ გარდამავალი სახეობა (ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოება) დააკანონა. დანარჩენი სახეობანი დიალექტების კუთვნილებად იქცა. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების მოშლის ინერციამ ეს გრამატიკული მოვლენა ერთნაირად განავითარა ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაში.



მსახდვრელ-სახდვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის რღვევის ტენდენცია ყველაზე სუსტად ჯერჯერობით მთის კილოებში მოქმედებს: ზოგ შემთხვევაში მსახდვრელი ფუძის სახით შეეწყობა სახდვრულს, უფრო ხშირია სრული დაბოლოება. სრული დაბოლოების პარადელურად მოკეცილი სახეობის არსებობა მიჩნეულია ახალწარმონაქმნად და იმ ტენდენციის დასაწყისად, რის შედეგადაც ერთგვარი გრამატიკული მოვლენა განვითარდა სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების სახით საზოგადოდ ქართული ენის მთისა და ბარის კილოთა დიდ ჯგუფში (კ. კუბლაშვილი, 1985, 182).

საანალიზო მასალის მიხედვით რაოდენობის აღმნიშვნელ ან კრებითი სიტყვით გადმოცემულ მსახდვრელთან სახდვრული ხშირად მრავლობითშია: *გაიცნო ყველა მასწავლებლები* („განთ.“, 1, 13). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენამდე მსახდვრელ-სახდვრულის რიცხვში ურთიერთობის საკითხი სადავო იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, გ. ახვლედიანი დასაშვებად მიიჩნევდა *ყველა მასწავლებლების* ტიპის შესიტყვებას, ს. ხუნდაძე კი მოითხოვდა მრავლობითის სემანტიკის მქონე მსახდვრელთან სახდვრულის მხოლობითში ჩასმას. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სწორედ ეს ნორმაა გატარებული, დარღვევები მაინც არსებობს არა მარტო იმერულში, არამედ, საერთოდ, ცოცხალ მეტყველებაში. მაშასადამე, ამ მოვლენას უნდა მიეცეს არა დიალექტური, არამედ ზოგადი ქართული ტენდენციის გამომხატველი კვალიფიკაცია.

## 2.1.5. სახელისა და ზმნის ურთიერთობა რიცხვში

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში სახელისა და ზმნის რიცხვში ურთიერთობის თვალსაზრისით არქაული ვითარებაა: როცა მესამე პირის ფარდი სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელი სახელობით ბრუნვაში -ებიანი მრავლობითის ფორმით უკავშირდება გარდამავალი ზმნის ან კიდევ გარდაუვალი ზმნის დინამიკური ვნებითის ფორ-



მას, შეთანხმება არ აღინიშნება: *ყუთებთან დარჩა დასვლები* („იმერ.“, 2, 2); *ღედები გმირებს უმზადებდა თავის ძვირფას სამშობლოს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9). ძველი ნორმა დაცულია ძირითადად თანამედროვე გურულსა და იმერულში.

-ეპიანი მრავლობითის სუსტი სინტაქსური ძალა დამახასიათებელია საერთოდ დასავლური კილოებისთვის, თუმცა ეს მოვლენა ზოგჯერ თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც იჩენს თავს.

პრესის მასალების მიხედვით, ზმნაში ხშირად არ აისახება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობაც: *ბატონსა და ყმას ერთი სალოცავი ჰქონდა* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); *ყაჩაღებს რამდენიმე ყუმბარა გაუსროლია* (იმერ.“, 1, 3); *ნახევარ საათს მასთან საუბარი თქვენ დაგარწმუნებს* („განთ.“, 1, 10). მაშასადამე, აქაც დაცულია ძველი ნორმა. ასეთ შემთხვევებში დასავლურ დიალექტებში, კერძოდ, ქვემოიმერულში, **-თ** სუფიქსს, როგორც ცნობილია, მეორე და მესამე პირში ცვლის **-ყე** ნაწილაკი: **დაგარწმუნებსყე, ქონდაყე...**

ზოგჯერ მიცემითში დასმული დამატება (ირიბი), პრესის მასალების მიხედვით, ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: *იგი... გიბასუხებს (თქვენ)* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2); *იგი გეუბნება თქვენ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5).

მიცემითში დასმული დამატების შემასმენელთან რიცხვში შეუთანხმებლობაც ძველი ნორმა და საკვლევი პერიოდის დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი. თუმცა სალიტერატურო ენის ნორმები გავლენას ახდენს ხალხურ მეტყველებაზე. ენაში თანდათან იჭრება, მკვიდრდება ენის განვითარების თვალსაზრისით პერსპექტიული ფორმები.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი ქართული ენის წესი – პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა **-ენ** სუფიქსით საშუალმა ქართულმა მოშალა, მაგრამ გავრცელდა ირიბ ობიექტზე, ამისთვის გამოიყენა **-თ** სუფიქსი, მასალა ძველი ქართულისა, და დიალექტური ფუნქციებით აღჭურვა (ი. ქავთარაძე, 1974, 230).



სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების ტენდენცია XX საუკუნის დასაწყისშიც შეინიშნება. ქუთაისური პრესის ენაში დასტურდება შეთანხმების შემთხვევები: *გაუუხდა, დაკ-მაყოფილდა თქვენი სინდისი? აღარ გაწუხებთ, აღარ გქენჯნისთ?* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5). ზოგჯერ ირიბი დამატებაც ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: *ბიზანტიის იმპერატორი ტყვეთ ჩაუვარდათ ხელში სელჯუკებს* („განთ.“, 1, 61). ამ მოვლენას დღეს ზოგადდიალექტური ხასიათი აქვს (**მან დააწერინათ მათ, მან შეუთვალათ მათ, მან გაატანაო მათ...**). განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთ კილოში (იმერულში, ქვემორაჭულსა და ლეჩხუმურში, კახურსა და ქიზიყურში, მთიულურში, ფერეიდნულში...) **-თ** სუფიქსის ადგილას **-ყი-წყე- -კე** ეს ძველი ქართული დიალექტური მოვლენის გადმონაშთია, მოვლენისა, რომელსაც სალიტერატურო ენაში გზა გაუხსნა გელათის სკოლის მწერლობამ (განსაკუთრებით არსენ იყალთოელმა და მისი ჯგუფის მწერლებმა).

ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზაზე სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალის შესუსტებას მიცემითის გაძლიერება მოჰყვა. ამ პროცესში დიდი როლი ითამაშა ინვერსიული და გაინვერსიულების გზაზე მდგომი ზმნით გადმოცემულმა შემასმენელმა, ზმნაში აღინიშნა რეალური სუბიექტის მრავლობითობა. ეს მოვლენა დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისთვისაც. „ზოგი მწერლის ენაში და არაიშვიათად პრესაშიც მოხშირდა ობიექტის მრავლობითი რიცხვის გაფორმება **-თ** სუფიქსით ინვერსიულ ზმნებში“ (ი. კიკნაძე, 1987, 36).

ამდენად, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში ასახული სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების პრინციპი გვიჩვენებს არა მარტო ქართული სალიტერატურო ენის, არამედ დასავლური დიალექტების განვითარების გზასაც. აღნიშნული პერიოდი სახელისა და ზმნის ურთიერთობის თვალსაზრისით შეიძლება გარდამავალ საფეხურად ჩაითვალოს.



## 2.2. ღიაღმართიზიზიზი

როგორც აღინიშნა, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პერიოდიკაში იბეჭდებოდა კორესპონდენციები დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ამის შედეგად, რასაკვირველია, ამა თუ იმ კუთხის დამახასიათებელი თავისებური გამოთქმები, ტერმინები იჭრებოდა პრესის ენაში. ამიტომ მოსალოდნელი იყო ენობრივ ფორმათა მეტი ნაირგვარობა, სიჭრელე, მაგრამ ეს ასე არ არის. რედაქცია არც ამ მხარეს ტოვებდა უყურადღებოდ, ცდილობდა ჟურნალისა თუ გაზეთის ენა მოექცია ერთიანი ნორმის ფარგლებში. ასეთი ჩარევით პერიოდულ ორგანოთა ენა ძირითადად თავსდება იმ ენობრივ არეალში, სადაც იგი გამოდიოდა. ამით უნდა აიხსნას პრესის მასალებში იმერიზმების სიუხვე, თუმცა მათ გვერდით არსებობს ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი გამოთქმებიც.

მაშასადამე, XX საუკუნის ქუთაისის პრესის ენა განიცდის ქვემოიმერულის გავლენას, თუმცა აშკარად ჩანს ნორმირების ტენდენციაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების მიხედვით: „თავისი ენობრივი თავისებურებით ქვემოიმერული გამოეყოფა ზემოიმერულს და ლენხუმურის გვერდით დგება. ქვემოიმერული, ზემოგურული და ლენხუმური ერთ წრეს ქმნის ქართულ დასავლურ დიალექტურ არეალში“ (კ. კუბლაშვილი, 1985, 14); ქ. ძოწენიძეს მიაჩნია, რომ ზემოიმერული ქართლურის გავლენას განიცდის, უფრო ქართლურისკენ იხრება (ქ. ძოწენიძე, 1973, 147).

ჩვენ დიალექტიზმების სახით გამოვყოფთ არა მხოლოდ იმერიზმებს, არამედ სხვადასხვა კილოსთვის დამახასიათებელი ფორმებსა და მოვლენებსაც. როგორც ცნობილია, დიალექტიზმი მხოლოდ კონკრეტული ფორმის წარმოებაში ვლინდება (ბ. ჯორბენაძე, 1989, 13), შესაბამისად, ქუთაისის პრესის ენაში დადასტურებული ენობრივი ფაქტები შეფასებულია არა ცალკე, განკერძოებულად, არამედ ენის საერთო სისტემიდან ამოსვლით.



## 2.2.1. ფონეტიკური მოვლენები

**ბგერის დაკარგვა.** პრესის ენაში ხშირია ამა თუ იმ ბგერის დაკარგვის შემთხვევა. მეტწილად იკარგება ნარნარა (**ნ, რ**), ცხვირისმიერი (**მ**), კბილბაგისმიერი (**ვ**) ბგერები:

**მ: თლათ (< მთლად)** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 12); **მარა (< მაგრამ)** („განთ.“, 7, 15);

**მ** ბგერა იკარგება მიმდებარეობაშიც: *იქნებ კვდარია კიდევ* („ფონი“, 1910, 4, 9). ძველ ქართულში იყო: **მკუდარ არს**. მაშასადამე, აღნიშნულ ფორმაში დაკარგულია **მ** და ფორმაც დიალექტური უფრო არის, ვიდრე – არქაული.

როგორც მიუთითებენ, **მ** ბგერის დაკარგვა სიტყვის თავიკიდურ პოზიციაში არ არის მხოლოდ დიალექტებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა, მსგავს ცვლილებას ზოგ შემთხვევაში ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაც ადასტურებს: **ფრინველი (< მფრინველი), ბრწყინვალე (< მბრწყინვალე), დაბალი (< მდაბალი)**. ასევეა მიღებული **კალია (< მკალია)** (ზ. სარჯველაძე, 1975, 94);

ზოგჯერ პარალელიზმიც იჩენს თავს: **სამგლოვიარო || საგლოვიარო: სამგლოვიარო დროშები ფრიალებდნენ** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 14); **კაპიტანმა გადმოიყვანა იგი კარეტიდან და შეიყვანა საგლოვიარო ოთახში** (იქვე);

**ნ: ეკენისთვეს** („იმერ.“, 1, 1); **ყვიჩილი|ყვიჩილა: ყვიჩილი რომ აღრე დაიყვილებს, გათენებას ვერ მოესწრება** („შინ. საქმ.“, 1908, 1, 2); **ყველა ჩვენი ყვიჩილა მატერიალისტები** („შინ. საქმ.“, 1908, 18, 2);

**რ: გასამჯელო** („იმერ.“, 3, 4); **სადღეგძელო** („იმერ.“, 3, 2); **ბბანებელი** („იმერ.“, 3, 3); **სიფთხილე** („იმერ.“, 2, 3); **ახალგაზრდა|ახალგაზღობა: ცხოვრება ახალგაზრდა აბუჯებელისა წავიდა ჩვეულებრივად** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); **საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება სემინარიაში, თურმე დაუხშავს ქართველ ახალგაზღობას უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლების, აკადემიების კარებს** (იქვე, 2, 8); **ახალგაზღებს** („განთ.“, 2, 32); **ზდილა** („იმერ.“, 2, 2); **ჩამოიხჩო** („იმერ.“, 3, 2); **მიბბანეთ** („იმერ.“, 1, 2); **გაგძეღდება** („იმერ.“, 2, 11).





**ბბ, გბ, ზდ** კომპლექსების პარალელურად გვხვდება **ბრძ, გრძ, ზრძ**: **ბრძანება** („იმერ.“, 1, 1); **განაგრძო** („იმერ.“, 2, 4); **ახალგაზრდა** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13).

**რ**-სთან ერთად იკარგება **გ-ც**: **კაი (<კარგი)** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13). **კარგი**-ს ნაცვლად **კაი** დღეს დამახასიათებელია არა მხოლოდ დასავლური მეტყველებისთვის, არამედ სასაუბრო ენისთვისაც: *კაი კაცია, კაია...* ეს ფორმა მწვერალთა ენაშიც დასტურდება: „კაი ყმა“ (ვაჟა), ა. შანიძეც ამ გამოთქმას იყენებდა: „კაი ქართული“. აღნიშნულ შემთხვევებში **კაი**-ს სიმბოლური დატვირთვა ეკისრება და დიალექტურ ელფერს მოკლებულია.

ბაგისძიერი **ო, უ, ბ** და კბილბაგისძიერ **ვ** ბგერათა უშუალო თუ დისტანციურ მეზობლობაში ხშირად იკარგება **ვ** თანხმოვანი როგორც სახელის, ასევე ზმნის ფუძეშიც: **ბავში** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 14); **მონაზნების** („იმერ.“, 1, 4); **პირუტყულათ** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8); **ბეჭდითი** („განთ.“, 1, 3); **სასირცხოთ** („იმერ.“, 1, 2); **ხელმისაწდომია** („იმერ.“, 1, 1); **ეკუთნის** („იმერ.“, 1, 3). თუმცა ზოგიერთ პუბლიკაციაში აღნიშნულ პოზიციაში **ვ** დაცულია: **ნათესაგობა** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8); **სასირცხვოთ** („იმერ.“, 2, 2); **ხელმისაწვდენი** („ფონი.“, 1909, 4, 1).

**ვ**-ს დაკარგვის ნიმუშია **ქვეშემრდომი** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9). ამოსავალი ფორმაა **ქვეშე-მ-ვრდ-ომ-ი**. სამწერლობო ენაში პირიქით ხდება: იკარგება **მ** და ამგვარად მიიღება **ქვეშევრდომი**.



**ცთ** კომპლექსში იკარგება **თ**: **ამისანა (< ამისთანა)** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2).

**ბგერის ჩართვა**. პრესის მასალებში ბგერის ჩართვის საპირისპირო მოვლენაც აღინიშნება: დიალექტური ფორმაა



**უკანასკნელი** („განთ.“, 2, 22), ასევე **რუხვი** („შინ. საქმ.“, 1908, 8, 12), **გარუხვებული** (იქვე, 2, 3), რომლებშიც ჩართულია გ ბგერა.

დიალექტურია **ისტე** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 8), რომელშიც **თ** ჯერ კიდევ შენარჩუნებულია: **ის-რე-თ-ე-ისტე-ისე**. უთანო ფორმა (**ისე**) ლიტერატურული ენის კუთვნილებად იქცა, უფრო ძველი **ისტე** კი იმერულ კილოში არის შემონახული.

**ასიმილაცია**. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მუდგრობის ხარისხი კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირებულია ბარის კილოებში, განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ დასავლური დიალექტები. სწორედ მუდგრობის ხარისხის ასეთი შემცირება და ყრუ ბგერის იმპლოზია-ექსპლოზიის ენერგიულობა მუდგრობის ბგერასთან შედარებით არის იმის საფუძველი, რომ ეს უკანასკნელი ადვილად ემორჩილება ყრუ ბგერის გავლენას“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 158).

იმერულში თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის გვერდით პროგრესული ასიმილაციაც დასტურდება. ასეთ შემთხვევაში გამვლენელი ყრუ ბგერაა, რომელიც მომდევნო მუდგრობის იმსგავსებს ნაწილობრივ (ქ. ძოწენიძე, 1973, 243).

პრესის ენაში დასტურდება ასიმილაციური დაყრუება, კერძოდ, გაფშვინვიერება. **ხდ** კომპლექსი პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის გზით გვაძლევს **ხო-ს**: *ვვონებ ვერაფერს გახთვის!*. („იმერ.“, 1, 2); *მოხთა სროლა* (იქვე, 2, 3); *ასე ხთება მთელი რუსეთის სივრცეზე* („ფონი“, 1909, 1, 2); *მას ლამაზი, ვაჟკაცური სახე აქვს, ღონიერი და მოხთენილი სხეული* („განთ.“, 1, 12).

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციით **ღ-ს** დაყრუების ნიმუშია **მიეხწევა**: *ჰხედავენ, მათი მასწავლებელი ძლივს მიეხწევა, ფეხზე ვეღარ დგება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 12) (მდრ. ძვ. ქართ. **გახრწევა, დახრწევა**).

მ თანხმოვნის დაყრუების ნიმუშია **ცარცვა** (< **ძარცვა**), **გასაცარცვათ** (< **გასაძარცვათ**) („განთ.“, 1, 61).

„განვითარების ყველა ეტაპზე ქართულში ძლიერ მოქმედია ასიმილაციური დაყრუების კანონი, ხოლო სუსტია ასიმილაციური გამუდგრობის ტენდენცია“ (კ. კუბლაშვილი, 1991, 71).



კომპლექსში **ყრუ+მუღერი** მოქმედებს ასიმილაციური გამუღერების კანონიც, თუმცა სათანადო ფონეტიკური პროცესის ფაქტები იშვიათია სალიტერატურო ქართულშიც (ისტორიულად და განვითარების თანამედროვე ეტაპზეც) და დიალექტებშიც.

ასიმილაციური გამუღერების ნიმუშია **მზგავსება** („იმერ.“, 2, 2). ს. ხუნდაძე ამგვარ დაწერილობას მიიჩნევდა გამართლებულად. რეგრესული ასიმილაცია კომპლექსში **ყრუ + მუღერი** საერთოდ დამახასიათებელია ქართული მეტყველებისთვის: **დაემზგავსა** (< **დაემსგავსა**), **ამიზგან** (< **ამისგან**)...

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის მაგალითია **გა-შინჯეთ** („იმერ.“, 2, 2). **სჯ>შჯ** ჯერ კიდევ ხანმეტ და ჰამეტ ტექსტებში დასტურდება.

**დისიმილაცია**. როგორც ცნობილია, დისიმილაციური გამუღერების შედეგადაა მიღებული ტოპონიმი **თბილისი**. ამ მოვლენას ასიმილაციური გაფშვინვიერება უსწრებდა: **ტფილისი>თფილისი**. პრესის მასალებში გავრცელებულია ეს უკანასკნელი. აღნიშნული ფორმები XI-XIII საუკუნეთა ტექსტების ენისთვის არის დამახასიათებელი. XX საუკუნის დასაწყისში სადავოდ იყო ქცეული ამ ტოპონიმის მართლწერა. საბოლოოდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენმა სახელმწიფო კომისიამ **თბილისი** დააკანონა.

რეგრესული დისტანციური დისიმილაციაა ფორმებში: **წრეულ** (< **წლეულს**) („განთ.“, 1, 11); **მისცვიინდენ** (< **მისცვიინდენენ**). ორი **ვ** შენარჩუნებულია **ცვივა** ზმნაში CV პოზიციაში, მაგრამ, როცა **ვ**-ს თანხმოვანი მოსდევს, იგი დისიმილირდება.

**სუბსტიტუცია**. პრესის ენაში დასტურდება სუბსტიტუციის შემთხვევებიც:

**მ – ნ**: **უნცროსს** (< **უმცროსს**) („იმერ.“, 3, 2); **ღანახსოვრე** (< **ღაიმახსოვრე**): **ღანახსოვრე ჩემი სიტყვები** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 2);

**ზ – ძ**: **განძრახვა** (< **განზრახვა**): **გულწრფელი მეგონა შენი განძრახვა** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5); **ნუთუ არ შეგვრცხვება იმ საზოგადოებაში გამოჩენისა, რომელსაც შენ განძრახ ატყუებდი?** (იქვე, 2, 6);

**ჯ – ჭ**: **ჭანდი** (< **ჯანდი**) („ფონი“, 1909, 4, 11).



**ბგერათა შერწყმა:** ვა, ვე კომპლექსი იძლევა **ო-ს**:

**ვა > ო:** კომლად (< კვამლად): *ეს ჩვენება... შემდეგ გადაიქცა კომლად* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 4); **გამოსოული** (< **გამოსვეული**) („განთ.“, 7, 5);

**ვე>ო:** **სუყოლიფერი** (< **სულყველაფერი**), **ყოლიფერი:** *ეხლა ეს სუყოლიფერი ტყუილი გამოდგა* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5); *დანარჩენი სუყოლიფერი იბადება და ჰქრება* (იქვე, 13, 7); *ყოლიფერი ეს ჩვენ არ შემოვვიტანია ჩვენთან ერთად ქვეყნიერებაში და არც მიგვაქვს იქიდგან* (იქვე, 13, 6); **ზოგჯერ ო-სთან ერთად აღდგება ვე კომპლექსიც:** **ყოველიფრის** (< **ყოლიფრის** < **ყველაფრის**): *ყოველიფრის მიზეზ-შედეგებს აგებინებდა* („შინ. საქმ.“, 1908, 28, 7).

**მეტათეზისი.** იმერულში მეტათეზისი არის მარტივიც და საურთიერთიც, კონტაქტურიც და დისტანციურიც. ჩვეულებრივია სონორ ბგერათა მეტათეზისი. შესაბამისი მასალა დასტურდება XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში:

**გაუჭიერებლათ** (< **გაუჭირებლათ** < **გაუჭირებლად** („იმერ.“, 3, 3);

**ძრიელ** (< **ძლ-იერ** < **ძალ-იერ**) („ფონი“, 1909, 5, 1);

**დათურგნა** (< **დათურგუნა**) („განთ.“, 8, 17). იმერულში დღესაც დასტურდება **მოთურგუნა** (= დამორჩილება);

**მოქმცევ** (< **მომქცევ**) („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8);

**ქრმები** (< **ქმრები**) (იქვე);

**წასრულ** (< **წარსულ**) (იქვე, 2, 9). პარალელურად კანონზომიერი **წარსული** ფორმაც დასტურდება: *წარსული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში შესდგა თფილისში მთავრობისაგან ნებადართული კრება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7)...

**ანალოგია.** საანალიზო მასალაში გვხვდება **თოთხმეტის** ანალოგიით მიღებული **თუთხმეტი** (ნაცვლად **თხუთმეტისა**): *ყველა ფაკულტეტზე ლექციებს თუთხმეტიდან დაიწყებენ* („იმერ.“, 1, 4);

სხვა სახელთა – **ორჯერ, სამჯერ...** ანალოგიით არის მიღებული **ერთჯერ:** *კვირაში ორჯერ თუ არა, ერთჯერ მაინც გაუჭიერებლათ შეეძლოთ თეატრის ხარჯის ატანა* („იმერ.“, 3, 3).



პრესის ენაში სხვა სახის გრამატიკული მოვლენებიც აღინიშნება:

ზოგჯერ უ ხმოვნის დავიწროებით, გაუმარცვლოებით მიიღება ვ: ვარყოფა („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8); ვარ-ვჰყოთ (იქვე); ისაშვალება („ფონი“, 1909, 1, 3). ვინიანი ფორმები თანამედროვე ქვემოიმერულში (დასავლურ ზოლში) არის მეტწილად გავრცელებული.

ემფატიკური ა-ს ბადალი უნდა იყოს ი გამოთქმაში მითი: შევეძლო ქუჩა გეწმინდა და მითი გერჩინა თავი („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6).

იმერიზმია სადნამდის (< ძვ. სად-ან-ა-მდი)>ლიტ. სანამდის || სანამდე. თანამედროვე იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი სად-ან-ა (სად?) ფორმაც ძველი ქართულიდან მომდინარეობს.

ვნებითი გვარის მიმდებარის საწარმოებლად -ილ და -ულ სუფიქსების გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გარკვეულ წესს ექვემდებარება. მათი მონაცვლეობა დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის, განსაკუთრებით იმერულისთვის. ეს მოვლენა დასტურდება XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაშიც. ამის მაგალითია მომზადილი: იდეიურათ მომზადილ... ახალგაზრდებს მიერწოდესთ სული და გული მაზედ („განთ.“, 2, 32). მოცემულ ფორმაში თემის ნიშანი ამოვარდნილია და ავტომატურად ათემატურ ფუძეს დაერთვის წესისამებრ -ილ (მომზადილ-ი, შდრ. მომზად-ებ-ულ-ი).

## 2.2.2. ლექსიკური დიალექტიზმები

ლექსიკური თვალსაზრისით საინტერესოა სხვა ფორმებიც:

ალაგი (= ადგილი – პ. გაჩენ., ვ. ბერ., ნ. შარაშ.): ეხლა დაცლილია მეოთხე მღვდლის ალაგი („შინ. საქმ.“, 1910, 27, 15); ამ... ცენტრებს უჭირავს... პირველი ალაგი („განთ.“, 2, 23). ქვემოიმერულში არის აგრეთვე ალაგე (< ალაგი), რაც ნიშნავს ღობეზე გადასასვლელს, სპეციალურად გაკეთებულს, ფიცრისგან ან ხის გადანაჭრებისგან შეჭედილს;



**ბნდუ** (= მცირე, სუსტი სინათლე) – შექის ნასახი, თვალის ჩინი (ი. მაის.): *ჩემი ყურადღება მიიქცია ბნდუ სინათლემ, რომელიც ვითომ კიბეზე ამოდიოდა* („შინ. საქმ.“, 1908, 9, 13). **ბნდუ**-სთან უნდა იყოს დაკავშირებული ტერმინები: **ბნელა**, **მიბნედილი**...

**ბჟოლა||თუთა** (ლიტ.): *ბჟოლის ნორჩი ფოთლები* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 14); *მურს აჭამეთ ძალიან წმინდათ დაჭრილი თუთის (ბჟოლის) ფოთოლი* (იქვე);

**გაკიპორტებული** (< **კიპორტი** – რაჭ., იმერ.; 1. ერთი წვრილი ხე ხიდად გადებული – პ. გაჩეჩ.; 2. იგივეა, რაც კიპორჩხალი; 3. ხარის დასაჭედი მოწყობილობა (ქვაციხე); 4. კიპორტიკი||კიპორტიკი ხიდი – დელეზე საცალფეხო ხიდად გადებული სახელურიანი ძელი (ქ. ძოწ.); 5. ხიდად გადებული ძელი (საბა): *...რომელიმე მოღვაწე, ანდა წოდების წარმომადგენელი გაკიპორტებული იქნება კარრიკატურაში* („შინ. საქმ.“, 1908, 5, 2);

**გალანჯული** (შდრ. გარუჯული): *...სახე მზისგან გალანჯული* („შინ. საქმ.“, 1912, 16, 3);

**გაყუცებული** (= დაყუცებული||დაყუნცული თუ გაყუნებული): *(მან) ეტლის კოფოზე გაყუცებულ კოწიას ალერსის ნიშნათ ბეჭედში ჩააყალა* („განთ.“, 1, 18);

**დაბეგებული** (= დასიებული, გაუხეშებული): *ხელები მუშაობით დაბეგებული გვაქვს* („შინ. საქმ.“, 1912, 16, 3);

**დაფელილი** (= დაღებული): *დაფელილ კარებიდან ექვსმა რაჭველმა მუშამ გაიტანა როიალი* („განთ.“, 1, 16);

**კაპარჩრინახობა** (= სიავე, შდრ. აქვე **კაპარჩრინა**): *დაიწყო კაპარჩრინახობა, დედამთილ-მამამთილის თრევა ლანძღვა... მამამთილი იძულებული შეიქნა ხელახლა ეთხოვნა თავის კაპარჩრინა რძლისთვის გაჩუმება* („შინ. საქმ.“, 1908, 12, 10);

**კინწკლავი** (= კინკლავი, დავა): *თვით იმათ ერთმანეთში კინწკლავი და დავიდარაბა ბევრი და ხშირი აქვთ* („იმერ.“, 3, 3). შდრ.: **კინწკლავი** – შებრძოლება, ჭიდაობა, ჩხუბი. – **კენწკლაობა** (იხ. ჩიქოვ., ჯაჯან.; შდრ. ქეგლ: **კინწკლაობა**) (რაჭული დიალ. ლექსიკ. (მასალები), 1987, 62);

**კოწიაწი** (შდრ. **კიწიკოწი** – ხელდახელ ჩხუბი, ბღლაძუნი და კოწიწი – ერთმანეთზე ჩამოკიდება, ბღლაძუნი – პ. გაჩეჩ.);



**დაკოწიაწდება** – აქეთ-იქით იტრიალებს და **ეკოწიაწება** – ებლაუჭება, ეწევა – ქ. ძოწ.): *რაკი ვერცერთი ვერ გადაძღვეს, თავს დაანებებენ უნაყოფო კოწიაწს* („იმერ.“, 3, 3);

**კუკუმეთში** (შდრ. **უკუნეთში** ან კიდევ: **კუკუპეცი/კუკუნახი/კუნაპეტი ღამე** – ლ. უკლ.): *თითქოს მთელი ქვეყნის ტანჯულ-წამებულთა სულები... მოთქმა ღრიალით მიმოდიან კუკუმეთში* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 12);

**რგვალი, სუქანი** (= ქონ-მრავალი, ქონიანი – საბა): *რგვალი სუქანი მხარ-ბეჭი და ბადრ მთვარესავით სავსე სახე* („განთ.“, 1, 10). **რგვალს** ვერ მიეცემა ისეთივე კვალიფიკაცია, როგორც **შვენიერს, სუბუქს, სხვილს**... ძველ ქართულში იყო **მგრგუალ**. თავდაპირველად გ-ს, ხოლო მომდევნო საფეხურზე მ-ს დისიმილაციური დაკარგვითა და უ ხმოვნის გაუმარცვლოებით უნდა იყოს მიღებული **რგვალი** (<**რგუალი** <**მრგუალი** <**მ-გრგუალი**-ი). იგი დიალექტიზმია და არა არქაიზმი. საანაღიზო მასალაში მ-ს გარეშე დასტურდება ზმნური ფორმაც **რგვალდება**: *ტრიალის დროს ბურთივით რგვალდება* („შინ. საქმ.“, 1908, 1, 3);

**საცო** (= საცობი): *რამ დახდო მამანო საცო ბაგეთა თქვენთა!* („შინ. საქმ.“, 1908, 22, 4);

**ტოლ-აფხანიკებს** (= ტოლ-ამხანაგებს); *...რავა ჩამოუპრაწავდი თვალებს ტოლ-აფხანიკებს* („განთ.“, 2, 32).

**ფალაგანდი** (= ფალაგანი): *უამისოთ უცებ ვერ გახდებით ფალაგანდი* („შინ. საქმ.“, 1908, 22, 8);

**ჩაყურჭუმალელებული** (< ქართლ. **ჩაყურჯუმელაგებული** – ჩაყვინთული, თავის წყალში ჩაყოფინება, ჩაყურყუმელაგება – ალ. ღლ.): *(იგი) ვეროპული ცოდნის და ცხოვრების გამოცდილების შეძენის ხანაში იყო სულერთიანათ ჩაყურჭუმალელებული* („განთ.“, 1, 56);

**წალო** (ფშ., ქიზიყ. კედელში დატანებული თარო, განჯინა – ი. ქემიკ; სახლის კედელში დატანებული განჯინასავით, უკაროა, ფარდა აფარია, შიგ ლოგინს აწყობენ – ს. მენთ.; საგებლის დასაწყობი – საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.; ნიში, მანდური – ალ. ნეიმ): *...მე დავმალე ხელნაწერი კედლის საიდუმლო წალოში (ჩუაჩუა შკაფში)* („შინ. საქმ.“, 1908, 12, 16); *...წალოს სარკმელი ავურებით გავაკეთე ისე, როგორც ყოველთვის* (იქვე).



XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პერიოდულ ორგანოთა ენაში გურული კილოსთვის დამახასიათებელი გამოთქმებიც დასტურდება:

**არ იქნა შოვნა:** *მინდა გაზეთი ვიყიდო, რომელიც სახლიდან დამიმოწმეს და არ იქნა შოვნა* („ფონი“, 1910, 1, 13);

**ვიარები:** *დღეუბანდელი დღე ვიარები* (იქვე); *ამისათვის მოელი დღეი უნდა იარო* (იქვე). **დღეი** დამავალი დიფთონგის მოშლის ერთ-ერთ გზას (**ღი**) გვინგენებს. ეს პროცესი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ძველ ქართულშივე დაიწყო. **ღ**-ს სრულ **ი**-დ ქცევის ნიმუშები დღეს შემონახულია დიალექტებში;

**იგინი:** *იგინი ყველაფერს ზღაპარს ეძახიან* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 2); **იგინი** აქ პირის ნაცვალსახელის ფუნქციით არის გამოყენებული, რაც თანამედროვე გურული დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. გურიიზმები არის არა მხოლოდ გურიიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებში, არამედ სხვა მასალაშიც. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქუთაისის პრესის ენა განიცდის თავის გარემომცველ კილოთა გავლენას.

### 2.2.3. ზმნური დიალექტიზმები

**ატყობ** (= ამჩნევ): *...შენი საკუთარი საქმეების აფუშულ მდგომარეობას ვერ ატყობ* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9);

**აფოთარებს** (= აფათურებს – ფოთარი – ტრიალი, მოძრაობა, ფუსფუსი, ბოლიალი – ქ. ძოწ.; შდრ.: ფოთარობს = ეძებს რაღაცას – ლ. უკლ.): *...ჯიბგირი... აფოთარებს სხვის ჯიბეში ხელს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5);

**გვიჯის** (= გვიხის): *ბოვში შინ გვიჯის* („განთ.“, 7, 7). **გვიჯის** ზმნაში წყვეტილის ფუძისეული **ჯ** გადმოსულია აწმყოში, რაც უნიფიკაციის ტენდენციაზე მიუთითებს;

**გვჭირია** (= გვჭირდება): *...ჩვენ გვჭირია ორი ფაქტორი, ორი საშეაღება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10);

**გამოახოხორიკა** (= გამოაცარიელა, შდრ. ხოხორიკი – უნაყოფო, მოსავლიანი ადგილი, ხრიოკი – პ. გაჩეჩ.): *ბევრი ამხანაგის ჯიბაც გამოახოხორიკა* („შინ. საქმ.“, 1908, 13, 14);

**დაამწყდოვს** (= დაამწყვდევს): *იმათ სადგომში კაი მყოფახე ქათამსაც არ დაამწყდოვსო* („განთ.“, 7, 7).





**დაიფუჭება** (= დაიცვლება, დაიხუტება): ყველა რაღაც ცარიელ გუდასავით ვართ გაბერილი, სანამ საქმეს მივადგებოდეთ და როცა მივადგებით, ერთ წამს დავიფუჭებით („შინ. საქმ.“, 1908, 18, 14); დღეს მზეზე სოფელს გაგიშენებენ და ხვალ ისე დაიფუჭებიან ენერგიისაგან, რომ ერთ ქალაქის ნაგლეჯსაც გადაგიბრუნებენ (იქვე);

**დარჩომია** (= დარჩენია. შდრ.: ძვ. დაშთომა<დაშთენა): კაცს დარჩომია მხოლოდ ამ დიდებულ პროცესის... შეგნება („შინ. საქმ.“, 1908, 4, 6);

**ეწამებიან** (= სწამებენ): სილოვანს ენის უცოდინრობას ეწამებიან („იმერ.“, 1, 2);

**ეწიკება** (= ეხიდება): ორი მოწინააღმდეგე პირდაპირ იქითა და აქით ეწიკება... („იმერ.“, 3, 3);

**ექვირება** (= სჭირდება): ქართველ ებრაელებსაც ქართველებთან ერთად ეჭვირებათ ასეთი წამლობა („იმერ.“, 2, 2);

**ვზუზდე** (<ზუზღვა – გურ., იმერ. – ს. ჟღ.; მ. ალაგ.): სამიოდე ჯოხი ვზუზდე („განთ.“, 2, 19);

**მეჭინჭველება** (<ჭიანჭველა – თითქოს ჭიანჭველები დადიან, ჟრუანტელი მივლის): გლახათ ვგრძნობ თავს, ტანი რაღაც მეჭინჭველება, მცირა და ყელი ძალიან მტკივა („შინ. საქმ.“, 1908, 14, 13);

**მიეხწევა** (<მიედწევა – ძლივს მიდის): პხედავენ, მათი მასწავლებელი ძლივს მიეხწევა, ვეხზე ვეღარ დგება („შინ. საქმ.“, 1908, 2, 14). შდრ. ძვ. ქართ. **გახრწევა**, **დახრწევა**;

**მივლენ** (= მიდიან): ხონის პროვიმნაზიის მოწაფეები 29 სექტემბერს საექსკურსიოთ ჭიათურას მივლენ („იმერ.“, 2, 2);

**მინავალა** (= მიდიოდა თურმე): დილა ადრიან ის მინავალა გზაზე („ფონი“, 1910, 1, 12). **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები თურმეობითი დამახასიათებელია ქვემოიმერულისთვის: **ნაკეთება**, **ნაცხოვრება**, **ნაყვარება**...

**მიტიკა** (= დამარტყა): ჩემმა ენამ ტიკტიკამო ყბაში ძლიერ მიტიკაო („განთ.“, 1, 26). აღ. ღლონტის „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონის“ მიხედვით **ტიკ** ძირის მნიშვნელობა სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. მაგალითად, ლეჩხუმურში **ტიკება** = კბენა, ჩხვლეტა: უტიკა, უჩხვლიტა. წყევლაა: „ბგველმა გიტკია მაგ ენაზე!“ (გ. შარაშ.); ფშაურში **ტიკვა** =



გაბერვა, გასიება (ი. ქეშიკ.); გურულსა და იმერულში **ტიკვა** – ფეხის ან ხელის ჩაკვრა წყალში, ღომში, ლაფში: *თვალელებში სტიკა თითი* (ს. უდ., ვ. ბერ.).

**მოატყვილა** (= მოატყუა): *დაპირებით ვერაგინ მოატყვილა* („იმერ.“, 2, 2). **უ** ხმოვანი **გადასულია ვ-**ში: **ტყუის>ტყუილი>ტყვილი**. პრესის ენაში ვინიანი ფორმა აწმყოშიც გვხვდება: *ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც სტყუვიან* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2); **სტყუვიან** ფორმას თითქოს არქაულობის ელფერიც დაჰკრავს (**ს-** პრეფიქსი უნდა ქმნიდეს ამის საფუძველს), მაგრამ იგი დიალექტიზმად უნდა იქნეს მიხნეული. ანალოგიური მნიშვნელობით თანამედროვე იმერულში გვხვდება **იტყვილებიან**.

**მჩანთეს** (= დამარტყეს): *ერთი იმისთანა პანდური მჩანთეს, რომ სულ ბზიალ-ბზიალით წამოვედი მაღლიდან* („განთ.“, 5, 6);

**პუწიაწობდენ** (= ირეოდნენ, შდრ. **აპუწული** – აბურღული, აშლილი||გადატ. აშლილი, მოუწესრიგებელი (საქმე...), დაპუწავს – დაშლის, დაბურდავს (დაფს...) – პ. გაჩეხ.); იმერ. **აპუწიაწებს** = აქეთ-იქით ფანტავს, ერთმანეთში ურევს: *...აპუწიაწებს ქარი ფანტელებს* (დ. უკლ.): *ხანდისხან, სრულიად უქართო ქალაქები თავისთავად პუწიაწობდენ სტოლზე* („შინ. საქმ.“, 1908, 19, 5);

**ტყობულობს** (= გებულობს): *მის ოჯახში აუარებელი მნახველი დადის და ტყობულობს მის ავსა და კარვს* („განთ.“, 2, 1);

**უთხრობიათ** (= უთქვამთ): *სკოლაში არ უთხრობიათ...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1);

**უნობენ** (< ძვ. უბნობენ = ამბობენ): *ბედნიერია ამათი მშობლებით, – უნობენ* („განთ.“, 7, 7);

**ფირფლავდა** (= სუსტად თოვდა): *იმ ღამეს კარგა ძალი თოვლი ჩამოეყარა და იმ დროსაც ცოტად ფირფლავდა* („ფონი.“, 1909, 12, 5);

**ღონდილობდა** (შდრ. **ღოღიალი>დაღოღიალობს** ან **ღოღვა>დაღოღავს** = ძლივს დადის, აგრეთვე იმერ. **ღონციალი** = 1. უღონოს სუსტი სიარული (აღ. დღ.); 2. ქანაობა, რწევა: ქარმა მსხალი სულ ჩამორეკა, ერთ-ერთი ღონციალიობს კიდღ (ი. ქავთ.); იმერ. **ღონწიალი, დაღონწიალობს**



(**დაწოწიალობს**) – ძლიერ გაჭირვებით დადის. იტყვიან ისეთ ადამიანზეც, ვისაც უყვარს ხშირ-ხშირად სხვასთან მისვლა (ლ. უკლ.); ქვემოიძერ. **დაღონწიალობს** = უსაქმურად დადის (ქ. ძოწ., ნ. შარაშ.); იძერ. **დანღილი** = ავადმყოფობისაგან მისუსტებული, ძალაგამოღებული სიარული (ლ. უკლ.). იძერ., გურ. **ღოღიალი** (**>დაღოღიალობს**) განმარტებულია ასე: ღოწიალი, წოწიალი, უსაქმოდ ხეტიალი, თრევა (აღ. ღღ., ვ. ბერ., ს. ჟღ., ნ. შარაშ.); ამასვე ნიშნავს ღეჩხ. **ღიალი** (მ. აღაგ.); გურული **ღოღვა** = ღლაბუცი, უთავბოლოდ სიარული (ს. ჟღ.): *ძლივსძლიობით ერთი სასწავლებელი ღონღილობდა* („შინ. საქმ.“, 1910, 27, 11);

**შეხვდენია** (< შეხვდერია < შეხვედრია): *მას შეხვდენია ბოქაული* („ფონი“, 1910, 1, 13);

**ჯახრიკობს|წვალობს** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 11).

ღეჭსიკური თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, ზმნა **აღაჭაღეს**: *ტეხნიკური სასწავლებლის შენობის აგება ორ წელიწადს აღაჭაღეს და ძლივს მოათავეს* („იძერ.“, 3, 3). **აღაჭაღეს** გაჭიანურებული მოქმედების შესატყვისია და მოგვაგონებს იძერულში გაგრცვლებულ **ღაჭა-ღუჭს**. ქეგლ-ის მიხედვით, **ღაჭა-ღუჭი** = ძნელად ღეჭვა. გაჭიანურებულ მოქმედებაზე მიუთითებს **ღაჭ** ძირი გურულ **ღაჭუნშიც**, რაც ნიშნავს მძიმედ, ზანტად ღაპარაკს.

სხვადასხვა დიალექტურ მონაცემთა გათვალისწინებით შეიძლება დაზუსტდეს **ნაჭავს** ზმნის მნიშვნელობა. კონტექსტი: *(ბურთულა) გარშემოერთემის მიკრობს და თანდათან იხვევს, თითქოს ნაჭავს, მიკრობი ნელ-ნელა იღვევა და, ბოლოს, სრულებით იხრწნება, წყალღება ბურთულას თონთლო სხეულში* („განთ.“, 1, 35).

**ნაჭავს** ნასახელარი ზმნაა და დაკავშირებული უნდა იყოს სახელთან **ნაჭა**. მისი მრავალგვარი განმარტებაა მოცემული აღ. ღღონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“: 1. ნაჭა (იძერ., გურ., ღეჩხ.) – შუაცეცხლზე ქვების ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, საკიდელი (ი. ჭყონ.), ჯაჭვი, საქვაბე (მ. ჩიქ.); 2. ნაჭა (გურ., აჭარ.) – წენვო (გ. შარაშ., შ. ნიუ.); 3. ნაჭა (ქვ. იძერ.) – ღაფანი, ღაფნის ხე (ა. მაყ.); 4. ნაჭა (ქვ. იძერ.) – პურის გაღეწვის შემდეგ დარჩენილი ნამჯა (ზ. ჭუმბ.).



**დანაჭავს** იმერულსა და გურულში ნიშნავს: წყალს (მორევს) მოწამლავს დაჩეჩქვილი წენგოთი (ნაჭით) ან ლაფნის ფოთლით თევზის დასაჭერად (პ. გაჩეჩ.). ამავე ზმნას განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: **ნაჭავს** (ზ. იმერ.) ნაჭს (წენგოს) დააცლის კაკალს, დაკროლავს (ქ. ძოწ.); ლენხ. დაჩენჩავს (მ. ალაღ.). ამასვე ნიშნავს ზემოიმერულში **განაჭავს**.

პ. გაჩეჩილაძის მიხედვით, **ნაჭავს** იმერულში ნიშნავს: 1. წყალს ლაფნის ფოთლით ან წენგოთი წამლავს თევზის დასაჭერად; 2. ტვირთის სიმძიმე წელში დრეკს, ზნექს.

შურნალ „განთიადში“ დადასტურებული კონტექსტის მიხედვით, **ნაჭავს** ზმნა **ნაჭავს** ერთ-ერთ მნიშვნელობას – **წენგოს** უკავშირდება და ნიშნავს: ნაჭავს, ნაჭუჭს, კანს აკრავს. **დანაჭვის** სინონიმურია **დაკანვა** (წიგნის, რვეულის დაკანვა, ყდაში ჩასმა). **ნაჭავს** კნინობითი ფორმა უნდა იყოს **ნაჭუჭი**. შდრ. **პარკუჭი**, **კაუჭი** < **კავუჭი** < **კაკუჭი** < **კაკვი** | **კავი** (შდრ.: იმერ. **კაკუჭი** | **კაკუჭელა** – კაკვი, კაუჭიანი ჯოხი, რაიმეს გადმოსაწევი – ლ. უკლ.), **თაფლუჭი**, **კაკლუჭი**, ლენხ. **ნაღუჭი** = ხილის შეჭმის შემდეგ დარჩენილი უვარვისი ნაწილი (შ. ნიუ, ბ. წერ.) და სხვა.

ჩვენი ვარაუდით, **-უჭ** სუფიქსიან სახელებს შეიძლება დაუკავშირდეს ტოპონიმი **ჯრუჭი**, რომლის ამოსავალი უნდა იყოს **ჯვარ** ფუძე: **ჯვარ-უჭ-ი** > **ჯვრ-უჭ-ი** > **ჯრუჭი**. **-უჭ** სუფიქსი არც ისე პროდუქტიულია ქართულში. იგი სიმცირე-სიპატარავეს გამოხატავს. კნინობითობის სემანტიკას კიდევ უფრო აძლიერებს ა-ს დართვა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა **გლეხუჭა**, **ნაღუჭა** (გურ.) = ნაკუწი, პატარა ნაჭერი ქსოვილისა (გ. შარაშ.), **ნაკუჭა** = მცირე გული („განთ.“, 7, 23). **-უჭა** ისეთივე ორმაგი სუფიქსია, როგორიც **-უკა** რაჭულში.

საინტერესოა გამოთქმა **იცინოდ-კისკისებდა**: *მეორე დღეს იგი კვლავ იცინოდ-კისკისებდა* („იმერ.“, 1, 4). ეს ფორმა სიცილ-კისკისის ანალოგიით არის მიღებული და გავრცელებული ხალხურ მეტყველებაში.

**ზმნისწინიანი ფორმები**. XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში დასტურდება სხვადასხვა ზმნისწინიანი დიალექტური ფორმები. ფონეტიკური ცვლილებები ზმნისწინისეულ ხმოვნებში დამახასიათებელია, საერთოდ,



ქართული ენის კილოებისთვის და, კერძოდ, დასავლური დიალექტებისთვისაც. ხშირ შემთხვევაში ზმნისწინის ხმოვნით ნაწილი იცვლება ფუძისეული ხმოვნის გავლენით ასიმილაციის დისიმილაციის საფუძველზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „პრევერბისეულ და ზმნის ფუძისეულ ხმოვანთა შეხვედრის პოზიციაში წარმოქმნილი ეს ცვლილებები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისთვის, ამის გამო ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნენ დიალექტურ სხვაობათა მოშლისა და მათი ნიველირების ძალუმ ფაქტორად და ამდენად კონვერგენციის პროცესის გამომხატულებად“ (კ. კუბლაშვილი, 1985, 134).

პრესის ენაში ყურადღებას იქცევს **გადა-** ზმნისწინიანი ფორმები. ხშირად ამ ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვას იწვევს მომდევნო ხმოვანი, რის შედეგადაც ფორმა შეკუმშული სახით წარმოგვიდგება: *ღრუბლები გადივლიდენ* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 12); *მზე გადიხარა* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2). ზოგჯერ ზმნისწინისეული ხმოვანი მოკვეცილია თანხმოვნის წინაც: *ფასიან ქაღალდებით აღებული სესხი... გადვიტანეთ ცენტრალურიდან ქალაქის საკრედიტო ბანკში* („იმერ.“, 1, 3). ეს შემთხვევა ანალოგიით უნდა აიხსნას: თავდაპირველად ზმნისწინის ხმოვნის მოკვეცას იწვევდა მომდევნო (უახლესი) ხმოვანი, შემდეგ მოვლენა განზოგადდა.

**გადა-** ზმნისწინის ხმოვანმოკვეცილი ფორმები ვერ ჩაითვლება იმერიზმად. ეს მოვლენა ცოცხალი მეტყველებისათვის იყო და არის დამახასიათებელი. მას გხვდებით სასაუბრო, უფრო მეტად კი ხალხური შემოქმედების ენაში. **გადა-** ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა რომ ზოგადი ქართული მოვლენაა, ამას ადასტურებს სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული **გადმო-** (**გარდამო-**).

იმერიზმად შეიძლება ჩაითვალოს პრესის ენაში გამოვლენილი **გარა-** ზმნისწინიანი ფორმები: *გარაწყვეტილია, საადღვამით უნდა მექნეს ყოლიფერი სიკეთე* („განთ.“, 7, 5). **გარა-** მიღებულია ძველი **გარდა-**საგან **დ-**ს დაკარგვით (შდრ.: გარდასული – გადასული, გარდაიცვალა – გადაიცვალა). **გარდა-** ზმნისწინის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მნიშვნელობათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვს.




**შე-** ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი ა-ს გავლენით ი-ში გადადის და ასე მიიღება **ში-**: *მიყო, ბატონო, ხელი და სულ იმ დედაკაცს შიაჭამა* („განთ.“, 9, 11).

დიალექტებში **შემო-** ზმნისწინის გვერდით ხშირად გვხვდება **შამო-**: *შამოვიდა, შამოდი...* მსგავსი მაგალითები პრესის მასალებშიც დასტურდება: *სულთანო... ურიცხვი ჯარებით ქარიშხალივით შამოვარდა საქართველოში* („განთ.“, 1, 51).

**შემო-** ზმნისწინის **შამო-**ს სახით გამოვლენა მიჩნეულია არაკომპინატორული ცვლილებების ნიმუშად და ახსნილია ანალოგიის საფუძველზე: **შამო-** მიღებულია **ამო-**, **გამო-**, **ჩამო-** ზმნისწინთა ანალოგიით (კ. კუბლაშვილი, 1959, 252).

საფიქრებელია, რომ ამოსავალში იყო **შა-**, **შამო-**. ა-ს გადასვლა ე-ში უფრო ბუნებრივი მოვლენაა ქართულისთვის ან, შესაძლებელია, **შა-** დაკავშირებული იყოს **შთა-**სთან: ერთი მხრივ, **შთა-**მ მოგვცა **ჩა-** ზმნისწინი, მეორე მხრივ – **შა-**:



**შემო-** ზმნისწინის გადალექტურების ერთ-ერთ საფეხურად უნდა ჩაითვალოს იმერულისათვის დამახასიათებელი **შამე-**: *შამევიდა, შამეიტანა, შამეიყვანა...* საბოლოო ეტაპად კი – **შემე-**: *შემევიდა, შემეიტანა, შემეიყვანა...*

ზმნისწინთა დიალექტურ ფორმებს XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში ფართო გასაქანი ვერ ეძლევა (გამონაკლისია ჟურნალი „განთიადი“ და გაზეთი „იმერეთი“). სამაგიეროდ, საგრძნობია ტენდენცია ზმნისწინთა გამარტივებისა, არქაული ფორმების ახლით შეცვლისა. ზოგ შემთხვევაში ეს ტენდენცია გაუმართლებელია, მაგრამ იმავდროულად გვიჩვენებს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ბუნებრივ პროცესს.



**თემისნიშნისანი ზმნები.** სიტყვაწარმოების მოდელეებში იმერულისთვის დამახასიათებელი **-ობა** დაბოლოების პროდუქტიულობაზე ქვემოთ იქნება საუბარი. აქ გამოიყოფა ფორმები, რომლებშიც **-ობ** ენაცვლება **-ებ** თემის ნიშანს: **ხითხითობდა, ცქრიალობდა** („იმერ.“, 1, 4); **ვლ. მიქელაძის მომხრეები უზომო ზომიერებას ქადაგობენ** („იმერ.“, 3, 2); **გავვისწორდა ბრძენი და უგნური, ვინაიდან ყველა ბრძენობს, ყველა ქადაგობს** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8); **ვის დაარწმუნებ, რომ არ ფარისევლობ და გულწრფელად მოქმედობ** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6); **დედამიწა ძიგძიგობს** („განთ.“, 1, 3); **წინ შემეფეთა ორი ახალგაზრდა, რომელნიც ისეთი ხმით ღრიალობდენ...** („ფონი“, 1910, 1, 5); **სწავლის დაწყებას აპირობენ 10 კეენისთვიდან** („ფონი“, 1910, 1, 2).

მართალია, **-ობ** თემისნიშნისანი ზმნები დიალექტიზმებია, მაგრამ ზოგჯერ **-ებ/-ობ** მონაცვლეობა გამოწვეული უნდა იყოს კონტექსტში წინმდგომი თემისნიშნისანი ზმნის ანალოგიითაც: **ფარისევლობ – მოქმედობ, ბრძენობს – ქადაგობს.**

პრესის ენაში პარალელური ფორმებიც დასტურდება: **აზროვნობს||აზროვნებს:** *რითი ფიქრობს და აზროვნობს* (აქაც წინმდგომი ზმნა **-ობ** თემისნიშნისანია) *ყოველი ჩვენგანიც* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7); *ხალი უბრალო ჭკუით აზროვნებს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2).

ზოგჯერ პირიქითაც არის, **-ობ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ებ:** *ისინი ცხოვრობენ მეტ წილათ თვილისში* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7). როგორც ჩანს, ავტორისათვის ლიტერატურულია **-ებ**, იგი ცდილობს დაიცვას ნორმა და მეტისმეტი მოწადინებით გამოსდის არასწორი ფორმა. ამ გზით გვეძლევა ფსევდოლოგამატიზებული შეცდომა. შესაძლებელია, მსგავს შემთხვევაში სხვა **-ებ** თემისნიშნისანი ზმნათა ანალოგიის პრინციპიც მოქმედებდეს.

**-ებ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ავ:** *ეჭვს გვიბადავს მის სინამდვილეზე* („შინ. საქმ.“, 1908, 15, 11). ზმნაში **მიისწრაფება** („იმერ.“, 1, 3) **-ებ** შეენაცვლა **-ავ** თემის ნიშანს და მოლიანად წაშალა მისი კვალი (**მიისწრაფვის**). საანალიზო მასალაში



**-ებ/-ევ** მონაცვლეობის ნიმუშია მიმდებარე **ნასესხევი**: *სახელი იელოვა ბაბილონისაგან არის ნასესხევიო* („შინ. საქმ.“, 1908, 5, 2).

არქაული ვითარებაა **-ავ** თემისნიშნიან ზმნებში:

ა) შეკუმშულია **-ავ** თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოს

ფორმები მრავლობითში: *თავისი პოლიტიკური ვინაობის გამომხეურებას ვერ ბედვენ* („იმერ.“, 1, 3); *ჭირივით ეზარება ყველა, ვისაც უსაფუძვლოთ ბერვენ* („იმერ.“, 1, 2).

**-ავ** თემისნიშნიანი ზმნა შეკუმშულია მყოფადშიც: *შემდეგ დაკუშვენ ვახეთებს, შეინახვენ უბეში* („ფონი“, 1910, 1, 13). არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება **-ავ** თემისნიშნიან ზმნათა შეკუმშული ფორმები თანამედროვე იმერულში;

ბ) იშვიათად ზმნა თემის ნიშნის გარეშე, ძველი ფორმით არის წარმოდგენილი: *მარადის ღვარძლსა სთესვენ* („იმერ.“, 1, 2). იმერულში ეს ზმნა უფრო გავრცელებულია ამ სახით: **თესვენ**.

ზოგჯერ **-ავ** თემის ნიშანი შეიძლება დაკარგული იყოს როგორც აწმყოში, ისე ხოლმეობითსა და უწყვეტელში: **შერეკდა, გაბედდა, თესდენ...** ძველი ქართულისებური წარმოება დამახასიათებელია იმერული და, აგრეთვე, სხვა კილოებისთვისაც. უნდა აღინიშნოს, რომ იმერულში ასეთ შემთხვევებში უფრო სუფიქსიანი წარმოება არის გავრცელებული. უთემისნიშნო ფორმები ჭარბობს ზემოიმერულში, ქვემოიმერულში კი დამახასიათებელია მხოლოდ თერჯოლური მეტყველებისთვის. მაშასადამე, მოვლენა საერთო ქვემოიმერული არ არის (შ. ძიძიგური, 1970, 168; კ. კუბლაშვილი, 1991, 159).

საანალიზო მასალაში დასტურდება ზმნები, რომლებშიც **ვა>ო** ჯერ არ არის განხორციელებული: *იძულებული ვარ ჯამაგირიდან დავაღვა* („იმერ.“, 3, 4); *ტავიევისა და ბებუთოვის საქმე მოწმეების გამოუცხადებლობის გამო გადაიდვა* („იმერ.“, 2, 1). ცნობილია, რომ ეს იმერულისთვის არის დამახასიათებელი.





XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში დასტურდება ძველი ფორმა ვნებითებისა (**ავ-ის>ვის, ამ-ის>მის(თ):** (დედამიწა) **ირწყვის** *ჩვენი მამების, ძმებისა და შვილების სისხლით* („ფონი“, 1909, 1, 3); *ჩვენ მაინც ვებმით მიძიე უღელში* („განთ.“, 1, 4).

მსგავსი ფორმები გამოვლენილია XI-XII საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში, იოანე პეტრიწისა და სხვათა ნაშრომებში. **ვ** ნებისმიერ თემის ნიშანს ერთვის ვნებითი გვარის ზმნებში და ზოგჯერ უწყვეტელშიც გადაჰყვება: **განეწყობვის, შეიპყრობვის, მიიღებვის, განიყენებვის, იზიარებვის, იცნობვის, განიყოფვის, განეყოფოდის, მოიღებვოდის, მოიღებვოდედ...** აწმყოსა და უწყვეტელში ვნებითის **ვ** ჩართული ფორმები სამწერლობო ენის ფაქტია. ისინი მიჩნეულია ხალხურ ფორმებად, რომელთაც ენაში გზა გაუხსნა გელათის სალიტერატურო სკოლამ. „მისწრაფება ავიან ფორმათა გაბატონებისკენ ერთ-ერთი მახასიათებელია გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილისა. იგი... მაჩვენებელია იმ ტენდენციისა, რომელიც ადგილობრივი მეტყველებისთვის ბუნებრივსა და დამახასიათებელ სუფიქსს აბატონებს, როგორც მეტი გამომსახველობითი უნარისა და ფუნქციურ-სემანტიკური გარკვეულობის მქონეს, თუმცა თავს ვერ აღწევს აღმოსავლური დიალექტური ნაკადის გავლენას, რადგანაც **ბ**-ს შემცველი სუფიქსები გაცილებით უფრო პროდუქტიული და მოქნილი გამოდგა ფორმათა წარმოების თვალსაზრისით“ (დ. მელიქიშვილი, 1987, 76).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ვ** არ არის საკუთრივ ვნებითი გვარის ნიშანი, მაგრამ იგი ყოველთვის განარჩევს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს. სწორედ ეს ვითარება გამოიყენა ანტონ კათალიკოსმა უღლების პარადიგმებსა და საწყისში აქტივ-პასივის განსასხვავებლად. ე. ბაბუნაშვილი და თ. უთურგაიძე აღნიშნულ ფორმებს დიალექტურად, **ფარავს – იფარვის -ავ** თემისნიშნაზნაობა ანალოგიით მიღებულად მიიჩნევენ. „აწმყოში აქტივის ავიან ფორმას ყოველთვის უპირისპირდება პასივის **-ვ** (<-ავ) სუფიქსიანი ფორმა (**ფარავს – იფარვის**),



უწყვეტელში რომ **-ოდ** მაწარმოებელია პასივზე მიმათითებელი (და არა გვარის ნიშანი), ეს ანტონს სპეციალურად პასივზე აქცენტით აქვს აღნიშნული“ (ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, 1991, 76).

ვნებითი გვარის ზმნებში **-ებ** თემისნიშნიან ზმნათა უნიფიკაცია საშუალებას ქართულშივე იწვება. **ირწყვება, ებმება** ტიპის წარმოება ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცა, **ისატვის** ტიპის ძველი წარმოება კი იმერულს შემორჩა.

ამდენად, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში გამოვლენილი თემისნიშნიანი ზმნების ანალიზი ცხადყოფს ამა თუ იმ თემის ნიშნის სალიტერატურო ენასა თუ დიალექტში დამკვიდრების პროცესს.

**-ებ** თემის ნიშნის საპირისპიროდ **-ობ** თემის ნიშნის მოქმედების არის გაფართოება უნიფიკაციის ტენდენციის გამომხატველია. ეს ტენდენცია სამწერლობო ენაშიც იჭრება, თუმცა სალიტერატურო ქართულში გზას იკაფავს **-ებ**-იც, ხოლო **-ობ** ნიშნიანი და **-გ** ჩართული ფორმები დიალექტის კუთვნილებად იქცევა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ შეუზღუდავად მოქმედებს ენის შინაგანვითარების კანონი ცოცხალ კილოში, ვიდრე სალიტერატურო ენაში.

**შუალობითი კონტაქტი.** სალიტერატურო ქართულში შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლებია **-ინ, -ეინ.** ქუთაისის პრესის ენა ამ თვალსაზრისით გარკვეული ნორმის ფარგლებშია. ხშირ შემთხვევაში დაცულია შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი. იშვიათად გვხვდება გამონაკლისიც. მაგალითად: *როცა გამაგებებს, ხომ შევუდექი* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13).

როგორც ვხედავთ, ზმნაში დაკარგულია შუალობითი კონტაქტის გამომხატველი **-ინ** სუფიქსის თანხმონითი ელემენტი. ეს მოვლენა დღესაც არის დამახასიათებელი ქართული ენის ყველა დასავლური დიალექტისათვის. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი **-ინ** თითქმის ყოველთვის თანხმონის გარეშეა კილოებში წარმოდგენილი.



## 2.3. არქაიზმები

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, ძველი ქართული ენის გავლენა. ეს უფრო „შინაური საქმეების“ შესახებ ითქმის, რამდენადაც იგი სასულიერო ხასიათის გაზეთია, მის ფურცლებზე იბეჭდება რელიგიური შინაარსის პუბლიკაციები, საღვთისმეტყველო ლიტერატურა. წარსულის მემკვიდრეობის გადმოცემას, ბუნებრივია, თან ახლავს ძველი ენობრივი ნორმები, გამოთქმები. ოღონდ აქ პატარა შენიშვნა უნდა გაკეთდეს არქაიზმისა და დიალექტიზმის მიმართებასთან დაკავშირებით: არქაიზმები ხშირად კონკრეტული დიალექტის დამახასიათებელი მოვლენებია და მათი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს როგორც ასეთისა და არა არქაიზმისა.

### 2.3.1. ფონეტიკური მოვლენები

არქაული ვითარება არის დაცული სიტყვებში:

**შენიერი** (< **შუენიერი**), **სუბუქი**: ...*გვინდა გამოვხატოთ ქართული ენის მდიდარს და შევნიერს, სუბუქს ფორმებში* („განთ.“, 1, 7);

**სხვერპლი**: *მოწყალებასა და სხვერპლს არავინ გოხოვთ* („იმერ.“, 3, 3). **სხვერპლი** ვნებითი გვარის წარსული დრის მიმღეობაა (შდრ. **ცრემლი**, **კუამლი**, **თოვლი**) და დაკავშირებულია **სხვერპასთან**, რომლისგანაც მიღებულია ახ. ქართ. **სხექ|სხიპ**. **გასხეპავს** ნიშნავს: 1. დაჭრის, წააჭრის (წვრილ-წვრილ ტოტებს, ფოთლებს); 2. გაკვეთს, გაჩეხს. შდრ. გაისხიპება, გასხეპა, გასხეპილი (ქეგლ); **მსხვერპლი** = რომელიმე ღვთაებისთვის შეწირული ნივთი ან ცოცხალი არსება (ქეგლ). ეს განმარტება ეყრდნობა საბასეულს: **მსხვერპლი** = შესაწირავი;

**სხვილი** (< **სხვლი**): *ორი სხვილი მემამულე აზნაური* („იმერ.“, 1, 4).

**მ-გრგუ-ალ-ი**, **მ-ბრწყინვ-ალ-ე**, **მ-დაბალ-ი**... ფორმთა ანალოგიით არის გაჩენილი მ სიტყვებში: **მ-შენ-იერი-ი**,



**მ-სუბუქი, მ-სხვილი-ი...** ეს ფორმები დამკვიდრებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრესის ენაში **მ-ს** გარეშე არის წარმოდგენილი **შვენ** ძირის ზმნაც: (*მას*) **აშვენებენ** (< ძვ. **აშვენებენ**) *ღმობიერებისა და კმაყოფილების გამომხატველი დიდრინი შავი თვალები* („განთ.“, 1, 10).

30-იან წლებში მანიანი ფორმები (**მშვენიერი, მსუბუქი, მრგვალი, მსუქანი, მსხვილი, მსხვერპლი, ამშვენებენ...**) გამოცხადდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით კანონიერად, არქაული (უმანო) ფორმები კი დასავლურმა დიალექტებმა შემოგვინახა.

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენისთვის დამახასიათებელია **ცთ** (< **ცეთ**) ძირის შემცველი ფორმები: *დიდ შეცთომად მიმანია მოლოდინი შემწეობისა მართებლობისაგან* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10); *ამ ისტორიულ გამოცთილებას ყურადღებას არ აპყრობენ* („იმერ.“, 2, 1); *ყოვლად მცთარსა და შეუწყნარებელ აზრებს აწოდებს* (იქვე); *...როცა განსაცთელი, უბედურება ერს თავზედ დაატყდება* („იმერ.“, 2, 2); *მის განმტკიცებას უნდა ცთილობდენ* („ფონი“, 1909, 4, 1); *თითოეულ ერს... არა ერთხელ განუცთია ასეთი მომენტი* („ფონი“, 1909, 1, 1).

ვ. თოფურია, **ცთ** კომპლექსს მიიჩნევს მეორეულად, **ცდი|ცედ-**ისაგან მომდინარედ და ძველ ქართულში გაბატონებული **ცთი|ცთ** ახსნილი აქვს ასიმილაციით ან სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში მჟღერი თანხმოვნის დაყრუებით. ამ შეხედულების საპირისპიროდ პ. ფოგტი **ცდლმა-**ს მიიჩნევს მეორეულად. ამავე მოსაზრებისაა ზ. სარჯველაძეც. იგი ფიქრობს, რომ **ცდ** მიღებულია **ცთ** მიმდევრობისაგან ასიმილაციური გამჟღერების გზით. ამოსავალია **ცეთ**. ძველ ქართულში იყო **ცთლმა**. **ცედ** ზმნის პარადიგმაში არასდროს არ ყოფილა, რადგან ფშვინვიერ თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება მხოლოდ კონტაქტურად ხდება. ამასთან ქართული ენის უძველეს ტექსტებში **ცელი|ცდ** არსად არ დასტურდება და მჟღერ თანხმოვანთა დაყრუება აუსლაუტში უძველესი ქართულისთვის დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება. **ცდ** კომპლექსი შედარებით გვიანდელ ძეგლებში იჩენს თავს (ზ. სარჯველაძე, 1984, 320).



ამგვარად, ჩვენც მივიჩნევთ, რომ **ცთ** კომპლექსის შემცველი ფორმების არსებობა ქუთაისის პრესის ენაში არქაულ ვითარებაზე მეტყველებს. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის შემდეგ აღნიშნული ფორმები დასავლური დიალექტების კუთვნილებად იქცა.

**ღს > ხს** ძველ ქართულშივე შეიმჩნევა (ზ., სარჯველაძე, 1984, 305). ქუთაისის პრესის ენაში კი ეს მოვლენა არ აღინიშნება, დაცულია არქაული, ამოსავალი ვითარება. ამის ნიმუშია **საღსარი: ბუნების შესწავლა ჩინებული საღსარია დასაფასებლათ შემოქმედის სიღიადისო** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 6).

### 2.3.2. ლექსიკური არქაიზმები

**აქიმი:** *აქიმი ჩარექოვი დაბრუნდა აგარაკიდან* („იმერ.“, 2, 1);

**ბრწყენა:** *შენიანის ბრწყენა აგაპიძეებს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9);

**სასყიდლით** (= ქირით): *...სასყიდლით დადგინებულნი მწყემსნი არა ზრუნავენ სამწყსოსათვის* („შინ. საქმ.“, 1908, 7, 9);

**მაშუალობა (>მაშვლობა):** *ბევრი სერიოზული გაზეთებიც არ თაკილობენ მაშუალობას* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 12);

**უდებება** (= სიზარმაცე): *უბრძოლველათ ყოფნამ უზრუნველობა წარმოშვა და უზრუნველობამ უდებება* („შინ. საქმ.“, 1908, 22, 3);

**ხრმალი** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 3)...

ზოგჯერ შეიმჩნევა პარალელიზმი, ძველ და ახალ ფორმათა მონაცვლეობა:

**სინიდისს||სინდისს:** *ჭეშმარიტად უბედურია კაცი, რომელიც თავის სინიდისს ვერ შერიგებია?* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5); *სად დაემალეები სინდისს, რომელიც შენშია?* (იქვე);

**წმიდა||წმინდა:** *წმიდა მიზანს საშუალებაც წმიდა უნდა ჰქონდეს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 15); *ჩვენი ხალხი ის ერია, რომელშიც წარსული ძლიერი ძალა ღვივის და რომლის აგზნება ჩვენი წმიდა მოვალეობაა* („იმერ.“, 3, 2); *წმინდა შემოსავალი მაინც ცოტა რჩება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 16);



უკანასკნელს სიხლის წვეთამდე იცავდა თავის წმინდათა წმინდას – სარწმუნოებას და სამშობლოს („შინ. საქმ.“, 1908, 2, 8).

არქაულია **წმიდა**, წინაენისმიერი **დ-ს** წინ **ნ-ს** განვითარებით მიღებულია ახალი **წმინდა**. ამ სიტყვაში **ნ-ს** განვითარების პირველი ფაქტი დასტურდება ლიტურგიულ კრებულში (932-940 წწ.). მერყეობა მომდევნო საუკუნეებშიც შეინიშნება: ზოგჯერ დაწერილია **ნ**, მაგრამ შემდეგ გადამწერს თუ „რედაქტორს“ შეუმჩნევია „შეცდომა“ და ამოუშლია „ზედმეტი“ **ნ** („ცხორება და შესხმად ბასილისი“). **წმინდა** ფორმა ხშირად გვხვდება XI-XII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში. იგი მიღებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც. ძველი **წმიდა** ფორმა **წმიდათაწმიდაშია** დაცული.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალებში გამოვლენილი ვარიანტები ამა თუ იმ სიტყვის ამა თუ იმ ფორმით დამკვიდრების ცოცხალ პროცესს ასახავს.

### 2.3.3. ზმნური არქაიზმები

**დაადგრა:** დაადგრა ძველებურ გზას („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8);

**განეპყრათ:** მათ თითქოს განეპყრათ შეუბრალებელის სამყაროსათვის თვისი ნახევრათ ტიტველი და ნახევრათ გამხმარი ტოტები („შინ. საქმ.“, 1908, 4, 12);

**გრწამდა:** შენ თვითონ გრწამდა შენი ქადაგება („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5). პარალელურად დასტურდება ახალი

**გწამებია:** შენ არ გწამებია ის, რასაც სხვას აწავლიდი და აძალებდი კიდევ (იქვე).

ძველი ქართული ენის ნორმები დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ მისი დიდებულების ანარეკლი ჯერ კიდევ შემორჩენია სამწერლობო, უფრო კი ხალხურ ენას, ცოცხალ მეტყველებას. ამით აიხსნება პრესის ენაში არქაიზმების არსებობა. ბევრი მათგანი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ჩამოყალიბების შემდეგ დასავლურ დიალექტებში დამკვიდრდა.



ამდენად, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალების ენობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ არქაიზმები, დიალექტიზმები, ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმები; ამავე დროს ჩანს სალიტერატურო ენის განვითარების საინტერესო პროცესი. შედეგების გათვალისწინება ფასეული იქნება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის.

## 2.4. სიტყვაწარმოების ძირითადი მოვლეები

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენამდე **-ება/-ობა** სუფიქსების ფუძეთა მიხედვით განაწილების ისეთი მკაცრი დიფერენცირება, როგორც დღეს არის, არ იყო. ეს ვითარება ასახულია XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალებშიც. **-იერ**-სა და **-ულ**-ზე დაბოლოებული წარმოქმნილი სახელები, ნაცვლად **-ება** სუფიქსისა, **-ობა** სუფიქსით არის წარმოდგენილი, რაც დასავლური დიალექტებისთვის არის მეტწილად დამახასიათებელი:

**შეხედულობა:** ...*მისი მატერიალური შეხედულობა სულიერ ცხოვრებაზე* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3);

**გრძნობიერობა:** *გრძნობიერობაც სისხლს უნდა მიეწეროს და არა ძარღვებს* (იქვე);

**მეცნიერობა:** *რაც უფრო ფეხს იკიდებს და ძლიერდება მეცნიერობათ...* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 6);

**ჩვეულობა:** *ცნობილ პასტერს... ჩვეულობად პქონია მეცნიერული მეცადინეობის დაწყების წინ მხურვალე ლოცვის შესრულება* (იქვე).

ამგვარად, სიტყვაწარმოებაში იგრძნობა **-ობა** სუფიქსის გაბატონებისა და უნიფიკაციის ტენდენცია, თუმცა ჩვენ მიერ საანალიზოდ ადებულ პერიოდულ ორგანოთა ენა ამ მხრივ გამოსირჩევა ფორმათა სიჭრელითა და უკონტროლობითაც, ერთსა და იმავე ტექსტში პარალელური წარმოება აღინიშნება, გატარებული არ არის ერთი ნორმა: *ამ მიმართულების მიმდევართა შეხედულობით ეს წინდახედულებისა და ზომიერების გზაა* („იმერ.“, 2, 1);



**აზროვნობა||აზროვნება:** *კაცი ხედავს სხეულს, რომელშიდაც ტრიალებს ეს აზროვნება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2); *აზროვნობის ბუდეო გულს, მუცელს და სისხლს ხდიდენ* (იქვე);

**აგებულობა||აგებულება:** *...მხოლოდ ამით ჩაისახება ახალი ცხოველის აგებულობა* („განთ.“, 7, 26); *ახალი ცხოველის აგებულება... თავისთავათ განისახება* (იქვე).

ხშირად **ე** ბოლოხმოვნიან სახელზე **-ობა** სუფიქსის დართვისას მოკვეცილია ხმოვანი: *სილოვანი ვლ. მიქელაძეს მეტოქობას ვერ გაუწევს* („იმერ.“, 1, 2); *ღვინოები მზადდება... მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურებით* („იმერ.“ 1, 4).

წარმომავლობის სახელები **-იურ (-იულ)** სუფიქსით არის წარმოდგენილი: *ფინანსიური კომბინაციები* („იმერ.“, 1, 3); *გეროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში* („იმერ.“, 2, 1); *ავანგარდათ სთვლიდენ ყოველგვარ პროგრესიულ საქმეში* („იმერ.“, 4, 2); *დაინიშნებიან დრამატიული დასის თანამშრომლებათ* (იქვე).

არის გამონაკლისიც (**-ურ** სუფიქსიანი წარმოება): *დიპლომატურ წრეებში იცვალეს აზრი* („იმერ.“, 2, 2).

ხშირად სიტყვას გადმოჰყვება უცხო სუფიქსი: *ყველაზე უფრო რევოლუციონური ელემენტი იყო* („განთ.“, 1, 3); *საჭმელი უნდა შეიცავდეს ყველა ამ საჭირო ნივთიერებათ პროპორციონალურათ* („განთ.“, 8, 14).

**-ულ** სუფიქსს არადანიშნულებისამებრ ენაცვლება წარმომავლობის **-ელ:** *პეტერბურელ გაზეთ „რეჩში“ დაბეჭდილი წერილი...* („იმერ.“, 1, 3).

სადაურობის აღმნიშვნელი **-ურ** სუფიქსის დართვა გეოგრაფიულ სახელებზე, ჩვეულებრივ, მაწარმოებელი **-ეთ** სუფიქსის დაკარგვას იწვევს. პრესის ენაში ზოგჯერ შენარჩუნებულია კიდევ ეს უკანასკნელი: *აღმოსავლეთური თქმულება* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 12).

ხშირად გვხვდება **-ეულ/-ულ** სუფიქსიანი ერთი და იგივე ფორმა: *ორკვირული* („განთ.“, 1, 1); *ყოველკვირული გაზეთი* – ეს სიტყვა ასეა წარმოდგენილი გაზეთ „შინაური საქმეების“ სათაურში, თუმცა იქვე და სხვაგანაც დასტურდება **ყოველკვირეულიც**.

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალებში უხვად არის წარმოების თვალსაზრისით საინტერესო





ფორმები. ზოგჯერ ენა თავისებურად იყენებს სუფიქსს, რაც ქმნის სინონიმური წარმოების შესაძლებლობას. მოქმედებითი ბრუნვის **-ით** სუფიქსის დერივაციული ფუნქციით (**-ურჩი-ულ, -ობრივ** სუფიქსთა ფუნქციით) გამოყენებას ფართო ასპარეზი ეძლევა, განსაკუთრებით ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში: *ირლვევა ლჯახობითი სიყვარული და საღმრთო კავშირი* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 9); *...ღამდამეობით გემოთ მოყვარეობითი ქვიფები ჩრდილთა ქვეშე* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); *ის საშუალებანი... ზნეობით ათახსირებენ ახალგაზღობას* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 16); *ზნეობით დასანთქმელ...* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8).

აქვე უნდა აღინიშნოს **-ივი|-ით** სუფიქსთა შესახებ. ა. შანიძის აზრით, „ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც **-ივ** აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა“ (ა. შანიძე, 1980, 76). ამ მოსაზრების დასტურად გამოდგება პრესის ენაში დადასტურებული ვარიანტები: **მარჯვნივი|მარჯუენით, მარცხნივი|მარცხენით**: *ყველა მარჯვნივ და მარცხნივ ხომ ვერ დაეჭვა?* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13); *ეს ორი ჩემი ღვიძლი შვილი შენს გვერდით დასდგენ ერთი მარჯუენით და მეორე მარცხენით* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 12).

**-ივ** ზოგჯერ **-იურ** სუფიქსის მაგივრობასაც სწევს: **ყოველ-წლივ** მოდიან აქ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქვეყნებიდან („შინ. საქმ.“, 1908, 2, 8).

სამეცნიერო ლიტერატურაში **მე-ე** კონფიქსი მიჩნეულია საკმაოდ პროლექტიულ მაწარმოებლად, რომლისთვისაც ძირითადია ხელობის სახელთა დერივაცია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში იგი ფუნქციურად უფრო მეტად არის დატვირთული და ხელობის, პროფესიის გარდა გამოხატავს: 1) თანამონაწილეობას (მეკავშირე, მენადიმე...); 2) ვინმეს დამახასიათებელ თვისებას (მეგანძე – განძის მოყვარული, მეშურნე – შურიანი...); 3) კუთვნილებას (მეკარვე – კარვის პატრონი, მეანაბრე – ანაბრის პატრონი); 4) დანიშნულებას (მედიალოგე, მეკურმარილე – თამადა...); 5) მიუთითებს მოქმედების ჩამდენზე (მეწამწამე – ძვ. თვალის ჩამკვრელი, მეპანაშვიდე – პანაშვიდზე მიმსვლელი, მეტაშე – ტაშის დამკვრელი...); 6) დიალექტებში დაერთვის არაადა-



მიანთა სახელებსაც: მეყანე საქონელი (აჭარ.), მეკვერცხე ძაღლი (მესხ.), მეწლე||მეწლეური ხე (იმერ)... (ქ. ფეიქრიშვილი, 1993, 24).

XIX და განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ენაში გაჩნდა სიტყვაწარმოების ახალ-ახალი მოდელები, რის შედეგადაც ტრადიციული სინთეზური წარმოების გვერდით დამკვიდრდა აღწერითი ფორმები, უცხოური ავიქსებით გაფორმებული ნასესხები სიტყვები, უაფიქსო ლექსემები და ა. შ. (**მემთვრალე – ლოთი, მემტვრე – მტერი... ისტორიკოსი, სოციალისტი...**). გაჩნდა პარალელური ფორმები, რის გამოც შესამჩნევად შეიზღუდა **მე-ე** კონფიქსიანი წარმოება. სწორედ აღნიშნული სიტუაცია არის ასახული XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში. სანიშნულად შეიძლება დავასახელოთ **მებედისწრე**.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **მე-ე** კვლავ გააქტიურდა, ენაში მომრავლდა ამ კონფიქსით ნაწარმოები სიტყვები: **მესურათე, მემანქანე, მემონტაჟე** და ა. შ.

როგორც ცნობილია, **მ-** პრეფიქსი თავდაპირველად ადამიანის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (არნ. ჩიქობავა). გრამატიკული კლასის კატეგორიის მოშლის შემდეგ **მ-** პრეფიქსმა სადერივაციო ფუნქცია შეიძინა, სხვადსხვაგვარად განხივანდა, გართულდა სუფიქსებით და დაერთო ადამიანთა სახელებს. პრესის მასალებში **მ-** პრეფიქსის შემცველი რამდენიმე კონფიქსია წარმოდგენილი:

**მე-ელ:** **მეძიებელი** (ახ. ქართ. მაძიებელი): *მე თვითონ მხოლოდ მეძიებელი ვარ ჭეშმარიტების* („შინ. საქმ.“, 1908, 10, 7);

**მ-ულ:** **მსწავლული** (ახ. ქართ. სწავლული): *საზოგადოება, რომლის წევრადაც ითვლება ეს მსწავლული, უარს ამბობს* („შინ. საქმ.“, 1908, 18, 13).

დასტურდება სხვა კონფიქსებიც:

**ჟ-ეს:** **ჟმანლობელესი** (ახ. ქართ. უახლოესი): *ჟმორჩილესათ გთხოვთ, ამ მცირე წარსულს ადგილი დაუთმით თქვენნი ჟურნალის ჟმანლობელეს ნომერში* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 15);

**სა-ელ:** **საფუნებელი** (ახ. ქართ. საფუარი): *ქრისტეს სარწმუნოება საჭიროა კაცობრიობისათვის, როგორც საფუნებელი ფქვილისათვის* („შინ. საქმ.“, 1908, 15, 16).



აღსანიშნავია სახელწოდებათა წარმოებისას დანიშნულების **სა-ო** კონფიქსის დომინირება როგორც უცხო, ისე ქართული ძირებისათვის: *...საბაკაღეინო და საგასტრონომიო საქონელი... აგრეთვე... საკონდიტერო ტკბილეულობა* („იმერ.“, 2, 1); *სასულიერო საგაუბო* (ახ. ქართ. ვაჟთა) *სასწავლებელი* („შინ. საქმ.“, 1908, 6, 1); *ქუთაისის საეპარქიო საქაღებო* (ახ. ქართ. ქალთა) *სასწავლებლის მოწაფეები* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 5); *სამოწყალო* (ახ. ქართ. მოწყალების) *სახელები და საპყრობილეები* („შინ. საქმ.“, 1908, 14, 10).

**სა-ო** კონფიქსიც საკმაოდ პროდუქტიულია. იგი საჭირო შემთხვევაში მეტად ფართო გამოყენებას პოულობს როგორც მარტივ არსებით სახელთა, ისე წარმოქმნილ და, ასევე, ზმნურ ფუძეთაგან ნაწარმოებ ტერმინებში:

**საუარმყოფო** (= უარსაყოფი) („შინ. საქმ.“, 1908, 4, 4);

**საგულისხმიერო** (= საგულისხმი) (იქვე, 4, 5);

**სასაშიშრო** (= საშიში) (იქვე, 4, 12);

**საუმჯობესო** (= საუკეთესო): *მოსკოველმა თანამოსაქმემ საუმჯობესოთ გარდაქმნა იგი* („განო.“, 2, 25);

**საგონილო** (= საეჭვო): *უფრო ნაკლები სათუო და საგონილო ახსნა იქნება* („შინ. საქმ.“, 1908, 19, 16);

**საგაისო** (= გაისისთვის): *...მამა საგაისოთ მპირდება* („განო.“, 7, 5);

**საამდროვო||საამდროისო**: *(მას) ხელმძღვანელობა წიგნების საამდროვო გამომცემლობის „იმერეთის“ პატრონის იხილორე კვიციარიძისთვის მიუზღვია* („განო.“, 1, 51);

**საშემოდგო** (= საშემოდგომო) და *საზამთრო პალტოები* („იმერ.“, 2, 1);

**ხელსამძღვანელო** (= სახელმძღვანელო): *ამ ნაშრომთა ავტორებს ხელსამძღვანელო დედააზრებათ, საფუძვლათ შემუშავებული არ ქონდათ არავითარი... შეხედულება* („იმერ.“, 2, 2).

**სა-ო** კონფიქსის პროდუქტიულობის თვალსაზრისით ანალოგი არსებობს გელათურ სკოლაში, სადაც ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების თავისუფლება უსაზღვროდ ფართოა (დ. მელიქიშვილი).

ქართულ ენას სიტყვაწარმოების ამოუწურავი საშუალება-



ნი მოეპოვება. არის როგორც სისტემური წარმოების ფორმები, ასევე ოკაზიურიც. ამ უკანასკნელს ინდივიდუალური ხასიათი აქვს, გამოყენებულია გარკვეულ მოცემულ შემთხვევაში საჭირო კონტექსტისთვის. ასეთი ფორმები შეიძლება დამკვიდრდეს, შეიძლება – არა. ამ მხრივ განსაკუთრებით შეუზღუდავია დიალექტები, ამ შემთხვევაში დასავლური დიალექტები, რომლებიც წყაროა იმერეთის პრესის ენისათვის:

**სასაშიშროებით** (= საშიშროებით): *წყვდიადი აღსავსე იყო სასაშიშროებით* („შინ. საქმ.“ 1908, 4, 12);

**პატიოსნურად** (= პატიოსნად): *(იხინი) ერთგულად, პირნათლად და პატიოსნურად ემსახურებიან საზოგადოებას* („შინ. საქმ.“ 1908, 4, 7);

**დაუკმაყოფილება** (= დაუკმაყოფილებლობა): *მათი დაუკმაყოფილება ზნეობრივ სიკვდილის მსგავსია* („შინ. საქმ.“ 1908, 4, 12);

**შენანება** (= სინანული): *თუ შენი შენანება უბრალო ბავშური ვატაცების ნაყოფი არ არის...* („შინ. საქმ.“ 1908, 2, 9);

**მიუცილებელ** (= აუცილებელ): *უნდა ვეცადოთ, ჩვენი მეურნე შევაიარალოთ მიუცილებელ საჭირო სამეურნეო ცოდნით* („შინ. საქმ.“ 1908, 2, 10).

პრესის ენაში თავჩენილი თავისებურად ნაწარმოები ენობრივი ერთეულები იმაზე მიუთითებს, რომ მიმდინარეობს ამა თუ იმ სიტყვის ამა თუ იმ ფორმით დამკვიდრების პროცესი.

სიტყვაწარმოებაში ტერმინის შერჩევის მექანიზმი დაკავშირებულია სიტყვის სემანტიკურ თვისებასთან, ბგერით მხარესთან და ა. შ. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, მეხსიერებაში აღმოვაჩინოთ კონტექსტის შესაბამისი ლექსიკური ერთეული ან შევქმნათ ახალი გამოთქმა.

პასიური კონსტრუქციის აუცილებლობისას ენა მიმართავს ამგვარ მოდელებს: **შეურაცხად იქმნების, იჭამა, იუმსახურებლოს, ემაგალითება, ისიბრძინისმოყვარა...** ამგვარი წარმოებით განსაკუთრებით გამოირჩევა გელათის ბიბლია. ეს ფორმები XI-XII საუკუნეებში გავრცელებულია გელათის ფილოსოფოსთა ენაში (დ. მელიქიშვილი).



სიტყვაწარმოების ამგვარი მოდელები XX საუკუნის დასაწყისშიც დასტურდება. პრესის მასალებში გვხვდება ხელაგნურად შექმნილი, შეერთებული სიტყვები, რომლებითაც თითქოს ერთბაშად გამოიხატება სათქმელი. ასეთია კომპოზიტი-გამოთქმა **ურთიერთ უნათესავ პირუტყულ**: დაადგრა გზას... ის უსირცხვილობა უსჯულოდ ურთიერთ უნათესავ პირუტყულ შერევისა („შინ. საქმ.“ 1908, 4, 8) ან კიდევ: **ნათესავობა პირუტყულ შერევის კვით, მაშინ რა ვიქნებით** (იქვე).

როცა აწმყოსა ან მყოფადში სისტემური წარმოების უზუალური მნიშვნელობის ფორმა არ არის, ენას აქვს სარეზერვო საშუალება: იმავე ფუძის მიმღეობა იძლევა ახალი სემანტიკის პასიური ფორმის ზმნას.

მიმღებურ ფორმათა გამოყენებით ახალი სემანტიკის ზმნის წარმოქმნის წესი დამკვიდრდა ქართულში და მეტწილად ინიანი ვნებითის წარმოებისას გვხვდება. ამგვარია XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში დადასტურებული **იმექონება**: *ოქმთან იმექონება ჩვენებაც* („შინ. საქმ.“ 1908, 4, 4).

**იმექონება** ფორმა რამდენჯერმე არის გამოყენებული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის (რომელიც „შინაური საქმეების“ მრავალი პუბლიკაციის ავტორია) გამოკვლევაში „ქართული ოდიკოსათვის“ (1942 წ.): „*ოდიკი არის აბრეშუმის ან ტილოს ოთხკუთხა ნაჭერი, რომელზედაც გამოხატულია შუა ადვილას იესო ქრისტეს საფლაგად დადება, ხოლო კუთხეებში მახარებლები, და იმექონება წარწერა, თუ როდის არის იგი დამზადებული – ნაკურთხი*“ (გვ. 196); „*მეორე არშიაში იმექონება სხვადასხვა გამოხატულებანი*“ (გვ. 198); „*ერთ-ერთ ამ ბეჭდით დამზადებულ ოდიკზედ იმექონება შემდეგი წარწერა...*“ (გვ. 206).

იგივე ფორმა დასტურდება გ. ლეონიძის „ნატვრის ხეშიც“, კერძოდ, მოთხრობაში „ჩორეხი“: „*ნეტავ, სადმე კიდევ იმექონება ასეთი განძი და შესამკობელი? – იტყვოდა გულში სახემტკბარი*“ (გ. ლეონიძე, 1990, 213).

**იმექონება** ოკაზიური ფორმაა და, როგორც ჩანს, მთლად არაპროდუქტიულიც არ არის, მაგრამ იგი მაინც ვერ დამკვიდრდა ქართულში.



**იმექონება** სემანტიკურად საკმაოდ დატვირთულია. მასში შერწყმულია ყოფნისა და ქონების გაგება. იგი ერთდროულად მოიცავს **აქვს**, **არის** ზმნათა სემანტიკას.

**აქვს** სტატიკური ზმნაა, ინვერსიული წყობისა, უღლები-სას ფუძეს იცვლის – ჩაინაცვლებს **ე** პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბს: **აქვს – ექნება – ექნა – ჰქონია**.

რაც **იქმნა** ანუ, როგორც სულხან-საბა იტყოდა, „არა-მყოფობისაგან მყოფად მოვიდა“, აწმყოში გამოსხატულია **არის** სტატიკური ზმნით. იგი მყოფადის საწარმოებლად იშველიებს ინიანი ვნებითის ფორმას **იქნება** (= ქმნა მოვა – საბა), **იქნება**-ს საწყისია **ქნა** (= მოქმედება – საბა). აქედან: **მოქნე** (< ქნება) – „მახვეწარი, ეს ქენიო“ (საბა), მქნელი.

**აქვს** ზმნას ინიანი ვნებითი არ გააჩნია: **აქვს – ექნება, იქნება** სემანტიკურად სხვაა (ყოფნის გამომხატველი), ამიტომ ქონების გამომხატველი ინიანი ვნებითის საწარმოებლად ენამ მიმართა მიმღეობას: **მექონე** (= მქონიერე||მქონიარე – საბა) – ახ. ქართ. **მქონე||მქონებელი>ი-მექონ-ებ-ა**.

**მექონე/ი** გავრცელებულია XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაში: *ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული* („განთ.“, 2, 20); *პატიოსნებით სავსე მექონ გვამად ჩასთვალა* („შინ. საქმ.“ 1908, 12, 2); *ხელმწიფეების მექონი* („შინ. საქმ.“ 1908, 17, 9); *ქრისტიანობის წარმომადგენელი იყვნენ უმაღლეს წერტილამდე დიდსულოვანნი და მაღალი ზნეობის მექონნი* („შინ. საქმ.“ 1908, 14, 9).

სწორედ **მექონე** მიმღეობური ფორმიდან არის ნაწარმოები მეორეული ნასახელარი ზმნა **იმექონება**. მას მუდმივობის, ზოგადი აწმყოს გაგება აქვს. ეს ფორმა ქართულში არ არის იზოლირებული შემთხვევა. ამ ტიპისა უნდა იყოს **იშოვება, იპოვება**.

ამრიგად, ოკაზიური სიტყვაწარმოება ტიპურია, სისტემურია ქართული ენისთვის. ასეთი სიტყვები და გამოთქმები სწორედ იქ ჩნდება, სადაც ყალიბდება მეცნიერული ტერმინოლოგია. ეს გასაგებიც არის: როდესაც ამა თუ იმ ცნებისათვის შესატყვისი ტერმინი არ არსებობს, საჭირო ხდება მისი შექმნა ენაში არსებული პოტენციური საშუალებების გამოყენებით. ეს პრინციპი ტარდება XX საუკუნის დასაწყის-



სის ქუთაისის პრესის ენაში ისევე, როგორც ტარდებოდა XII საუკუნის დასაწყისში გელათის სალიტერატურო სკოლაში.

სიტყვაწარმოების ამგვარი მოდელის შექმნა შეპირობებულია სოციოლინგვისტური ფაქტორებით. გარკვეულ საზოგადოებრივ ძვრებს, სიახლეებს, გარდამავალ ეპოქას თან ახლავს ენობრივ ერთეულთა თავისუფალი შერჩევის მექანიზმის ამოქმედება. ამის მაგალითი უხვად მოიძებნება XX საუკუნის 20-30-იანი წლების პერიოდიკასა და თანამედროვე მასმედიის ენაშიც.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ენა ამოუწურავ შესაძლებლობათა მქონე ურთულესი ზეინდივიდუალური, ზესაზოგადოებრივი სისტემაა.

## 2.5. ლერკობლივი ტერმინოლოგია

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესა შეიცავს მეტად საინტერესო მასალას, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ დარგობლივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესს.

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების მხრივ გამოირჩევა „შინაური საქმეები“. ამ გაზეთში ვრცლად არის წარმოდგენილი ქრისტიანული ღვთისმეტყველების, ზნეთსწავლულების, პოლემიკური თუ აპოლოგეტური ხასიათის სტატიები, რომლებშიც საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტერმინთა გამოყენება ახალწარმონაქმნების აუცილებლობას ქმნის.

პრესის ენაში დასტურდება როგორც ძველი, ისე ახალი წარმოების და ხშირად ნასესხები ტერმინებიც.

### 2.5.1. ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია

**ამოსავალი** (= დასკვნა): *პირველი ამოსავალი ამ ალტერნატივიდან ყოველად შეუძლებელია* („შინ. საქმ.“ 1908, 13, 3);

**გადასავალი** (= გარდამავალი): *გადასავალი საფეხური ადამიანსა და სხვა რომელიმე ცხოველს შორის* („შინ. საქმ.“ 1908, 7, 11);



**გაგრცელება** (= გაგრცობა): *ნულა გაგაგრცელებოთ მოწმობათა მოყვანას* („შინ. საქმ.“ 1908, 13, 3);

**გათვითცნობება** (= გათვითცნობიერება): *ამით საზოგადოება გათვითცნობებულდყო* („შინ. საქმ.“ 1910, 2, 7);

**ზეგანცხადება**: *ჭეშმარიტი გადმოცემა ქვეყნის შექმნაზე გაზღაპრებულია წარმართთა შორის, ხოლო ებრაელთა შორის ზეგანცხადების მეოხებით უცვლელათ შენახულა* („შინ. საქმ.“ 1908, 6, 3);

**ზეკაცები|ზეგარდმო ადამიანი**: *...მანამ კი სამღვდელობას ნიცშეს ზეკაცებშიც ნიადაგი ექნება* („შინ. საქმ.“ 1908, 15, 3); *რაც უფრო მეტი ბიწიერება ჩაიდინება, მით უფრო მეტი ძალა, ენერგია გამოჩნდება, მით უფრო მალე მოველინება „ზეგარდმო ადამიანი“ (ნიცშე) (იქვე, 14, 12);*

**ზენიტი** (= უმაღლესი წერტილი): *ცის შუაგულში მან დასვა ზენიტი (უმაღლესი წერტილი)* („შინ. საქმ.“ 1908, 6, 2);

**ზეშთავონება ან საღვთო განცხადება, ღვთივგანცხადებულნი**: *რაც ზეშთავონებულია, ე.ი. განცხადებული ღვთისაგან, უთუოდ ახალი, უცნობი, ორიგინალური უნდა იყოს* („შინ. საქმ.“ 1908, 5, 2);

**თიხის ფიცარი** (= თიხის ფირფიცა): *ამ მითს ეჭირა შვიდი თიხის ფიცარი* („შინ. საქმ.“ 1908, 6, 3);

**თვითარსი|თვით არსი** („შინ. საქმ.“ 1908, 8, 2);

**კითხვები** (= საკითხები): *განსახილველია შემდეგი კითხვები* („იმერ.“, 1, 3);

**მთვარის ფაზები** (= ცვლილებები): *(ისინი) მოგვითხრობენ მთვარის ფაზებზე (ცვლილებებზე)* („შინ. საქმ.“ 1908, 6, 3);

**მესენაკე** („შინ. საქმ.“ 1908, 8, 14);

**მიზნისდაგვარობა** (= მიზანდასახულება): *ყველგან ეხედავთ მიზნისდაგვარობას (ე.ი. რომ ყოველი არსება არსებობს რამე მიზნისთვის), ნუთუ ჩვენ არ უნდა უწოდოთ სახელი იმას, ვინც მიზნისდაგვარად მოქმედებს ბუნებაში?* („შინ. საქმ.“ 1908, 4, 11);

**მიუღვომელი** (= მიუკერძოებელი): *...ენას სჭრის ყოველ მიუღვომელ მკვლევარს* („შინ. საქმ.“ 1908, 11, 2);

**მნათობები**: *მეხუთე ფიცარი მოგვითხრობს მნათობების შექმნაზე* („შინ. საქმ.“ 1908, 6, 3);





**მოაზრე** (= მოაზროვნე): *თუ ქვეყნიერებაზე (ბუნებაში) არის გონიერი აზრები, უსათუოდ უნდა იყოს გონიერი მოაზრეც* („შინ. საქმ.“ 1908, 7, 12);

**ცის მოაჯირი** (= ტატნობი): *ღმერთები იხრუკებიან ცის მოაჯირთან (ზეციურ მოაჯირთან)* („შინ. საქმ.“ 1908, 8, 2);

**მოვლინება** (= მოვლენა): *მსგავსი ისტორიული მოვლინება მოხდა ქართლოსიანთა ერის ისტორიაშიც* („იმერ.“, 2, 2);

**მოჩვენება**: *თქვენ გინდათ უწოდოთ მას მოჩვენება?* („შინ. საქმ.“ 1908, 7, 10);

**მოწოდება** (= მოხმობა): *როცა ღოცვას ახწავლის, ქრიხტე უბრძანებს მოციქულებს, მოიწოდონ ღმერთი ასე: „მამაო ჩვენო“* („შინ. საქმ.“ 1908, 13, 2);

**ნათელ-გონებით მხედველობა**: *გემართებს... ნათელ-გონებით მხედველობა* („შინ. საქმ.“ 1908, 17, 8);

**ნების ყოფლობა** (= ნებისყოფა): *აქ კერძო კაცის სურვილი და ნების ყოფლობა... ბევრ ვერაფერს გახიებოდა* („იმერ.“, 2, 3);

**ორობი** (= ორეული): *შესანიშნავ ბუნების მეტყველს ღიბნის სწამდა ორობი (двойникъ)* („შინ. საქმ.“ 1908, 18, 12);

**პირველსახე**: *სად არის ის პირველსახე (первонач), რომელიც იცავს ადამიანში განუშორებელ თვისებას* („შინ. საქმ.“ 1908, 7, 12);

**საუკუნო, დაუსაბამო, სამარადისო**: *სარწმუნოების უარისმყოფლებს არა აქვთ არავითარი უფლება და საბუთი იხმარონ სიტყვები: თვითარსი, საუკუნო, დაუსაბამო, სამარადისო. ეს სიტყვები სრულებით არ უნდა მოიპოვებოდნენ მათ ლექსიკონში* („შინ. საქმ.“ 1908, 8, 2);

**სადვთისმსახურებო**: *თუ არსებობს საყდარი ხელოვნებისა, საყდარი მეცნიერებისა, ნება გაქვსთ უარპყოთ საყდარი სადვთისმსახურებო?* („შინ. საქმ.“ 1908, 17, 3);

**სადმართო მსახურება||სამღვთო მსახურება**: *...მაინც ვერ აძლევენ სადმართო მსახურებას შესაფერ მშვენებას* („შინ. საქმ.“ 1908, 23, 3); *გალობა სამღვთო მსახურების ერთი უმთავრესი ნაწილია (იქვე);*

**სადმართო ლიტურდია**: *მიძინების ტაძარში სადმართო ლიტურდია იწყებოდა* („შინ. საქმ.“ 1908, 12, 3);



**საღამოს ლოცვა||მწუხრი; ცისკარი:** სამეგრელოს სამღვდელთა დიდი ხანია გადაავდო საღამოს ლოცვა და ცისკარი. სამეგრელოს სოფლებში არსად არც მწუხრი და არც ცისკარი არ სრულდება ეკლესიაში („შინ. საქმ.“ 1908, 13, 13);

**სოლური** (= ლურსმული): აღწერილია ასურბანიპალის სოლურ წარწერებში („შინ. საქმ.“ 1908, 5, 2);

**სული:** რატომ არ უნდა ვუწოდოთ იმას სული, ან Spiritus, ე.ი. მონაბერი? („შინ. საქმ.“ 1908, 7, 10);

**ქვეყნის მოაზრე** (= შემოქმედი): ჩვენ მხოლოდ ვსწავლობთ იმ აზრების მოფიქრებას, რომელიც ჰქონდა უხილავს, მაგრამ ყველაფერში გამოძინარე ქვეყნის მოაზრეს („შინ. საქმ.“ 1908, 11, 7);

**ქვეშეთი** (= ქვეყანა): მან დაჩაგრა ქვეშეთი – ქვეყანა („შინ. საქმ.“ 1908, 6, 2);

**შემდგომითი** (= თანმიმდევრული): იგი თუ შემდგომითი მატერიალისტია... („შინ. საქმ.“ 1908, 11, 2);

**შენანება** (= სინანული): თუ შენი შენანება უბრალო ბავშვური გატაცების ნაყოფი არ არის... („შინ. საქმ.“ 1908, 2, 6);

**შექმნათა წიგნი** (= შესაქმე): ვისაც შექმნათა წიგნის პირველი თავი წაუკითხავს... („შინ. საქმ.“ 1908, 6, 2);

**ცნობიერება||ცნობიერობა და თვითცნობიერება||თვითცნობიერობა:** ყოველ ადამიანს აქვს თვითცნობიერება... და პატიოსანი ადამიანი ყოველთვის იმით აცნობს თავის თავს, რაც ნამდვილად არის, რასაც ეუბნება მას თავის ცნობიერობა („შინ. საქმ.“ 1908, 17, 8);

**წარმოდგენები, ცნებები:** ადამიანი საგნებით კი არ აზროვნებს, არამედ წარმოდგენებით, ცნებებით, რომლებიც მას მესხიერებაში აქვს შენახული („შინ. საქმ.“ 1908, 3, 1);

**წარმოდგომა** (= წარმოშობა): ამ მოსაზრებით იგი ხელმძღვანელობდა მარტო ცხოველების გვართა წარმოდგომის განსამარტებლათ („შინ. საქმ.“ 1908, 15, 10);

**წარმოება** (= წარმომავლობა): ეს მოწმობა შესანიშნავია აგრეთვე თავის წარმოებით („შინ. საქმ.“ 1908, 13, 2);



**წინმსვლელობა** (= წინსვლა): *ის უშლის ხელს კაცობრიობის წინმსვლელობას* („იმერ.“, 2, 4).

აქვე გამოყოფთ ნასესხებ ტერმინებსაც, რომელთაგან ზოგი ქართულ ყალიბში არის მოქცეული, ზოგიც ჯერ კიდევ არ არის გადმოქართულებული (უფრო ვრცლად უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის შესახებ იხ. ქვემოთ):

**ბლადიჩინი**: რუსულიდან არის ნასესხები და ხშირად დასტურდება „შინაურ საქმეებში“;

**დიახოქმა**: *მეტი სულაც არ იქნებოდა ამ დროს მღვდელმა ან დიახოქმა ან სკოლის მასწავლებელმა გაზეთი წაუკითხოს ხალხს* („შინ. საქმ.“ 1908, 5, 3);

**ეკელესია, ეკელესიური**: *სამეგრელოს ეკელესიებში ისე არ გაისმის სწავლა-მოძღვრება, როგორც მეჩეთის მინარეთზე ზარების რეკვა* („შინ. საქმ.“ 1908, 13, 13);

**ქრისტეანე** (ძვ. ქ.): *სასულიერო აკადემიაში შემსვლელი, თანახმად წესდებისა უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტეანე* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); *მოსძებნე ჯერ, – ამბობს უკვდავი მწერალი და სამაგალითო ქრისტეანე გოგოლი – გასაღები საკუთარი სულისა და ამ გასაღებით შენ გააღებ სულ ყველას სულს* (იქვე, 2, 7);

**ეპარხია**: *...მთავრობისაგან ნებადართული კრება ქართლ-კახეთის ეპარხიის სამღვდელოებისა* („შინ. საქმ.“ 1908, 2, 7).

უცხო ტერმინთა დამკვიდრების საინტერესო პროცესს გვიჩვენებს პრესის ენაში არსებული პარალელური ფორმები:

**ექზარხოსი|ექსარხოსი|ეგზარხოსი|ეკზარხოსი**: *ექზარხოსი მესენაკის თანხლებით თავის სასახლიდან გამობრძანებულა* („შინ. საქმ.“ 1908, 8, 14); *მომსახურენი გამოცვენილან გარეთ და ექსარხოსს მიშველებიან* (იქვე); *ვის რათ დასჭირდა მაღალ ყოვლადუსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის სიკვდილი* (იქვე, 2, 7);

**კოსმოგონია**: *მოსემ დაგვიტოვაო, ბრძანებს კიუეე, კოსმოგონია* („შინ. საქმ.“ 1908, 8, 4);

**მატერია|ნივთიერება**: *ის ნივთიერება, რომელიც შეადგენს ქვეყნიერებას, სამარადისოაო: ვინ ნახა, ან ვინ ნახულაბს ნივთიერებას (მატერიას)?* („შინ. საქმ.“ 1908, 1, 2).



## 2.5.2. პოლიტიკური ტერმინოლოგია

XX საუკუნის დასაწყისი – ეპოქა რევოლუციებისა, პოლიტიკური ძვრებისა, სხვადასხვა მიმართულებათა ჭიდილისა. მემკვიდრეობის სახით უკვე არსებობს წინამორბედთა მიერ შემუშავებული პოლიტიკური ტერმინოლოგია; როგორც ქართულ, ისე უცხო ნიადაგზე იქმნება ახალიც.

**პოლიტიკურის** მნიშვნელობით გავრცელებულია **სა-ო** კონფიქსით ნაწარმოები ტერმინი **საპოლიტიკო**. ამ ტერმინებთან დაკავშირებით მერყეობდა ი. ჭავჭავაძეც.

**არჩევნების** მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი **არჩევა-ნი**: *არჩევანი... 17 ეკენითვეს მოხება* („შინ. საქმ.“ 1908, 7, 30); *არჩევანი მთელს ღამეს გავრძელდა* („იმერ.“, 1, 3). პარალელურად გვხვდება **არჩევნებიც**: *...შენობაში, სადაც არჩევნები მოხდება* (იქვე).

**ამომრჩეველი**, **არჩეული** ახალი ტერმინებია. პრესის ენაში **აღ-** ზმნისწინიანი ფორმებია გავრცელებული: **აღრჩეული**, **აღმრჩევი** | **აღმრჩეველი**: *საჭიროა: მიზნის ერთგვარობა აღმრჩეველთა და აღრჩეულთა შორის* („ფონი“, 1909, 11, 16). გვხვდება **ამომრჩეველიც** („იმერ.“, 2, 2). აქაც მერყეობაა.

ნასესხები ტერმინი გადმოტანილია უცხო ავფიქსით: *რა საკვირველია დიდი უმრავლესობა რუსეთის ეკკლესიის წარმომადგენლებისა იმ აზრისანი იყვნენ და არიან, რომ ავტოკეფალობა სეპარატიზმის ნიშანია* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 11);

ზოგჯერ პირდაპირ, უთარგმნელად, უცხო ძირითა და ქართული ავფიქსით არის გადმოცემული ტერმინი. ასეთია **ღლასნები** (= ხმოსნები, ხმის უფლების მქონენი): *საბჭოს ყველა მოსამსახურე და ღლასნები აქ შეკრებილიყვენ* („შინ. საქმ.“, 1910, 2, 4).

## 2.5.3. სამეურნეო ტერმინოლოგია

ქუთაისის პერიოდულ პრესაში, განსაკუთრებით, „შინაურ საქმეებში“, ხშირია პუბლიკაციები სამეურნეო საქმიანობის შესახებ იმერეთის სხვადასხვა რეგიონიდან. შესაბამისად, წარმოდგენილია სამეურნეო დარგების მდიდარი



ტერმინოლოგია. რედაქცია სასარგებლო რჩევასთან ერთად ხშირად იძლევა ამა თუ იმ ტერმინის განმარტებასაც.

**ბურღვები:** აღმასის ბურღვები გულს უგმერენ კლდეებს („შინ. საქმ.“, 1908, 14, 10);

**ერდო** (= გემბანი): *ერდოსაც რამდენი პქონდა სივრცე, გაგუკეთე მას ცხვირი და მაგრად შეგკარი* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 2);

**თირი, დისაშხო** (**თირი** – 1. ნაცრისფერი რბილი ქვა: ითლება, ცეცხლზე არ სკდება, მისგან აკეთებენ კერას, მჭადა ქვა; 2. მიწა ერთგვარი: მისგან აკეთებენ ქოთნებს, ქვევრებს – ქეგლ; **დისაშხო** – უნაყოფო მწირი მიწა – იქვე): *ნამეტან მშიერ თირ (დისაშხო) მიწებში ძალიან კარგია... რიპარია რუპესტრისი* („ფონი“, 1910, 2, 6);

**პატრუქი|სანათური:** *მხედრები პატრუქებით გამოდიან სასახლიდამ* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); *ჰყვიროდენ ჯარის კაცები, იქნევედენ სანათურებს და მიმოაბნევედენ ოქროსებურ ნაპერწკლებს* (იქვე);

**რიპარია, რუპესტრი** (ვაზის ჯიშები): *მოგვივიდა ვაზის ჯიშები რუპესტრისი და რიპარიასი* („ფონი“, 1910, 2, 5);

**საცეცხური:** *საცოდავათ დაჭყლეტილ-დახეჩქილი და შემურული საცეცხური* („შინ. საქმ.“, 1908, 3, 10);

**საქონელი:** *არის ასეთივე მეურნე: მას აქვს საქმე მიწასთან, მცენარეებთან და საქონელთან – ხართან, ძროხასთან, ფრინველებთან და სხვა* („შინ. საქმ.“, 1908, 9, 12).

იმერეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო მებაბრე-შუმეობა. გახეთ „შინაური საქმეების“ შესაბამის პუბლიკაციებში ამ დარგის მრავალი ტერმინი დასტურდება:

**თესლები** (= გრენა): *მურის გამოსაყვანად აბრეშუმის ჭიის თესლები (გრენა) დაჰყარეთ წმინდა ქაღალდზე...* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13);

**კანის ცვლა:** *კანის ცვლის დროს ფოთოლი არ უნდა დააყაროთ ჭიებზე (აბრეშუმის ჭია)* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 14);

**მური:** *ახალ მოსულ აბრეშუმის ჭიას მური პქვიან* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13);

**საყაჭე** (<ყაჭი = აბრეშუმის პარკი): *საყაჭეში მიუცილებლათ წმინდა პაერი უნდა იყოს* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 14);



**ჩაფარი:** სადაც ჭიები ჰყავთ დამჯდარი (თაროები, ჩაფრები და სხვა) (იქვე); უსათუოთ ჩაფარი ჩაფარზე დაშორებული იქონიეთ ნახევარი არშინით მაინც (იქვე);

**ცახი** (= თუთის ტოტების ნაკრავი – აღ. ნემი): პირველ დღითგან ჭიების ცახზე ასვლამდე ჭიები მშვიერი არ იყოლიოთ („შინ. საქმ.“, 1908, 4, 14).

## 2.5.4. ბიოსამედიცინო ტერმინოლოგია

როგორც უკვე აღინიშნა, XX საუკუნის დასაწყისში ახალი ტერმინების შექმნასა და დამკვიდრებას დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა ბიოსამედიცინო სფერო. ქუთაისის პრესის მასალებში წარმოდგენილია შესაბამისი დარგის მრავალფეროვანი ტერმინოლოგია. უნდა აღინიშნოს, რომ მათგან ბევრი ტერმინი უკვე დამკვიდრებულია ქართულში, თუმცა ზოგი სრულიად გაუმართლებლად არის მივიწყებული:

**აბკა** (აპკი, აფსკა): ...აბკა არა აქვს გარშემო („განთ.“, 1, 34);

**გალიზიანება:** გალიზიანება არის, როცა რამეს შეეხები ან შეგეხება და ამ შეხებას იგრძნობ, როგორც მამოდრავებელ მიზეზს შენი გრძნობისას („შინ. საქმ.“, 1908, 3, 1);

**ეოლიუცია|ევილიუცია:** ხსნიდნენ ეოლიუციის ჭეშმარიტ თანდათანობას არსებობისთვის ბრძოლით კი არა, არამედ იღვის, ღოგოსის (სიტყვის) განვითარებით („შინ. საქმ.“, 1908, 14, 4);

**თავის ქალის შენობა:** ...გადრეკილება თავის ქალის შენობაში („შინ. საქმ.“, 1908, 3, 2);

**თვალის ვაშლი:** თვალის ვაშლი გააღიზიანა მელნის დაწერილმა ასოებმა (იქვე);

**კელავერი** (= მუცლის ხორცი – საბა): კერაზე აფიცებული კელავერი აშიშხინდა („ფონი“, 1910, 2, 5);

**ლეიკოციტები:** სანამ ადამიანის სხეული ჩვეულებრივ გარემოებებშია, ლეიკოციტებიც თავიანთ ადგილას არიან („განთ.“, 11, 14);

**მონერები:** ცილეულიდგან თანდათან განვითარდენ წყალში პატარა ერთუჯრედიანი არსებანი, ანუ მონერები („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13);



**მხედველობის ნერვები:** მხედველობის ნერვები გაღიზიანდნენ, მაგრამ ტვინმა მაინც ვერა იგრძნო-რა („შინ. საქმ.“, 1908, 3, 2);

**ნაწლევები:** ჩვენი კუჭი და ნაწლევები საზრდოს როდი ხარშავენ („განთ.“, 7, 27);

**ნახევარ ტვინი:** ბევრი მაგალითი მოჰყავთ ტვინის ნაწილების და ნახევარ ტვინის სრული გახრწნისა („შინ. საქმ.“, 1908, 3, 3);

**პროტოპლაზმა:** თეთრი ბურთულას სხეული თონთლო ნივთიერებაა, რომელსაც აბკა არა აქვს გარშემო (დაფარულია პროტოპლაზმით) („განთ.“, 1, 34);

სამედიცინოს მნიშვნელობით გამოყენებულია -ურ სუფიქსიანი უცხო ტერმინი **მედიკური**, ხოლო **საექიმოს** ნაცვლად – არქაული **სააქიმო:** მედიკური კურსების მსმენელმა ქალებმა სურვილი განაცხადეს შეადგინონ სლავიანებისათვის სააქიმო დამხმარებელი რაზმი („იმერ.“, 2, 3);

**სასუნთქავი ძარღვები:** ჩვენ ვივრძენით სურნელობა, ე.ი. სასუნთქავი ძარღვების გაღიზიანება მოხდა („შინ. საქმ.“, 1908, 3, 2);

**სრსვილი:** დაჭრილი ფეხი სრსვილით (занзрена) დაიფარა („შინ. საქმ.“, 1908, 14, 16);

**ტვინის უჯრედები:** ძაფების დანიშნულება – გაღიზიანების გადაცემა ტვინის უჯრედებისადმი („შინ. საქმ.“, 1908, 3, 2); დიდებული სოგრატი ერთხელ დაიბადა სწორედ ამ ტვინის უჯრედებისა და ძაფების რაოდენობით („შინ. საქმ.“, 1908, 2, 2);

**ტვინის ძაფები:** ტვინის ძაფები ასრულებენ ტელევრაფის მართულის დანიშნულებას, ამ ძაფების წყალობით გაღიზიანება ერთი უჯრედიდან შეიძლება გადაეცეს არა ერთსა და ორს სხვადასხვა ალაგას („შინ. საქმ.“, 1908, 3, 2);

**ქვემძრომი** (= ქვეწარმავალი): თევზისაგან ვადაგვარდა ქვემძრომი, ქვემძრომისაგან ფრინველი... („შინ. საქმ.“, 1908, 10, 6);

**შინაგანი** (= შიგთავსი, შიგნეული): შინაგანი მისი სავსეა ბოროტებითა... შინაგანი მისი სავსეა მძორითა და ძვლებითა („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6);



**წითელა-ყვავილას ბატონები** | **წითელ-ბატონები:** ...*იმ ხალხს, რომლის უმრავლესობას ჯერ კიდევ სწამს წითელა-ყვავილის ბატონობა* („შინ. საქმ.“, 1908, 9, 13); *მისკლისთანავე ბავშებს წითელ-ბატონები დაემართათ* (იქვე);

**ძარღვი** (= ნერვი) („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3);

**ხუნაგი:** *იგი მოახრჩო ხუნაგმა, რომლისაგან ვერ იხსნეს დაუყონებლივ მოწვეულმა ექიმებმა* („შინ. საქმ.“, 1908, 14, 13); *ხუნაგის ასაცრელი შრატი* („განთ.“, 1, 3).

### 2.5.5. ქიმიური ტერმინოლოგია

**გაზისმინაგვარი:** (= აიროვანი): *ცნობილია, რომ გაზისმი-ნაგვარ მდგომარეობაში მყოფი საგანი რომ მაგარ სხეულად იქცეს უსათუოდ საჭიროა...* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 3);

**ელემენტები:** *ოთხმოც მარტივ საგანს საზოგადო სახელად უძახიან ელემენტებს. ელემენტებია, მაგალითად, ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, კალა, ცინკი, ტყვია, ნიკელი, ნახშირი, იოდი, გოგირდი, დარიშხანი და სხვა* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 2);

**ვეცხლი** | **ვერცხლი:** *იუდას ხვედრი მას, ვისაც ჭეშმა-რიტება არ სწამს და მისი სახელით კი სარგებლობდს, რომ ოცდაათი ვეცხლი აიღოს!..* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6);

**ნახშირის სიმჟავე** (= ნახშირმჟავა): *ჩნდება ახალი ნივთიერებანი: ნახშირის სიმჟავე, წყალი და მარილები* („განთ.“, 8, 15);

**ტუტი** | **ნაცარტუტი:** *მერე დედამიწა ნელნელა განელდა და აღუღებული ნაცარტუტის სახე მიიღო, როცა ეს ტუტი განელდა, მას გარსი გაუმავრდა* („შინ. საქმ.“, 1908, 1, 2); *მაშინ ორთქლი წყლად იქცეოდა და არა ნაცარ-ტუტად* (იქვე);

**წყალმბადი** | **წყალ-ბადი, მჟავემბადი** | **მჟავე-ბადი** (ჟანგ-ბადი), **აზოტი, ნახშირმბადი** | **ნახშირ-ბადი** (ნახშირორჟან-გი): *ჩვენ ვეუბნებიან წყალმბადის, მჟავემბადის, აზოტის და ნახშირმბადის, მეკლარი ატომებიდგან გრძნობისა და ცნობიერების განვითარებაზე* („შინ. საქმ.“, 1908, 11, 8); *სულიერი არსებანი, მცენარენი და ლითონები შესდგებიან იმ ნაწილე-ბისაგან, რომლებსაც იღებენ მიწისა, ჰაერისა და წყლისაგან. ეს ნაწილებია: მჟავე-ბადი, ნახშირ-ბადი, წყალ-ბადი, აზოტი, გოგირდი, ფოსფორი* („განთ.“, 7, 15).





## 2.5.6. პროფესია-ხელობის აღმნიშვნელი ლექსიკა

აქაც გამოიყოფა როგორც ორიგინალური, ისე ნასესხები ტერმინები. მათ შორის უმრავლესობა ქართული სიტყვა-წარმოების ყალიბშია მოქცეული და ძველსავე ქართულში დამკვიდრებული. იგრძნობა ტერმინთა გაქართულების ტენდენციაც. მაგალითად, პარალელურად დასტურდება ორი ტერმინი – **აფთიაქარი** და **ფარმაცევტი**: *...რომ განმეგრძო სწავლა ფარმაცევტის ხარისხის მისაღებად* („შინ. საქმ.“, 1908, 14, 12); *რომელიმე აფთიაქარს როდესმე შუშების მრეცხველათ ყალიბ* („ფონი“, 1910, 1, 9). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გავრცელებულია **ფარმაცევტი**, იშვიათად გვხვდება **აფთიაქარი**.

სხვა ტერმინები:

**ვექილი**: *...მიიქცია იმ ვექილის ყურადღება, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კაპიტნის მამულის საქმეები* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13);

**თერძი**: *კუზიანი იყო უბრალო თერძი* („შინ. საქმ.“, 1908, 7, 15);

**მეურნე**: *მიწის მუშა, მეურნე, შვეასვენთ...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10);

**მეფართლე**: *...სწორედ ისე, როგორც მეფართლე თავის მონა გასულ და დამჩიხულ ფართალს წამოსდებს ხოლმე წინ* („შინ. საქმ.“, 1908, 11, 1);

**მწარმეებელთა||მრეწველთა**: *შავი ქვის მრეწველთა სიეზდი ოკტომბერში გაიხსნება* („ფონი“, 1909, 1, 2);

**ხარაზი**: *ხარაზის ტყავის ძაფები...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3);

**ხუროვნობა**: *...შემოქმედებითი ძალა ადამიანისა გამოიხატებოდა ხუროვნობაში და კალატოზობაში* („შინ. საქმ.“, 1908, 14, 5);

პრესის მასალებში დასტურდება ნასესხები ლექსიკა: **პროვიზორი**, **ფარმაცია**: *...როგორ ბრძანდება ერთი ფარმაციის პროვიზორი* („შინ. საქმ.“, 1908, 15, 6); ეს ტერმინები დღესაც ხშირად გამოიყენება.

ძველ ქართულში იყო გავრცელებული და ქუთაისის პრესის ენაშიც დასტურდება **ბეითალი** (ძვ. იგივეა, რაც ვებუ-



რინარი – ქველ): გაავ ზავნეს მოსკოვს სრულიად ბეთაღთა კრებაზე დასასწრებლათ ქალაქის ბეთაღლი („ფონი“, 1910, 1, 5). ბეთაღლი არ დამკვიდრდა ქართულში. მისი ადგილი **ვეტერინარმა** დაიკავა.

ასევე დაიკარგა ძველ ქართულში გავრცელებული არაბული წარმოშობის ტერმინი **ჯანაოზი** (= განთქმული ექიმი – ქველ): *ეს ორი დიდი ჯიხაიშელი ჯანაოზ ექიმებია* („ფონი“, 1910, 1, 9).

### 2.5.7. საზომი ერთეულების აღმნიშვნელი ლექსიკა

სიგრძის ერთეულები:

**არშინი**: *მისი ლოვინი ჩემ ოთახში იდგა ოთხ არშინის მანძილზე დაცილებულია ჩემი ლოვინიდგან* („შინ. საქმ.“, 1908, 9, 14);

**ვერსტი**: *...ათას ვერსტის მანძილზე ვცხოვრობთ* („შინ. საქმ.“, 1908, 12, 13);

**ნახევარწყრთა**: *ავაშენე ასოცი ნახევარწყრთა სიმადლით* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 2);

**ქცევა**: *ორი ქცევა მიწა* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10);

წონის ერთეულები:

**გირვანქა**: *...ტეინი ოთხი გირვანქა უნდა იყოს* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 2);

**საწყაული**: *სამი საწყაული მიწის კუპრი ვიხმარე კედლების გასაფისავად* (იქვე);

**ფუთი**: *ტანი თუ სიმძიმით ოთხი ფუთია...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 3);

ფულის ერთეულები:

**დრამა, დრამა ფული**: *ჯერ ქე გვაპატივა დრამა და მერე სტრაჟნიკების საშუალებით კაპეიკობამდის აკრიფაო* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 15); *პოლიციის საშუალებით ჩამაბარებია ხვედრი დრამა ფული* (იქვე);

**თუმანი** (იქვე);

**მანეთი|მანათი**: *...უმეტესი ნაწილი უფრო ადვილად გადაიხდის თუმანს „სალხინოთ“, ვიდრე მანეთს განათლების საქმისთვის* (იქვე).



XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული იყო ტერმინი **წიგნაკი**. ასე უწოდებდნენ მცირე ზომის გამოცემას: *ფარულ ლიტერატურიდან იმ წიგნაკებს კითხულობდნენ, რომელშიაც გაკიცხული იყო მართლმადიდებელი სარწმუნოება* („შინ. საქმ.“, 1908, 12, 4); *დღეს თქვენ ერთ გაზეთსაც ვერ აიღებთ ხელში, ერთ წიგნაკსაც ვერ წაიკითხავთ ისე, რომ შიგ სამღვდელოებისა და ეკლესიის შეურაცხყოფა არ შეგხვდეთ* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 16). ამ ტერმინის მნიშვნელობა თანდათან დავიწროვდა და უბის, ჯიბის წიგნაკად იქცა. სამაგიეროდ, მისი ადგილი ნასესხებმა **ბროშურამ** დაიკავა (**ბროშურა** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს პატარა წიგნს, გამოცემულს რბილი გარეკანით – მ. ჭაბ.). ბროშურათა სერიული განსაკუთრებით პოპულარული იყო სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ტერმინი **წიგნაკი** პრესის ენაში იმ სტატიების მნიშვნელობითაც გამოიყენება, რომლებიც შემდეგ წიგნაკებად გამოდიოდა: *ამას დაუმატეთ ის უგუნური და უხნეო წერილები, რომელნიც შეუწყვეტლად იბეჭდებიან სხვა და სხვა წიგნაკების სახით ჟურნალ გაზეთებში* („შინ. საქმ.“, 1908, 19, 8).

**წიგნაკი** ძველი მნიშვნელობით თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება.

## 2.6. კომპოზიციონა დაწერილობა

კომპოზიციონა დაწერილობის საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით დადგენილია რთული სიტყვის მართლწერა, ერთგვარობის დამყარება მაინც ვერ მოხერხდა. პრესაში, მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი და იგივე კომპოზიციონა იწერება როგორც ერთად, ისე დეფისითაც, ზოგჯერ მისი შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკეც არის წარმოდგენილი.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ კომპოზიციონა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ზოგჯერ ძნე-



ლი გადასაწყვეტია, როულ ფუძესთან გვაქვს საქმე თუ შესიტყვებასთან. ამგვარ შემთხვევებში ეფექტურადაა მიჩნეული არნ. ჩიქობავას მიერ წარმოდგენილი საზომი. ეს არის შემადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმით ან შიგ სხვა სიტყვების ჩართვით). სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი, სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩლოთრო, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე (არნ. ჩიქობავა, 1952, 227).

V-XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში კომპოზიტთა დაწერილობის თვალსაზრისით გარკვეული ნორმა არ არსებობდა. რთული სიტყვა ცალ-ცალკე იწერებოდა, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებული იყო თუ არა მისი ერთცნებობა. ამ მხრივ დიდი გავრცეელობა და სიჭრელეა XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაშიც: ყოველგვარი რთული სახელი იწერება დეფისით ან ცალ-ცალკე, ზოგჯერ ერთადაც. ტენდენცია ნორმირებისაკენ თითქოს იგრძნობა. ამის თქმის საშუალებას იძლევა ორგვარი მართლწერის ფორმები. მაგრამ, როგორც მოსალოდნელია, ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ამ ეტაპზე რაიმე გარკვეული წესი დაცული არ არის.

**ერთცნებიანი კომპოზიტები:**

ა) დაწერილია ცალ-ცალკე:

*მეორე დღეს მეფემ მოიხმო ხუროთ მოძღვარი ბრუნო* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 3); *დედოფალთან დაახლოებული კარის კაცი* (იქვე); *საკმარისათ გვეავს აკადემიებში კურს დამთავრებული პირები* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7); *იქ მათ ხელთ არის სემინარიის წიგნთ საცავი* (იქვე); *არ მიიღო ყოველნაირი ღონის ძიება* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10); *სასულიერო აკადემიაში შემსვლელი, თანახმად წესდებისა, უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანე* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); *გულ ხელ დაკრეფილი მოველოდებით გარეგან შემწეობას ვილაციისაგან* (იქვე); *ელიან დროს, როცა მათ ხელ მკლავ გამოდებული ჩაატარებენ კლუბის კიბეზე* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 4); *მათს*



**ზეპირ სიტყვაობას** არავინ დაუჯერებს („იმერ.“, 1, 2); დასავლეთ საქართველოს **დედა ქალაქი** ქუთაისი, რომელსაც დღემდე ორი ვაზეთი ქონდა, **ამ ჟამათ** უვაზეთოდ დარჩა (იქვე); ბალკანეთის **ნახევარ კუნთულზე** მდებარე სახელმწიფოებში მობილიზაცია გამოაცხადეს („იმერ.“, 1, 1); სალომიანოს საზღვრიდან **შარშან შარა გზა** გაუჭრიათ („იმერ.“, 3, 2); მოხუცი გაძაღებია **იარად ასხმულ** ავაზაკებს (იქვე); **დედა მიწა** ძიგძიგებს და ირწყვის **ჩვენი მამების, ძმებისა და შვილების სისხლით** („განთ.“, 1, 31); უფლებრივ სახელმწიფოში კანონიერების დაცვა **წმინდათა წმიდას** შეადგენს („ფონი“, 1910, 1, 2); **ამ გვარ პატივის ცემით** არტისტთა დასს უნდოდა... ეთქვა... („ფონი“, 1910, 1, 5).

აქვე გამოვყოფთ თავისებურად ნაწარმოებ კომპოზიტებს: **უარის მყოფელი** (უარმყოფელი), **პატივის მისაცემად** (პატივსაცემად), **აღვირ წახსნილი** (აღვირაჩსნილი).

ბ) დაწერილია დეფისით:

შენდება **უზარ-მაზარი** ვოდოლი ბაბილოენისა („შინ. საქმ.“, 1908, 4, 8); **ეგ ხომ ფარისევლობა და თვალთ-მაქცობა იქნება** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 9); **ბნელდება ციური ნათელ-მხედველობა** ხალხისა (იქვე); **კაცობრიობის კეთილ-დღეობის** ნიადაგი ძირითურთ იფხვრება (იქვე); **დღესვე თვალ-საჩინოდ** სამარცხვინოდ მოქმედებენ ძენი რისხვისანი (იქვე); **მადლ-მოხილი** გონებრივი საუნჯე ცალიერდება (იქვე); **ამ საბოროტ-მოქმედო** კავშირის ერთი წევრი და სულის ჩამდგმელთაგანი გახლავს ჩვენი თანამემამულე თავ. ვლ. მიქელაძე („იმერ.“, 1, 3); **საჭირო იყო თავგასული** ერისთავების, **დიდ-კაცების თვით-ნებობის** დასუსტება („იმერ.“, 2, 3); **ცნობის-მოყვარობა, შრომის-მოყვარობა** („განთ.“, 2, 19); **გავლილი ქარ-ტეხილის** შემდეგ... („ფონი“, 1910, 1, 2); **გლეხობა სასო-წარკვეთილი** შეყურებს მომავალს („ფონი“, 1910, 1, 12); **მრავალ ბოროტ-მოქმედებათა** გამოაშკარავების გამო... („ფონი“, 1910, 1, 11).

გ) დაწერილია ერთად:

გრგვინვა ქუხილის, გუგუნ ხმაურობის შემდეგ **აქ ისევ** მყუდროება და მუდმივი **ბინდბუნდი** დგებოდა („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); **მორწყულია მამაპაპათა** წმინდა სისხლით (იქვე, 2, 10);



დ) ზოგჯერ შეინიშნება მერყეობა, პარალელური ფორმები:

1. ერთი და იგივე სიტყვა იწერება ცალ-ცალკე და დუფისითაც:

**ხმა მაღლად|| ხმა-მაღლა:** *ქუჩებში და სანახშოებზე ისინი ხმა მაღლად უცხადებენ ხალხს* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); *საკურთხეველში დაბრძანდებოდი და ხმა-მაღლა დაღადებდი* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 5);

2. ერთი და იგივე სიტყვა იწერება ცალ-ცალკე და ერთადაც:

**დელა მიწა|| დედამიწა:** *არ უთხრობიათ, დელა მიწა ტრიალებს* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1); *დაიწყებს თავის იჭიბოჭიას, თუ როგორ მოწყდა მხეს დედამიწა, დედამიწას მოვარე (იქვე):*

**ჯარის კაცს|| ჯარისკაცები:** *სამხედრო ოლქის სასამართლომ რიგში მდგარ ჯარის კაცს აფანასიევს... რვა წლის კატორღა გადაუწყვიტა* („იმერ.“, 2, 3); *ჯარისკაცები ცხენის მეპატრონეებს ქუჩებში ხვდებიან* („იმერ.“, 3, 3).

იშვიათად დასტურდება კომპოზიტი სრული, ამოსავალი ფორმით: *განიცდის ვერსიიელი მოძრაობის ძლიერს ზედმოქმედებას* („განთ.“, 1, 54); *ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები...* („ფონი“, 1910, 2, 7).

კომპოზიტთა სხვადასხვაგვარი ორთოგრაფიის (პარალელური) ფორმები არც თუ იშვიათია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ერთცნებიან კომპოზიტთა დაწერილობაში ნორმათა უნიფიკაციის ტენდენცია ჯერ კიდევ არ არის აშკარად გამოკვეთილი.

**მრავალცნებიანი კომპოზიტები**

ნორმა არ არსებობს ორ-და მეტცნებიანი კომპოზიტების დაწერილობაშიც. კომპოზიტები ხშირად წარმოდგენილია როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე და დუფისითაც:

ა) დაწერილია ცალ-ცალკე:

**წერა კითხვის საზოგადოება** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7); *თუ შენ თავი არ გინდა მოიწონო იმ ორი სამი პატიოსანი გვამის წინაშე...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6)...



ცალ-ცალკე იწერება სინონიმური კომპოზიციებიც: **ტანჯულ წამებულთა** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 12); **მოწყენილ მოქუშული ხევი** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 18);

ბ) დაწერილია ერთად:

გრგვინვა ქუხილის, გუგუნ ხმაურობის შემდეგ აქ ისევ მყუდროება და მუდმივი **ბინდბუნდი** დგებოდა („შინ. საქმ.“, 1908, 4, 13); **მორწყულია მამაპაპათა** წმინდა სისხლით („შინ. საქმ.“, 1908, 2, 10); **(ის) კერძო გაკვეთილებით არჩენდა თავის ცოლშვილს** („იმერ.“, 3, 2); **ის დასი, რომელიც სახელმწიფოს უარყოფს, სოციალდემოკრატიას ბურჟუაზიულ პარტიათა სთვლის** („იმერ.“, 1, 2); **წლიურ ხელის მოძწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ** („იმერ.“, 2, 1).

გ) დაწერილია დეფისით:

**წინაპარნი ხვენის ერისა თითქმის** ოც საუკუნისა განმავლობაში ომის ველზედ **გულმკერდით** ხვდებოდა მტრის **ტყვია-ზარბაზნის** წვიმას („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); **მთელი ათითორმეტი** წელიწადი ატყუე შენი ძმები („შინ. საქმ.“, 1908, 2, 6).

კომპოზიტი **სახლ-კარი** საანალიზო მასალაში დეფისითაც გვხვდება და ერთადაც: **ფულეებმაც ჭირი მოგჭამოს, მაგრამ სახლკარი რჩება უპატრონოთ** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 15). ს. ხუნდაძის მიხედვით, ეს სიტყვა ერთცნებიანი კომპოზიტია და ერთად უნდა დაიწეროს. ა. შანიძე მას ორცნებიანად მიიჩნევს. მისი აზრით, **კარი** ეზოს მნიშვნელობით არის გამოყენებული ისევე, როგორც **კარ-მიდამოში** (ა. შანიძე, 1980, 157). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით აღნიშნული კომპოზიტი დეფისით იწერება (ვ. თოფურია, ივ. გივინეიშვილი, 1968, 681).

აი, ასეთ პირობებში, როცა არ არსებობდა არავითარი ნორმა კომპოზიტთა დაწერილობაში, ს. ხუნდაძე მოითხოვდა, რომ „ერთი აზრის მექონი“ ანუ ერთცნებიანი კომპოზიტი „უხაზოთ“ (უდეფისოდ), ერთად დაწერილიყო, ხოლო ორდა მეტცნებიანი – „შუახაზით“ (დეფისით). ა. შანიძის მიერ მიღებულ კომპოზიტთა მართლწერის წესებში სწორედ ეს პრინციპი არის გატარებული.



## 2.7. უცხო სიტყვების გალმოცემა ქართულად

ჩვენი ქვეყანა უცხოენოვანი გავლენისაგან არასდროს არ ყოფილა დაზღვეული, მაგრამ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი. საერთაშორისო, უფრო მეტად რუსული, ტერმინოლოგიის მოძალებისა და მოჭარბების პირობებში აუცილებელი იყო გარკვეული მიმართულებებისა და მეთოდოლოგიის შექმნა. ი. ჭავჭავაძემ ჩინებულად გაართვა თავი ამ პრობლემას. მის ტერმინოლოგიურ საქმიანობაში გამოიკვეთა ორი მართებული პოზიცია: 1. რუსული ტერმინოლოგიის მხოლოდდამხოლოდ თარგმნა; 2. საერთაშორისო ტერმინოლოგიის თარგმნა და სესხება. უცხო ტერმინების თარგმნისათვის იგი იყენებდა ორ მეთოდს: 1) ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან მზამზარეული შესიტყვებების დაძებნა და 2) ქართული ძირეული მასალიდან ახალ ტერმინთა წარმოება (ი. ვაშაქიძე, 1991, 27). აღნიშნული პრინციპები ედება საფუძვლად XX საუკუნის დასაწყისის ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებასაც, მაგრამ რუსული ენის მოძალების პირობებში ზოგჯერ ჭირდა მათი სისტემებზე გატარება. ი. ჭავჭავაძე გამორიცხავდა რუსული ენის ფუძეებთან ქართული მორფემების გამოყენებას, საერთაშორისო ტერმინებთან ქართული აფიქსების კომბინაციას კი დასაშვებად მიიჩნევდა. ამ პრინციპთა დაცვა-დაუცველობით უნდა აიხსნას პრესის ენაში უცხო სიტყვების, რუსიციზმების სიჭარბე:

**აპეკი** (= მოციქულობა): *ასეთია აზრი და მნიშვნელობა ყოველგვარი აპეკისა* („შინ. საქმ.“, 1908, 18, 2);

**აპეკუნი** (= მოციქული): *ამ გარემოებას მამა აპეკუნმა დეკანოზმა ყურადღება არ მიაქცია* (იქვე);

**კატარფალა**: *მისი სხეული ჩვეულებისამებრ გამოდგეს ღია კუბოში კატარფალაზე საგლოვიარო ოთახში* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 4);





**პოლიგამია:** *თუმცა სოციალისტები წინააღმდეგნი არიან პოლიგამიისა – მრავალცოლიანობისა* („შინ. საქმ.“, 1908, 8, 13);

**სტაქანი:** *წყალი რომ სტაქანში ჩაახსა...* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13);

**სტოლი:** *კლუბის დარბაზი მოფენილია მწვანე სტოლე-ბით* („შინ. საქმ.“, 1908, 2, 13);

**სტრაჟნიკები** („შინ. საქმ.“, 1908, 8, 15);

**შპაგა:** *აფიცურმა შპაგა (ხრმალი) ამოიღო პატივის მისა-ცემათ* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 3);

**წილი კვიტანცია** (= წილის ბარათი, სასურსათო ტალო-ნი): *თითო წილი (პაი) 5 მან. ღირს* („შინ. საქმ.“, 1908, 13, 14).

უცხოენოვანი ტერმინოლოგიის მოძალების შესახებ აღნიშნავს გაზეთ „შინაური საქმეების“ ერთ-ერთი პუბ-ლიკაციის ავტორიც: „სიტყვები სოციალიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი, ესდეკი, კაპიტალი და სხვა მოდური სიტყვები...“ (1908, 9, 2).

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში, განსა-კუთრებით გაზეთ „იმერეთში“, ყველაზე მეტად იგრძნობა რუ-სული ენის გავლენა. მაგალითად: *ოქმი დაცულია სტოკოლ-მის სახელმწიფო არხივში* („შინ. საქმ.“, 1908, 4, 4); *ვიზანტიის კულტურა დიდებულს ნიადაგს პოულობდა საქართველოში* (იქვე, 2, 9)...

რუსული ყრუ ბგერები **к, т** ქართულში სხვადასხვანა-ირად გადმოიცემა:



პრესის ენაში შეიმჩნევა ტენდენცია **კт** კომპლექსის **კტ**-თი გადმოცემისა:



**ოკტომბერი:** ქუთაისის ამომრჩეველთა არჩევანი 4 ოკტომბრისთვის გადაიდვაო („იმერ.“, 2, 2);

**რედაქტორი:** რედაქტორ-გამომცემელი („შინ. საქმ.“, 1908, 2, 1);

**ტაკტიკა:** მათი ტაკტიკა არის სიფთხილე და მორიდება („იმერ.“, 3, 2);

**ტრაკტატი:** ბერლინის ტრაკტატის განხორციელება ევროპის პროვინციებს გემართებს („იმერ.“, 3, 3).

**ფაქტი:** თუკი ეს ფაქტი მას გულს დაუშშივდებს... (იქვე);

**ასეთივეა:** დირეკტივი, დირეკტორი, ელექტრონული, კოლექტიური, მანუფაქტურა, პოსსპეკტი, სექტემბერი და სხვა.

რუსული **кс** გადმოცემულია **კს**-თი: **საექსკურსიოდ:** მოწაფეები თფილისში საექსკურსიოდ ემზადებიან („იმერ.“, 2, 2). მერყეობა აქაც შეიმჩნევა: **საექსკურსიოდ:** თფილისში საექსკურსიოდ 29 სექტემბერს წავლენ (იქვე).

სოფჯერ რუსული **т** გადმოცემულია **თ**-თი: **მათემატიკის** (математика) („შინ. საქმ.“, 1908, 2, 8); **თერმინოლოგიის** (терминология) გასარკვევად და შესამუშავებლად („შინ. საქმ.“, 1908, 2, 7).

პრესის მასალების მიხედვით ნასესხები სიტყვების ფუძეში თითქმის ყოველთვის არის დაცული ორი ერთნაირი თანხმოვანი: **კოლლეგიური** („შინ. საქმ.“, 1908, 2, 9); **პროცესი** („შინ. საქმ.“, 1908, 4, 6); **კარრიკატურა** („შინ. საქმ.“, 1908, 5, 2); **პესსიმიზმს** („იმერ.“, 1, 2)...

ა. შანიძე უარყოფდა ს. ხუნდაძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქართულ ენას ძირეულ სიტყვებში არ უყვარს ერთნაირი თანხმოვნების თავმოყრა: **ეკკლესია, გრამმატიკა** და სხვა. ანტონ კათალიკოსსაც მიაჩნდა, რომ უნდა შენარჩუნებულიყო გაორმაგებული თანხმოვნები ნასესხებ სიტყვებში (**ღრამმატიკა, ეკკლესია, ელლინნი**...). სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონის შეხედულებას გამართლებას უძებნიან: „როცა უცხო ენაში, საიდანაც ვსესხულობთ სიტყვას, გაორკვევებული თანხმოვნები წარმოთქმაში განსხვავდებიან ცალმაგათ-



გან, მეცნიერული თვალსაზრისით უმჯობესია გაორმაგების დაცვა“ (ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, 1991, 73).

ქართული ტრადიცია გაორკეცებულ თანხმონებს ნასესხებ სიტყვებში ამარტივებდა: **იოანე, იესე, მანასე, სადუკეველნი, ალილუია...** ბერძნულში: **იოანნეს, იესსაი, მანასსეის, სადდუკაიოი, ალლელუია...**

ძველი ქართული სიტყვები **თთუე, ჩჩვილი** ამჟამად ერთი თანხმონით იწერება: **თვე, ჩვლი**; რთულ სიტყვებშიც, რომლებშიც თავს იყრის ორი **ს**, ერთი იკარგება: **ტანისამოსი, ზმნისართი, ცისარტყელა...**

თვით იმ ენებშიც, რომლებშიც წესადაა ნასესხებ სიტყვებში ორმაგი თანხმონის გამოყენება, ეს ნორმა ყოველთვის არ არის დაცული. მაგალითად, რუსულში: **галерея, компас, ресурс...** მაშინ, როცა იტალიურში არის: **გალლერეა, კომპასსი, ფრანგულში – რესსურს...** ქართულმა ეს საკითხი თავიდანვე სწორად გადაწყვიტა და ტრადიციად აქცია (ე. თოფურია, 1965, 48). ს. ხუნდაძეც სწორედ ამ ტრადიციის დაცვას მოითხოვდა.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალებში ასახულია ქართულ ენაში უცხო ტერმინოლოგიის დამკვიდრების რთული პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს წინა ეპოქაში ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული მეთოდები, სისტემა უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემისა, მაინც ძნელდება ნასესხებ ტერმინთა ქართულ ყალიბში მოქცევა. ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას თანამედროვე ქართული პრესისა და, საერთოდ, მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ენაც. ტერმინთა თარგმნის (გაქართულების) მექანიზმი ნაკლებად მოქმედებს, ხშირ შემთხვევაში უცხო სიტყვა პირდაპირ, უთარგმნელად, ყოველგვარი აფიქსაციის გარეშე არის გადმოღებული. ეს ტენდენცია საგრძნობია პოლიტიკის, ეკონომიკის სფეროებსა და მათს შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.



„პრესა არის შუალედური რგოლი მეტყველებასა და ენას შორის. სანამ ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისია ჩამოყალიბდებოდა, ამ როლს სწორედ გაზეთის თანამშრომლები ასრულებდნენ. ასე იყო აღმოსავლეთ საქართველოს გაზეთებშიც, მაგრამ XX საუკუნის 10-იან წლებში საზოგადოების ეროვნული პოზიცია არაჩვეულებრივად არის გამოკვეთილი ქუთაისში“ (დ. მელიქიშვილი).

„XX საუკუნის დასაწყისში ფაქტობრივად მოხდა შეუმჩნეველი რევოლუცია ენაში... ენის საკითხებისადმი 10-იანი წლების ქუთაისის პრესის დამოკიდებულება უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე პრესამ“ (მ. ქურდიანი).

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესამ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი, საჭირობორტო საკითხი დააყენა და ხელი შეუწყო ქართველ ხალხს მათს გადაჭრაში. პერიოდულ ორგანოთა ფურცლებზე მთავსებული პუბლიკაციები ეხმაურებოდა პროგრესულ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო იდეებს. ამ მასალებმა დიდი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ქუთაისის ან დასავლეთ საქართველოს, არამედ სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში, აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში.

## ლიტერატურა

- ასათიანი ლ., ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965.
- ბაბუნაშვილი ე., უთურგაძე თ., ანტონ I-ის „ქართული დრამატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1971.
- ბაქრაძე გ., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1914.
- გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- განჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
- ვაშაკიძე ი., ი. ჭავჭავაძე და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის პრობლემები (ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ფონზე), საკანდ. დისერტ. ავტორეფ., თბ., 1991.
- ვაჭრიძე პ., როტაციონის ბრუნავს მანქანა (ქუთაისში წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან – 1800-1921 წწ.), თბ., 1979.
- თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
- თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.
- იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
- კიკნაძე ი., მესამე პირის ობიექტის მრავლობითობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში დიალექტებთან მიმართებით: დიალექტ. კრებ., თბ., 1987.
- კვანტალიანი ლ., სილოვან ხუნდაძის გრამატიკული ნაშრომები, თბ., 2009.
- კუბლაშვილი კ., ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XIX, 1959.
- კუბლაშვილი კ., ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.

- ლეონიძე გ., ნატურის ხე, თბ., 1990.
- ლეჟავა ლ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქსკს, XII, თბ., 2004.
- მელიქიშვილი დ., გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, თსუ შრომები, X, თბ., 1986.
- მელიქიშვილი დ., დიალექტიზმების ნაკადი გელათის სალიტერატურო სკოლის ძეგლებში და მათი გამოყენება სტილიზაციის მიზნით: დიალექტ. კრებ., თბ., 1987.
- მელიქიშვილი დ., მღვდელი ს. მჭედლიძე და მისი სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა: ჟურნ. „ჯვარი ვახისა“, თბ., 1990.
- მელიქიშვილი დ., მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995.
- მელიქიშვილი დ., ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2009.
- მელიქიშვილი დ., წმინდა მღვდელმოსწამენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდელთ კრებული: საერთ. სამეცნ. კონფ. „დიდაჭარობა“ (მასალები), ხულო-დიდაჭარა, 2010.
- მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, თბ., 1957.
- ქადაგიანი ს., გურული კილო, თფ., 1936.
- რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
- სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
- სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- სადინაძე რ., XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ისტორიიდან: თსუ ახალგაზრდა მეცნ. შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნ. სერია, ტ. XVII, 1989.
- სადინაძე რ., სილოვან ხუნდაძე და სალიტერატურო ქართული: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, I, ქუთაისი, 1996.

- სადინაძე რ., ახალი ქართული სალიტ. ენის ჩამოყალიბების გზები (XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალების მიხედვით): საკანდ. დისერტ., თბ., 1997.
- სადინაძე რ., XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესა მშობლიური ენის საკითხების შესახებ: ქსკს, XI, თბ., 1998.
- სადინაძე რ., საეკლესიო პეიოდულ გამოცემათა ისტორიიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში: საერთ. სამეცნ. კონფ. „დიდაჯარობა“ (მასალები), ხულო-დიდაჯარა, 2009.
- სადინაძე რ., მღვდელმთაწამე სიმონ მჭედლიძის საგამომცემლო საქმიანობა: საქართველოში წიგნის ბეჭდვის 300 წლისთავისადმი მიძღვნ. კონფ. მასალები, ქუთაისი, 2009.
- სადინაძე რ., პალესტინის ქართული წარწერები და მათში მოხსენიებული ერთი საკუთარი სახელი: XII საერთაშორისო კონფ. „ქუთაისური საუბრები“ (მასალები), ქუთაისი, 2009.
- გ. ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1966.
- უკლება ლ., იმერულის სალექსიკონო მასალა, თბ., 2010.
- ფეიქრიშვილი ჟ., მე-ე კონფიქსის დატვირთვა და გავრცელებულობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში: XIV რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია (თეზისები), თბ., 1993.
- ფონხუა ბ., მრავლობითის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში: ქესს, II, თბ., 1963.
- ქავთარაძე ი., მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის გამოსატვის ისტორიისათვის ზმნაში: საიუბ. კრებ., თბ., 1974.
- დამბაშიძე რ., ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში: ქსკს, I, თბ., 1972.
- ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

- შაღვაშვილი ღ., ქართული სალიტერატურო ენის განვითარება საბჭოთა პერიოდში, თბ., 1986.
- შანიძე ა., თხზულებანი, III, თბ., 1980.
- შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, თბ., 1938.
- შარაშენიძე ნ., საჩინოური ქართული, თბ., 2008.
- ჩიქობავა არნ., მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღლების სისტემაში: იკე, I, თბ., 1946.
- ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- ცინცაძე კ., ქართული ოდიკისათვის: ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1-2, თბ., 1992.
- ძველი და ახალი ქუთაისი, თბ., 1973.
- ძიძიგური შ., იმერული დიალექტი: ქართ. დიალექტ. ძიებანი, თბ., 1970.
- ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
- ცხვედიანი ნ., „ძალიან ახოვანი, ღამაზი იყო ჩემი მამა!“ გაზ. „P.S.“, №26 (140), ქუთაისი, 2001.
- წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
- ჭავჭავაძე ი., თხზ., II, თბ., 1941.
- ჭავჭავაძე ი., თხზ., III, თბ., 1953.
- ჭიჭინაძე ზ., ქართული სტამბები 1627-1916 წწ., თბ., 1916.
- ხურცილავა ბ., ქართული ასომთავრული ანბანი და მისი შემქმნელები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდ“, თბ., 2008.
- ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
- ARMAZI Project/Manana Tandashvili, Frankfurt/Tbilisi 2000.
- <http://ka.wikipedia.org/wiki>.



**ს ზ რ ჩ ე მ ი**

შეხვედრა.....3

**I თავი – პრემის როლი ერთიანი სამართო-სახალხო  
ენის ფორმირებაში**

**1.1. XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის  
შედგენილობა და თემატიკა .....11**

**1.2. პოლემიკა ენობრივ საკითხებზე.....43**

**1.3. ტერმინოლოგიური ძიებანი.....67**

**II თავი. პრემის მასალების ენობრივი ანალიზი**

**2.1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების  
საკითხები ..... 80**

2.1.1. სახელთა ბრუნება..... 83

2.1.2. რიცხვითი სახელი.....88

2.1.3. ზ მ ნ ა..... 89

2.1.4. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება.....95

2.1.5. სახელისა და ზმნის ურთიერთობა რიცხვში .....97

**2.2. დიალექტიზმები.....100**

2.2.1. ფონეტიკური მოვლენები ..... 101

2.2.2. ლექსიკური დიალექტიზმები..... 106

2.2.3. ზმნური დიალექტიზმები ..... 109

**2.3. არქაიზმები .....120**

2.3.1. ფონეტიკური მოვლენები..... 120

2.3.2. ლექსიკური არქაიზმები ..... 122

2.3.3. ზმნური არქაიზმები..... 123

**2.4. სიტყვაწარმოების ძირითადი მოდელები.....124**

**2.5. დარგობლივი ტერმინოლოგია .....132**

2.5.1. ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია ..... 132

2.5.2. პოლიტიკური ტერმინოლოგია .....	137
2.5.3. სამეურნეო ტერმინოლოგია.....	137
2.5.4. ბიოსამედიცინო ტერმინოლოგია .....	139
2.5.5. ქიმიური ტერმინოლოგია.....	141
2.5.6. პროფესია-ხელობის აღმნიშვნელი ლექსიკა .....	142
2.5.7. საზოგადოებრივი ურთიერთობების აღმნიშვნელი ლექსიკა .....	143
<b>2.6. კომპოზიციის დაწესებულება .....</b>	<b>144</b>
<b>2.7. უცხო სიტყვების გადმოცემა ქართულად .....</b>	<b>149</b>
<b>ლიტერატურა .....</b>	<b>154</b>

წიგნი დაიბეჭდა  
შპს „გაზეთ საქართველოს მაცნეს“ სტამბაში.